ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

4

აპრილი

1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის უოველთვიური სალიტერატურო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი ოცდამეექვსე

F-1097

ეროვნული ბიბლ. საბ. სახელმწ.
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

4

აპრილი

★

თბილისი

1949

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	38
სერგო კლდიაშვილი — მოხუცი მეფუტკრე, მოთხრობა	3
შალვა ამისულაშვილი — ლექსები	7
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი III, გაგრძელება	9
ვარლამ ჟურული — ჩვენი ქვეყანა, ლექსი	34
ალექსანდრე ჭუთათელი — მთაწმინდაზე, ერთი თავი რომანიდან	36
შალვა ტოგონიძე — დაბრუნება, ლექსი	54
გ. ტალახაძე — მხარდამხარ, მოთხრობა, გაგრძელება	55
ალ. პუშკინი — კავკასიის ტყვე, პოემა, თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა	67
ხ. ბლაჟბა — დიმიტრი გულია, წერილი	84
—	
კლიმენტი გოგბიავა — მაქსიმ გორკი ამერიკის შესახებ, წერილი	99
დ. მაისურაძე — ლენინი და სტალინი კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, წერილი	102
ნ. გოგელაური — საქართველოს შავი მეტალურგია, წერილი	138
—	
ს. ცაიშვილი — „როდიონ ქორქია — „კოლხიდის ვარსკვლავები", — ბიბლიოგრაფია	171
გ. მეგუაძე — „ბიბლიოგრაფიის მოამბე" № 4—5, ბიბლიოგრაფია	173
აკ. თოფურია — „ვლადიმერ თორდუა — „ჩიტი-ციცინო", ბიბლიოგრაფია	175

პასუხისმგებელი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), გესარიონ ჟღენტი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/V-49 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11 ფ. უე 01167
შეკვ. № 546. ტირაჟი 5.200.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონი № 3-23-42.

Комбинат Печати Управления по делам Полиграфии и Издательств при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი

მოხუცი მეფუტკრე

☆

გზის ნახევარიც არ გამეცლო, როცა ამინდი უცბათვე შეიცვალა. უხალისო მზე ერთხანს ყვითელ ლაქად ჩანდა შემოდგომის ტყვიისფერ ცაზე, მაგრამ მალე ისიც ნისლმა დაფარა. სქელი, მღვრიე ღრუბელი შემოხვეოდა კავკასიონს. ნისლი ეფინებოდა შორს გადაშლილ ალაზნის ველს. გზის შესამოკლებლად ბილიკით მიმავალს ტყე მათოვდა ყვითელ შემჭკნარ ფოთლებს. თქორავდა.

მთის ძირში მდინარის პირად დაბალი შენობა შევნიშნე. შორიდან ის წისქვილად მეჩვენა. სახურავიდან კვამლი ამოდიოდა. როცა ახლო მივედი, ქვიტკირის სახლი დავინახე. გარშემო მრავალი სკა იყო ჩამწკრივებული.

ჩემს დაძახილზე კარი გამიღო ვიღაც მოხუცმა. ჭაღარა თმა და წვერი ჰქონდა. პატარა, ოდნავ მოკაუჭებულ ცხვირზე სათვალე გაეკეთებინა, ყურებზე დაგრეხილ ძაფით დამაგრებული. ტანდაბალი იყო, მკვრივი და ჯანღონით სავსე ჩანდა. ხელში ეჭირა გაშლილი გაზეთი. უცნობი რომ დამინახა, სათვალე ჩამოიხსნა და შემომხედა ცისფერი ოდნავ მოჭუტული თვალებით. მაგრამ სრულიადაც არ გაჭკვირვებია, არც არაფერი უკითხავს, უცბადვე შემიძღვა ოთახში და დანთებულ ბუხრის წინ დაბალ სოფლურ სკამზე დამსვა.

პირველად მეჩვენა, რომ შეცდომით ვინმედ შემიცნო და ამიტომ მაშინვე ვუთხარი, შემთხვევითი მგზავრი ვარ მეთქი.

— შე კაი კაცო, რა ბოდიშს ითხოვ. შემთხვევითი არავინაა ამ ქვეყანაზე. რა მოხდა ისეთი, თავშესაფარი გინდა, სხვა ხომ არაფერი!

ამ უბრალო და გულწრფელმა სიტყვებმა უცბადვე გაფანტა პირველი წუთების უხერხულობა და თავისუფლად ვიგრძენი თავი.

როცა გარშემო მიმოვიხედე, მაშინვე მენიშნა, მოხუცი აქ მკაცრ ცხოვრებას ატარებდა. ოთახის მორთულობა უბრალო იყო: ორი ტახტი, კუთხეში ძველი პატარა კარადა, რომელზედაც მამალი ხოხობის ფიტული იდგა, თაროზე წიგნები და გაზეთები. ოთახის ერთადერთი სილამაზე იყო საწოლთან კედელზე ჩამოკიდებული ძველი ფარდაგი, რომელზედაც მიკრული იყო სტალინის და ბერიას სურათები.

ცივ ამინდში საგრძნობლად გარეთ ყოფნის შემდეგ აგიზგიზებულ ბუხართან ჯდომა ნამდვილი ბედნიერება იყო. ამაზე უკეთეს ადგილს ახლა ვერც ეინატრებდი.

პირველ სიტყვებიდანვე ვიგრძენი, რომ ჩვენი მოხუცი მასპინძელი ჭკვიანი და გაგებული კაცი უნდა ყოფილიყო. მომწონდა მისი უბრალოება და უშუალობა საუბარში და მოქმედება-

ში, შევიტყვე, რომ თავისებური ადამიანიც იყო. უნებურად ცნობისმოყვარეობა აღმეძრა მისდამი, მინდოდა გამეგო მისი ვინაობა მაგრამ მერიდებოდა მეკითხა. ჯერჯერობით მხოლოდ იმის გაგება შევძელი, რომ სამოც წელს ახლად გადასცილებოდა და შიო ბერიშვილი ერქვა.

ჩვეულებრივი გამოსაუბრების შემდეგ ამინდზე, ნაადრევ შემოდგომაზე, ბუნების სხვა უმნიშვნელო მოვლენებზე, ჩემმა მასპინძელმა ბუხრის წინ სოფლური ტაბლა დადგა.

— ნუ გაირჯებით, არაფერი არ მინდა, თქვენი ჭირიმე ნუ გაირჯებით! — შევეცადე არ შემეწუხებინა მოხუცი.

— ეგ შენი საქმე არაა! — თითქმის ბრძანების კილოთი ჩაილაპარაკა, თორნეული ცეცხლს მიაფიცხა, მოიტანა ყველი, თაფლით სავსე ჯამი და თაფლისავე არაყი.

ასე გემრიელად მგონი არასდროს არ მეჭამა და არ შემრგებია საუზმე. არაყმა სითბო შეიტანა ტანში და ხალისი შემმატა.

— დიდი სკა გყოლიათ, — სიტყვა ჩამოვაგდე უფრო ზრდილობისათვის, — თაფლიც საუცხოოა... აქ ისეთი ბუნებაა, რომ ხელსაყრელი პირობები უნდა არსებობდეს. გაზაფხულიდან ველი და ფერდობი, ალბათ, ყვავილებით დაფარულია. წარმოდგენილი მაქვს რა სარბიელია ფუტკრისთვის!

მგონი მიმიხვდა, რომ ბევრი არაფერი გამეგებოდა ამ საქმეში და მოკლედ მომიჭრა:

— ჩვეწებური ჯიშის ფუტკარი გახლავთ... არსადაა დედამიწაზე მისი შესადარი, — ეს ერთგვარი სიამაყით სთქვა შიომ.—ყველაზე მშრომელი და ნაყოფიერი. თანაც გამძლე... ჰო და, ჩემი ოცნებაა მომრავლდეს და გავრცელდეს ყველგან. ეს ჯიში კი გადაშენების გზაზე იდგა... გაქრებოდა, რომ დროით არ მივშველებოდი.

— მერე და მარტო [illegible]?

— რატომ მარტო? ახლა კოლმეურნეობაც ჩაება... — წუთით ჩაჩუმდა და შემდეგ დაუმატა:—ეს წინათ ვიყავი მარტო... თითქმის განდეგილივით... ხანგრძლივადაც...

დიდხანს გამიჯიუტდა მოხუცი, თავს არიდებდა თავისთავზე ლაპარაკს, მაგრამ ბოლოს მაინც ჩავითრიე საუბარში.

შევნიშნე, არ სიამოვნებდა წარსულის მოგონება, მაგრამ ბოლოს თავს ძალა დაატანდა და ზოგი რამ მაინც მიამბო განვლილ ცხოვრებაზე.

...ოდესღაც, ახალგაზრდობაში, სოფლის მასწავლებელი, შიო ბერიშვილი სამუდამოდ მარტოხელი დარჩა და არც უფიქრია, რომ სხვაგვარად ცხოვრების მოწყობა მისთვის უკეთესი იქნებოდა. ჭაბუკობაში თავისი მომავალი გაცისკროვნებული წარმოიდგინა. როგორც მრავალი სხვა, შესაძლოა ისიც დაკმაყოფილებულიყო სოფლის მასწავლებლობით, მით უფრო, რომ ბავშვები უყვარდა, მაგრამ როცა ერთხელ განიზრახა როგორმე სახალისო გაეხადა მათთვის სწავლა და ახალი გზით წარემართა სკოლა, მაშინვე დაითხოვეს და სამუდამოდაც მოაშორეს. ამის შემდეგ სახალხო წიგნების შედგენის აზრმა გაიტაცა, მაგრამ ამაზედაც უმალვე ხელი ააღებინეს. ამით გული არ გასტეხია შიოს. ათასგვარი ოცნება უტრიალებდა თავში. ბუნებით დაუდგრომელი იყო. ამავე დროს ხალისით სავსე. ეს ხალისი იყო, რომ დიდხანს ამხნევებდა და სასიცოცხლო ძალას აძლევდა, მაგრამ ბოლოს ყველა იმედის გაქარწყლებამ მაინც გასტეხა, უკვე ხანშიშესულს ყველაფერზე ხელი ჩააქნევინა და მიაღებინა გადაწყვეტილება გასცლოდა უკუღმართად აწყობილ ცხოვრებას...

წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო და, ვინაიდან მასში კიდევ ბეუტავდა ოდნავი იმედი, წაეპოტინა რაღაც შორეულ ოცნებას და უკანასკნელად სცადა ახლად დაეწყო ცხოვრება. მან აირჩია ერთი უკაცრიელი ადგილი მთის ძირში და აიშენა იქ ქვითკირის პატარა სახლი. პირველად აქ დაებადა ფუტკრის მოშენების აზრიც.

წლების განმავლობაში მარტო ცხოვრობდა აქ. ერთადერთი მისი მეგობრები იყვნენ სანადირო ძაღლი, ფუტკარი და აი ეს ბუხარი, რომელსაც ხშირად ანდობდა თავის ფიქრსა და ოცნებას. მარტოობის წუთებში ის ნაღვლიანად მოიგონებდა ხოლმე იმედებით სავსე თავის ახალგაზრდობას და სევდითვე წარმოიდგენდა ცხოვრების დარჩენილ დღეებს, რომელიც ბურუსით იყო მოცული.

ყველას განრიდებული და გულგატეხილი ასე განდეგილად მიათრევდა დღეებს, სანამ ახალი ცხოვრების ზარმა არ ჩამოჰკრა. ამ ხმამ გაამხნევა ძველი მეოცნებე. ისევ გაერია ხალხში, ისევ მიეცა ხალისი. შიოს შესთავაზეს დასახლებულიყო სოფელში, მაგრამ მრავალი წლის განმავლობაში მთის ძირში ცხოვრებას შეჩვეულმა და შეთვისებულმა, ისევ თავის ფუტკართან დარჩენა ამჯობინა. ერთხანზე თითქმის გაველურებული და მარტოობით დაქანცული მოხუცი ისევ გამოცოცხლდა. ახალმა ოცნებამ გაიტაცა: — ადგილობრივი ჯიშის ფუტკარი, ყველაზე გამძლე, შრომადაუზარებელი და ნაყოფიერი! როცა მისი პატარა მეურნეობა გაიზარდა, შიომ ის კოლმეურნეობას გადასცა, ხოლო თითონ მომვლელად დარჩა.

— „საკვირველია, როგორ შერჩა დღემდე ამდენი ძალა და ხალისი“! — გავიფიქრე უნებურად და როცა ამბავი დაამთავრა, ვკითხე უფრო იმისათვის, რომ სიჩუმე დამერღვია: — მაშ საბოლოოდ აქ დარჩებიო, ბატონო?

— აბა როგორ, ახლა გავეცალო?

— არა, მაგრამ... საკვირველ მოთმინებას იჩენთ...

— როგორ თუ მოთმინებას? — უეცრად მწყრალად შემომძახა, — რა შუაშია აქ მოთმინება?

— დამეთანხმებით, ალბათ, ძნელია აქ ცხოვრება და ისიც თქვენთვის... მართლაც განდეგილად, საზოგადოებას მოწყვეტილი... სხვა თუ არაფერი, ასეთ მარტოობაში კაცი გაველურდება, ყველაფერი დაავიწყდება და ყველა დაივიწყებს...

— ჰო და, არც ასეა საქმე! — რაღაც ეშმაკურად გაეღიმა მოხუცს, — არც ასეა საქმე... ჯერ ერთი რომ, აქ ბედნიერად ვგრძნობ თავს... შენ ჩემო კეთილო, ვხედავ, ბუნების არაფერი გაგეგება და, ამიტომაა, ძნელი გეჩვენება აქ ცხოვრება... გარდა ამისა, აქედან ვემსახურები ადამიანს და მისთვის სარგებლობა მომაქვს... და რომ მე დავიწყებული არ ვარ ამაში ახლავე შენც დარწმუნდები!

ამ სიტყვაზე მოხუცი წამოდგა, ტახტის ქვეშ მოიფათურა, ჩემოდნის მსგავსი ხის ყუთი გამოაჩოჩა, ახადა თავი და კონვერტიდან რაღაც წერილი ამოიღო. ჯერ თითონ დააპირა წაკითხვა გაიკეთა სათვალე, მაგრამ ისევ ჩამოიხსნა და ქაღალდი მე გადმომცა.

— შენ თითონ წაიკითხე!

წერილი მოკლე იყო, თანაგრძნობით და ალერსით სავსე. მხოლოდ მაშინ მივხვდი იმ საიდუმლოს, თუ ახლად რა ძალას დაებადა, საიდან მისცემოდა სიცოცხლის ხალისი კაცს, რომელსაც დიდიხანია ყველაფერზე ხელი უნდა ჩაექნია. წერილი ასე თავდებოდა: — „...ვიმეორებ, თქვენ შესანიშნავ საქმეს აკეთებთ. პატარა საქმედ ნუ მიგაჩნიათ ადგილობრივი ჯიშის ფუტკრის მოშენება და ხალხში გავრცელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არცერთი საქმე არაა პატარა, რომელიც ხალხის კეთილდღეობას ემსახურება და სიყვარულით კეთდება. ვგრძნობ გიყვართ თქვენი ქვეყანა, შეხარით მის მომავალს და ადამიანისადმი სიყვარულით სავსე გული გაქვთ. ეს კი ყველაზე უფრო ძვირფასია. მეგობრულად ხელს გართმევთ და ხანგრძლივ სიცოცხლეს გისურვებთ. თქვენი პატივისმცემელი ლ. ბერია“.

— აი რას მწერს თბილისიდან! იმოდენა მანძილიდან ხელსაც მართმევს... შენ კი მეუბნები, ქვეყანას მოწყვეტილი ხარო!—მხნედ და ამასთანავე თითქოს ნიშნისმოგებით გადმომხედა, გამომართვა წერილი, ყუთში ჩადვა, შემდეგ ისევ ბუხართან ჩამოჯდა და თითქმის მღელვარებით ჩაილაპარაკა:—ვინ იცის რამდენი ჩემისთანა დაუბრუნა მან ცხოვრებას... აი ასეთი სიყვარული აშენებს ქვეყანას!..

გარედან ტყის ხმაური ისმოდა. ქარი ნავარდობდა. სახლის წინ ხე ტოტებით ებღაუჭებოდა კედელს. კიდევ დიდხანს ვისხედით ცეცხლის პირად და ვუსმენდი მოხუცს, რომელიც სიცოცხლის სიტკბოზე მიამბობდა.

*
* *

როცა მეორე დილით გავიღვიძე, მასპინძელი ვეღარ ვნახე.

ბუხარში ისევ გიზგიზებდა ცეცხლი. კედელში მაღლა დატანებულ და ბოლისგან შეყვითლებულ ფანჯარაში ვერ ვარკვევდი, რა დრო იყო. რაღაც სინათლე შემოდიოდა მხოლოდ. ვიწექი და სიამოვნებით ვუცქერდი ცეცხლის ტრიალს ბუხარში. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემი მასპინძელიც დაბრუნდა. მხარზე თოფი ეკიდა, და ნანადირევი ხოხობი ხელში ეჭირა.

— ადექი, ადექი!—ხალისიანად გადმომძახა.—იმიტომ კი არ გათენდა, რომ საწოლში გორავდე. დალოცვილო, გათენდა. ხოხობსაც კი უხარია და ყივილით ხვდება. ფრინველმა თუ ამდენი იცის, შენ კაცი ხარ და მეტი მოგეთხოვება!

ადრევე ვაპირებდი წასვლას, მაგრამ ვერც ისე მალე დავტოვე ჩემი მასპინძელი, როგორც ვფიქრობდი. ისევ ბუხრის წინ ჩამოვსხედით, ისევ გაიბა საუბარი. ტაბლაზე იდვა შემწვარი ხოხობი და ხელადით თაფლის არაყი.

ჩვენი განშორების დროც დადგა ბოლოს, შიო ერთხანზე გამყვა. დამცილდა მხოლოდ მაშინ, როცა დიდ გზაზე დამაყენა. დამშვიდობებისას გადავეხვიე და მადლობა ვუთხარი, რომ უცნობი გულთბილად მიმიღო. მოხუცმა ხელი ჩაიქნია, თითქოს ამით მითხრა: მადლობად არ ღირსო:

— შენ რაო, კარს მომიხურავ ქალაქში რომ გეწვიო? ჰო და, ასეა!—ისევ ჩამომართვა ხელი და სახლისკენ გაბრუნდა.

თვალი გავაყოლე. აუჩქარებელი, მარჯვე ნაბიჯით მიდიოდა, როცა ბორცვთან მოხარა და მიეფარა, მეც ჩემი გზა განვაგრძე.

ღამით ნაწვიმარზე მიწა სველი და ცივი იყო. სქელი ღრუბელი დასწოლოდა კავკასიას. შორს ლანდად სჩანდა ქიზიყის გორაკების გრეხილი. ალაზნის ველს აქა-იქ თხელი ნისლი ეფინა. წინ გრძელი, ფართო გზა მიიმართებოდა. მხნედ მივაბიჯებდი და გულს ადამიანისადმი სიყვარული და რწმენა მიჰქონდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ამირსულაშვილი

ლექსები

★

1.

გორის ციხიდან

მე გუშინ გორის ციხიდან დაბლა გორს გადავყურებდი...
ნაშუადღევზე ქვიშისფრად მოადგნენ ლაჟვარდს ღრუბლები.
ის იყო — დაღმა დავყევი
დარღვეულ კიბის ფილაქნებს —
ელვამ გაჰკვეთა ტატნობი, ფრთა გამკრა მისმა სინათლემ.
— მაისიაო! მაისი! —
ქუხილმა გადიგრიალა,
ღრუბლებს ჯიქნები დაუსკდათ,—წვიმა მოვარდა ჩხრიალა.
რა მექნა,
სად წავსულიყავ?
  თაღს შევეფარე ლოდმაგარს.
აღსდგა ბელადის ბავშვობა, ზღვა სიხარული მომგვარა!..
ზედ ქუდზე გადამიქროლა გახარებულმა მერცხალმა.
თაღს მისი ბუდე შევნიშნე,
შხეფის ნატყორცნი ჰკენწლავდა...
არც ისე დიდხანს დახანდა მაისის წვიმა ჩხრიალა,
მზემ ისევ გორის ბაღები ათასფრად ააბრიალა...
კედლების ძირ-ძირ, აქა-იქ,
კრიალა წყალი დაგუბდა,
შიგ ბალახების ყუნწები ლანდებს ჩასცქერდნენ საკუთარს...
ლენინის ქუჩის მხარეზე შვიდფერი სვეტი ავარდა,
მერე
სტალინის ქუჩასთან მოიღუნა და გამაგრდა...
ვთქვი: ცისარტყელა კი არა,
ქვეყნის კარიბჭე გაიხსნა,
აქ ფესვობს ფესვი წარსულის, დიდებაც მომავალისა!..
ხალხის ხმაგაბმულ ჟრიამულს
ქალაქი ვეღარ იტევდა...
ვერხვებზე ნამის მარგალიტს ნისკარტი დაჰკრეს ჩიტებმა.
მე იმ ძველისძველ ციხეზე
აბა რა გამაჩერებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც გორის ქუჩებში იდგა ზღაპრული მშვენება!..
ხალხთა დინებას გავყევი ჩემი ფრონტული ჩექმებით,
ბოლოს გულგალაღებული
ბელადის სახლთან შევჩერდი...
იმ ჟრიამულში, გუგუნში სამშობლოს სუნთქვაც ისმოდა, —
და გორის თავზე ხმატკბილად ზარს რეკდა მარადისობა!..

2.

მადლიანია ქართული მიწა

მადლიანია ქართული მიწა
მის გულში რძე დუღს დასაბამიდან;
თებერვლიდანვე ფარჩეულს იცვამს
და დატკბილება იცის ამინდმაც.
საქართველოში გაზრდილი მუხა
უმკვრივესია ყველა ლითონზე;
ზოგი ისეთი ჯმუხაა, ჯმუხა,—
შვიდ მწყემსურ ნაბადს შემოიტოლებს.
არ ეკარება სიკვდილის ქარი
ქართული მიწის თვითეულ მისხალს.
ბაღვენახებით ამაყობს ბარი,
მადნეულობით — წიაღი მთისა...
მაგრამ ყველაზე მეტი დიდება
აქ მხოლოდ ქართველს ეკუთვნის მარტო,
ვისი ოცნებაც არ იბინდება, —
და დიდ მომავლის მიჰყვება ტატნობს.
დე, მტრის თვალებში ელდა ელავდეს,
რა შეაჩერებს სტალინურ მოდგმას?!.
გვწამს: კომუნიზმის დიად მწვერვალზე
დავატრიალებთ ცხოვრების ბორბალს!..
ჩაუტანია მტკვრის ტალღებს ზღვაში
საუკუნეთა შავი ნაღველი
და დედაქალაქს ბეჭებში გაშლილს,
ღიმილს აფრქვევენ ბაირაღები!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

დავით აღმაშენებელი

ტრილოგია *

კარი მესამე

★

XII

LUSTRATIO IN OBSCURO ET TENEBRAE

გვარამ ბეჭისციხის პატრონმა და მისმა ამალამ ძლივს მიაღწიეს ტანაის ნაპირად ერთ პატარა ნასოფლარამდის, რომელსაც „დათვის გორაკი" ერქვა, სწორედ იმ ადგილს, სადაც ზღვას ერთვის ტანაის [1].

ოდესღაც ქვიტკირის გოდოლი მდგარა აქ, ზღვის მეკობრეთა თავშესაფარი. თავის დროზე ხაზარებს დაულეწიათ იგი.

ბოლოხანს კონსტანტინეპოლელ ბერძენს, მონასტრიდან გაქცეულ ბერს, ვინმე თეოფანეს თევზის ფაქტორია [2] გაუმართავს მანდ, შეუკეთებია ეს გოდოლი, ლელით გადაუხურავს იგი და უკაცრიელ ნანგრევში კაცთა სამყოფლო მოუწყვია.

თეოფანეს შვიდი ხელქვეითი ჰყავდა, მათ შორის ერთი რუსი მჭედელი ვინმე ნიკალა, სამი ბულგარელი და სამიც ყმადნაყიდი ქაშაგი...

. . . . . .

* გაგრძელება. „მნათობი" № 3.

[1] ტანაის — ეწოდებოდა დონს.

[2] ფაქტორია — ლათ. სახელოსნო, სავაჭრო, საწყობი.

აფხაზეთიდან ზღვის გასწვრივ ცხენდაცხენ მიმავალნი კაცნი სარწმუნონი დავით მეფისა მრავალგვარ განსაცდელს გადაეყარნენ გზადაგზა.

ანაკოფიის ციხისთავის მიერ გამოტანებულმა მონასპებმა ქაშაგების [3] ქვეყნის საზღვრამდის მიაცილეს ისინი, როცა გადაიარეს ჯიქეთის ხეობები, გაივაკეს ცხენოსნებმა და ტრამალები მოდგნენ, სამშვიდობოს გავედითო იფიქრეს და უკან გააბრუნეს ეს მონასპანი.

ისევ დაიწყო უკაცრიელი ტყეები, გაუვალი ჭაობები და ჩაშავებული ხეობები.

ბექობებზე წამოჭოტილ ციხეებიდან გამოდიოდნენ ქაშაგთა ხევისუფალნი, თავს ესხმოდნენ მოგზაურებს.

გვარამ ერისთავს თან ახლდა ერისთავთა და სამღვდელოთაგან შემდგარ ამალის გარდა, ათიოდე ჩუხჩი, ამდენივე მეჯინიბე და მეკარვე.

მათაც ჯაჭვის კურტაკები ეცვათ ღარიბულად დაბებკილ ჯუბებს ქვეშ, სატევრებით აღჭურვილთ, ხოლო ნოხებით გადახურულ ფორნებში სურსათის ქვეშ ხმლები ჯაჭვის პერანგები და შუბები ჰქონდათ დამალული.

[3] ქაშაგი — ჩერქეზი.

ასე რომ წვრილფეხა ავაზაკებისაგან ყოველთვის შეეძლოთ თავდაცვა.

გართულდებოდა თუ არა მოლაპარაკება ქაშაგთა რომელიმე ხევისუფალთან, დიაკონს სევასტის მზად ჰქონდა ჯუბაში ჩაკერებული სოლიდი ან დუკატი, ასე რომ ხეობიდან ხეობაში გადასვლისას ოქროთი ყიდულობდნენ გზას.

ქაშაგნი ოქროს ჩაიჩხრიალებდნენ ჯიბეში, თანაც აყვედრიდნენ თავაზიანად: რა ვქნათ, ქართველთა პურმარილი გვიგემნია, თორემ ასე იოლად არ მოგცემდითო გზას.

ასეთი ჯახირით მიაღწიეს გიპანისის[1] ფონამდის.

დიდრონი დაწყებულიყო უკვე. ვერც ცხენები, ვერც ფორნები ვეღარ გადიოდნენ გალმა, ამიტომაც აღმოსავლეთისკენ მიჰყვნენ გიპანისის ნაპირებს და როგორც იქნა მიაღწიეს ბორნამდის.

ბორანმა გადაიარა მდინარის მთავარი კალაპოტი, მაგრამ წყალი ისე აღიდებულიყო, — მასა და მეორე შტოს შორის მდებარე კუნძული სავსებით დაეფარა.

გამართეს ფორნები, მოასხდნენ ცხენებსა და ჯორებს, მეორე შტო ღრმა აღმოჩნდა, ასე რომ ერთი ფორანი გაიტაცა წყალმა, მეჯინიბენი და ჩუხჩნი მას გამოუდგნენ ცურვით.

ახლა გვარამ ბეჭისციხის პატრონს წაართვა მდინარემ ცხენი.

ერისთავები: ხურციასძე და ბუკაისძე გადაეშვნენ წყალში და გვარამ ბეჭისციხის პატრონი ძლივს გამოსტაცეს გაავებულ გიპანისს.

გადალახეს თუ არა მდინარე, კარვები დადგეს, ცეცხლი დაანთეს ტყეში, სამოსი გამოუცვალეს გვარამს, არ ყით დაუზილეს სხეული, ცეცხლის პირად დააწვინეს კარავში ნაბდით შეფუთვნილი.

ორი კვირის მანძილზე ოლორჩოლრო გზებზე ცხენით სვლამ, ჭაობებში ტოპვამ, და გაცივებამ, სიკვდილის პირად მიაყენა მოხუცი ერისთავი.

უდრტვინველი და ბედისმორჩილი, დასიცხული იწვა თავის ტკივილისგან გაოგნებული, დიაკონი სევასტი თავზე ადგა, მორიგეობით ღამეს უთევდნენ ახალგაზრდა ერისთავები, ეპისკოპოზები: სერაპიონი და იოანე.

გვარამ ერისთავმა თავათ არ იცოდა თუ სად იმყოფებოდა, დაღამდებოდა თუ არა, მოესმოდა გულის წამღები მოთქმა ტურებისა და მგლების ყმუილი, მეთოლიეების, ვარხვების, გარეული იხვების გნიასი.

. . . . . .

. . . . . .

როგორც კი გამომჯობინდა გვარამი, ისევ გამართეს ფორნები და დააღგნენ გზას.

გადალახავდნენ ტრამალს.

დაიწყებოდა ტყე, მოთავდებოდა იგი, მოდგებოდნენ ჭაობები, გადასტოპავდნენ ზედ, მოძვრებოდა ბორბალი რომელიმე ფორანს...

ატყდებოდა ქარწვიმა, თითქოს განგებისად.

იდგნენ სიცივისაგან გაფიჩხულნი ტრიამელ ტრამალზე და უცდიდნენ ფორნის შეკეთებას.

ივლიდნენ, ივლიდნენ ტყეტყე და ველდაველ...

ახლა ღრანტები დაიწყებოდა და უბოგირო ხრამები, დაქვეითდებოდნენ ჩუხჩნი და მეჯინიბენი, შეეშველებოდნენ ოფლში გალვარულ ცხენებს.

წამოეწეოდათ ულრან ტყეში ღამე, შემოესეოდნენ ქატაბარდებიდან გამოცვენილი, ფეხშიშველა მათხოვრები, მიბოძებულს არ დასჯერდებოდნენ ხანდახან, დაუპირებდნენ ცხენების წარ-

[1] გიპანის — აწინდელი ყუბანი.

თმევას მგზავრებს, სატევრებს გააშიშვლებდნენ ჩუხჩნი, ისევ ტყეში შერეკავდნენ მომხვდურთ.

ერთ ტყეში ორივე ფორანი დაზიანდა. კოცონები დაანთეს, კარვების გაშლას შეუდგნენ თუ არა, საკმაოდ მოზრდილი ბრბო დაესხათ მოგზაურებს თავს.

როცა სევასტიმ ორიოდე დუკატი შეაძლია მათ მეთაურს, იგი განრისხდა და ალანურად უყვირა დიაკონს: მათხოვრები სხვაგან ეძიეთ, ცხენები მოიტათო.

სატევრები გამოაჩინეს მეჯინიბეებმა, მაგრამ ხმლები გააშიშვლეს მომხდურთა, უკუაქციეს მეჯინიბენი. ჩუხჩებმა შუბები გადმოიღეს და გაიმართა ხელჩართული ბრძოლა ჩამობნელებულ ტყეში.

რა მისჭირდა საქმე, ერისთავებმა და ეპისკოპოზებმაც ხელი მიჰყვეს ხმალს, შეუძახეს ომახიანად თავიანთ რაზმეულს და უკუაქციეს მძარცველთა ბრბო.

ორი ჩუხჩი დასჭრეს მომხვდურთა, თავდამსხმელებმა სამი მკვდარი დასტოვეს ტყეში და გაუჩინარდნენ.

ასეთის ყოფით მიაღწიეს დათვის გორაკამდის მეხუთე კვირას...

. . . . . .

. . . . . .

ბერძენმა თეოფანემ რა აუწყა ნიკალა მჭედელსა და ბულგარელ მეთევზეებს: აღმოსავლეთიდან მოსული ქრისტიანები გვეწვიენო, ბადეების ქსოვა მიატოვეს მათ და გარს შემოერტყნენ ახლადმოსულთა, ხოლო როცა მამაი სერაპიონმა და მამა იოანემ ჯაჭვის პერანგიდან გამოაჩინეს ჯვრები, პირჯვრის წერა დაიწყეს მასპინძლებმა, ხელზე ეამბორნენ ეპისკოპოზებს.

ცეცხლი დაუნთეს სტუმრებს, ფეხები დაბანეს ერისთავებსა და სამღვდელოთა.

გვარამ ბეჭისციხის პატრონმა ცხელ წყალში ჩააყრევინეს ფეხები, თეოფანემ თავის საწოლის გვერდით მოასვენა იგი, მერმე დაფაცურდა მჭედელი ნიკალა, არყის რახი მოუდუღა, თევზის ცხელცხელი წვნიანი მიართვა სტუმრებს.

დავით მეფის მოციქულნი მოხიბლულნი იყვნენ ერთმორწმუნე გარდამთიელთა ასეთი თავაზით, მით უმეტეს, რომ ჯიქეთიდან ისე იმოგზაურეს მთელი თვე, მთხოვარა ავაზაკებისა და მგლის ხროვათა გარდა არავის გადაჰყრიან გოგისა და მაგოგის ამ გავერანებულ ტრამალებზე.

ყოველ პურის ჭამას ლოცვებით იწყებდნენ, ყოველ დაწოლის წინ გალობდნენ ფსალმუნს.

სიცხემ უმატა გვარამს. წელკავისაგან წელში მოდრეკილს, თავის ტკივილი და ხურვება მისძალებოდა.

ბოდავდა დღედაღამ. ხან დავით მეფეს ახსენებდა, ხანაც თავის პირმშოს, კახაის, თურქების მიერ ბრძოლაში მოკლულს, ხანაც თავის ცოლყოფილს ანნას, რომელიც მონაზნად აღიკვეცა ერთადერთი შვილის დაკარგვის მეორე დღესვე.

როგორც ერისთავნი და ეპისკოპოზნი, ისე მთელი ამალა შეძრწუნებულნი იყვნენ ამ სათნო და თავმოდრეკილ ერისთავის ავადგახდომისაგან.

დიაკონს სევასტის მცირე რამ ცოდნოდა სახელდახელო მკურნალობის საქმეში, წამლებიც თან წამოეღო ზოგზოგნი, მაგრამ ხდება ხოლმე ხანდახან, სამგზავროდ მიმავალი კაცი სწორედ იმას დასტოვებს, რაც მას დასჭირდება უცილოდ.

ჯერ შელოცვის ძალა სცადა სევასტიმ.

უჯდა სასთუმალთან სიცხისაგან გაოგნებულ სნეულს და ბუტბუტებდა:

...„ქვაი იდვა ქვედანი,
გველი იწვა ქვასა ქვეშე ჯერკვალი,
კოხენები ასპიტი...
ერთი თვალი ეცა წყლისა,
და ერთიც ცეცხლისა,
გასქდა წყლისა,
და გარდაესხა ცეცხლისასა
და დაიშრიტა...
აგრემც დაიშრიტოს თვალი მთვალავი,
გველი მზაკვარი
და მავნე...“

როცა შელოცვებმა ძალი არ მოიცა, ახლა სამკურნალო ბალახები მოსთხოვა სევასტიმ მასპინძლებს: ავსაისას ფურცელი, იფნის კაკალი, ბარაშანის თესლი, ველური პიტნა, სტაფილოს თესლი, კალბანის ფოთოლი.

ეგეც არ იკმარა, ჯიხვის ცმელი მოიკითხა და წურბლები. ჯიხვის ცმელი აღმოაჩნდა ქაშაგთაგანს ერთს, თეოფანემ თავის სამკურნალო მარაგი გასჩხრიკა, მაგრამ ვერაფერი იპოვნა.

ბევრი იხეტიალეს დათვის გორაკის შემოგარენში სევასტიმ და ნიკალამ ველური პიტნა გამოსძებნეს და მახლობელ ჭაობებში რამდენიმე წურბელი მოინადირეს.

დაასხეს თუ არა წურბლები საფეთქლებზე ავადმყოფს, თავის ტკივილი მოეშვა, მაგრამ ხველასა და წელკავს ვერ უმკურნალეს.

რამდენიმე დღე გამოხდა, აწრიალდა გვარამი: გვაგვიანდებაო ყიფჩაღეთს წასვლა.

ერისთავებსა და ეპისკოპოზებს საეჭვოდ მიაჩნდათ ცხენზე ჯდომა მოეხერხებინა ავადმყოფს, ფორნით წამოსვლა შესთავაზეს.

იუარა გვარამმა. ამ ოღროჩოღრო გზებზე ფორნით ჯანჯღალს, მიჯობს: ცხენზე მიწიოსო სიკვდილმა.

თეოფანე და ნიკალა ისე დაუმეგობრდნენ ამ მშვენიერსა და თვინიერ მოხუცს, ნიკალა თვით დიაკონ სევასტის არ ანებებდა მისთვის ფეხის დაბანას.

როცა ერისთავებმა გვარამის ყიფჩაღეთს წაყვანაზე ჩამოუგდეს მასპინძლებს სიტყვა, თეოფანე და ნიკალა ყალყზე შესდგნენ:

აქედან შარაღანამდე ბარე ექვსი კვირის სავალია, თანაც ისეთი მძიმე და სახიფათო, საეჭვოა ცოცხალი ჩაიყვანოთო ყიფჩაღეთს იგი.

თეოფანე თვეში ერთხელ დაშაშხულ თევზს აგზავნიდა ხან კონსტანტინეპოლს, ხან ცხუმს, ხან ანაკოფიას, ამიტომაც აგრე უთხრა სტუმრებს:

„მე თუ მკითხავთ, არც თქვენ გირჩევთ ყიფჩაღეთს წასვლას ამ ჟამად, ყიფჩაღები ისეთი გულარძნილი ბარბაროსებია, მათგან რიგიან მონასპათა მოგროვება სავსებით უნუგეშო საქმეა.

ჩვენი კეისარი ალექსი კომნენი ამაოდ დაშვრა ამ ათი წლის მანძილზე. შეადგენდა ამ ავაზაკებისაგან ქირის სპას, დააპურებდა დამშეულთ, ჩააცვამდა გაძრცვნილთ, ჯაჭვითა და შუბით აღჭურავდა უიარაღოთ, კონსტანტინეპოლის შემოგარენში დაუდგამდა კარვებს, დაურიგებდა დუკატებს წინასწარ, წამოუსვამდნენ იარაღს ხელს, ცეცხლს მისცემდნენ კარვებს, ბალკანეთის ტყეებს მიაშურებდნენ.

მერმე შეუდგებოდნენ მახლობელ დაბნებისა და სოფლების ძარცვას, ხანაც კონსტანტინეპოლშივე მოუწყობდნენ ამბოხებას კეისარს.

ამიტომაც მეეჭვება თქვენმა მეფემ რომ შესძლოს ამ გარეწარების გამოყენება.

თუ თქვენ თავათ არ დაიშლით წასვლას, ეს თქვენი ნებაა, მაგრამ რად გინდათ დაღუპოთ ეს სნეული მოხუცი?

ორიოდე კაცი აქ დამიტოვეთ მისდა ფარეშად და გნებავთ კონსტანტინეპოლს გავგზავნი მათ, ვინა ანაკოფიას, ან ცხუმს.

თუნდაც სამეუფო ქალაქამდისაც ორგზის ნაკლებს იმგზავრებენ ესენი ზღვადაზღვა, ვიდრე დათვის გორაკიდან შარაღანამდის.

ამინდსაც კაი პირი უჩანს ღვთით, როგორც ჰხედავთ, ზღვას უდრტვინველად სძინავს, ჩემს სამთვარიოს თუ დავუჯერებთ, ზურგის ქარიც მოსალოდნელია ამ კვირას, ასე რომ მოხუცი უფრო მოსვენებულად იმგზავრებს ჩვენი კატარღით.

ახლა ნიკალამ დაიწყო შეგონებანი:

ამჟამად რუსებსა და ყიფჩაღებს გამუდმებული ბრძოლა აქვთ. თუ ყიფჩაღებმა ქრისტიანებად შეგიცვნეს, მოგეხსენებათ ცოფიანია და რეგვენი ყიფჩაღთა მოდგმა.

რუსებზე გაავებულთა შესაძლოა დაგხოცონ, ან არა და მონებად გაგყიდონო სტუმრები.

გვარამ ერისთავის მხლებელნი საგონებელში ჩაადგო მასპინძლების ნაუბარმა. ბევრი ითათბირეს და გადასწყდა:

როგორმე დაეყოლებინათ გვარამ ერისთავი და ზღვით გაეგზავნათ ანაკოფიას იგი.

გვარამმა შორს დაიჭირა ასეთი თათბირი.

...„მართალია, მე მოხუცი ვარ და სნეული, მაგრამ არც მამაი სერაპიონია ჭაბუკთაგანი და არც მამა იოანეა დიდად ჯანსაღი, იგი თირკმელებს იტკივებდა ჯერ კიდევ გეგუთში.

ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ: არც სიბერე და არც ავადმყოფობა სავსებით არ ანთავისუფლებს კაცს მამეულის წინაშე ვალისაგან.

თქვენა ბრძანეთ, განსაცდელი მოგველისო. სიცოცხლეს თქვენ ჩემზე უფრო მეტად უნდა აფასებდეთ შვილნო, ჩემი სიცოცხლე ჯერ კიდევ სიჭაბუკეშიაც არა ერთხელ შემიგდია სასწორზე, და ახლა უნდა ვკრთოდე?

ჰმ!!!

სადაც თქვენ დაიღუპებით, იქ მეც მიწიოს სიკვდილმა.

რა ბედენაა ჩვენი ბეგნარ-ბეგნარ-ულისათვის რომ დავდო თავი. უფრო პირნათლად შეეყრები ჩემს კახაის იმ სოფლად.

ვიაროთ ერთად, და რაც მოგვივა, განგების ნებას, სულ ერთია ვერავინ წაუვალთ.“

საბოლოოდ გადასწყდა: კვირას უთენია გასდგომოდნენ გზას.

ეს დღე მეცამეტე რიცხვს დაემთხვა. არავინ ინდომა იმ დღეს გამგზავრება. მეორე ორშაბათი იყო, იგი ნავსად მიიჩნიეს სამღვდელოთა.

მესამე დღეს ზღვა აღელდა, ასტეხა დვრინვა. ქარბორბალა ამოვარდა ისეთი, გოდოლის ნანგრევებზე მიშენებული შრამელები ფაქტორიისა, სადაც თევზის საწყობი ჰქონდა გამართული თეოფანეს, დალეწა ქარმა და ზღვაში გადაისროლა.

თეოფანემ მეთევზენი წყალში ჩაგზავნა, კატარღები და ნავები ამოაზიდვინა ნაპირზე.

როცა ქარბორბალა ჩადგა, ჯერ ქარწვიმა ატყდა, მერმე თოვა დაიწყო.

თეოფანეს უმტყუნა მისმა სამთვარიომ.

იძალა თოვლმა. ღამღამობით ზღვა ღმუოდა, ქარბორბალა ამოვარდებოდა ტრამალებიდან ქშენით მოვარდნილი ეკვეთებოდა ფერდებშელეწილ გოდოლს, მგლის ხროვანი სულ ახლოს მოდიოდნენ და შემზარავი ყმუილით და ზარით იკლებდნენ მანდაურობას.

ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა ჩვენს მოგზაურებს: ბუნებაც წინ აღუდგაო მამულისათვის თავდადებულთა ზრახვას.

თეოფანე სდუმდა. ხან აბობოქრებულ ზღვას გასცქეროდა, ხანაც დათოვლილ ტრამალს.

ახლა ნიკალამ დასძრა სიტყვა და უთხრა ბერძნულად გვარამს:

„როგორც კი ორი სამი დღის საკალზე გასცდებით ტანაისს, გაუვალი ჭაობები და ტყეები დაიწყება, მერმე მოდგება ისევ უკაცრიელი ტრამალი, ისევ ჭაობებსა და ტყეებს გადააწყდებით, აპრილის თვეში მანდ ისეთი ბურუსი იცის, საეჭვოა გზა გაიკვლიოთ.

უნდა გახსოვდეთ, ერთი დიდი მდინარე შეგეყრებათ ორტოტიანი, გადახვალთ თუ არა ზედ, მერმე ჩრდილოეთისაკენ გაუხვიეთ პირდაპირ და სამ დღეს ამგვარად იარეთ.

ამიტომაც კარგი იქნებოდა ყორნები წარგეტანათ თან“.

თეოფანეს გაეცინა და სთქვა:

„ამდენ ყორანს ვინ დაიჭერს, მანდ იმდენი ორბოძალი გზებია და ტყეში გადაკარგული ბილიკები, კიდევაც რომ შევძლოთ მათი დაჭერა, ერთი ფორანი ყორნებს მოუნდება.

ყორნების ძებნას მოვეშვათ, მეგზური უნდა ვიშოვნოთ სადმე“.

ნიკალამ მოისაზრა მყისვე: .

„დათვის გორაკიდან სამი ფარასანგის მანძილზე ბერძენს, ვინმე მავროპულოსს თევზის ფაქტორია აქვს გამართული. ერთი ზარმაცი ყიფჩაღი ჰყავს მაგ ბერძენს ყმადნაყიდი.

წყალში მშიშარაა იგი, თევზაობას ვერ ეწყობა, არც ნავების ბაგირებით თრევა შეუძლია, არც დიდრონი სათხეველების ზიდვა და გაბმა, ჭვავის პურს ამადლის მავროპულოს მაგ ბედშავს, დღენიადაგ სტირის: დავკარგეო სამი დუკატი მის შესყიდვაში.

ვინ იცის, ეგებ მოგვყიდოს იმ ბერძენმა მაგ ყიფჩაღი, შორტაი.

ერისთავებმა და ეპისკოპოზებმა მოითათბირეს და გადასწყდა: სევასტი და ნიკალა გაეგზავნათ ყიფჩაღის სასყიდლად.

უთენია გაემგზავრნენ ეს ორნი, ღამე დაეშვა ტრამალებზე, მორიგმა მგლის ხროვამ არ დაიგვიანა, მაგრამ არც სევასტი სჩანდა სადმე და არცა ნიკალა.

ვაი თუ მგლებმა დაგვიჭამესო წარგზავნილნი, იდარდა გვარამ ერისთავმა და ისევ მიეძალა თავის ტკივილი.

გათენდა მეორე დღე და გახარებული თავზე დაადგა მძინარე სტუმრებს თეოფანე ბერძენი:

მოიყვანესო ყიფჩაღი შორტაი.

გვარამ ერისთავს მოჰგვარეს ნახევრად შიშველი, შავგრემანი, ჩია კაცი, რომელსაც დაფხრეწილი, გამოხუნებული ტყავი ეცვა ძაღლისა; ამ დაბებკილი ქურქის ქუბანი შიშველ ბარძაყებს ძლივს უფარავდა თაგვის ღვლიპივით დაძაბუნებულ მონას.

ცალ ყურში თითფერის საყურე ჰქონდა, ხოლო მეორე ყურის ბიბილო წაჭმული იყო თუ წაგლეჯილი.

მაღალი და ყვითელი ღაწვის თავებიდან ეწყებოდა მეჩხერი წვერი, თაგვისებრ ბასრსა და წინ გამოწეულ კბილებს ვეღარ უფარავდა უზომოდ მოკლე ზემო ჩარბი, ასე რომ გაუცინელადაც უჩანდა წითელი ღრძილები დუჟისაგან გათეთრებული.

ყვრიმალებში ქეცი აჩნდა და მაიმუნის უკანალსავით წითელი კანი ჰქონდა ყვრიმალებს შორის.

ნიკაპი თითქმის სულ არ აჩნდა მაგ ბედშავს და ერთი თითის სიგანე შუბლიდან მოყოლებული კეფამდის გადაპარსულ, აყიროსავით წოწოლა თავზე ვაცისწვერასავით შეღერებული კოწოლი ადგა, თუ ვინმეს გინახავს ვაცისწვერა, ჭაობის ბალახი.

იგი ბერძნულს დიდის ვაივაგლახით ამტვრევდა, დიაცური წვრილი ხმა ჰქონდა, ხაოდა ლაპარაკის დროს, სახეს მანჭავდა, ხელებს იშველიებდა, მაჯაგანით ამოჰქონდა სტომაქიდან სიტყვა მაშინაც, როცა ყიფჩაღურად ეჯაჯღანებოდა იგი ნიკალას.

ნიკალას და სევასტის იმადაც დაჰგვიანებოდათ, რომ მავროპულოს გაჯანჯღლდა, მის აბეზარ ყიფჩაღს მყიდ-

ველი რა გამოუჩნდა, ხუთ ოქროს არ ამოუცვალა ფეხი.

თავათ შორტაის თვალები გაბრწყინვებოდა, როგორც კი მოუკრავს ყური, რომ მისი სასტიკი პატრონი გაყიდვას უპირებდა.

შორტაი მოძრავ ცხოვრებას მიჩვეული აღმოჩნდა, შვიდგზის გაუყიდიათ იგი ორი ათეული წლის მანძილზე.

რომელიღაც მოგზაურ დიდ ვაჭარს, ბერძენთაგანს შარაღანში შეუსყიდნია შორტაი ოდესღაც, კონსტანტინეპოლში მიუყიდნია ბულგარელ აზნაურისთვის, მერმე ჰუნგრეთში წაუთრევია ახალ მეპატრონეს, ბუდდა-პეშტში პოლონელს შეუძენია, ბოლოს ამ კაცს კიევში მიმავალ რუს აზნაურისათვის გადაუცია, ჩერნიგოვში გათხოვილ დისთვის მზითვად გაუტანებია ამ აზნაურს, ბოლოს ამ ბერძენს, მავროპულოსს შეუძენია სამ დუკატად — ჩერნიგოვში იგი.

გვარამ ბეჭისციხის პატრონი და მისნი მხლებელნი პირველად ხედავდნენ ყიფჩაღთაგანს საერთოდ. ერთი მეორეს არ უმხელდნენ, მაგრამ ჭმუნავდნენ იდუმალ, თანაც ფიქრობდნენ; ასეთ უბადრუკ ადამიანთაგან შემდგარ ლაშქარს ყოველ დღე რომ უმზიროს კაცმა, რა გუნებაზე უნდა დადგესო მათი მჭვრეტელი?

მუშტრის თვალით აკვირდებოდნენ თითისტარივით წაწვრილებულ უსუსურ მაჯებს მისას, ქართულ „ო“ სავით მოდრეკილ ბარძაყებს, წვივებსა და ასეთსავე ფეხებს, რომელთაც ნიადაგ ფეხშიშველა სიარულისაგან ადამიანის ფეხის ანაგობა დაჰკარგოდათ ფილენჯისაგან დაღრეკილთ.

კიდევ ერთხელ შეხედა მუშტრის თვალით გვარამმა ხუთ დუკატად შესყიდულ ყიფჩაღს. შეებრალა ეს გაჭირვებისაგან გასრესილი, უბედური კაცი და თავის ამალას გადაულაპარაკა ქართულად:

„ვაი თუ მართლა ამაოდ ჩაგვიაროს ამ მოსაცეთში მგზავრობამ!“

მერმე ხელახლა შეაჭვლეტა თვალი ბერნას და ყიფჩაღურად აკითხვინა ნიკალას მისთვის:

ცალი ყურის ბიბილოზე რა მოგსვლიაო?

გამოირკვა: ერთი კერძი თევზის მითვისებისათვის განრისხებულა მავროპულოსს და საყურიანად აუგლეჯია ეს ბიბილო მონისათვის თურმე.

* *

მეჭედელმა ნიკალამ იურვა ფორნების შეკეთება, სამარქაფო ფერსოები და რკინის რგოლები დაუმზადა ჩვენს მოგზაურებს, ჯორცხენები დაჭედა და ახალ ახალი ნალებიც ჩაუწყო ფორნებში.

სევასტიმ და ნიკალამ რკინის სალტეები გაუკეთეს ფორნებს. ამ სალტეებზე ნოხების დასამაგრებელი, ზედ ქეჩის სახურავი გადააფარეს ფორანს, რათა იგი მდიდრულად არ მოსჩვენებოდა მძარცველებს, ქეჩა დააგეს ძირს.

განსაკუთრებულის გულისყურით მოკაზმეს ის ფორანი, რომელიც განკუთვნილი იყო გვარამ ერისთავის ღამ-ღამობით მოსასვენებლად, რადგან კარავში წარამარა ცივდებოდა მოხუცი.

ფორნის ძგიდეებზე რკინის შანდლებიც მიაკრეს, მაშხალების შიგ ჩასარჭობი. რკინის სალტეზე ხატიც დაჰკიდეს ერთი. ასე რომ მოძრავ კარავს დაამგვანეს იგი.

სატევრები, ხმლები და შუბისწვერები დაულესა ნიკალამ ჩუხჩეს.

ყოველივე მზად იყო გასამგზავრებლად და იმ ღამეს ისევ აბობოქრდა ზღვა, და ნაშუაღამევს თოვა დაიწყო კვლავ.

გვარამ ერისთავს ეჩოთირებოდა ეგზომ შეწუხება მასპინძლებისა, მაგრამ თეოფანე წინ აღუდგა მათ, გამგზავრება რა დააპირეს.

„თქვენ ნუ გგონიათ, უფალნო ჩვენნო, საქრისტიანოს მიდიოდეთ სადმე, სამ დღეს ივლით დათვის გორაკიდან უკაცრიელ ტრამალებსა და ტყეებში და მხოლოდ შემდგომ ამისა დაიწყება ყიფჩაღთა ქვეყანა“.

„გარდა ამისა, სიტყვა ჩაურთო ნიკალამ, მაგ ტრამალებზე ისეთი ქარბორბალა ატყდება ხოლმე, გაგიძნელდებათ მგზავრობა უთუოდ, ტრამალზე უნდა ათიოთ ხომ ღამე? სხვა არ იყოს რა, ცეცხლის დანთებას არ დაგანებებთ ქარი. ასე რომ რაც უფრო მოგვიანებით წახვალთ, მით უფრო უკეთესია თქვენთვის“.

ალყა და ქონი თუ მიგაქვთო საკმარი?

გამოირკვა: ჯიქებისა და ქაშაგების მხარეში მთელი მარაგი ალყისა და ქონისა შემოხარჯვია სევასტის, იმ ჩაბნელებულ ხეობებში ხეტიალისა და ღამის თევის დროს. თეოფანეს თევზის ქონი ჰქონდა, მაგრამ ალყა თავათაც ჰკლებია.

ფაკელებისათვის საჭირო ნაძვის კვარები ჩაუწყვეო ფორნებში, უბრძანა თეოფანემ ნიკალას.

დიდძალი დაშაშხული თევზი შეისყიდა ფაქტორიისაგან სევასტიმ.

გზადაგზა ფაქტორიები თუ შეგხვდებაო სადმე?

იკითხა ერისთავმა ხურცისძემ.

თეოფანემ მიუგო:

„დათვის გორაკიდან ორი დღის სავალზე ბეწვეულის ფაქტორია აქვს ერთი, სმირნელ ბერძენს პოპონდოპულოს. მაგ ბედდამწვარნი ყიფჩაღნი ჩინებულნი მონადირენი არიან, დიდძალ ბეწვეულს აგროვებენ ნაირნაირს, დათვისა, კვერნისა, მგლისა, წავისა, ციყვისა და მელისასა.

რადგან ზაფხულში ზამთრის მოლოდინი აღარა აქვთ მაგ ბარბაროსებს, ივლისშივე მიჰყიდიან პოპონდოპულოსს ამ ბეწვეულს მთლად ჩალისფასად, მერმე მოაწევს თუ არა ოქტომბრის სუსხი, მისგანვე ძვირად შეიძენენ მათგანვე შესყიდულ საქონელს.

თუ ღმერთმა ჰქნა და მაგ ფაქტორიაში მოხვდით, მე წიგნს გაგატანთ პოპონდოპულოსთან, წინასწარ გირჩევთ: რაც შეიძლება მეტი ბეწვეული იყიდოთ მისგან.

პოპონდოპულოსს ხატაეთიდან მოსდის მაიმუნისა და ვეფხვის ბეწვეული. ეს ყოველივე გზაში დაგჭირდებათ, როგორაც ქრთამებად, ისე სურსათის შესაძენად.

შარაღანს რა ჩახვალთ, ყიფჩაღთა უმთავრესთა და მათ ცოლებსაც ძლიერ უყვართ ბეწვეული, განსაკუთრებით მაიმუნისა, დაწინწკლული შავი მელისა და წავისანი.

გარდა ამისა, მათი კარისკაცებიც მექრთამეებია, უქრთამოდ არც შეგახედვინებენ შარაღანის, ან მისი ვაჟის კარვის კარშიაც.

როგორც ბარბაროსები საერთოდ, ისე ყიფჩაღებიც უდიდესი მექრთამეებია, მუდამ ხელში შემოგჩერებიან, თუ მათხოვრობით ვერაფერი დაგტყუეს, ვერც ძალით წარგტაცეს, ქრთამი უნდა აძლიო, ისე ნაბიჯს ვერ გადაადგმევინებ“.

ესა სთქვა თეოფანემ, და ნიკალას გადახედა.

„მოდი ერთი შენ გამოჰკითხე შორტაის, ეგებ მან იცოდეს პოპონდოპულოსის ფაქტორია საითკენაა?“

დიდხანს ეძია ნიკალამ შორტაი, ერთი გაიფიქრა: გაქცეულაო ის სვედავსილი?

გამოირკვა: ბულგარელ მზარეულს გაქონილი ქვაბი მიეცა ამოსალოკავად მისთვის. მიწაზე დამჯდარს მუხლზე დაედო ქვაბი, და როცა გამურული ყიფჩაღი სტუმრებს წარუდგინა ნიკალამ, თვით გვარამ ბეჭისციხის პატრონმა ვერ შეიკავა სიცილი.

ბევრს ეჩიჩინა ნიკალა, მაგრამ ვერ გააგებინა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო,

პოპონდოპულო ბეწვეულის ფაქტორიის პატრონი.

ბოლოს ნიკალა მიხვდა, თეოფანეს მიმართა:

ყიფჩაღები ქრისტიანულ გვარებს ვერ იმახსოვრებენ, შენ ამიწერე, უფალო, თუ როგორი ნაგებობისაა ის ბერძენი და მერმე მე ვანიშნებ მას“.

„უთხარი თავმოტვლეპილია-თქო პოპონდოპულო, ყურები განზე გამდგარი აქვს-თქო, მაღალია-თქო და ბეჭპრტყელი, დიდი ღიპი აქვს-თქო, ხოლო ცხვირი ბორასავით მოდრეკილი“.

„მისმინე“, უთხრა ნიკალამ შორტაის და კოწოლში წაავლო ხელი. მერმე დაუწყო ხელებით ნიშნება: ასეთიაო და ასეთი, ამ სიმაღლეაო და ამ სისხო ღიპი აქვსო, ვირის ნალის ოდენა ყური აქვსო განზე გამდგარი. შორტაიმ თავისი ციყვისებრ კბილები დაკრიჭა, თავი დაუქნია; ვიცი, ვიცი, ასტეხა ხავილი.

მეორე დღეს გვარამ ბეჭისციხის პატრონი და მისი მხლებლები გამოეთხოვენ მასპინძლებს და კვლავ გაგრძეს წყვდიადსა და ბნელეთში მგზავრობა.

. . . . . .

. . . . . .

XIII

ულუსა

გვარამ ერისთავმა ცხენოსნები შუაში გაჰყო. ათი წინ მიუძღოდა ფორნებს, ამდენივე უკან მიჰყვებოდა მათ. ორი ჩუხჩი და შორტაი გზებს ზვერავდნენ წინასწარ.

მიდიოდნენ ამ ულეგ სივრცეში.

ჭაობები,

ტყეები,

ტრამალები

და უკაცრიელი ველები.

დათვის ბელები საწყალობელად ბღაოდნენ გზებზე გამოსულნი, გაოცებულნი შესცქეროდნენ ცხენოსნებს.

2. „მნათობი“, № 4.

წამოეწეოდათ ღამე, ტყის ახოში დასდგამდნენ კარვებს, ბუდეებოდა ტურების ვიშვიში, დათვები გლეჯდნენ კატაბარდებს, სულ ახლოს ისმოდა მათი მძვინვარე ბღავნა და ღრიალი. ნაშუალამევს ამ გნიასს შეცვლიდა ბორცვებიდან გადმომდგარი მგლების ყმუილი. . . . . .

. . . . . .

გაივლიდნენ რამდენსამე ფარასანგს, აურაცხელი ყორნები აიყრებოდნენ გზიდან, კუპრის ლაქებად შეესხმებოდნენ ცას და ისმოდა უკაცრიელ ტრამალებზე მათი ერთობლივი ყრანტალი.

დახედავდნენ გზის პირზე მათ ნასუფრალს, დაიჯღანებოდა შორტაი: ეს დათვს დაუგლეჯიაო გზად მომავალი დიაცი...

ივლიდნენ,

ივლიდნენ...

და ახლა წყვილ დათვს გადააწყდებოდნენ გზაზე, ცხენისა და მხედრის ჩონჩხებთან მოჩალიჩეს, უგუნებო ბუზღუნით აიყრებოდნენ ისინი, აუჩქარებლად მიაშურებდნენ ტყეს.

კიდევ გაივლიდნენ ორიოდე ფარასანგს, შემოეყრებოდათ ჯაგლაგა ცხენებზე უბელოდ მსხდარი ნახევრად შიშველი, კოწოლიანი პაჭანიკები, მაინც და მაინც გვარამ ერისთავს მიეჭრებოდნენ, მოწყალებას ითხოვდნენ, სევასტის მიერ გაღებულ ფლურებს არ დასჯერებოდნენ, გადახტებოდნენ ცხენიდან, კატაბარდებიდან ისრებს დაუშენდნენ მგზავრებს.

ლათერია, ჩუხჩთა ათისთავი გამოუდგებოდა უკან, მათრახს უთავაზებდა თავში, ცხენს წაართმევდა ზოგთა, ფეხით გააგდებდა ტრამალზე და როცა იგი თვალს მიეფარებოდა, ცხენს დასტოვებდა გზაზე. . . . . .

. . . . . .

ორი დღე ასე ატარა გვარამ ერისთავი და მისი ამალა შორტაიმ. ეგ

F-10974

გზის ასაქცევებთან შესდგებოდა ხოლმე, დაფიქრდებოდა, კეფაზე მოიფხანდა, და ასეთი ჭოჭმანით მიიწევდა წინ.

მდინარე გადალახეს ისეთი მღვრიე, როგორიც ცა იყო იმ დღეს, და დაიწყო ულევი, უსასრულო ტრამალი, რომელსაც კოლოსალურ ტყვიის მუზარადივით ზედ დამხობოდა ცარგვალი.

არსად იყო ტყე.

არსად სჩანდა ხე.

არც ბუჩქი, ან ძეძვი სადმე.

არც ფრინველის, არც ნადირის ჩქამი ისმოდა ირგვლივ.

ქარი დაგელავდა ტრამალზე.

და აქ ეწვიათ მორიგი უბედობა. ორივე ბორბალი მოძვრა ერთ ფორანს. შეუდგნენ თუ არა ბორბლების შეკეთებას, ცა უარესად აიმღვრა, დაიქუხა გაზაფხულის ქუხილმა და გრგვინვით გადაურბინა ტყვიისფერ ცარგვალს, ატყდა ელვათა ტეხა და დაუშვა თქეში...

გარეკეს ცხენები და შეღამებულზე მიაღწიეს ერთობლივი ჩირგვნარით მოცულ ველს და აქ თვალსა და ხელს შუა დაეკარგათ გზა.

ბევრი იჭოჭმანა შორტაიმ.

უკვე დაბნელდნენ გზები.

მცირე ხანს ითათბირეს ერისთავებმა და გადასწყვიტეს ეარნათ ასე, სანამ ტყეს წააწყდებოდნენ სადმე და ქარსაფარისთვის მიეკვლიათ როგორმე.

მისჭირდა ამ ჩირგვნარებში ფორნების წაყვანა, ნიადაგი ოღროჩოღრო იყო ორმოებისაგან დასერილი, ოფლში გაღვარული ცხენები საწყალობელად ქლოშინობდნენ.

გვარამ ერისთავის ბრძანებისამებრ დაქვეიდნენ ახალგაზრდები, მხრით ეშველებოდნენ ცხენებს. ასე იარეს ამ უკუნეთში, ვიდრე ამღვრეულ ღრუბლების მორევიდან არ გამოანათა მთვარემ.

ძალა მოიცა ქარმა.

წვრილ ვაშხმობამდის იარეს ასე და ბოლოს გამოჩნდა შორიდან ტყე.

მიუახლოვდნენ თუ არა ტყის პირს, შემზარავი სანახაობა დაუხვდათ წინ.

ათიოდე ფორანი [illegible] ეგდო მინდვრად, მათ ირგვლივ ეყარა უამრავი ჩონჩხი ადამიანისა და ცხენისა.

ნადირისაგან დაძიძგნილი თავისქალები, ბარძაყები, მხარმკლავები და თეძოსძვლები მიმოფანტული იყო ფორნების გარშემო, ფორნებს ქვეშ და მათგან მოშორებითაც, ბუჩქნარებს შორის.

კვარები აანთეს, ნაპარტახალი, ფორნები დაათვალიერეს.

ბალღების თავისქალები და ხელფეხი ეყარა მანდ.

მხოლოდ ყიფჩაღური კერპები—ქიჩის თოჯინები ისხდნენ ფორნებში ბალღებივით დაცუცქულნი და თავიანთი ცივი, ცვილის თვალებით მიშტერებოდნენ ამ ამაზრზენ სანახაობას...

ერისთავები და ეპისკოპოზები დადიოდნენ ფორნების გარშემო, მემაშხალენი უშუქებდნენ გზას და ათვალიერებდნენ კაცთა და ნადირთა შერკინების ბრძოლის ველს.

ყიფჩაღმა შორტაიმ განუმარტა მათ: ყიფჩაღები დედაწულანად მინავალან სადღაც, მგლის ხროვანი თავს დასხმიან ალბათ.

მიმოფანტული ხმლები, შუბები და წერაქვცულები მოაგროვა შორტაიმ, მაშხალის შუქზე უჩვენა გვარამ ერისთავს ახლად ზედშემხვარი სისხლი.

ბეჭისციხის პატრონმა ადამიანის ბარძაყებსა და მხარმკლავებს დახედა. გააცა იგი ამ უჩვეულოდ გრძელმა კიდურებმა. არც ისე ჩია ყოფილაო ყიფჩაღთა მოდგმა, გაიფიქრა, ხელი მკლავში წაავლო მამა იოანეს: ფორანში შევიდეთო, ეს უთხრა მხოლოდ.

გვარამ ერისთავი შიშობდა:

„ვაი თუ შორტაიმ დაჰკარგაო სვლის გეზი, და ვეღარც ხვალ დილით გავაკვლიოთ ამ ბნელეთიდან გზა!“

„მე აგრე მგონია, გვარამ ბატონო, ჩვენ აქ მოსვლამდი დიდი ხნით ადრე აცდენილი ვიყავით ურმის გზას.

„სწორედ იქ, სადაც ძეძვიანი დაიწყო“.

სთქვა ეპისკოპოზმა სერაპიონმა.

„თუ აქ გზა აღარაა, ეგ უბედური ყიფჩაღები როგორ ღა მოსულან აქ?“

იკითხა ერისთავმა ბუკაისძემ.

„ვინ იცის, შესაძლოა ურმის გზაზე მოდიოდნენ ეს ბედშავნი, მაგრამ როცა მგლები თავს დაესხნენ, ცხენები დაუფრთხათ ალბათ და ამ ძეძვიანში გადაჩეხა ისინი“.

მიუგო გვარამმა.

დიაკონი სევასტი ამტკიცებდა: გვიჯობს გავეცალოთ აქაურობას.

გვარამმა თქვა:

„წინ ვეღარ წავალთ, რადგან ტყე გვიძევს წინ, უკან გავბრუნდეთ? გათენებამდის მაინც ვერ მივაღწევთ იმ ადგილს, სადაც ეს ძეძვიანი ველი დაიწყო.

აქ ტყეა ახლოს ქარსაფარი ერთგვარი, ეგებ კოცონების დანთება შესძლოთ“, მიმართა დიაკონს.

მიბჯენილიყვნენ ბნელეთის კიდეს, წყვდიადს მოეცვა ყველა გზა ირგვლივ.

კოცონები დავანთოთო!

წამოიყვირა ვიღაცამ.

სევასტიმ მოუხმო ბიჭებს.

ბევრს ეწვალნენ, მაგრამ ქარმა არ დაანება კოცონის დანთება.

ძეძვს წავუკიდოთო!

სთქვა ლათერიამ, ჩუხჩითა ათის თავმა.

დაფაცურდნენ სევასტი და ლათერია, მაგრამ ცეცხლი არ წაეკიდა წყლით გაჟღენთილ ძეძვს.

ჩუხჩებმა და მეჯინიბეებმა კარვები დაიდგეს.

გვარამ ბეჭისციხის პატრონს, ეპისკოპოზებსა და ახალგაზრდა ერისთავებს ფორანში გაუშალეს ლოგინი.

მემაშხალეებს კვარები და მაშხალები ეჭირა ხელში და ასანთებდნენ გვარამ ერისთავს ფორანს.

ერისთავებმა და ეპისკოპოზებმა ივახშმეს, ილოცეს და დაწვნენ.

სევასტიმ ორიოდე თაფლის სანთელი დასტოვა ხატის წინ. ფეხმორთხმული იჯდა და კითხულობდა მილეულ შუქზე ფსალმუნს.

გარედან მოისმოდა შემციენებულ გუშაგების ხელების ტკაპუნი, ფეხების ბაკუნი და კანტიკუნტი სტვენა.

დადუმდებოდა ღამე, მხოლოდ კაჭკაჭის ძახილი ისმოდა ტყიდან. ჩასთვლიმა სევასტის და უცებ მოისმა ყმუილი მარტოხელა მგლისა.

თავი აიღო დიაკონმა, ყური მიუგდო, ისევ დავარდა დუმილი მიწაზე. ფსალმუნი აიღო ხელში და ისევ აყმულდა მგელი...

სევასტი გაიტვრინა. მგელი კვლავ დადუმდა, ახლა ფორნებს შორის დაბმული ცხენების ფრუტუნი მოესმა დიაკონს, რომელიღაც ულაყმა ომახიანად დაიჭიხვინა.

დაიჭიხვინა ულაყმა, ახლა მოისმა ერთობლივი ფრუტუნი ცხენებისა და ისევ აყმუვლდა მარტოხელა მგელი...

დიაკონი სუნთქვაშეკრული იჯდა და უსმენდა ამ დაკინებულ ყმუილს.

დადუმდა მგელი და ორიოდე ლექსი ფსალმუნისა ჩაათავა დიაკონმა. და ისევ ასტეხა ყმუილი ტყეურმა და უარესად აწრიალდა კაჭკაჭი...

სევასტი ადგა, ფორანს ახადა უკანა მხარეს ქეჩის საფარი, თავი გამოჰყო და ფრთხილად დაიძახა:

„ლათერია“!

სამიოდე შუბოსანი ჩუხჩი მოვარდა სევასტის ძახილზე.

რა მოხდაო, სევასტი ბატონო?

ლათერია სად არისო?

იკითხა სევასტიმ.

კარავში სძინავსო.

მიუგეს.

სევასტიმ ვერ მოასწრო კვლავ ხელში აღება ფსალმუნისა, ისევ აყმუვლდა მგელი და ლათერიამაც თავი შემოჰყო ფორანში.

რა მოხდაო, სევასტი ბატონო?

ლათერიას როხროხა ხმა ჰქონდა, შეეშინდა სევასტის: არ გამიღვიძოსო გვარამ ერისთავი, ამიტომაც,

ssssუ!

შესძახა ლათერიას, თითქმის ჩურჩულით.

მერმე ხმადაბლა შეესიტყვა ფორნის ფარდაში შემოყოფილ თავს:

„იმ მგლის, ყმუილი არ მომეწონა“.

„რომელი მგლისა სევასტი ბატონო?“

„რა ვიცი, შვილო, რომლისა, ახლა რომ ყმუის იმისა?“

ლათერიას გაეცინა, შეჰშინებიაო დიაკონს, ესღა გაიფიქრა და მიუგო:

— „დაიძინე, დაიძინე, სევასტი ბატონო, მაგ მგელს ჩვენ გავცემთ პასუხს“...

ლათერიამ გუშაგები გამოსცვალა, ტყავკაბაში გაეხვია და თავის უნაგირზე მიიძინა ტკბილად.

სევასტიმ განაგრძო ფსალმუნის კითხვა და მიაღწია იმ ადგილამდის, სადაც სწერია:

„უფალო ღმერთო, ცხოვრებისა ჩემისაო.

დღითი ხმა ვყავ,

და ღამე წინაშე შენსა...“

ეს გაიფიქრა სევასტიმ: ამ ადგილს ბოლომდის ჩავიკითხავ და დავწვებიო. სწორედ ამ დროს აწრიალდა მარტოხელა კაჭკაჭი და ფორნების მ ხლობლად აყმუვლდა მგელი, მას მეორე გაეხმაურა შორს, ძლიერ შორს, მეორეს მესამე, ფორნიბის მ ხლობლად აყმუვლდა რამდენიმე ზედიზედ, ბოლოს მოისმა ერთობლივი ყმუილი ხროვისა, გულის წამღები და სისხლის გამყინავი...

თავი გამოჰყო სევასტიმ ფორნიდან და დაინახა: ჩრდილოეთიდან მოაპობდნენ ღამეს, ბნელში ელვარე წყვილწყვილი თვალები...

ნახშირით ჩანახატებულ ბეჭედურ ძეძვის კლერტოებში რიალებდნენ, ენთებოდნენ და კვლავ ჰქრებოდნენ ბნელში, ისმოდა შემზარავი თქარათქური და ზარი მგლებისა...

„ლათერია, ჰაუ ლათერია!“

იყვირა ისე ომახიანად დიაკონმა, წამოვარდა ბეჭისციხის პატრონი, ახალგაზრდა ერისთავებმა ხმლებსა და კვარებს წაავლეს ხელი.

ატყდა ცხენების ჭიხვინი, ბეჭისციხის პატრონი და ახალგაზრდა ერისთავები ჩამოხტნენ ფორნიდან.

გარს შემოერტყითო ფორნებსა და ცხენებს!

ბრძანა გვარამ ერისთავმა.

ცეცხლოვანი თვალები რიალით გამოკრთოდნენ ბნელ ძეძვებიდან, შეშფოთებული ჭიხვინებდნენ ფორნებს შორის მომწყვდეული ცხენები, მეჯინიბენი და ჩუხჩნი ანთებულ კვარებს ატრიალებდნენ ხელში...

მაშხალებით აღჭურვილთ, რამდენსამე შუბოსანს წინ გაუძღვა ხმალამოღებული გვარამ ერისთავი, და როგორც კი მოაღწია მეწინავე ტალღამ მგელთა ხროვისამ, ომახიანად შეუძახა ახალგაზრდებს, მას მხარში ამოუდგნენ ბუკაისძე და ხურცისძე, შუბები შეაგებეს პირდაღრენილ ნადირებს, მერმე მკლავი გამართა ომებში მრავალნაცადმა გვარამმა, ხმალი შუბივით აძგერა ზედ მის მუხლთან მოვარდნილ მგელს, ერთი დაყეფება მოასწრო ნადირმა და ლანდის უსწრაფესად დაგლიჯეს იგი თვისტომთა...

ლათერია დაწინაურებულიყო, ზოგს შუბზე აგებდა, ზოგს მაშხალას ჩრიდა პირში, ანთებული კვარებით დატვირთული შორტაი, მორიგეობით აწვდიდა მას ცეცხლმოდებულ კვარებს.

დიაკონს სევასტის არც შუბი ეჭირა ხელში და არც მაშხალა, უშიშრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუძღოდა შუბოსან მეჯინებეებს, შეუძახებდა ბიჭებს, ხანაც ორივე ხელის საჩვენებელ თითებს ირჭობდა პირში და უსტვენდა ისე, როგორც მარეკი უხმობს ხოლმე, მოთავებულ ნადირობის შემდეგ, ტყეში დაკარგულ მადევარ ძაღლებს.

როგორც კი მგელთა მეწინავენი წაიქცნენ შუბებისაგან მკერდგაპობილნი, წამოესხიენ მათ უკან მომავალნი და ეცენ ბრძოლის ველზე დაცემულთ.

ასე გააფთრებული იბრძოდნენ ადამიანები და მგლები იმდენ ხანს, სანამ საკუთარი სახელისა და გვარის ასჯერ წარმოთქმას მოასწრებს კაცი, მაგრამ ეს იყო უსასტიკესი შერკინება კაცთა და მხეცთა, რომლის აღსაწერად ავტორს აღარ შესწევს ძალა.

. . . . . .

მეორე დღეს, როცა გაზაფხულის მზემ გაანათა წინა ღამინდელი ველი ბრძოლისა, ლათერიამ და სევასტიმ დაითვალეს ოცდახუთი მგლის ლეში.

გვარამ ერისთავმა ბრძანა და ერთი ტიკი ღვინო გადმოიღო სევასტიმ.

გვარამ ერისთავი ჩინებულ გუნებაზე იყო, მხოლოდ ერთი ჯორი დაეგლიჯათ მგლებს, მას აეწყვიტა ტოილო და მისდა საუბედუროდ გაპარვოდა მეჯინიბეებს.

ლათერიამ იხუმრა: „აბა რას ფიქრობდნენ მაგ სახეძაღლები, ყიფჩაღები ხომ არ ვეგონეთ, დავით მეფის სპანი“.

გვარამ ერისთავმა ყანწი გადაულოცა სევასტის და უთხრა:

„შენ ეს მითხარი, ჩემო სევასტი, რა რიგად მიხვდი ხროვის ბელადი რომ ყმუოდა წუხელ?“

„მოგეხსენებათ, მე უკვე სიბერეში გადამდგარი მაკურთხეს დიაკვნად გვარამ ბატონო. მამა ჩემი ძველი მენადირე იყო. მგელზე მენადირე, განსაკუთრებით. სიყრმიდანვე დავყავდი მას ტყეში.

ჩვენ ყმუილით გამოხმობა ვიცოდით მგლისა.

გავწვებოდით მიწაზე ... ძაღლის სიმაღლეზე წამოვწევდით თავს, ავსტეხდით ყმუილს.“

„რატომ მაინც და მაინც მგლის სიმაღლეზე?“

იკითხა არშარუნიმ.

„რასაკვირველია, მგელს უჩვეულო სმენა აქვს. ეს ხმა განსაზღვრულ დონეზე თუ არ მოესმა, იგი დაეჭვდება უთუოდ. ამიტომაც ჩვენ ვცდილობდით, ბექობიდან არ დაგვეწყო მგელთა გამოხმობა, არამედ ჭალაში გავწოლილიყავით სადმე და მერმე თავი წამოგვეწია ორიოდე მკლავის სიგრძეზე. გვარამ ერისთავმა თავისი შეუდარებელი ღიმილით განაგრძო დაკითხვა:

„კარგი და პატიოსანი ჩემო სევასტი, ლათერია მიამბობდა წუხელვე, რად მიიჩნიე საეჭვოდ იმ მარტოხელა მგლის ყმუილი მაინც და მაინც?“

„ისევე როგორც კაცთა სიტყვა განსხვავებულია სხვადასხვა ნიშატის მიხედვით, მაგალითისთვის მოგახსენებთ: ის ყანწი რომ ხელში მომცეთ, მე თქვენმა მონამ უმორჩილესმა გამოცლა დავაპირო მისი და ვიყვირო: დავიწვიო, თქვენ გაგეცინებათ, რასაკვირველია, მაგრამ ღვინით სავსე ყანწის ნაცვლად ცეცხლმოდებული მაშხალა რომ მომაჩეჩოს ვინმემ და მე იგივე დავიყვირო, თქვენ არამც თუ არ გაგეცინებათ, შეგებრალებით და შეიძლება მომეშველოთ კიდევაც, რასაკვირველია.

აგრეთვე მგლის ყმუილსაც სხვადასხვა გვარი იერი აქვს, რასაკვირველია.

როგორც მოგახსენეთ, მე ბარე ათ წელს ვნადირობდი და ვგონებ შემიძლია გავკადნიერდე და განვაცხადო: რომ კაცთა სიტყვაზე უფრო კარგად მესმის ფრინველთა და ნადირთა ენა.

ლათერიას არ მოუხსენებია, რასაკვირველია, თქვენთვის, მე ყველაზე ადრე დამაეჭვა არა მგლის ყმუილმა,

არამედ კაჭკაჭის კუთვამ.

ყველაძ იცის ღამით კაჭკაჭსაც სძიხავს, სადმე ხის შტოზე დაყუნცულს, რასაკვირველია.

ძე აგრე ვივარავუდე: როცა ხროვის ბელადის ყმუილი გაისმა, ალბათ მთელს ამ ძეძოგარენში მოგროვდნენ მგლები, ერთი მათგანი ალბათ იმ ხის ქვეშ იდგა გატვრინული, რომლის შტოზედაც ის კაჭკაჭი ეჯდა, რასაკვირველია.

გარდა ამისა, მგელი სხვადასხვა რიგად ყმუის წელიწადის სხვადასხვა დროში, რასაკვირველია.

თქვენ ყველას გსმენია მოშიებული მგლის ყმუილი, ეს ხმა იწვევს მხოლოდ სიბრალულს მიწიერ არსთა მოყვარულის გულში.

რასაკვირველია, სულ სხვა რიგად ყმუის მგელი, როცა იგი სარჩოს მოსაპოვებლად გადის ტყეში და თავის პატარებს დასტოვებს ბუნაგში, იგი ნადირობს თავის სამყოფლოის შემოგარენში, ჟამიდან ჟამზე აყმუვლდება და ამცნობს თავის ლეკვებს: მე აქა ვარ თქვენს მახლობლად, ნუ გეშინიათო, შვილებო.

მე და მამამ ეგეც ვიცოდით, რასაკვირველია, ამგვარი ყმუილის მიბაძვაშიაც დახელოვნებული ვიყავით, ვინ მოსთვლის რამდენჯერ გავწოლილვართ მიწაზე, მგლის სიმაღლეზე წამოგვიწევია თავი და მოგვირთავს აგეთი ყმუილი.

რასაკვირველია, სულ სხვა რიგად ყმუის ის მგელი, რომელიც რაიმე საფრთხის წინაშე დამდგარა ანაზდად..

რომელ თქვენთაგანს არ მოუწყვია ჯერგა.[1] მე ვხლებივარ ტაოში თავის მამეულში გიორგი მეფეს.

ერთხელ მან სამი სოფლის ვაუკაცები აჰყარა, თავათაც ახლდა ასაკასზე მეტი მენადირე, მოხალა. — გარეშემოვერტყით ისეთ ტაფობს, რომლის ირგვლივ შემოვლისათვის დღის ნახევარი დასჭირდება კარგ ცხენოსანსაც.

მგელს უცნაური სმენა აქვს, სმენაზე უფრო მძაფრი ყნოსვა კაცთა ორანისა. თუ კაცმა სველი ყაბალახი, ან ტილო არ შემოიხვია ტუჩპირზე, ორიოდე ფარასანგის მანძილზე იგი იგრძნობს მენადირის მოახლოებას და ასტეხს ყმუილს, რასაკვირველია.

სულ სხვაა ეს ყმუილი, მტერთაგან დაჯაბნებულ საფრთხის მომლოდინე ნადირის ჩივილი. კიდევ ერთგვარი ყმუილი არსებობს მგლისა:

როცა იგი, კაცურ ენაზე რომ ვთქვათ, ჭაბუკია გამიჯნურებული და ისეთივე უმწიკვლო თავდავიწყებით შეყვარებულია, რომელიმე ძუს მიმართ, რომელიც მას ემალება ალბათ უღრანი ტყის ჩაბნელებულ ღარტაფებში სადმე.

ზის მთვარის შუქით განათებულ ბეკობზე მგელი სადმე, მე თავათ არა ერთხელ საკუთარი თვალით მინახავს ასეთი, რასაკვირველია.

ზის და ყმუის, კი არ ყმუის, ტირის მგელთაგანი ერთი, ეძახის გულის მიჯნურს, უხმობს.

მე არასოდეს მგელი არა ვყოფილვარ, არც მგელის მინაგვარი კაცი, რასაკვირველია, მაგრამ მგლისაგან იმითაც განვსხვავდები, რომ ღმერთი მრწამს და წარმოდგენის უნარიც მაქვს მცირედი, რასაკვირველია.“

გვარამ ერისთავმა გადაიხარხარა მას, ეცინებოდა არა მარტო ბოლოს ნათქვამის გამო, ეს გამუდმებული „რასაკვირველია“ მუდამ ღიმილს ჰგვრიდა მას.

ეპისკოპოზებმაც ვერ შეიკავეს სიცილი და ამ ამბით გულმოცემულმა დიაკვანმა, რომელსაც უკვე შეფაკლო-

[1] ჯერგა, ან ჯელგა — როგორც ძველ საქართველოში, ისე დღესაც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ცნობილი კოლექტიური ნადირობა, მარეკების, მახუნდარების და მადევარი ძაღლების მეშვეობით გამართული.

და ღვინისაგან ღაწვისთავები, განაგრძო აპოლოგია მგლისა:

„რასაკვირველია, მგელი არც ისეთი მამაცია, როგორც არა მენადირეთ ეგ ეჩვენებათ, მაგრამ არავინაა მუდამ გმირი ამ ქვეყნად და არც თუ არვინ ისეთი ძაბუნი, თუნდაც ერთხელ სიმამაცე არ გამოეჩინოს, რასაკვირველია.

რატომღაც ცეცხლის, ეშინია მგელს და სტვენისა. ეშინია, ალბათ აგრე ჰგონია ძაღლებს უხმობენო სტვენით.

რასაკვირველია, მგლებს რომ ძაღლების ეშინიათ გასაგებია, რადგან ძაღლი თვისტომია მგლისა და არც კაცს გაუჩნდება უფრო დიდი მტერი, როგორიც იქნება მისთვის მტრადმოგებული თვისტომთაგანი ვინმე, რასაკვირველია.“

ახლა ეპისკოპოზებსა და ახალგაზრდა ერისთავებს აუტეხა სიცილი ამ გაუთავებელმა „რასაკვირველიამ“, დიაკონი ამას ვეღარ ამჩნევდა და არხეინად განაგრძობდა თხრობას.

„რასაკვირველია, მგელი ერთ რამეში ჰგავს ადამიანს. იგი ვაჟკაცია, გამიჯნურების, ამძუვნების დროს და, რასაკვირველია...

აქ სიტყვა გაუწყდა მას რადგან გვარამმა კიდევ ერთი ყანწი მიაწოდა მას, ვიდრე იგი პეშვით მოიწმენდდა წვერულვაშს, ბუკაისძე შეეკითხა მას:

„კიდევ?“

„კიდევ და, რასაკვირველია, როგორც კაცთაგანი თავის ბუნებაში მთვლემარე უკანასკნელ ძალებს გამოიღებს, როგორც მიჯნურობის, ისე შიმშილის დროს, რასაკვირველია, აგრეა მგელიცა.

ასე რომ მგელი საშიშია ამძუვნებისა და მოშიების დროს. დეკემბერსა და იანვარში იგი ამძუვნებულია. მგლები ამ დროს ხროვებად შეიყრებიან, წყვილწყვილად მავალნი საერთოდ.

მერწმუნეთ, გვარამ ბატონო, ორიოდე თვით ადრე რომ თავს დაგვსხმოდა მგლის ხროვა, მაშხალები და შუბები კი არა, დავით მეფის [illegible] ნებიც ვეღარ გვიშველიდნენ, რასაკვირველია.

გვარამ ერისთავმა სიტყვა გაუწყვიტა დიაკონს:

„შენ სათქმელს გადასცდი, ჩემო სევასტი, აკი მგელთა ყმუილის გამო დაიწყე საუბარი.“

„ჰო, ყოველივე სიკეთე გაგახსენოს მაცხოვარმა, გვარამ ბატონო. რასაკვირველია, არსებობს კიდევ ერთგვარი ყმუილიც ხროვის წინამდგომისა. როცა დამშეული ხროვა საზრდოს მოსაპოვებლად გასულია ტყეში, მისი ბელადი მორიგ საფრთხეს, ან ცხენების რემას იყნოსავს თუ არა, სულ სხვაგვარად ყმუის მაშინ.

ეგ ყმუილი არც თუ საწყალობელია, არამედ უცნაურად გოროზი და ამაზრზენი. იგი მბრძანებელი ბუხუნით ესიტყვება თავის თვისტომთა, როგორც სარდალთაგანი თავის სპას.

რასაკვირველია, მე შევიცანი ეს ყმუილი და იმადაც ვიხმე ლათერია, ჩუხჩითა ათისთავი.

რასაკვირველია, ლათერიას გაეღიმა თავის გუნებაში, მითხრა: შენ მოისვენე და მგლებს ჩვენ გავცემთო პასუხს. წავიდა და არხეინად წამოწვა კარავში“...

როგორც ყოველი გატაცებული მონადირე ლაპარაკით გულს იოხებს, როცა ვეღარ ნადირობს, დაიწყებს ნადირობის ამბავთა თხრობას და ვეღარ მოათავებს სათქმელს, ისე მოხდებოდა იმ დღესაც, ბეჭისციხის პატრონი რო არ წამომდგარიყო ანაზდად. გზის დასალოცი ყანწი ჩემოარიგა გვარამ ერისთავმა და გზად დადგომის მზაობა უბრძანა თავის ამალას.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

* *

ეოთი ფარასანგის მანძილზე უკან გაბრუნდნენ და როგორც იქნა, მიაკვლიეს თემშარას, რომელიც მინავალა მათ მიერვე ძეძვებში გავლილ გზის გასწვრივ.

ქარს გზები გაეშრო, ამით გულმოცემულმა მეჯინიბეებმა უფრო თამამად გარეკეს ცხენები.

უცხვირპირო კაცი აღმოჩნდა ბეწვეულის ფაქტორიის პატრონი, პოპონდოპულოს, ბერძენი. მას არც უკითხავს ახალ მოსულთათვის თუ ვინ იყვნენ, ან სად მიდიოდნენ?

პოპონდოპულოს ისე მოღუშული ესაუბრებოდა უგუნებოდ შეკრულ წარბებიდან გამომზირალი, გვარამ ერისთავს, თითქოს მყიდველნი როდი მისულიყვნენ მასთან, არამედ აბეზარი მევალეები. მან არად ჩააგდო თეოფანეს მიერ გამოგზავნილი წიგნი, ერთი დახედა და გამოღებულ უჯრაში ჩააგდო ანაზდად.

ბევრს ევაჭრნენ მას არტაქშექს არშარუნი და დიაკონი სევასტი, მაგრამ წინასწარ შეთქმულ ფასებს არც ერთი დუკატი არ დაუკლო.

როცა ოქრო ჯიბეში ჩაიჩხრიალა, შინაც არ შეიპატიჟა მგზავრები.

მეჯინიბეებმა ისევ გარეკეს ცხენები, რადგან გზაც გამოკეთდა და შორტაის აღარ სჭირდებოდა გზაჯვარედინებზე ჭოჭმანი.

სევასტიმ ახალი ამბავი გამოარკვია: თურმე ბედშავი შორტაი ბარე ორ წელს ყმად ჰყოლოდა პოპონდოპულოსს. მელიების და მგლების გატყავებაში დახელოვნებულა იგი, მაგრამ ერთი მელის ტყავის უხეიროდ გამოხდისათვის ტაჯგანაგებით უცემია პოპონდოპულოსს მონისთვის, რის გამოც გაპარვია იგი თავის პატრონს.

სევასტი ახლა მიხვდა, რად იმალებოდა შორტაი ფორანში, როცა ბეწვეულს ყიდულობდნენ მგზავრები.

. . . . . .

კვლავ გადალახეს ერთი დიდი მდინარე, რომლის სახელი თვით მეგზურმაც აღარ იცოდა. ფორნის კოფოზე მჯდარი შორტაი გადმოხტა, ისევ ჯორს მოაჯდა, მიეჭრა სევასტის და გახარებულმა ამცნო: ყიფჩაღეთი იწყებაო უკვე.

„რა უცნაურია გული კაცისა, გადაულაპარაკა სევასტიმ მის გვერდით ცხენდაცხენ მომავალ ლათერიას, ამ ათგზის გაყიდულ მონას, რომელსაც მხოლოდ ტაჯგანაგებით ცემა და დაბრიყვება უგემნია სამშობლოში მრავალგზის, მაინც უყვარს თავისი ქვეყანა, შეხე როგორ გამოცოცხლდა, გარდიქმნა ბედშავი“!

„ეგ აგრეა ჩემო სევასტი, შამფურზე გაზრდილს, შამფურზე სიკვდილი ენატრებოდაო“.

„რასაკვირველია, მე რომ ოქროს მთები დამიდგან აქ, ჩემი გეგუთის წითელ ტალახს არ დავთმობ“.

. . . . . .

გზები გამოკეთდა, ამწვანებული ველები დაიწყო, მაგრამ უფრო სახიფათო გახდა მგზავრობა, უბელო ცხენებზე გადამჯდარი, კოწოლიანი პაჭანიკები გზის ასაქცევებზე უხვდებოდნენ მგზავრებს, ისინი უკვე მოწყალებას როდი თხოულობდნენ, არამედ თავათ მშვილდ-ისრით შეიარაღებულნი გამოგზავნიდნენ ერთ უიარაღო, ფეხშიშველ მხედარს, მოითხოვდნენ ბეწვეულს, სამოსელს, ან ოქროს.

როცა სევასტის მიერ შეძლეულ კურდღლის ტყავს, ან ორიოდე დუკატს არ დასჯერდებოდნენ, ცხენებს დააწვენდნენ, იფარებდნენ მათ და ისრებს დაუშენდნენ მგზავრებს.

ერთხელ ამგვარ ბრბოს ისე სწრაფად შეუტიეს ლათერიამ და მისმა

ჩუხჩებმა, მოისარნი გარეკეს ანაზდად და დაწოლილი ცხენები წაართვეს მათ.

მოსაბეზრებელი გახდა ეს გამუდმებული კინკლაობა ამგვარ ბრბოებთან, ამიტომაც გვარამ ერისთავმა უბრძანა ჩუხჩებსა და მეჯინიბეებს: მუზარადები თავზე დაეხურათ, ჯაჭვის პერანგები გამოეჩინათ ხმლებითა და შუბებით აღჭურვილთ.

ამ ხერხმა გასჭრა.

გზად შემოყრილი პაჭანიკების ბრბოები უკვე რიდით გვერდს ჩაუვლიდნენ ხოლმე შეჭურვილთ, თუმცა მაინც აჩერებდნენ მგზავრებს, უკვე მუდარის კილოთი ეღიჭინებოდნენ! ხან ოქროს ითხოვდნენ, ხან საზრდოს, ხანაც მხოლოდ ბურახს.

ოღონდ ეგ იყო: ღამის გათევა გასჭირდა.

დადგამდნენ ტრამალზე კარვებს, მიმწუხრზე ქარი ამოვარდებოდა, არ ანებებდა კოცონების დანთებას.

დაბანაკდებოდნენ თუ არა ტყეში, როგორც კი კოცონებს დაანთებდნენ, კატაბარდებიდან გამოცვივდებოდნენ მძარცველები, მოეფარებოდნენ ხეებს და დაუშენდნენ ისრებს.

ხანაც გაყუჩდებოდნენ მანამდის, სანამ კარვებში არ დაიძინებდნენ მგზავრები, მერმე ანაზდად ასტეხდნენ ღრიანცელსა და სტვენას, თავს დაესხმოდნენ გუშაგებს.

ასე რომ, ლათერია იძულებული გახდა გათენებამდის ზეზე ჰყოლოდა მეჯინიბენი და ჩუხჩნი.

ბოლოს გადაწყდა: არც ტრამალზე და არც ტყეში არ დაედგათ კარვები, მზე გადაიხრებოდა თუ არა, ლათერია და სევასტი შეუდგებოდნენ მდინარის ნაპირის, ხევის კბოდეს, ან ჭაობის კიდის ძებნას, სადაც თავდასხმის შემთხვევაში ცალ მხარეს მაინც ექნებოდათ მგზავრებს თავდაცვისათვის უზრუნველყოფილი საფარი.

ერთ საღამოს რომელიღაც მდინარის კბოდეზე ვერხვნარის ახრბა დადგეს კარვები.

ნაშუაღამემდის ფხიზლობდა ყველა. ერისთავებიც თორგაუხდელად წამოწოლილნი ყურს უგდებდნენ სევასტის ნადირობათა ამბებს.

ლათერიამ განაწესა: ათმა კაცმა იძინოს, ამასობაში დანარჩენთა იგუშაგონო. თავათაც გარს უვლიდა კარვებსა და ფორნებს, ხან სევატის ნაამბობს მიუგდებდა ყურს, ხან ტყისკენ გადიხედავდა, ხანაც კბოდეზე გადადგებოდა, შეეხმიანებოდა გუშაგებს, და როცა ერისთავების სიცილი შემოესმებოდა, ისევ გვარამის ფორანთან მივიდოდა და უსმენდა ნადირობის ამბებს.

გათენებისას ყველას ეძინა, როცა ლათერიამ ასტეხა განგაში, წამოჰყარა მძინარე ბიჭები.

თურმე სავსებით ტანშიშველ მოისართა ბრბო მოსდგომოდა მდინარის კბოდეს, რომლის მახლობლად შარდზე გასულიყო შორტაი, დაინახა თუ არა თავდამსხმელები, ხვანჯრის შეუსკვნელად შევარდა კარავში და ყვირილი მორთო...

მოცვივდნენ მოისარნი და ისრები დაუშინეს შიშველ ავაზაკებს. სელაპივით ჩაჰყვინთეს მათ წყალში, ხუთიოდე ცხედარი წაიღო მდინარემ.

მეორე დღეს ბევრი ითათბირეს ერისთავებმა, აღარ იცოდნენ, რა მოემოქმედნათ.

შეუძლებელი იყო მეჯინიბეებს ცხენ-ჯორთათვისაც მოეარნათ, ფორნებიც შეეკეთებინათ, კარვები დაედგათ და აეკრიფათ, ღამით ეგუშაგნათ და დღისით ეარნათ.

ამიტომაც ასეთი რამეც სცადეს: ერთ ფორანში დღისით მაინც სძინებოდათ ჩუხჩებსა და მეჯინიბეებს, მაგრამ რადგან თავდასხმა დღისითაც განმეორდა მრავალგზის, შეკრთა უშიშარი გვარამ ერისთავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრუნებულიყვნენ უკან?

სად უნდა გამოეყო თავი გიორგი მეფის მრავალნაცად სარდალს, თემშარის ავაზაკების შიშით ვერ ჩააღწიაო ყიფჩაღეთს. სხვა არ იყოს რა წამოაყვედრებდნენ ოდესმე მტერმოყვარენი.

შებინდებისას ჩამოუქროლებდა მგზავრებს უბელო ცხენზე გადამჯდარი ლანდი, მშვიდობიანად მიჰყვებოდა თავის გზას, გაივლიდნენ მცირე მანძილს, ატყდებოდა ბნელში ფლოქვების ერთობლივი ტკაპუნი, ყიჟინი და სტვენა, ხმალშემართულნი უდიერად მიაგდებდნენ ფორნებზე ცხენებს და გაიმართებოდა ხელჩართული ბრძოლა.

ამნაირ, ერთ ერთ შეტაკების დროს, დასჭრეს ეპისკოპოზი იოანე და არტაქშექს არშარუნი.

„როდის ღა ჩავალთ შარაღანს?“ ჰკითხავდნენ შორტაის.

„ახლოა, ახლოა,“ ბუტბუტებდა იგი, მაგრამ გზა სიარულმა ვეღარ დალია, ჩუხჩნი და მეჯინიბენი ზეზეურად ჩამოდნენ, ცხენები დაიქანცნენ, ფორნები წარამარა შეკეთებას მოითხოვდნენ, სურსათი უკვე ილეოდა, დაშაშხული თევზი ღა დარჩათ, ყველა ერიდებოდა მის ჭამას, რადგან შესჭამდნენ თუ არა მცირედს, მოსწყურდებოდათ მგზავრებს და წყალი აღარსად იყო; მოახელებდნენ სადმე მღვრიე წყალს, უხალისოდ სვამდნენ ვაგლახად ამღვრეულს.

ერთ ორ დღეს კიდევ ივლიდნენ, ისევ შეეკითხებოდა სევასტი შორტაის: ბოლოს და ბოლოს გვამცნე, რამდენი დღის სავალი დაგვრჩაო შარაღანამდის კიდევ?

იგი პირდაპირი პასუხის მოცემას გაურბოდა, „ახლოა, ახლოას“ იძახოდა კვლავ, ანუგეშებდა დიაკონს, მაგრამ დასასრული არ უჩანდა არც გზასა და არც ამდენ წამებას.

თავათ გვარამ ერისთავი ძლიერ ცუდად გრძნობდა თავს, დარდობდა: ვაი თუ ისე დავიღუპოთ ამ ბნელეთის კიდეს, დავით მეფის დავალება ვერ მევასრულოთო.

თანამგზავრთა მხნეობას უფრთხილდებოდა, ღამღამობით ხან დარდი არ აძინებდა, ხან თავის ტკივილი, მაგრამ არავის უმხელდა ამას, გულისგარეთ ოხუნჯობდა ვითომც, ხანაც სევასტის აამბობინებდა მის მიერ განცდილ, თუ შეთხზულ ნადირობათა ამბებს, ისეთსავე მოსაწყენსა და გაუთავებელს, როგორც ყიფჩაღეთს მიმავალ გზას.

მისჭირდა მდინარის მომიჯნე ჭაობის პოვნა.

ახლა ტრამალები უკვე უკან დარჩნენ, დაიწყო უსიერი ტყეები და ტევრები, მათი გავლა უფრო სახიფათო იყო, რადგან ორივე მხრიდან გზისპირად მომდგარ კატაბარდებში ჩასაფრული ავაზაკთა ბრბოები სროლას აუტეხდნენ ხოლმე მგზავრებს, თავათ მიიმალებოდნენ და ამ ძეძვიანებში შეუძლებელი ხდებოდა მათი დევნა და დასჯა.

ამ დაუსჯელობით გათამამებული ბრბოები, კვალდაკვალ მისდევდნენ მგზავრებს, აცლიდნენ კარვების დადგმას და ხელახლა დაესხმებოდნენ თავზე, რათა ქანცმილეულნი ბოლოს და ბოლოს ხელში ჩაეგდოთ და მათი კარვები და ფორნები ნადავლად დარჩენოდათ.

ბოლოს ეს ბრძანა გვარამ ერისთავმა:

„რაც მოგვივა მოგვივა, ყველამ მორიგეობით ვიგუშაგოთ და ვიძინოთ.

ხუთხუთმა კაცმა მორიგეობით დაისვენოს დღისით და ღამით. თავს დაგვესხმიან თუ არა, ყველამ ვიბრძოლოთ, ვის რა ძალიც შესწევს.“

ერთ ღამეს დიდი კოცონები დაანთეს ტყეში, მორიგეობით იგუშაგეს და იძინეს.

ბევრს ეცადნენ ერისთავები და ეპისკოპოზები, მაგრამ არ დაიშალა ბე-

ჭისციხის პატრონმა, შუბით აღჭურვილი თავათაც მორიგეობდა, ისევე როგორც ჩუხჩთაგანი ერთი.

ერთხელაც არავის უცდია თავდასხმა, თუმცა სევასტი დიდხანს ეპუტუნებოდა ისევ და ისევ ნადირობათა თავგადასავალს ორ ერისთავსა და ორ ეპისკოპოზს, რომელნიც თავიანთი საგუშაგო ჟამის მოლოდინში უცდიდნენ ლათერიას სტვენას.

• •

მეორე დღეს მზე ამოვიდა და აჩქამდნენ უღრანი ტყის მკვიდრნი. ურმის გზა ნელნელა მიჰყვებოდა ბექობს. უფრო და უფრო მაღლა მიიწევდა თემშარა.

ასე იარეს ნაშუადღევამდის, ადამიანის ორანი არსად ჭაჭანებდა. მხოლოდ დათვები ბოყინობდნენ ტყეში, მათი ბელები სათამაშოდ გამოსულიყვნენ თემშარაზე. სევასტიმ თავი გამოჰყო ფორნიდან, შეფრფინვით შეჰხაროდა ეს გაუსწორებელი ძველი მონადირე ამ მშვენიერ ბუდრუგუნა მხეცებს, რომელთაც ჯერ არა იცოდნენ რა თუ რა გემრიელია საკუთარი ჭანგებით გამოდენილი სისხლი.

ერთ ბურუხუნა დათუნიას, პატარასა და თაფლისფერს, წაექცია წაბლისფერი ბელი, მასავით ბურუხუნა, მოუხეშავი არსება და ყელში ეღიტინებოდა, ღიჯნიდა თავისი უვნებელი კბილებით.

სევასტიმ მოიბოდიშა: მომეწყინაო ფორნით მგზავრობა, მეჯინიბენი დასტოვა ფორანში და მასზე მიბმულ ჯორს შეაჯდა, რათა უფრო კარგად დაკვირვებოდა დათვის ბელების ლაღობას.

ბოლოს ვეღარ მოუთმინა გულმა გულდამწყარ მონადირეს, როცა ხელახლა წააწყდა ასეთ „გულისწამღებ სანახობას“ (როგორც თავათ იტყოდა ხოლმე, ეს მენადირეყოფილი დიაკონი), ქორივით ჩამოეშვა თავის ჯორიდან, თავზე დააცხრა გაუფრთხილებელ ბელებს ერთი მათგანი [illegible] ამოიჩრა და გვარამ ერისთავს მიჰგვარა.

„კაია, კაი, ჩემო სევასტი, გაიხუმრა გვარამ ერისთავმა, სურსათი ბლომად გვაქვს, ეს ღა გვაკლდა ჩვენ“.

ბევრი იცინეს ერისთავებმა და ეპისკოპოზებმა. საქმე იმით დასრულდა, რომ სევასტიმ მეჯინიბეებს მიჰგვარა თავისი ნანადირევი.

ამ მოსაწყენი გზისგან გაბეზრებულმა მგზავრებმა გასართობი იპოვნეს ახალი, მუთაქასავით აგორებდნენ ამ ბუდრუგუნა ბელს, იგი ხელიდან ხელში გადადიოდა.

ჩუხჩებმა მონათლეს კიდევაც იგი, „არგელოდი“ შეარქვეს სახელად.

დათვის ბელის „არგელოდის“ შეძენამ ოდნავ გაამხიარულა გუშაგობისა, უძილობისა და ცუდი კვებისაგან დაოსებული ჩუხჩები და მეჯინიბენი.

თუმცა სურსათი მიწურულზე იყო დასული, მაგრამ არავინ პირში ლუკმას ისე არ ჩაიდებდა, არგელოდისთვის რომ არ დაედო წილი.

ასე იარეს კიდევ ორ დღეს, ორგზის უვნებლად ათიეს უღრან ტყეში ღამე და მესამე დღეს, ისევ და ისევ ტყეში მიმავალი თემშარა აჰყვა კაკიან ბექობს.

უფრო და უფრო მაღლა მიიწევდა გზა.

სევასტი; ლათერია, ორი მზვერავი ჩუხჩთაგანი და ყიფჩაღი შორტაი წინ მიუძღოდნენ ქარავანს.

ბოლოს როგორც იქნა, დაილია ტყე და მეწინავენი გადაადგნენ ვრცელსა და თვალშეუდგამ ტრამალს.

შორტაის ბარბაროსულად მახვილმა თვალმა დაინახა პირველად შორს, ძლიერ შორს ცის დასასრულზე თალხი ნაჩრდილევნი წინ მოიწევდნენ ტრამალზე.

ჩუხჩებმა ცხენები შეაყენეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ცხენოსანი გამოჩნდა, მათ უკან მოდიოდნენ სხვანი და სხვანი, მერმე გამოიხატენ გამსჭვირვალე ჰაერის ფონზე ფორნების, საბარგულების და ცხენთა რემების ნაჩრდილები მოტვლეპილ ტრამალზე.

რაც უფრო აკვირდებოდნენ მათ, მით უფრო საცნაური ხდებოდა მტვრის ბუღში გახვეულ მხედრებისა და მათი ცხენების ანაგობა, შორიდანაც მკვეთრად განჩრდილულნი.

მცირე ხანს დაყოვნდნენ მზვერავნი და ახლა თვალნათლივ დაინახეს: აურაცხელი ცხენოსნები მოჰყვებოდნენ თემშარას, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა მაცქერალთ, თითქოს მათი ცხენების ძუებზე მიბმული ყოფილიყო ბოლის სვეტივით გამოდენილი ბუღი გზიდან ამდგარი მტვერისა.

ეს ბუღი აღმოსავლეთისაკენ მიჰქონდა დილის ბორიოს, გაიცრიცებოდა იგი და ისახებოდა ფორნების ნაჩრდილი, ფორნებს საბარგულები მოსდევდნენ უკან, საბარგულებს ცხენთა რემები, ამ უკანასკნელთ ხვასტაგი, ისევ ცხენოსნები ჩნდებოდნენ ხვასტაგის მომდევნო ისევ ფორნები და მათ უკან მოსდევდნენ: ცხენოსნები და ცხვრის ფარა.

დიაკონი სევასტი მაინც და მაინც მშიშარა კაცი არ იყო, მაგრამ ძრწოლამ აიტანა იგი, როცა ასეთი აურაცხელი სპის პირისპირ წარსდგა.

უკან მიიხედა, არავინ სჩანდა გზაზე, რადგან გვარამ ერისთავი და მისი ამალა ჯერაც არ გამოსულიყვნენ ტყიდან.

მზვერავი ჩუხჩები უკან აპირებდნენ გაბრუნებას, მაგრამ შესდექითო, უბრძანა სევასტიმ, შემოაბრუნა ცხენი, ტყისკენ გააქანა იგი.

სევასტიმ აქლოშინებული მიაგდო გვარამ ერისთავთან ცხენი და ყოველივე მოახსენა რაც მან საკუთარი თვალით ნახა. გვარამი შეცფუნდა, მაგრამ არ ამცნო თავისი მღელვარება დიაკონს, დადუმდა მცირე ხანს.

და ამასობაში ენამოსვლამ დიაკონმა თავათ შეჰკადრა თათბირი მრავალნაცად მხედარს:

„გირჩევთ, ერისთავო ბატონო, ჯერ არ გამოხვიდეთ ტყიდან, გზა აუქციეთ ამ აურაცხელ სპას, ისინი ჯერაც შორს არიან, ტრამალზე მომავალნი, ამასობაში ჩვენ ტყეტყე ვიაროთ და როცა იგი ჩაივლის, ისევ ამ გზაზე გამოვიდეთ და დავადგეთ შარაღანს მიმავალ თემშარას კვლავ“.

„ნუ კრთი და ნურც ჩქარობ, წაღი და უბრძანე მზვერავებს: დინჯად განაგრძონ გზა, სანამ ჩემგან უკუხმობას არ მოისმენენ“.

სევასტი აიმღვრა. აღარ იცოდა რას მოასწავებდა ერისთავის ნაბრძანი. დარდობდა გულში: ამ ოციოდე კაცის იმედით აპირებსო ამ უშქარი ცხენოსანი ლაშქრის უკუქცევას ბეჭისციხის პატრონი?

ვიდრე სევასტი მზვერავებამდის მიაღწევდა, ერისთავებმა და ეპისკოპოზებმა ცხენებს აუჩქარეს და ტყიდან გამოსულნი თავდაღმართს დაადგნენ.

ახლა თავათაც თვალნათლივ ჰხედავდნენ: მეწინავე რაზმეულის უცხო მხედრები მოაქანებდნენ ტრამალზე ცხენებს.

ენაგამოგდებული მგელძაღლები, ლაშდაღრენილნი კვალდაკვალ მოსდევდნენ მათ, ხოლო მხედრებს უკან დინჯად მოდიოდნენ ფორნები, კვლავ ცხენოსნები მოსდევდნენ მათ უკან, ამ უკანასკნელთ ცხენთა რემები, საბარგულები, ისევ ფორნები, ხვასტაგი, ცხენოსნები და საბარგულები...

გვარამ ერისთავისა და მისი ამალის დანახვისას, უკვე შეღმართში ამოსულმა მხედრებმა ჭენებიდან ნავარდზე გადაიყვანეს თავიანთი ცხენები, ორმა მხედარმა ერთბაშად შეაბრუნეს

ცხენები და უკან მომავალ ფორნებისაკენ გაჰქუსლეს ჭენებით.

იგიც გარკვევით შენიშნა გვარამმა, ამ ორთა მიახლოებისას, პირველი ფორანი შესდგა. მცირე ხანს დაყოვნდნენ მანდ ორივე მხედარი, მერმე განსაცვიფრებელის სისწრაფით ამოაჭენეს ზეგანზე ცხენები და როცა გვარამსა და ახალგაზრდა ერისთავებს გაუსწორდნენ, ორიოდე მხარის მანძილზე წყვეტილად შეაყენეს ცხენები, ქანდაკებასავით გახევდნენ მაღალ უნაგირზე წინ წამოწეულნი, ორთა შორის ერთი გვარამ ერისთავს მიაშტერდა და თითქმის ყვირილით მიუგდო ბეჭისციხის პატრონს, მისთვის გაუგებარი რამდენიმე სიტყვა, წყრომანარევი მუქარით აღსავსე. ამასობაში სევასტი და შორტაი მოეჭრნენ გვარამს და თარჯიმანმა ეს ამცნო მას:

„ყიფჩაღნი გეკითხებიან: ვინა ხართ და რად მოსულხართო ჩვენს ქვეყანაში?“

როცა ორ ცხენოსანთაგანი ერთი ამას ჰკითხავდა ერისთავს, მეორე, მის უკან მდგარი, გამალებული უთვალთვალებდა ტყიდან გამომავალ გზას, რომელზედაც წყვილწყვილად მოაგელვებდნენ ცხენებს მეჯინიბენი და ჩუხჩნი, ზედ ეტყობოდა ამ კაცს, უნდოდა გაეგო ლაშქარი ხომ არ მოსდევთო მათ უკან.

გვარამ ერისთავი მიუბრუნდა თარჯიმანს:

„შენ გადაუთარგმნე, ჭაბუკო, მაგ ყიფჩაღს და უთხარი: დავით მეფის მოციქულნი ვართ-თქო, შარაღანს მოვდივართ-თქო, ყიფჩაღთა უმთავრესის, ათრახა შარაღანის ძისაგან წვეულნი.“

როცა ეს ყოველივე გადაუთარგმნა შორტაიმ მხედრებს, ორიოდე სიტყვა გადაულაპარაკეს ამ ორთა ერთმანეთს, მერმე მბრძანებელი კილოთი რაღაც ჩააყვირეს შორტაის, მოწყვეტილად, შეაბრუნეს ცხენები, და გაჰქანდნენ პირველ ფორნისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარამ ერისთავი დარჩენილ ხალხებელნი კარგად ჰხედავდნენ, თუ როგორ შესდგა კვლავ პირველი ფორანი, მცირე ხანს მუნ დაჰყო ორივე ყიფჩაღმა, ისევე ამოაგელვეს ცხენები თავაღმართზე, ახლა შორტაის მიეჭრნენ ცხენდაცხენ და გაცილებით უფრო თავაზიანი კილოთი უთხრეს მას:

„შენ გადაეცი, ბიჭო, იმ თეთრწვერა ბატონს, შემოგითვალა-თქო ჩვენმა პატრონმა, ულუსამ: თუ მართლაც მოციქულნი ხართ და სამოყვროდ მოსულხართ, გვამცნე: სპაი თუ გახლავთ-თქო თან, და ძღვენი თუ მოგაქვთ-თქო, ყიფჩაღთა უმთავრესის კარზე?“

გვარამ ერისთავმა უბრძანა შორტაის:

„უწინრეს ყოვლისა, ჰკითხე მაგ ჭაბუკებს: ვინა ბრძანდება-თქო, ეგ თქვენი პატრონი?“

პასუხი ამცნეს:

ულუსა ათასისთავთა წინამდგომიაო და მეკარვეთუხუცესი ყიფჩაღთა უმთავრესისა.

„მოახსენე ულუსას, კვლავად შორტაის მიმართა გვარამმა: ათასის თავთა წინამდგომსა და მეკარვეთა უხუცესს ყიფჩაღთა უმთავრესისას: მოყვრად ვართ-თქო მოსულნი და არა სამტროდ: სპაი არ გვახლავს-თქო, ძღვენიც მოგვაქვს-თქო.“

ისევ მიუბრუნდნენ მხედრები შორტაის, ახლა უფრო თავაზიანად ჩააგონეს რაღაც, და გაემართნენ პირველ ფორნისკენ, რომელიც უკვე შეაყენეს შეღმართს მომდგარი.

ბოლოს კვლავ გამობრუნდნენ გვარამ ერისთავთან, მის ცხენის გასწვრივ შესდგნენ და თავის ქნევით ამცნეს: გაწვიათო ათასისთავთა წინამდგომმა, ულუსამ.

სამ ერისთავს სერაპიონ ეპისკოპოზი, სამი ჩუხჩი და შორტაი ეახლნენ. გვარამ ერისთავმა დასძრა ცხენი და ესენიც ჭენებით გაემართნენ პირველ ფორნისკენ.

ეს ფორანი ისეთი უზარმაზარი იყო, უფრო მოძრავთ სახლს მიაგავდა ექვს ბორბალზე შემდგარს, ვიდრე ფორანს. ქონით გაბიდნულ ქეჩებით გადახურულს ბარე ათი წყვილი ცხენი ჰყავდა შებმული.

როცა ფარდისებრ დაკიდული ქეჩა აჰხადეს უკანა მხარეს, გვარამ ერისთავის წინაშე ასეთი სანახაობა წარსდგა:

ნოხებითა და ბალიშებით მოფენილ ფორანში თხემიდან ტერფამდის შეჭურვილ, თორ-მუზარადიან ვაჟკაცებს შორის, წითელი ხავერდის უზარმაზარ ბალიშზე იჯდა თავმსხვილა, ღაწვმაღალი დევკაცი, რომელსაც შავი, მრგვალი ქუდი ეხურა წავისა, ამ ქუდის წოწოლა ზეთავი წითელი შიბებითა და სირაქლემას ფრთებით იყო შემკული.

ეს წავის ქუდი ჩამოფხატული ჰქონდა წავისებრ შავ წარბებამდის.

ხარისებრი, დიდრონი თვალები უნდობლად მოლუშული მიაშტერა ულუსამ გვარამ ერისთავს და როცა ორიოდე ყიფჩაღური სიტყვა მისალმებისა ესროლა სტუმარს, შეტოკდა მის ორმაგ ნიკაპზე დაკიდული მეჩხერი, მტუტისფერი წვერი.

და უზომოდ გრძელი, შავი წამწამები დააფახულა.

სტუმრები შემოვიდნენ თუ არა ფორანში, ზეწამოიჭრნენ თორროსანი. ბრგე ვაჟკაცები, რომელთაც ყურის ბიბილოებზე ვეებერთელა საყურენი ეკიდათ თითბერისა.

როცა შორტაიმ თავის ენაზე ამცნო ულუსას: დავით მეფის მოციქულნი სალამს უძღვნიანო მეკარვეთა უხუცესს, ულუსამ ანაზდად გადაიწია მარჯვენა ხელით თავისი უზარმაზარი ქუდი კეფისაკენ და ახლა გამოჩნდა მისი გაოფლიანებული, ნაოჭებისაგან დაფარული შუბლი, რომელიც ჩაქყლეტილი იყო შიგ შუა გულში, ხოლო წარბებს ზემოდ ნახმლევები აჩნდა.

ქუდის ქუბიდან გამოუჩნდა მსუქანი ყურები, მამლის ბიბილოსებრ ღაჟღაჟა.

ჯორის ნალის ოდენა ოქროს საყურენი უმშვენებდნენ ყვრიმალებს მას.

ულუსას მხლებლებმა გაქონილი ქაშანური ჯამები დაურიგეს სტუმრებს, მერმე ჩამოატარეს ხატაური ფაიფურის სურა, რომელზედაც მაიმუნები და თუთიყუშები ეხატა და მორიგეობით ჩამოარიგეს კუმისი.

გვარამსა და მის მხლებლებს არ ოდეს ესვათ ცხენის რძე, მაგრამ თავაზისათვის თითო ყლუპი გასინჯეს, გვარამ ერისთავს ლამის იყო გული არ აერია, მაგრამ როგორც იქნა დაიოკა უსიამო გრძნობა და ისევ ძირს დასდგა ჯამი.

იგივე მხლებელნი, რომელნიც ცხენის რძეს უსხამდნენ სტუმრებს, ბურახს უმატებდნენ ულუსას და მისივე მოხუცი მხლებლის ჯამებში.

გვარამს სუნი ეცა არყისა, სჩანდა ბურახში არაყი იყო გარეული, ამას მოწმობდნენ მოხუცებულ ყიფჩაღთა შეწითლებული ღაწვის თავებიცა.

ულუსა მიუბრუნდა თარჯიმანს და გვარამ ერისთავისკენ უჩვენა თითით:

„ჰკითხე ამ უფალს: მზე თუ ყოველ დღე ამოდის ხოლმე მათ ქვეყანაში?“

ყოველ დღეო.

მიუგეს.

მთვარე თუ ბნელდებაო ოდესმე?

ბნელდებაო ჟამიდან ჟამზე.

მეფე რამდენი ჰყავთო?

ორიო.

ღმერთიო?

ერთიო, სამება და ერთარსებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარამმა და მისმა მხლებლებმა შენიშნეს, აქ ოდნავ დაიბნა შორტაი, ხან ერთს უჩვენებდა თითით, ხანაც სამს.

ულუსამ გაიცინა, თავისი ჩაშავებული ღოჯები გამოაჩინა და მიმართა თარჯიმანს კვლავ:

„შენ აგრე უთხარი ვაჟო იმ უფალს: მე კარგად ვერ გავიგე-თქო, შენი ნათქვამი, თუ თქვენ სამი ღმერთი გყავთ მართლა, იგი ერთი როგორღა იქნებათქო?“

სერაპიონ ეპისკოპოზი დიდად განსწავლული იყო ღვთის მეტყველების საქმეში, იგი ტაო-კლარჯეთში ხშირად ეპაექრებოდა სომეხ სამღვდელოთა ამგვარ საკითხთა გამო, ამგვარი „მკვრეხელობა“ რა შემოესმა, თავი გამოიდო, აღელვებულმა ზეწამოიწია და ეუბნება შორტაის:

„ჩვენ სამი ღმერთი როდი გვყავს, არამედ ერთი, მაგრამ სამპიროვანი. ხომ გესმის ვაჟო, კარგად გადაუთარგმნე იცოდე“.

შორტაი თავისას არ იშლიდა, ხან ერთ თითს უჩვენებდა ულუსას, ხან სამს.

ულუსა გესლიანად იღიმებოდა და თავს აქნევდა უკმაყოფილოდ.

ეპისკოპოზი არა სცხრებოდა, უქადაგებდა შორტაის თუ როგორ გაეგოთ ყიფჩაღებს ცნება სამებისა და ერთარსებისა, მამისა, ძისა და სული წმიდის სახით განპიროვნებული.

შორტაის არც ბერძნულის ცოდნა უწყობდა ხელს, არც გონების ძალა, მაგრამ ეპისკოპოზი არა სცხრებოდა.

ამ ზედმეტი განმარტებისაგან უარესად დაიბნა როგორც თარჯიმანი, ისე ულუსა.

„აგრე გამოდის, თქვენ ღმერთს შვილი ჰყოლია, ალბათ ცოლიც ეყოლებოდა, არა?“

იკითხა მეკარვეთუხუცესმა.

არ ჰყოლიაო ცოლი.

იუარა სერაპიონმა.

ისევ გაიღიმა ულუსამ და ეს ათქმევინა თარჯიმანს:

„ეს პირველად მესმის, უცოლოდ შვილი რომ ჰყოლოდეს ვინმეს.“

გვარამ ერისთავი ჰხედავდა, მამა სერაპიონი საღამომდის იდავებდა ამ ამბების გამო, ამიტომაც თავაზიანად უთხრა ეპისკოპოზს:

„ახლა ეს აკმარე შენო მეუფეებავ მაგ შლეგს, ნუ დაშვრები ამაოდ ამას ყოველივეს ყიფჩაღის ჭკუა ვეღარ მისწვდება.“

სერაპიონი ახალ შეტევებს აპირებდა ამ მიმართულებით, მაგრამ როცა გვარამ ერისთავის საკმაოდ მტკიცე წინააღმდეგობას გადააწყდა ამ ვაგლახად დაბურდულ საკითხში, ქადაგების ეშხი შეუნელდა, დადუმდა ანაზდად.

მაინც არა სცხრებოდა ულუსა.

ჯერ ერთი თითი უჩვენა ეპისკოპოზს, მერმე სამი.

„მაშ აგრე გამოდის, თქვენს ქვეყანაში ერთს სამად ითვლიან არა?“

სერაპიონს ბრაზი წაეკიდა გულზე, ჯერ გვარამს გადაჰხედა, მერმე ისევ დაუწყო ჩიჩინი შორტაის. თარჯიმანიც თავის მხრით ბევრს ეყაყანა ულუსას, მაგრამ ეს საკითხი გაურკვეველი დარჩა ორთაეესათვის.

ბოლოს ულუსამ ისევ ჩამოიფხატა წვის ქუდი თავის დაფანჩულ, შავ წარბებზე და სთქვა:

„მე მაინც ვერ გამაგებინეთ თქვენი ღმერთის ამბავი. თუ იგი მართლაც ერთია, სამი როგორღა იქნება?

ხოლო თუ სამია, როგორ უნდა გახდეს ერთი?

ეს ვერ გამიგია და ვგონებ ვერც ვერავინ გაიგებს ამას.

ამის გამო მე ბევრი ვეპაექრე თქვენს მოციქულს, ბერს ტუბტაის შარაღანში, ვერც მან გამაგებინა, თუ რად ითვლით თქვენ სამს ერთად!?

ვგონებ ბერძნები და რუსებიც აგრე ფიქრობენ, რომ ერთი ცხენი შეიძლება სამად მივიჩნიოთ, ან სამი ოქრო ერთად?!"

მცირე ხანს სდუმდა ულუსა და ისევ მიუბრუნდა შორტაის:

..."მერე, ეგეც უთხარი, ვაჟო, შენ მაგათ, ჩვენ ბევრზე ბევრი ღმერთი გვყავს, ბევრზე ბევრი ცხვარი, ამდენივე ცხენები და ცოლები.

თუ ყველაფერი ბევრია კარგი, რატომ უნდა გვყავდეს ერთი, ან თუ გინდ სამი ღმერთი?

მხოლოდ გლახაკსა ჰყავს ერთი ცხენი, ერთი ცხვარი და ერთი ცოლი. ყველაფერი ბევრი უნდა ჰყავდეს კაცს."

თითქმის ყვირილით ამბობდა ბურახისაგან ღაწვისთავებ შეწითლებული ულუსა.

ბევრი იდავა სერაპიონმა, ამაოდ უმტკიცებდა მას, რომ ღმერთი სხვაა და ცხენი, ან ცხვარი სულ სხვა, მაგრამ ეს ამბები უარესად დაიბურდა ულუსას წარმოდგენაში.

ბოლოს მან უკმაყოფილოდ ჩააქნია ხელი.

„კარგი, რაც არის, არის..."

და კვლავ განაგრძო თარჯიმანის პირით დაკითხვა:

მკვდარს საითკენ უდებთო დამარხვისას თავს?

ცხენს თუ სჭედავთო ნალით?

მათრახს ხმარობთო, თუ დეზს?

ჯაჭვი რკინისა გაქვთო, თუ ფოლადის?

ფარს რისგან აკეთებთო: რკინისაგან, ხისაგან, თუ ვიგრის ტყავისაგან?

დიაცი რა მხარეზე გიზიოთო ფორანში?

იტაცებთო თუ ყიდულობთო დიაცს?

ბოლოს გვარამ ერისთავს მიუბრუნდა:

რა ძღვენი მოგაქვთო ყიფჩაღთა უმთავრესთან?

როცა შორტაიმ ჩამოუთვალა: ნახევები, დორები, შალისა [illegible] გორგალები, ბეწვეული — მაიმუნისა, წავის, დაწინწკლული ბეწვეული მელისა, სხვანი და სხვანი, მან ისევ კეფისაკენ გადაიწია წავის ქუდი, ოფლი მოიწმინდა და სთქვა:

„კარგია მაიმუნის ბეწვეული, თქვენი ქვეყანა ალბათ ახლოსაა ხატაეთთან. მეც ძლიერ მიყვარს მაიმუნის ბეწვეული."

გვარამ ერისთავმა შორტაის პირით შეუთვალა სევასტის: ძღვენი მიართვიო ულუსას.

როცა სევასტიმ და შორტაიმ შემოიტანეს მაიმუნის, მელის, კვერნისა და წავის ბეწვეული, ჩაშავებულ თვალებში სინათლე ჩაუდგა ულუსას.

ბრძანა: ბურახი და ცხვრის აპოხტი მიერთმიათ სტუმრისათვის.

როცა პურობა მოთავდა, შორტაის მიუბრუნდა ულუსა:

„შენ გესმის, ვაჟო, ამცნე ჩვენს სტუმრებს: მე ორ ცხენოსანს გავატან შარაღანს მათ, რათა გზაში არავინ გაგვიძარცვონ მეფეთა მოციქულნი, იგიც არ დაგავიწყდეს, უთხარი: მე რუსებს ანგარიშებს გავუსწორებ, და მალე ჩამოვალ-თქო შარაღანს."

როცა გვარამი და მისი ამალა შარაღანისკენ მიმავალ გზას დაადგნენ კვლავ, თუმცა თემშარაზე უსაშველო ბუღი დაეყენებინათ ყიფჩაღ ცხენოსნებს, ცხენთა რემებსა და ხვასტაგს, გვარამ ერისთავი თვალს არ აცილებდა უწესრიგოდ მიმავალ ყიფჩაღებს.

მაღალი, ტანსრული ვაჟკაცები მოაჯირითებდნენ ნასუქალ ბედაურებს. დამშვიდდა გვარამი, რომ თითქმის არც ერთი არა ჰგავდა ბედშავ შორტაის. შორტაი სევასტის ჩამოცილებოდა, ჯორზე დაყუნცული შუაში ჩასდგომოდა ულუსას მიერ გამოყოფილ ორ ყიფჩაღს და მხიარულად

ეჯაჯღანებოდა მათ ყიფჩაღურად გზადაგზა.

ბეჭისციხის პატრონი მიუბრუნდა მის გვერდით მიმავალ ერისთავებს:

„ხანდახან უხეირო ადამიანიც წაადგება ხოლმე კაცს. ჩვენი ბედი, ის ბერძენი პოპონდოპულოს სტუმართმოყვარე კაცი არ აღმოჩნდა, თორემ მე ისე დაქანცული ვიყავი, სიამოვნებით დავისვენებდი ფაქტორიაში ბარე ორ დღეს, ამასობაში ულუსას ავცდებოდით და ძლიერ მისჭირდებოდა შარაღანს ჩასვლა.“

დაუცხრომლად მიდიოდნენ ყიფჩაღი ცხენოსნები დასავლეთისაკენ, მათ უკან მიჰყვებოდნენ დიაცებით, სურსათით დატვირთული საბარგულები და ფორნები, ახლა ცხენთა რემანი, ხვასტაგი და ცხვრის ფარები შეატბორებდნენ გზას, ისევ მიდიოდნენ ცხენოსნები და კარვებით დატვირთული ჯორები, ასე გაჭედილი იყო გზა, ცარგვალის მიჯნამდის, სანამდისაც თვალი წვდებოდა ტრამალს, თვალსაწიერის კიდემდის გაჭიმულს.

. . . . . .

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარლამ ჟურული

ჩვენი ქვეყანა

★

შენ მზიური საქართველო გქვიან
    სიტურფის და სილამაზის მამულო!
აყვავდი და დღეს წალკოტად გთვლიან
წინაპართა სისხლით მკერდდანამულო.

ყვავ-ყორნები გესეოდნენ მარად,
ხმალს წამითაც არ აგებდი ქარქაშში.
ვაჟკაცობა გქონდა მტკიცე ფარად,
გიხდებოდა მუზარადის კაშკაში.

მწარედ გახსოვს, დაივიწყებ განა,
როგორ დასწვეს ბანა, ოშკი, ხახული!
იქ მარტოკა ნანგრევები დგანან,
ყრუდ გოდებენ ქვები ხანძარნახული.

მტერს მოჰქონდა აოხრება, ცრემლი,
ომს ებრძოდი, შენ მშვიდობა გინდოდა.
ვიდრე ვარსკვლავს აგინთებდა კრემლი,
ობლად იყავ, დღე ტკივილში ვიდოდა.

დრომ განკურნა დაკორტნილი გული,
შეგისრულდა რაც ინდომე, რაც გსურდა.
ხარობს ნერგი ჯუღაშვილის რგული,
ამირანის ბედშავობა დასრულდა.

მტკვარს ლიახვი ისევ ერთვის,
ზღვისკენ ჩქარობს კვლავ რიონი,
საქართველოს ციდან ეტრფის
ვარდისფერი დაფიონი.

მინდვრად ბუჩქი შერხეულა,
შეჩურჩულებს ახლა ნიავს:
— სხვა წყალია მერხეულა,
ხიყვარული გულთან მიაქვს!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ო, მამულო, ჩვენი მზე ხარ,
უფრო კარგი მზე სად არი!
ყვავილების ბაღში წევხარ
ყველა ნატვრის შესადარი.

გულს რა უნდა იმის მეტი,
რაც სამშობლოს აბადია!
დგას მყინვარის თეთრი სვეტი,
ნისლი მისი ნაბადია.

საქართველოვ, ძილშიც გხედავ:
ცისკრის შუქით იფერები.
ბულბულის ხმა მქონდეს ნეტავ,
გითხრა გმირთა სიმღერები.

შენ ბერიას შემოქმედმა ხელმა
საბჭოეთის მარგალიტად გაქცია.
დე, ადიდოს ათასობით წელმა,
ვინც სამშობლოს დროშა მაღლა ასწია.

აღსდექ, როგორც ნამეხარი მუხა,
ჯავშნად გმოსავს რუსთაველური ფოლადი.
შენი წყალნი კაშხალებში ჰქუხან,
ზურმუხტი ხარ მწვერვალების თოვლამდი.

როს გოლიათ კავკასიის კლდე-კარს
აწყდებოდნენ მტაცებლები უნდო,
შენ საჯიხვე ჭიუხებიც შეჰკარ,
სწრაფ შემუსრე ბარბაროსთა ურდო.

წინ მიდიხარ დიდ იმედთან ერთად,
გზას გინათებს გამარჯვების გენია.
სძლევს სიმართლე ვერაგობას მტერთა,
მტრის სიკვდილი ხალხის განაჩენია.

ხარ მუდმივი გაზაფხულის ბურჯი,
აყვავდი და შრომით გაგიხარია.
ვის ეყოფა დასახატად ფუნჯი!
საქართველო შთაგონების მხარეა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ქუთათელი

მთაწმინდაზე *

★

„წითელი არმიის უმნიშვნელოვანეს გამარჯვებათა უშუალო სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო სტალინი. ყველგან, სადაც კი ფრონტებზე რევოლუციის ბედი სწყდებოდა, პარტია აგზავნიდა სტალინს. ყველგან სტალინის რკინისებური ნებისყოფა და სტრატეგიული გენია უზრუნველყოფდა რევოლუციის გამარჯვებას".

(ი. ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფიიდან).

1

მთაწმინდის ძირას, ორსართულიან პატარა სახლში მარო ფრუიძე ცხოვრობდა.

შუაღამე გადასულიყო და ოცდაორი წლის ლამაზი და შავგვრემანი ქალი—მარო, თეთრეულით, სანემსე პატარა ბალიშებითა და ფერადი ძაფების მორგვებით სავსე მაგიდასთან იჯდა და, ნავთის ლამპის შუქზე, წარმტაც ნახატებს ჰქარგავდა და აგვირისტებდა.

მამა ადრე გარდაცვლოდა მაროს, როდესაც იგი სამი წლისა იყო. მის დედას—ქვრივსა და ღატაკ ქალს—აღათის, მაროს გარდა, ორი ვაჟი ჰყავდა—მიხა და ბიჭია. მიხა კორნელის უფროსი ძმის—დოსტაქრის ევგენის ტოლი იყო ჰასაკით. აღათი მიხას და ევგენის ძუძუს აწოვებდა. სამი წლის მარო ევგენის მოენათლა. ევგენის გამდელის—აღათის შვილი—მარო რვა წლისა იქნებოდა მაშინ, როდესაც იგი ევგენის და კორნელის დედამ წაიყვანა, აღზარდა და მერმე ჭრაკერვისა და ქარგვის სკოლა დაამთავრებინა. მარო და კორნელი თითქმის ტოლები იყვნენ და კარისმერეთში დაძმასავით დაიზარდნენ. ახლა მარო თბილისის ერთ-ერთ არტელში მუშაობდა მქარგავად. მისი უფროსი ძმები, ჭიათურის მაღაროს მუშები—მიხა და ბიჭია, ბოლშევიკები იყვნენ და მაროც მათ კვალს გაჰყვა და პარტიაში შევიდა.

მაროს პატარა სკამზე დაეწყო ფეხები. მუხლებზე კოფთა დაედო და გულისპირს ჰქარგავდა. სკამზე გასული ჭრელი კატა—ნაცარა უკანა ფეხებზე ამდგარიყო; წინა ფეხები მაროს მუხლებზე შეეწყო და ქალს სახეში შესცქეროდა. კატა თვალებს ნაბავდა, თითქო მაროს ეხვეწებოდა: კალთაში ჩაგიწვებიო. მაგრამ მარო ყურადღებას არ აქცევდა. კატა ისევ განაბული შესცქეროდა—ნიშანს ელოდა, მაროს კალთაში უმალვე რომ ჩახტომოდა და ზედ დაგორგლებულს უცნაური ზღაპარი ეამბნა და კრუტუნით დასძინებოდა. კატა გათამამდა. ფეხი მაღლა ასწია, წინ კოხტად და ნაზად გაიშვირა და მუშაობით დაღლილ ქალს თათი ლოყაზე მოუთათუნა, თითქოს ეფერებოდა და ისევ ეხვეწებოდა: გეყოფა ამდენი შრომა, თავი გაანებე ხელსაქმეს —მოდი, ახლა ერ-

* თავი რომანიდან: „პირისპირ".

თად დავწვეთ, და დავიძინოთო. მაროს გაეღიმა და მუდარით უთხრა: ნაცარა, ხვალ დილისათვის სამუშაო უნდა მოვასწრო, დამეხსენ, სათამაშოდ არ მცალიაო. მერმე საათს დახედა და გაუკვირდა—რა დიდი დრო გასულა, მუშაობაში არც კი შემიმჩნევიაო.

ღამის ორი საათი იყო.

უცბად, ქუჩაში გასასვლელი კარები ვიღამაც გააღო და კიბეზე ამოვიდა. მარომ იმ კაცის ნაბიჯები იცნო. სამუშაო კალთაში ჩაბღუჯა, თავი ასწია და გაირინდა. მაროს ოთახი კიბის თავში იყო მოთავსებული. წინ, ეზოსკენ—გრძელი აივანი ჰქონდა. აივანზე გასასვლელი მინაჩასმული კარი და ფარდიანი ორივე ფანჯარა ღია იყო. უცნობი კიბეზე ამოვიდა, ღია ფანჯარას მოადგა, თავი ასწია და ფარდის ზემოთ, ოთახში შეიხედა.

მარომ ხელსაქნარი მაგიდაზე დაადო და შეეგება.

მკრთალი შუქით განათებულ ოთახში ჯმუხი ვაუკაცის კბილებმა თეთრად გაიელვეს. იგი მაროს ძმა—მიხა ფრუიძე იყო.

მიხამ კეპი გაისწორა, დას თვალებში ჩაჰხედა და უთხრა:

— მე მარტო არა ვარ. ამხანაგები მახლავს. ლამპა ჩააქრე, თორემ შუქი აივანზე გადის. მენშევიკების აგენტებმა ჩვენ კვალს მიაგნეს. სამჯერ დაესხნენ თავს ჩვენ საიდუმლო ბინებს, მაგრამ სამჯერვე შინ არ აღმოვჩნდით. ახლა აქ უნდა გავათიოთ ღამე.

— ამოიყვანე ამხანაგები, — მიუგო მარომ და, როდესაც ძმა კიბეზე ჩავიდა, ზინგერის საკერავ მანქანას დასწვდა და ფანჯრის მოაჯირზე შემოსდო. მაგიდიდან თეთრეული, ხელსაქნარი, ძაფები, თარგები და ჯავაირჩული ქსოვილები აიღო და სუფთად გაწყობილ საწოლზე დაალაგა. მაგიდა გადაწმინდა. ირგვლივ სკამები დადგა და მერმე ლამპა ჩააქრო.

ბნელი ღამე იყო. მარო კარებთან გაჩერდა. თმა გაისწორა [illegible] ცემით ელოდა ძმის [illegible] ასვლას. ფეხებზე კატა ეხახუნებოდა და მძაფრ სიჩუმეში კრუტუნებდა. ბოლოს ქუჩაში გასასვლელი კარი ფრთხილად გაიღო და კიბეზე მიხა და მისი ამხანაგები ამოვიდნენ. მაროს ოთახი აივნის თავში იყო. ასე რომ კიბეზე ამოსულს, უმალვე შეეძლო მის ოთახში შესვლა. მიხა ფრუიძე და მისი ამხანაგები ოთახში ჩუმად და ფეხაკრეფით შეეიდნენ. მიხამ ფანჯრები და კარი მიხურა და დას უთხრა:

— მარო, ეს ნიკო გოცირიძეა. აგერ ამას თუ იცნობ?

— ამ ღამეში როგორ უნდა მიცნოს!—განაცხადა ვიღამაც.

— უი, ვანო,—ჩუმი, დახშული ხმით დაიძახა მარომ და ვანო მახათაძეს და ნიკო გოცირიძესაც ხელი ჩამოართვა.

— ალბათ ამასაც ვერ იცნობ!—ისევ უთხრა ძმამ.

— ამ ღამეში მეც ვერ მიცნობს მარო, — ვანოსაებრ განაცხადა მესამე კაცმა.

— ჩემო გალაქტიონ,—ისევ ჩუმად დაიძახა მარომ და ახლა გალაქტიონ გელაშვილიც გადაჰკოცნა.—შენ როდის ჩამოდი რუსეთიდან?

— სამი დღე იქნება.

— რა ამბავია ჩრდილო კავკასიაში?

— ჩრდილო კავკასიაში, იმ ძალლთაპირებმა, თეთრებმა გაიმარჯვეს. დენიკინის ლაშქრის შემოჭრის საშიშროება ახლა ამიერ კავკასიასაც ემუქრება. ჯერჯერობით დენიკინი წითელ ჯარს ავიწროებს და მოსკოვისაკენ მიიწევს.

— მერმე ჩვენ რა გზას უნდა დავადგეთ? — შეშფოთებით ჰკითხა მარომ ვანოს.

— აი, სწორედ ამიტომ ბრუნდებიან რუსეთიდან თბილისში ამიერ კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრები, შეგნებული და მებრძოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკები, სადღეისო ჩვენი ლოზუნგია: „მთელი ძალები — დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად“, — მიუგო ვანომ.

— მენშევიკებმა ეს ლოზუნგი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგად გადააკეთეს. ისინი მთელის ძალებით გვებრძვიან ახლა ჩვენ. აპატიმრებენ ჩვენი პარტიის წევრებს, და, ციხეში მიყვანამდე, გზაში ხვრეტენ. მერმე აცხადებენ—საპატიმროში მიჰყავდათ გუშაგებს გაექცნენ და იმიტომ დაჰხოცესო. საშინელი ამბები ხდება ახლა თბილისში და მთელ საქართველოში,—უთხრა მარომ ძმას და მის ამხანაგებს.

— ჩვენი პარტიის წევრების ხოცვა, ჩვენ მენშევიკების თეთრ ტერორად გამოვაცხადეთ. ტერორი გამოიწვევს ჩვენი მხრითაც სათანადო პასუხს,— შენიშნა ვანომ.

— სხვა გზა არ არის,—დაუდასტურეს ნიკო გოცირიძემ, მიხა ფრუიძემ და გალაქტიონ გელაშვილმა.

— ფრთხილად იყავით, ამხანაგებო: ვაი, თუ საქართველოში თქვენ დაგაპატიმრონ,—უთხრა მათ მარომ.

— ლიტრას ეუბნებოდნენ და კოკავ შენ გაიგონეო; განა დაპატიმრებისაგან შენ დაზღვეული ხარ?—შენიშნა ძმამ.

— ჩუმად ილაპარაკეთ, — უთხრა მიხას და მაროს ვანომ,—მეზობლები გაიგონებენ.—მერმე პატარა ოთახს მოავლო თვალი და იკითხა:—გვერდზე ვინ ცხოვრობს?

— კალატოზი ნიკა ლაფერაშვილი,—მიუგო მარომ.

— ქვევით?

— მეჩექმე ფირუზ გალოიანი.

— კიბეზე რომ ამოვდიოდით, მგონი დაგვინახეს.

— მათი ნუ გეშინიათ, ჩვენები არიან.

— კიბეზე ამოსასვლელი კარები იკეტება?

— იკეტება.

— აივნიდან კიდევ სად გადიხართ?

— ეზოში.

— მერმე, ეზოდან?

— ალაყაფის კარებით წინ—ქუჩაში. ეზოს უკან კი—ხრამია და მერმე—მთაზე მიმავალი საცალფეხო გზა.

— ჩვენ იმ საცალფეხო გზით მოვედით ვერიდან. ღამით იწყება ჩვენი ცხოვრება... გარეგარე ვუვლით ქალაქს... მაგრამ დადგება დრო და თავისუფლების მზით განათებული ჩვენი ქვეყნის და მისი დედა ქალაქის ცხოვრების შუაგულში მოვექცევით. ხოლო მათ კი, ვინც ახლა ციხით და ტყვიით გვიმასპინძლდებიან, მზე დაუბნელდებათ და მათივე საკუთარ სამშობლოდან განიდევნებიან, როგორც ხალხის მტრები და რევოლუციის მოღალატენი. ახლა კი,—მიუბრუნდა ვანო მაროს:—სიფრთხილეს თავი არ ტკივა. კიბეზე ამოსასვლელი კარები დაკეტე და აივანზე დაჯექი. ეზოში თუ ვინმე შეამჩნიო, გვაცნობე. ეზოდან თუ მოგვეპარნენ, წინა კარებს გამოვიყენებთ. ხოლო წინაკარებიდან თუ მოგვეპარნენ ეზოში გავალთ. ორივე მხრიდან თუ მოგვეპარნენ და თავს დაგვესხნენ... მაშინ კი არ ვიცი, როგორ მოვიქცეთ, — დაიბნა ვანო. — ტყვია თუ გვიშველის.

— მაშინ კალატოზს ნიკა ლაფერაშვილს გავაღვიძებ და მისი ფანჯრიდან მეზობლის სახლის ეზოში აღმოჩნდებით. იქიდან კი—თონეთის ქუჩაზე გახვალთ და მერმე მთის ბილიკებს დაადგებით,—მიეშველა მარო.

— კეთილი, მაშ ქუჩის კარები დაკეტე და აივანზე დაჯექი,—დაავალა ვანომ.

— არის,—ჯარისკაცსაებრ მიუგო მარომ, იგი ჯანმრთელი, გულადი, ამაყი და უშიშარი ქალი იყო.

2

ოთახში კაცები დარჩნენ. მაგიდის ირგვლივ დასხდნენ და საუბარი განაგრძეს. ახლა თვალი შეეჩვია სიბნელეს და მოსაუბრენი ნათლად ხედავდნენ ერთმანეთს. არც თუ ისე ბნელოდა. ცას ღრუბლები გადაეყარა და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მოსჩანდა. მარომ ქუჩის კარები დაკეტა, ოთახში შევიდა, ძმას და მის ამხანაგებს იატაკზე ორი ლოგინი გაუშალა და მერმე აივანზე გამოვიდა, მოაჯირთან დაჯდა და სმენად იქცა. ოთხი ვაჟკაცი თავშექცეული დაწვა ორ ლოგინზე. ასე რამდენიმე ღამე მოდიოდნენ ისინი მაროსთან ღამის გასათევად.

ერთხელ, ღამით მარო ისევ აივანზე იჯდა, მისი სტუმრები კი ოთახში საუბრობდნენ. ვანო რუსეთში, შექმნილ მდგომარეობას აშუქებდა:

— ამხანაგებო, მდგომარეობა რუსეთში მეტად სახიფათოა, — დაიწყო მან.—მოხალისეთა ლაშქარი, შეუჩერებლივ მოსკოვისაკენ მიიწევს, რათა საბჭოთა წყობილება დაამხოს და ნაცვლად ამისა სამხედრო დიქტატურა გამოაცხადოს და ძველი წყობილება აღადგინოს. საქმე ის არის, რომ დენიკინი საბჭოთა რუსეთს ვერას დააკლებს, მის ზურგს უკან მთელი ქვეყნის კაპიტალისტური სახელმწიფოები— ინგლისი, ამერიკა, გერმანია, საფრანგეთი, იტალია და იაპონია რომ არ იდგნენ. ბოლშევიზმის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობა“ მათ მოაწყვეს. ბოლშევიზმის წინააღმდეგ მომართული ჯვაროსნული ლაშქრობის პოლიტიკური სარჩული მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის მიზნით არის მოჭორილი იმპერიალისტების მიერ, რათა თავიანთ მტაცებლურ, იმპერიალისტურ ზრახვებს უფრო მოხერხებულად მიაღწიონ. ისინი იმიტომ უტევენ საბჭოთა რუსეთს ყველა მხრით: ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით, რომ ხელთ იგდონ ჩრდილო რუსეთის ტყე, დონის ნახშირი, ციმბირის ოქრო და კავკასიის ნავთი. ინგლისის ფარული გეგმის მიხედვით ამიერ კავკასიის ფედერაცია უნდა შეიქმნეს, რუსეთსა და ინდოეთს შორის რომ ჯებირი აღიმართოს და ახლო აღმოსავლეთის ნავთის რაიონებში ინგლისელთა შეუვალი ბატონობა შესაძლებელი გახდეს. იაპონელთა გეგმას ციმბირის დაპყრობა და მისი კოლონიზაცია შეადგენს. ფრანგების გეგმა დონის აუზზე და შავი ზღვის ნაპირებზე კონტროლის დაწესებას შეიცავს. ხოლო შორს გამიზნული გერმანელების გეგმის მიხედვით გერმანია ბალტიის ზღვისპირა ქვეყნებს და უკრაინას უნდა დაეპატრონოს. ამ გეგმის განსახორციელებლად ისინი, უმთავრესად, დენიკინის მოხალისეთა არმიას ეყრდნობიან. გარდა ამისა, რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალ ქვეყნებს ეფემერულ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას ჰპირდებიან და მათაც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გაჩაღებულ ჯვაროსნულ ლაშქრობაში აბამენ. მათი მოთხოვნის თანახმად დენიკინსა და ქართველ მენშევიკებს შორისაც კავშირი დამყარდა. მენშევიკებმა და დენიკინმა უკვე საერთო ენა გამონახეს. მენშევიკები დენიკინის ლაშქარს ნავთს, ქვანახშირს, სამომარ მასალას, იარაღს და ტანისამოსს აწვდიან, მთელ რუსეთიდან გამოქცეულ და ამიერ კავკასიასა და საქართველოში მოკალათებულ თეთრგვარდიელ რუს ოფიცრებს უგზავნიან. რევოლუციის მოღალატე მენშევიკები იქნამდეც კი მივიდნენ, რომ დენიკინს არწმუნებენ: თქვენი ზურგისათვის, ე. ი. ამიერ კავკასიისა და საქართველოსათვის ნუ ზრუნავთ და დარწმუნებული

ბრძანდებოდეთ, რომ აქედან თქვენ არავითარი საფრთხე არ მოგელითო. შეგიძლიათ, სრულიად უშიშრად, ჩვენი ფრონტიდან უკანასკნელი ჯარისკაციც კი მოხსნათ და საბჭოთა რუსეთის ჯარის წინააღმდეგ გაგზავნოთო. საბედნიეროდ დენიკინის მოხალისეთა არმიაში ჯარისკაცებს, დახვრეტის მუმუქარით ერეკებიან და არავინ თავისი ნებით და ხალისით იმ არმიაში არ მიდის და არ ეწერება. დღეს რუსი და ჩვენი—ქართველი ჯარისკაციც ამბობს: როდესაც მიწა გლეხს, ქარხნები მუშებს, ხოლო ხელისუფლება კი—საბჭოებს მიეცემა, მაშინ ნახეთ ჩვენი თავგანწირული ბრძოლაო. ინტერვენცია და სამხედრო დიქტატურა ახლა რუსეთში ვერ გაიმარჯვებს. სულ მალე, დროებით გამარჯვებულ და მოსკოვისაკენ მიმავალ დენიკინის ლაშქარს ვეება რუსეთის რევოლუციური უამრავი სოფელი და ქალაქი წინ გადაეღობება. ჩვენი ვალია: ხელი შევუწყოთ და მივეშველოთ კონტრრევოლუციასთან მებრძოლ იმ სოფლების და ქალაქების მუშებსა და გლეხებს, ზურგში მახვილი უნდა ჩავცეთ მოსკოვისაკენ მიმავალ თეთრგვარდიელთა ლაშქარს. მართალია, ქართველ მენშევიკებსა და დენიკინს შორის ხიდი გაიდო, მაგრამ ჩვენ უნდა ჩავტეხოთ ის ხიდი. ამას წინათ, ბათუმში მუშა გუბელის ხელმძღვანელობით აფეთქებულ იქნა გემი „ვოზროჟდენიე", რომელსაც ბათუმის ნავსადგურიდან დენიკინის არმიისათვის ტანისამოსი, იარაღი და სამხედრო მასალა მიჰქონდა. იმავე გუბელმა მოაწყო აგრეთვე ბათუმის ციხე-სიმაგრის ყოფილი კომენდანტის, დენიკინის მეგობრის, შავრაზმელი გენერლის ლიახოვის მოკვლა. ლიახოვი დენიკინის არმიისათვის რუს ოფიცრებს აგროვებდა და კავშირი ჰქონდა ბათუმის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებთან. ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით მდინარე კიტრიშზე დიდი ხიდი იქნა აგრეთვე აფეთქებული, რომელიც [illegible] ნავთისა და ოფიცრების [illegible] გადაზიდვისათვის ხელი შეეშალა. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი როდია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ნოემბერს დანიშნულ აჯანყებისათვის ჩვენ ყოველმხრივ უნდა მოვემზადოთ.

კიდევ დიდხანს ილაპარაკა ვანომ და ფიქრში წასულმა ნიკო გოცირიძემ მოულოდნელად შენიშნა:

— ლიახოვის მოკვლაზე უფრო დიდი საქმე იქნება, გენერალ ბარათოვს თუ თავიდან მოვიშორებთ.

— იგი ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, მართლაც დიდად საზიანო საქმეს აკეთებს,—დაეთანხმა ვანო.

ამ დროს ქუჩიდან ჩუმი და უცნაური სტვენა ზედიზედ გაისმა. ყველა გაინაბა.

— ის არის,—თქვა მიხამ.

— ვინ?—ჰკითხა ნიკომ.

— მუშა, არკადი ელბაქიძე,—მიუგო მიხამ.

— წადი მოიყვანე,—უთხრა მიხას ვანომ.

მიხამ არკადი მოიყვანა. მარომ ერთი შეხედა მკვრივსა და ქერა ვაჟკაცს, რომელსაც წარბები მრისხანედ შეეკრა, თითქო ბუღა სარქენლად ემზადებაო. ხელი ჩამოართვა და მერმე, როდესაც მიხა და არკადი ოთახში შევიდნენ, ისევ აივანზე დაჯდა და გაიფიქრა: „ჩემი ძმა და მისი ამხანაგები რაღაც დიდ საქმეს აწყობენო". მერმე რული მოეკიდა, მაგრამ სადარაჯოზე მყოფმა ქალმა ძილს დასძლია, ვარსკვლავებივით მოჭედილ ცას აჰხედა და კვლავ გაიფიქრა: „ცაში ნათელი ჩადგება თუ არა, ჩემი სტუმრები გზას გაუდგებიან. მე რვა საათამდე ვიძინებ... მერმე ნასადილევსაც ცოტას და მეყოფაო".

არკადი ოთახში შევიდა, ვანოს, ნიკოს და გალაქტიონს მიესალმა, მაგიდასთან დაჯდა და ამხანაგებს ჰკითხა:

— უშიშარ ადგილას ვართ, შეიძლება ლაპარაკი?

— თავისუფლად, — მიუგო ვანომ.

— დიდი დავალება მაქვს შესასრულებელი,—დაიწყო არკადიმ, — ერთი უშიშარი, მოხერხებული და კარგი მსროლელი კაცი მჭირია. ჯარში ნამსახური, გვარდიელის ან მილიციელის ტანისამოსი რომ შეიფეროს და ხამობა არ დაეტყოს.

ყველანი სულგანაბული უსმენდნენ მას.

— მასეთი კაცი გალაქტიონი არის,— უთხრა არკადის ვანომ.

3

გენერალი ბარათოვი თბილისში აგურის ქუჩაზე, მისთვის საგანგებოდ გამოყოფილ სახლში ცხოვრობდა. დენიკინის ელჩს თავისი შტატი ჰყავდა. მრჩეველნი და დიპლომატიურ კორპუსში მომუშავენი. ახლა იგი თავის სამუშაო ოთახში — კაბინეტში იჯდა და პირად მდივანს — წვერგაპარსულ, მადალსა და ბეჭებგანიერ, მწითურ ვაჟკაცს — პოლკოვნიკ კოვალევს დავალებებს აძლევდა. ბარათოვი ორმოცდაათი წლის, ბრგე და ჩასუქებული, შუატანის კაცი დღეს არაჩვეულებრივად მხიარული და აგზნებული იყო. იგი მოკლედ შეკრეჭილ, ჭაღარა შერეულ წვერ-ულვაშს ატარებდა. მეფის რუსეთის ჯარში სახელგანთქმულმა სარდალმა პირველი იმპერიალისტური ომის დროს თავისი ცხენოსანი არმიით სპარსეთიდან საზღაპრო რეიდი გააკეთა და ინგლისის მესოპოტამიის ჯარებს შეუერთდა. ბარათოვის არმიაში ქართველი გენერალი გაბაშვილიც შედიოდა და ამანაც, თავისი კორპუსით, თავი ისახელა. ომის დამთავრების შემდეგ, 1919 წლის გაზაფხულზე ბარათოვი სპარსეთიდან ინდოეთისა და სტამბოლის გზით დაბრუნდა თბილისში. [illegible] გენერალთან, მსგავსად [illegible] უამრავმა ხალხმა იწყო დენა: წინანდელმა ხელქვეითებმა, მასთან ნამსახურმა სამხედრო პირებმა, მეგობრებმა და ნაცნობებმა. იგი მეტად პოპულარული გენერალი იყო რუსეთის ჯარში და ამიტომ, თბილისში ყოფნის დროს, მას უამრავი რუსი ოფიცერი თხოვდა შუამავლის როლი ეკისრნა და მოესპო ის გაუგებრობა, რომელიც სამხრეთ რუსეთის მთავრობასა და საქართველოს შორის არსებობდა. ამ გაუგებრობას საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაშიც მცხოვრებ რუს მოქალაქეთათვის მძიმე შედეგები მოჰყვა. დენიკინის მოხალისეთა არმიის საქმე, რომლის ხელში მაშინ ჩრდილო კავკასია იმყოფებოდა, წარმატებით მიმდინარეობდა. იგი საბჭოთა რუსეთის ჯარს ავიწროებდა და თბილისში მყოფი, რუსეთის ყოველ კუთხიდან გამოდენილი და საქართველოში ჩამოსული რუსი ოფიცრები ჰღელავდნენ, რადგან მათ საშუალება არ ჰქონდათ დენიკინის არმიაში გამგზავრებულიყვნენ. ბარათოვმა იკისრა სამხრეთ რუსეთსა და საქართველოს შორის მშვიდობიანობის ჩამოგდება. საქართველოს მაშინდელი მთავრობა სიხარულით გამოეხმაურა ბარათოვის წინადადებას. ბარათოვმა დენიკინიც დაიყოლია საქართველოსთან მორიგებაზე და იგი, როგორც სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის წარმომადგენელი და ელჩი, ისევ ამიერ კავკასიაში დაბრუნდა, ხოლო მენშევიკური საქართველოს წარმომადგენელნი: მთავრობის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი და გენერალი აზიზაშვილი კი ყუბანის ოლქის მთავრობასთან და მოხალისეთა არმიის სარდლობასთან სათათბიროდ ჩრდილო კავკასიაში გაემგზავრნენ.

პირველი თათბირი უშედეგოდ დამთავრდა, რადგან გენერალმა დენიკინმა,

ალექსეევმა და მათმა დამქაშებმა მონარქისტებმა—შულგინმა და ვორობიოვმა არა მარტო სოჭის რაიონი, არამედ გაგრისა და მთლიანად მთელი აფხაზეთის რუსეთთან შეერთება მოითხოვეს. ბოლოს, ბარათოვის შუამავლობის წყალობით, მენშევიკებსა და დენიკინს შორის შეთანხმება მოხდა.

ბარათოვის მისია, არა მარტო საქართველოსთან, არამედ სომხეთთან და აზერბაიჯანთან კავშირის დადებით განისაზღვრებოდა. მისმა მისიამ შედეგი გამოიღო. საქართველოსა და მოხალისეთა არმიას შორის ბოლოს ურთიერთობა დამყარდა, საზღვრების საკითხიც მოწესრიგდა. სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობაც... დენიკინმა სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, უარი განაცხადა გაგრასა და აფხაზეთზე და მენშევიკებს პური შეჰპირდა. სამაგიეროდ მენშევიკებმა მოხალისეთა არმიის ზურგში მშვიდობიანობის დაცვის სრული გარანტია იკისრეს. მეტიც — ფრიად ენერგიული ზემოქმედება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზე, რათა მათ არ გაელაშქრათ მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. მენშევიკები დიდ სამსახურს უწევდნენ დენიკინის ლაშქარს საბჭოთა რუსეთთან მის ბრძოლაში. აწვდიდნენ ნავთს, იარაღს, საომარ მასალას და საქართველოში რუსეთიდან დევნილ უამრავ რუს ოფიცრებს უგზავნიდნენ.

კაბინეტში ადიუტანტი შემოვიდა და ბარათოვს მოახსენა: გენერალი ოდიშელიძე მობრძანდაო. ბარათოვის სახეზე სიამოვნების ღიმილმა გაირბინა და ადიუტანტს უთხრა: „სთხოვეთო“, მერმე პოლკოვნიკ კოვალევს მიუბრუნდა:

— გენერალი ოდიშელიძე ჩემი მეგობარია. მე და ოდიშელიძემ ერთად დავამთავრეთ სამხედრო აკადემია... მას ნუ ეხუმრებით. იგი ჭკვიანი ქართველია. რუსეთის ჯარში მან ცნობილი სტრატეგის და სამხედრო საქმის დიდად მცოდნე ოფიცრის სახელი მოიხვეჭა... იგი საქართველოში რომ არ ყოფილიყო და ჩემთან არ ემუშავა, საქართველოს რესპუბლიკისა და [illegible] მოხალისეთა არმიის შორის შეთანხმების მიღწევა მარტო მე გამიჭირდებოდა.

კაბინეტში ტანმორჩილი, ესეც მსუქანი, ჭაღარაშერეული წვერ-ულვაშიანი და ფერმკრთალი გენერალი ოდიშელიძე შემოვიდა... ბარათოვი მაშინვე ფეხზე წამოდგა, ოდიშელიძეს მიეგება, ორთავე ხელით მისი მარჯვენა ხელი დაიჭირა და სიცილით უთხრა:

— სწორედ შენ გელოდებოდი, ჩემო მეგობარო, დაბრძანდი... ჩემს მდივანს კოვალევს ხომ იცნობ?—ოდიშელიძე კოვალევს მიესალმა, და მერე ბარათოვმა ისევ განაგრძო:—ჩვენსა და თქვენს შორის შეთანხმება უკვე მოხდა... ჩემთვის დღეს ზეიმის დღეა.. მე ჩემს მიზანს მივაღწიე.

— აგრეთვე ჩემთვისაც, რადგან ჩემი სურვილიც ეგ იყო. მე შენ წასაყვანად მოვედი. ეგ სასიხარულო ამბავი უნდა ავღნიშნოთ.

— ამას მოვასწრებთ, ახლა ჩვენ, გადაუდებლად, შეთანხმების წვრილმანებზეც უნდა ვიმუშაოთ.

ამის შემდეგ უმალვე დაიწყო ბარათოვმა წვრილმანების გამო ხანგრძლივი საუბარი ოდიშელიძესთან, რომელმაც თითქმის პირველ საათამდე გასტანა.

ოდიშელიძე და სხვა ქართველი გენერლები დიდად შველოდნენ ბარათოვს მისი მისიის შესრულებაში. ბარათოვი საქართველოში თავს სახლში გრძნობდა. სარგებლობდა რა დიპლომატის უფლებით, იგი მოხერხებულად აკავშირებდა საქართველოსა და მთელ ამიერ კავკასიაში მყოფ კონტრრევოლუციურ რუს ოფიცრობას.

დღის პირველ საათზე გენერალი ბარათოვი და ოდიშელიძე პატარა სამხედრო მანქანაში „ფორდში“ ჩასხდნენ და ვერის დაღმართით, პლეხანოვის პროსპექტისაკენ გაეშურნენ. ვერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალმართიდან, მტკვრის გაღმა, მახათას მთის კალთებამდე გაშენებული ქალაქის წარმტაცი სურათი გადაიშალა. მზიანი საქართველოს დედა ქალაქის მშვენებით მოხიბლულმა ბარათოვმა გაიფიქრა: ნეტავი ვიცოდე, ჩემ მეგობარს — გენერალ ოდიშელიძეს და, საერთოდ, ქართველებს თუ ჰგონიათ, რომ ჩვენ საქართველოს და მის დედაქალაქს დავთმობთ?! ბარათოვმა ღიმილით გადახედა ოდიშელიძეს, მაგრამ ოდიშელიძე თითქო მიუხვდა უკეთურ ფიქრს, მრისხანედ შეანათა თვალები და მანქანის საჯდომზე შეიშმუშნა. იმ წამსვე ერთი სახლის მეორე სართულის ღია ფანჯრიდან ვიღამაც მოულოდნელად ბომბი გადმოისროლა, იგი მანქანის ახლოს დაეცა და აფეთქდა. შოფერი და ოდიშელიძე გადარჩნენ, ხოლო ბარათოვს თავსა და მკერდში ტყვიის ნამსხვრევები მოხვდა და მსუბუქად დაიჭრა. შოფერი არ დაიბნა, მანქანა მიუშვა. და ვერის ხიდით საავადმყოფოსაკენ გასწია. აფეთქების ადგილას მილიციელები გაჩნდნენ, კედელს ამოეფარნენ და ღია ფანჯარას შაშხანის ტყვიები მისცხეს. მალე მთელი რაზმიც მოვიდა და იმ სახლს, საიდანაც ბომბი ისროლეს და ახლო-მახლო უბანსაც ალყა შემოარტყეს. მილიციელებმა მტკვრისაკენ გაქცეული კოსტიუმში გამოწყობილი კაცი შენიშნეს და სროლა აუტეხეს. გაქცეული მაუზერის სროლითვე უპასუხებდა. ერთი მილიციელთაგანი ხრამში იჯდა და ნიშანში იღებდა სწორედ იმ მილიციელებს, რომლებიც მტკვრისაკენ გაქცეულს შაშხანიდან და ნაგანიდან ესროდნენ. ორი მილიციელი სანაპირო ქუჩის თავში დაეცა. კოსტიუმიან კაცს გზა გაეხსნა, მაგრამ სანაპირო ქუჩაზე რაზმელებმა თავი დაუარეს, მთიდან დაეშვნენ და მძიმედ დასჭრეს. იგი წაბარბაცდა და მთის ძირში დაეცა.

გალაქტიონი ვერის ხიდზე გადავიდა და სანაპირო ქუჩაზე კორნელი მხეიძის ბინას მიადგა. კავკავიდან დაბრუნების შემდეგ იგი პირველად არ შედიოდა „გოჯასპირის“ ავტორის ბინაში. კორნელიმ გაოცებით შეათვალიერა მილიციელის ტანისამოსში გამოწყობილი გალაქტიონი და გაუკვირდა და არც მოეწონა კარისმერეთის რაიონის გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური, ბოლშევიკი, რომელსაც მამა მენშევიკებმა ხეზე ჩამოუხრჩვეს,—იმავ მენშევიკების სამსახურში რომ შესულიყო. მაგრამ ნაცვლად ამისა ჰკითხა:

— რა დიდი ამბავი მოხდა, გალაქტიონ! ვინ ესროლა ბომბი დენიკინის გენერალს ბარათოვს?

— ჯერ არ იციან, ვინ არის, — მიუგო გალაქტიონმა, კარები დაკეტა და რა დაინახა კორნელი ქალაქში წასასვლელად მომზადებულიყო, უთხრა: — კარგია, შინ რომ დამიხვდი. ჩემი ამხანაგის ბინა, სადაც მე ვცხოვრობ, დაკეტილი დამიხვდა.—მერმე შეეხვეწა:—შენ თუ სადმე წასვლას აპირებ და ამ ოთახს მანდობ, გასაღები დამიტოვე. აგერ იმ ტახტზე დავეგდები და დავიძინებ. ღამე მორიგე ვიყავი და არ მიძინია. შენ მოსვლამდე აქ ვიქნები.

— აგერ, გასაღები კარებშია. ეს ბალიში ამოიდე თავქვეშ. აი, ეს თხელი საბანიც წაიხურე. მე მალე მოვალ. — შესთავაზა კორნელიმ. მაგრამ გალაქტიონმა უარი განაცხადა. მუთაქის გარდა, არაფერი არ მინდაო. შაშხანა, კორნელის შაშხანასთან, კუთხეში მიაყუდა. ბუხრის ქუდი ჩამოჰკიდა. ტახტზე დაჯდა და ვეება ხელის თითებით ხალათის საყელოზე ღილები შეიხსნა. კორნელი ისევ დააკვირდა, ვერ მოითმინა და უთხრა:

— მართალი გითხრა, არ მეგონა შენ თუ მენშევიკების მილიციაში შეხვიდოდი.

— ყველაფერი მოსავალია. რას იზამ. — მიუგო გალაქტიონმა და ჰკითხა:—შენ როდის მოხვალ?

— მე მალე მოვალ და მერმე ერთად ვისადილოთ.

— გმადლობთ. არ არის ეს საჭირო. თუ გინდა, დაღამებამდე ნუ მოხვალ. კარგი იქნება თუ არ მოხვალ დაღამებამდე, — გაუმეორა გალაქტიონმა.

— რატომ? გინდა გამოიძინო? — ჰკითხა კორნელიმ.

— ჰო. არა, ასე სჯობია ახლა ჩემთვის, — მიუგო გალაქტიონმა და შავი ბრიალა თვალები შეანათა და დააკვირდა.

— იქნებ მერიდები! არ გრცხვენია, გალაქტიონ, ჩემი კუთხის კაცი ხარ. მეზობელი. ჩემთან ჯარში ნამსახური.

— არა, კი არ გერიდები, შე კაცო. საღამომდე ვიძინებ და მერე.—დაიბნა გალაქტიონი. იგი თვალებს აცეცებდა ახლა და რაღაცას მძაფრად უგდებდა ყურს.

— ამხანაგის ბინა ისევ დაკეტილი თუ დაგიხვდა, იცოდე, უთუოდ აქ მოდი. ყაზარმაში არხეინად ვიძინებდით იმდენი ჯარისკაცი და ამ ოთახში ორი კაცი ვერ დავეტევით?

— არა. საღამოს მე მიხა ფრუიძის დასთან—მაროსთან უნდა წავიდე.

— უი, რამდენი ხანია არ მინახავს მარო! შენ ხომ იცი, მარო! შენ ხომ იცი, ვინ არის ის ჩემთვის?! დედა ჩემმა გაზარდა. ბავშვობიდანვე შევეჩვიეთ ერთმანეთს. ღვიძლ დაშიც კი არ გამოვარჩევ. საღამოს მეც წამოვალ მაროსთან.

— წავიდეთ, — მიუგო გალაქტიონმა. მერმე წამოდგა გოლიათი ვაჟკაცი. კორნელის წინ გაჩერდა, დოინჯი შემოიდგა. განიერი ბეჭები გაშალა. გამომცდელად შეხედა და გულითადი ხმით უთხრა, თითქო აღთქმას ადებინებსო:

— კორნელი, თუ კაცი ხარ ქვეყანაზე და ძმობა გწამს, ნაცნობსა და ნურც ვინმეს ეტყვი, შენთან თუ ვარ ბინაში. თორემ დავიღუპები და შენც ხიფათს გადაეყრები. გესმის? შემოფიცე!

კორნელი შეკრთა, კოპები შეიკრა, თვალი გაუსწორა და ჰკითხა:

— შენ აქ რომ დაიძინო, ან ღამე გაათიო, რად უნდა დაიღუპო, ან მე ხიფათი რად უნდა შემეყაროს?

— ახლა ვერ გეტყვი. ოდესმე გაიგებ შენ თვითონ. ნუ მეკითხები. გესმის?.. — ისე დაჟინებით უთხრა გალაქტიონმა, რომ კორნელი მაშინვე დასთანხმდა:

— მესმის, ბავშვი არა ვარ. არც ენაჭარტალა და ენატანია დედაკაცი. რადგან არ არის საჭირო, მეც არავის არაფერს არ ვეტყვი. დამშვიდებული იყავი. დაწექ და კარგა გამოიძინე. ნახვამდის, ძილი ნებისა, ჩემო გალაქტიონ... საღამოს მელოდე...

— ნახვამდის, — უთხრა გალაქტიონმა და ნიშანი ასწავლა, როცა დაბრუნდე, კარებზე კატასავით სამჯერ მოფხოჭნეო.

გალაქტიონმა კარები დაკეტა. გასაღები გამოიღო. ფანჯარას მიეპარა. მალულად გაიხედა ქუჩაში.. მერმე ფანჯარას დარაბები მიახურა... ურდულით ჩაჰკეტა. და გაირინდა. პირველი ფიქრი, რომელიც გალაქტიონს ეწვია, ეს იყო: ვენდო თუ არა კორნელის, დავრჩე მის ოთახში თუ ახლავე გავიქცეო. დიდხანს იფიქრა იატაკქვეშ მომუშავემ და ბრძოლაში ნატარმა გალაქტიონმა და ბოლოს დარწმუნდა, კორნელი რომ არ გასცემდა მას. მივიდა, ტახტიდან ფარდაგი აიღო, კედელთან კუთხეში დააფინა, ზედ წამოწვა, ნაგანი ბუდიდან ამოიღო, — თავთან დაიდო და ახლა მომხდარი ამბის შესახებ ფიქრს მიეცა: „არკადის დაჭრის შემდეგ, ვერის ხიდის თავში — ცირკთან ჩასაფრებუ-

ლი ჩვენ ბიჭები, ყორღანოვის ქუჩის ბოლოს, სასაფლაოს მიაშურებდნენ, ფიქრის გორაზე გადავიდოდნენ და მერმე ვაკეში, ქალაქს გარე, პარიკმახერის ბენო ნაბიჭვრიშვილის ბინაში მივიდოდნენ. იქ მიუტანდნენ მომხდარ ამბავს ვანო მახათაძეს, ნიკო გოცირიძეს და მიხა ფრუიძეს. საცოდავი არკადი ელბაქიძე! მე მილიციელთა ტყვიებისაგან დავიფარე იგი, მაგრამ ვერის ხიდის შემდეგ, სანაპირო ქუჩით ბორანისაკენ მიმავალს, მილიციის ტანისამოსში გამოწყობილმა ჩვენმა ბიჭებმა ვერ უშველეს. მოკვდა თუ არა ის პირძალლი ბარათოვი, ნეტავი ვიცოდე". როდესაც გალაქტიონი თხრილიდან წამოდგა, ხიდზე გადავიდა და კორნელის ესტუმრა, დღის სამი საათი იქნებოდა. ფიქრებს ისე გაეტაცნა, რომ ახლა ჩასასვლელად გადახრილი მზე ფანჯრის დარაბებს მოსდგომოდა, ყველა ჭუჭრუტანებში მძაფრად იჭრებოდა და მისგან გამოსროლილი შუქის სვეტები ოთახის კედელს, კარებს და იატაკს ეცემოდა. გალაქტიონმა თვალი მოავლო მზის შემოჭრილ შუქით განათებულ ოთახს: წიგნებით სავსე კარადას, კედელზე გაკრულ სურათებს. კარადაზე კაცის ქალა დაინახა, არ ესიამოვნა და წარბებშეკრული მოიღუშა. ჩაბნელებული და სიჩუმით მოცული ოთახი აკალდამად მოეჩვენა, რომელშიაც პატარა ჭუჭრუტანიდან დღის სინათლე შეჭრილიყო. ცუდ ფიქრებს გაჰყვა, რომლებმაც ომი, სიკვდილი, მის მიერ განვლილი წამება გაახსენეს და ბოლოს მშობლიური სოფლის — სარკოიას და იქ ოტია მდივანის ვენახში მენშევიკების გვარდიელების მიერ მუხაზე ჩამოხრჩობილი მამამისის — გოჯასპირის მოგონებამდე მიიყვანეს. ტანში გააჟრჟოლა ვაჟკაცს. იატაკიდან წამოიჭრა. ნაგანი ბუდეში ჩაგო, თითქო საბრძოლველად, გარეთ გაჭრას აპირებსო. მაგრამ მალე გონს მოვიდა და კვლავ გაინაბა და სმენად და ხედვად იქცა.

ისევ კარადაზე შედგმულ კბილებდაკრეჭილ ქალას გაჰხედა. ზეზეულთან გარა კაცი. წიგნებით სავსე ჭაგრასთან ფეხაკრეფით მივიდა, მაგრამ იატაკის ფიცარი, გოლიათი კაცის სიმძიმის ქვეშ, გაიდრიკა, ჭრაჭუნი გაადინა და „მილიციელი" მოცელილივით დაეცა სკამზე. გაუნძრევლად იჯდა კარგა ხანს. მერმე მაგიდაზე წიგნები გადასინჯა. ძის წინ ნაცნობი ჟურნალი იდო, რომელშიც კორნელის მოთხობა იყო დაბეჭდილი. უმალ აიღო ხელში, გადაფურცლა, მზის შუქს მიუშვირა და „გოჯასპირის" მეათეჯერ კითხვა დაიწყო:

„წისქვილთან ცხენი შევაყენე. წისქვილის გვერდით აღმართული ბებერი მუხა შრიალებდა. მუხის ძირას ოთხმოცი წლის ახოვანი გლეხი —გოჯასპირი იდგა, ყალიონს აბოლებდა და მეზობლებს ესაუბრებოდა... თეთრწვერა მოხუცს ვეება ხელის ზურგზე დაზღმურდლული, ძირმაგარასაებრ პირღია იარა შევნიშნე. მისი შეხვევა ვურჩიე და წამლობა ვასწავლე. გოჯასპირმა გაიღიმა და ბოხი ხმით ჩააგუგუნა: „რა უჭირს! უნდა გენახა, რას ჰგავდა! ხარის თვალივით მაჯდა. ყურწუმელის ნეშო დავადევი, დავამწიფე და მერე დანისწვერით ავხიე", განცვიფრებით მივაშტერდი წარბებ-გაფანჩულ მოხუცის სახეს, არყის ხის ქერქისფერ მის უცნაურ თვალებს".

გალაქტიონს თვალზე ცრემლი მოადგა და გაიფიქრა:

„ჩემო კორნელი, რა კარგად დაგიხატავს მამაჩემის სახე! მისი ლაპარაკის კილოც და ხმაც რომ მესმის. საოცარია!" ახლა გოჯასპირის გვამის წინაშე მუხლმოყრილი თავისი ცოლის — ასინას ტირილს კითხულობდა გალაქტიონი:

„გოჯასპირ, რას ხედავს ჩემი სამიწე თვალები ბაბაა?! რა მოგივიდა, ათას კაცში საკითხავო, ჭკვიანო კაცო?! არ გყავდა შენი გალაქტიონი, მტრებისათვის გამოეგლიჯა შენი თავი, ლომკაცო

ჩემო ბატონო! გოჯასპირ, ჩვენო წარმოსადეგო ვაჟკაცო, ვინ გაგიბედა ხეზე ჩამოხრჩობა ყვავ-ყორნის შესაჭმელად, ბაბა?! ქალი ვარ, ვერ მოვერიე იმ ურჯულოებს ბატონო! გალაქტიონი მოძებნის ჩვენს დამაქცევრებს, კაი ღღეს არ დააყრის იცოდე, ბაბაა“...

მეტის ატანა აღარ შეეძლო გალაქტიონს. ცრემლით გაიგუდა. კბილების ღრჭენით წამოიჭრა ახლა სკამიდან, ისევ ნაგანზე გაისვა ხელი, მაგრამ კვლავ შესდგა და გაიფიქრა: „სად წამიხვალთ, მამის მკვლელებო?!.. სად წამიხვალ, ოტია მდივანის ცოლის ძმავ, დათა ყიფიანო?!“ იგი გალიაში დამწყვდეულ გააფთრებულ ვეფხვსა ჰგავდა. ბოლოს ისევ დაცხრა და დაეშვა სკამზე. მოთხრობა ბოლომდე წაიკითხა. ხელები მაგიდაზე შემოსდო, ზედ უღონოდ მოწყვეტილი თავი დადო და ამოდენა ვაჟკაცი ბავშვივით აქვითინდა. როდესაც ტირილით გული იძღო, ჩაეძინა კიდეც. მაგრამ მალე უცნაური ხმაურობა შემოესმა, თითქოს კარებს კატა მოსდგომია და ბრჭყალებით ფხოჭნისო. გალაქტიონმა უმალვე ასწია თავი. ფხოჭნის ხმა სამჯერ განმეორდა. ადგა და წყვდიადით მოცულ ოთახის კარებს მიადგა. გარედან ნაცნობი ხმა შემოესმა:

— კორნელი ვარ, კორნელი.

— გალაქტიონმა კარები გაუღო. კორნელი ოთახში შევიდა და უთხრა:

— უკვე დაღამდა, გალაქტიონ, მაროსთან წავიდეთ.

— შენ მარტო წადი, კორნელი. მე უცნაური გზებით უნდა ვიარო მაროსაკენ. ამხანაგისას ამ ტანისამოსს დავტოვებ და მეც მალე მოვალ.

5

მთაწმინდაში კორნელი მაროსთან რომ მივიდა, ღამის ათი საათი იქნებოდა. კორნელი ისე ავიდა ამჟამად მბჟუტავი ელექტრონის ლამპით განათებულ მეორე სართულის აივანზე და მიადგა ნაზ-მაქმანიანი თეთრი ფარდებით მორთულ ღია ფანჯარას, რომ ბაროს არ შეუტყვია. კორნელიმ ფანჯარაში შეხედა. ქალს ნიკელის ფართო საწოლზე ეძინა. ცხელოდა და პერანგის ამარას ზეწარი გადაეხურა. გიშრისფერი, ოდნავ ხუჭუჭი თმის დალალები თეთრ ბალიშზე ნაზად დაშლილიყვნენ. გრძელი და წარმტაცი წამწამები ვარდისფერ, მსუქან ლოყაზე დაჰფენოდნენ. ოდნავ გაბერილი, პატარა და ლამაზი ცხვირის ნესტოები სანეტარო, ჩაუქრობი სიცოცხლის სუნთქვით უთრთოდნენ და მაღალი მკერდიც თანაბრად ერხეოდა. ქალს ისე საამოდ, და მშვიდად ეძინა, რომ კორნელის მისი გაღვიძება დაენანა. ახლა ოთახს მოავლო თვალი. საწოლთან, კედელზე ხალიჩა იყო გაკრული. ზედ მიხას დიდი სურათი ეკიდა. საწოლის წინ კი — პატარა ფარდაგი დაეფინა მაროს და ზედ ქოშები და ტუფლები ეწყო.

იქვე კოხტად მოწყობილი საპირფარეშო მაგიდა და კედელთან უჯრებიანი და სარკიანი შკაფი იდგა, შუა ოთახში — თეთრი სუფრით დაფენილი სასადილო მაგიდა. მარცხნივ — ჩინური ნახატებით შემკული შირმა, რომლის იქით პატარა სამუშაო ოთახი მოეწყო მაროს. იქ, ტახტზე მისი ძმა მიხა იძინებდა. ყველაფერს სისუფთავისა და წესრიგის მოყვარული ქალის ხელი ემჩნეოდა. ამ სისუფთავეს და წესრიგს კორნელის დედამ — ტერეზამ შეაჩვია მარო.

კორნელი ფანჯარას მოშორდა და მაროს ოთახის წინ, აივნის მოაჯირთან სკამზე დაჯდა და პატარა ლამაზ ეზოსა და ბაღს გადახედა. შუა ეზოში უმოქმედო შადრევანი იყო გაშენებული. აივნის წინ ცაცხვის ხეები და აკაციები გაზრდილიყვნენ. მწვანეფოთლებიანი ხეების ტოტები აივანში შემოდიოდნენ და მათ ხელითაც მისწვდებოდა კაცი და კორნელიმაც ფოთლებს შეავლო ხელი, თითქო ხის ტოტს ეალერსებოო,

ხის გამოწვდილ ტოტებს ხელს ართმევსო. ახლა მცენარეთა, ცხოველთა და ყოველი არსის შესახებ დაიწყო ფიქრი კორნელიმ და როგორც ყოველთვის, მარტოობის ჟამს, იმ ფიქრებს გაჰყვა. მალე ოთახიდან ხველა და საწოლის ჭრაჭუნი შემოესმა. მერმე ფანჯარაში, ფარდის ზემოთ გადმოიხედა მარომ და იყვირა!

— უი, კორნელი, შენ გენაცვალე.

ქოშებში ფეხი შესდგა, საჩქაროდ ჩაიცვა, თმა გაისწორა, აივანზე გამოვარდა, კორნელის მოეხვია და ჩაჰკოცნა:

— ასე როგორ დამეძინა, რომ შენი მოსვლა ვერ გავიგე?! დიდხანს ხომ არ ზიხარ აივანზე? ვერ გამაღვიძე, ბიჭო? ნუ გეშინია, ხშირი სტუმარი არა ხარ.

— შენ ისე ტკბილად გეძინა, რომ დამენანა, — უთხრა კორნელიმ.

მის წინ პატარა, კოხტა და ჯანმრთელი ქალი იდგა. სიხარულის გამო, იცინოდა და ძილისგან შეწითლებულ ლოყებზე ღრმულები გასჩენოდნენ. თეთრი კოფტა და კაბისტანი ეცვა. შიშველი, პატარა ფეხები ქოშებში შეედგა. კორნელი ახალგაზრდა, მკვრივ ქალს დააცქერდა და ღიმილით ჰკითხა:

— რამ გაგასუქა, გოგო ასე?

— დღე და ღამე მუშაობა და გულისხეთქა თუ მასუქებს.

— რა გულისხეთქა?

— განა არ იცი მენშევიკები როგორ გვდევნიან ჩვენ! ბოლშევიკების დაპატიმრება, საქართველოდან რუსეთში მათი გადასახლება და დახვრეტა მათ არ მოსწყინდებათ.

— არც თქვენ მოგწყინდებათ მათთან ბრძოლა, თეთრებმა რუსეთში წითლებს თუ აჯობეს, მაშინ დადგება განკითხვის დღეც.

— თეთრგვარდიელებმა თუ იქ გაიმარჯვეს, მერმე საქართველოსაც მოადგებიან.

— ღმერთმა ნუ მოგვასწროს იმ დღეს.

— ჰო და, აგაშენა ღმერთმა — გულხელდაკრეფილი ვუცქირდეთ თეთრგვარდიელთა გამარჯვებას [illegible] ნიშნა მარომ და გენერალ ბარათოვზე და ბომბის სროლაზე დაიწყო საუბარი, ელბაქიძის სახელი — „არკადი“, პირველად მაროსგან გაიგონა კორნელიმ.

მარომ ოთახიდან სკამი გამოიტანა, აივანზე კორნელის პირისპირ დაჯდა და უმალვე კარისმერეთი და დედა-ტერეზა მოიგონა:

— დიდი ხანია, არ მინახავს დედა-ტერეზა. ამაგი ვერ დავუფასე. ამ შემოდგომაზე, თუ მშვიდობა იქნა, კარისმერეთში ვესტუმრები... იქნებ აქ ჩამოვიყვანოთ, ბიჭო.

ახლა ბავშვობა მოიგონეს კორნელიმ და მარომ.

კორნელიმ დურგალს — იულოს ხის თოფი გამოათლევინა და ზედ შაშხანის ნამდვილი ხიშტი დააგო. თოფი ისე ოსტატურად და კოხტად იყო გამოთლილი და გამოკოპიტებული იულოს მიერ, რომ შორიდან ნამდვილი შაშხანა ეგონებოდა კაცს. თორმეტი წლის კორნელი, თოფს მხარზე გაიდებდა ჯარისკაცივით, თავს აწონებდა ტოლებს და მათთან ერთად „ომიანას“ თამაშობდა. მაგრამ ხიშტიანი თოფით გატაცების გამო სამწუხარო ამბავი შეემთხვა. სწორედ ეს შემთხვევა მოაგონა ახლა კორნელიმ მაროს.

ერთხელ ტერეზა მხეიძის ყანაში, გარღვეულ ღობით, ნახირი შესულიყო. შინ ბავშვები — კორნელი და მარო იყვნენ მხოლოდ. ტერეზას მზარეული ქალი მაიკო კი, სამზადში მუშაობდა. უცებ, ძაღლების ყეფა გაისმა და კორნელიმ ყანაში ნახირი დაინახა. ხიშტიან თოფს სტაცა ხელი და ყანისაკენ მოჰკურცხლა. ძროხები და ხარები უმოწყალოდ აფენდნენ მიწაზე სიმინდს და ჭყინტ ტაროებს სჭამდნენ და ახრამუნებდნენ. პირუტყვებმა ხიშტიანი თოფით იერიშზე გადასული ბიჭი რომ დაინახეს, დაფრთხნენ, ყანაში დატრიალ-

დნენ, თავნაყარი სიმინდი მიწაზე დააფინეს, დალეწეს და გასთელეს. ჭყინტი სიმინდით გამაძღარმა და გალაღებულმა ხარებმა და ძროხებმა კუდები აიშვირეს და გარღვეულ ღობისაკენ ფშვინვითა და ფრუტუნით დაოთხილი გასწიეს, მაგრამ ერთძანეთს ღობეში გასვლა არ აცალეს, შეეჭუჩდნენ და კორნელი ნახირიდან ჩამორჩენილ ერთ ზორბა და ლამაზ ძროხას დაეწია, ვერ მოზომა და ფერდში ხიშტი ისე დაატაკა, რომ სავალალოდ, დოლის ტყავივით დაჭიმული სათუთი აპკი ადვილად გაიხა და ხიშტი მუცლის ღრუში ნახევრამდე შევიდა. კორნელიმ მაშინვე გაძოაძრო ხიშტი და მიხვდა, რა საშინელებაც ჩაიდინა: „რა ლამაზი და ჩინებული მეწველი ძროხა შემომაკვდა! ვაი დედა, ეს რა მომივიდაო“, — გაიფიქრა და თავზარი დაეცა. ძაღლებმა ხიდემდე მისდიეს ნახირს. კორნელიმ ხიშტით დაჭრილი ძროხა იცნო და გაოცდა, ახლაც ფეხზე რომ იდგა პირუტყვი და ხიდიდან სოფლის თემშარაზე მიმავალ ნახირს მიჰყვებოდა. გაფითრებულმა და ზეზეურად გათავებულმა ყმაწვილმა მარო მოსძებნა, გაიხმო და საიდუმლოება გაუმხილა. მარომ ასწავლა: არსად არ წამოგცდეს, თორემ იმ ძროხის პატრონი დედას ფულს გადაახდევინებს, ან სამაგიერო ძროხას მოსთხოვსო. მერმე ყანაში წაჰყვა. ძროხის სისხლი გარღვეულ ღობემდე და ორღობეშიც დაღვრილიყო. მიწას სისხლის წვეთები და ლაქები აჩნდა. ბავშვებმა თოხები მოიტანეს, სისხლის ნაკვალევი წაშალეს ყანაში. ღობე შეაკეთეს და შეაკავეს. თანაც საიდუმლოების შენახვა გადასწყვიტეს. მაგრამ მღვდლის ერასტი მაჭავარიანის მოჯამაგირენი თავის ეზოდან იმ სისხლის ნაკვალევს დაადგნენ და ნაკვალევმა პირდაპირ ტერეზა მხეიძის ყანის ღობემდე მიიყვანა. მოჯამაგირეებმა ქაქანი მორთეს და იყვირეს: ბატონის ძროხა ტერეზა მხეიძის ყანაში არის მოკლულიო. ერასტი მაჭავარიანის ჯიმშერი და შეწველი ძროხა, შინ [illegible] მომკვდარიყო. მარო [illegible] ჩვენ ყანაში ძროხა არ ყოფილაო. მოჯამაგირეებმა არ დაუჯერეს, დაქადნებით გაბრუნდნენ შინ და ყოველივე ბატონს მოახსენეს. მღვდელმა — ერასტი მაჭავარიანმა სასამართლოში შეიტანა საჩივარი. გამოირკვა, რომ იმ დღეს, რა დღესაც ერასტი მაჭავარიანს ძროხა მოუკლეს, ტერეზა და მისი მეუღლე — ექიმი გიორგი მხეიძე ქუთაისში ყოფილიყვნენ, მოჯამაგირენი— ყანაში ყვირილის პირას, ხოლო შინ — მაიკო, კორნელი და მარო. ეჭვი მაროზე მიიტანეს, რადგან სოფელში მას „ქრისტეს ფეხისმჭამელის“ სახელი ჰქონდა დავარდნილი. ქუთაისიდან ჩამოსვლისას, ექიმმა გიორგი მხეიძემ კორნელის და მაროს უთხრა:

— შეილებო, იქნებ თქვენ შემოგაკვდათ ის ძროხა? იქნებ კორნელიმ ჰკრა ხიშტი! რა ვუყოთ მერმე: ვის არ მოსვლია მარცხი! მე არ დაგსჯით. მართალი მითხარით. თავი არ მომჭრათ საქეყნოდ. — მერმე მაროს მიუბრუნდა და გააფრთხილა: — ერასტი სასამართლოში ხატზე დაგაფიცებს და ტყუილი რომ თქვა, ღმერთი გვიწყენს და უბედურებას შეგვამთხვევს. მარომ კორნელის მშობლებს ცივი უარი უთხრა და სასამართლოშიც მღვდლის წინაშე ხატზე დაიფიცა, ერასტი მაჭავარიანის ძროხა ჩვენს ყანაში მე არ მინახავს და არც მომიკლავსო. ალბათ ორღობებში მოჰკლა სხვა ვინმემ. გაუგებრობას ის გარემოება იწვევდა, რომ სისხლის ნაკვალევი ტერეზას ეზოს გარღვეული ღობიდან იწყებოდა და ყანაც ნახირის მიერ გაოხრებული, მოთელილი და გაევრანებული იყო. ერასტი მაჭავარიანმა არ იწამა მაროს ფიცი. ეს გოგო ტყუილს ამბობს, ხატი და ჯვარი არა სწამს. მაგისგან ადამიანის შვილი არასოდეს არ გამოვაო, და მოკლული ძროხის ანაზღაურება მოსთხოვა ტერეზას.

ტერეზამ მრისხანედ უთხრა: თქვენი ძროხა, თუნდაც ჩემს ყანიდან რომ გადაგვედენა, ორღობეში სხვა ვინმე ვერ მოკლავდა, ჩემ გოგოს რომ ჩააცივდითო?!

ძროხის მოკვლის საიდუმლოება დღემდე არ წამოცდენია მაროს. მხოლოდ შარშან წინ, გაუმჟღავნა დედას იგი კორნელიმ. ტერეზა შეწუხდა და ერასტის დაეთანხმა; მაროსგან ადამიანის შვილი არასოდეს არ გამოვა, რადგან ხატზე ტყუილი დაიფიცაო. ეს უთხრა ახლა კორნელიმ მაროს და ქალმა საყვედური უთხრა:

— დედის წინაშე რატომ შემარცხვინე? მე შენი გადარჩენა მინდოდა და ამიტომ დავიფიცე ხატზე.

— მარო, — მიუგო კორნელიმ,—რა ვქნა: ის ძროხა, ახლაც თვალწინ მიდგას. მახსოვს, როგორ გავუყარე ხიშტი. როგორ დავინახე სისხლი... საოცარია: ომში კაცი მომიკლავს და ძროხა რა მოსატანია... მაგრამ მაინც ვერ ვიტვიწყებ, ბავშვობის დროს მოკლულ იმ ძროხას... იმიტომ გავუმჟღავნე დედას.

— ხატზე რომ დავიფიცე, ვიცი ეწყინებოდა დედას... მაგრამ რა ვუყო: ღმერთი არც მაშინ მწამდა და არც ახლა მწამს. ნუ გეშინია, ვერაფერს დაგვაკლებს, — შენიშნა მარომ.

ახლა მურაბის მოპარვა მოაგონა მარომ კორნელის.

ტერეზა ათასნაირ მურაბას ხარშავდა ზაფხულზე და მერმე შკაფში ინახავდა საზამთროდ. შინ მარტო დარჩენილ კორნელის და მაროს ალუბლის მურაბა შემოეჭამათ. ერთი დიდი ქილა თითქმის ნახევრამდე დაიყვანეს. შეეშინდათ და შიგ წყალი უთაქეს, ქილას თავი მოუკრეს და ისევ თავის ადგილზე შესდგეს. ესეც გამჟღავნდა ბოლოს. ბავშვობის დროს ჩადენილი ათასი სხვა ოინბაზობა, ცელქობა და ეშმაკობა მოაგონდათ მაროს და კორნელის და გულიანად იცინოდნენ. მურაბის ხსენებაზე, მარო ოთახში შევიდა და ჩანდაყენა. მერმე პატარა მაგიდა ოთახზე გამოიტანა, ზედ თეთრი სუფრა გადააფინა და კორნელის ჩაითა და მურაბით გაუმასპინძლდა. საუბარში დრო შეუმჩნეველად გადიოდა. შუაღამე გადასულიყო და კორნელის უკვირდა, გალაქტიონი ამდენხანს რომ არ მოვიდა. ნაღვლიან ფიქრებს მიეცა და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას გაჰხედა. თვალმოუშორებლივ, დიდხანს უცქირა ცას და მერმე ჩუმად დაიწყო, თითქო მაროს კი არა, საკუთარ თავს ეგაასებაო:

— რა უსაზღვროა მსოფლიო. ჩვენი დედამიწა მსოფლიოს ანარეკლს წარმოადგენს. ისე როგორც ერთ წვეთ წყალში მზის ანარეკლი ისახება ხოლმე, ისე როგორც მსოფლიოში — უსაზღვრო სივრცესა და დროში, დაუსრულებლად ჩნდებიან და ქრებიან აურაცხელი მნათობები და მნათობთა სისტემები, — ასევე ჩვენს დედამიწაზე დაუსრულებლად ჩნდებიან და კვდებიან ურიცხვი არსნი და მათ შორის, ადამიანებიც, რომლებმაც შექმნეს დედამიწაზე თავისი პატარა სამყარო-სამყოფელი, სახელმწიფოები, კანონები, მორალი, პოლიტიკური სისტემები. ადამიანის მიერ შემოღებულ ამ სისტემებს თავისუფლების მოყვარული პიროვნებაც კი უნდა დაემორჩილოს, თორემ ურჩ პირთათვის სახელმწიფომ ძალადობის ორგანოები დააწესა, რომლებიც საჭიროებისდა მიხედვით პიროვნებას თავისუფლებას აღუკვეთავს, სახელმწიფოს ინტერესებისათვის წამოწყებულ ომში გაგზავნის, და თუ ურჩობას გასწევს, დააპატიმრებს, დასჯის და სიცოცხლესაც კი წაართმევს. აი, ასეთი არის სახელმწიფო და პოლიტიკური სისტემა თავისუფლების მოყვარულ პიროვნებისათვის...—თავისი პარტიის მოძღვრებისა და პროგრამის

მცოდნე ქალი არ დაეთანხმა კორნელის და შეუსწორა:

— სახელმწიფო არ სცნობს პიროვნებისათვის განყენებულ, თავისთავადს თავისუფლებას. პიროვნება სახელმწიფოს და საზოგადოების მსახურია, საზოგადოების ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი. როდესაც ყველა თავისუფალი იქნება და ერთი პოლიტიკური, იდეალური საზოგადოებრივი წყობილება დამყარდება ამ ქვეყნად, — კომუნიზმი, მაშინ საზოგადოება და პიროვნებაც ბედნიერი და თავისუფალი იქნება. კომუნიზმი ადამიანის მიზანია და მისი დანიშნულების გამართლება.

— ეს მართლაც ერთად-ერთი გამოსავალი და სიმშვიდის მომგვრელი არის პიროვნებისათვის, — დაეთანხმა კორნელი, — მართლაც, ამის გარეშე, ვერც ერთი ადამიანი, თუნდ ბრძენთა შორის ბრძენიც რომ იყოს, ვერ აგვიხსნის, თუ რად მოგვავლინა ჩვენ ადამიანები ბრმა და უმიზნო მატერიისაგან ბუნების ძალამ? ვინ და რად მოგვანიჭა შემეცნების უნარის მქონე გონება და სული სიკეთისაკენ, მშვენიერებისა და ჭეშმარიტებისაკენ ლტოლვით სავსე? სული, რომელიც სხეულთან — მატერიასთან ერთად კვდება და ქრება, რადგან იგი ბუნების მოვლენაა, დარგი ფიზიოლოგიისა, და ამდენად, დაუსრულებელი და უსაზღვრო, როგორც მსოფლიო, თავის ფორმათა ცვლაში. მაგრამ პიროვნებისათვის ყოველივე ეს სანუგეშო არ უნდა იყოს, — დასძინა კორნელიმ.

— მართალი გითხრა, უკანასკნელი შენი აზრი მე ვერ გავიგე,—შენიშნა სმენადქცეულმა და თვალებანთებულმა ქალმა, — მართალია, ადამიანის გონება ჯერ კიდევ ამომწურავად ვერ ჩასწვდენია სიკვდილ-სიცოცხლის და მსოფლიო საიდუმლოებათა საკითხს, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ადამიანმა გონება უარჰყოს, უკეთეს მომავლისათვის არ იზრუნოს და ფარხმალი დაჰყაროს. — კორნელის გაუკვირდა, საძუალო სწავლის მქონე ქალი ასე ლოღიკურად რომ მსჯელობდა. მარო ბასრი გონების, ნიჭიერი ქალი იყო. კორნელიმ რაღაც უცნაურად გაიღიმა და მიუგო:

— სწორია. ზემოთქმულ ჩემ პესიმისტურ დასკვნიდან და მოძღვრებიდან მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს ადამიანისათვის: მართალია, მსოფლიო უსაზღვროა და არსად მას დასასრული და ბოლო არა აქვს, მატერია ამოუწურავი და დაუშრეტელია, როგორც მარად დიდი, აგრეთვე მარად მცირე სამყაროს მიმართულებით, მაგრამ ჩვენ მაინც უფრო სრულყოფილი უნდა გავხადოთ ჩვენი გამოკვლევა, უფრო და უფრო ღრმად შევიჭრეთ მსოფლიოს უსაზღვროებაში, თუმც წინდაწინვე ვიცით, რომ ვერსად ვერ მივაღწევთ მის დასასრულს და ბოლოს. აი, როგორ დასკვნას იძლევიან მეცნიერები ვარსკვლავთმრიცხველები.

ასეთ ღრმა მეცნიერულ საკითხებზე საუბრობდა ახლა კორნელი მაროსთან, როდესაც ქუჩიდან შემოსასვლელ კარებზე ვიღამაც დააკაკუნა. კარები დაკეტილი იყო და მარო კიბეზე ჩავიდა და გაუღო. მაროსთან ერთად კიბეზე გალაქტიონ გელაშვილი ამოვიდა. გალაქტიონს ლურჯი შარვალი და კავკასიური ჩექმები ეცვა. ტილოს ხალათზე ქართული ქამარი შემოერტყა, ხოლო თავზე სვანური ქუდი დაეხურა. კორნელი ადგა და ხელი ჩამოართვა, თითქო კარგა ხანი გასულიყო, რაც არ ენახა. ცოტა ხნის შემდეგ კორნელი და გალაქტიონი მაროს გამოემშვიდობნენ და ქუჩაში გავიდნენ. გალაქტიონმა კორნელის უთხრა: მაროსთვის რაღაც უნდა მეთქვა და დამავიწყდაო. ისევ აივანზე ავიდა. მარო ოთახში შეიყვანა და აცნობა:

— ამეღამ ჩვენები ისევ ბენო ნაბიჭვრიშვილის ბინაზე იქნებიან ვაკეში. შეგიძლია ახლავე მშვიდად დაიძინო.

არკადი ელბაქიძე, ალბათ გეცოდინება, მძიმედ დასჭრეს და საავადმყოფოში გარდაიცვალა.

— ვიცი, საცოდავი, — მიუგო მწუხარე ქალმა.

— ბოლშევიკების წინააღმდეგ მენშევიკები დიდი რეპრესიების ჩატარებას აპირებენ. კორნელის ჩემს შესახებ არაფერი არ უთქვამს?

— არა.

— ყოჩაღ ბიჭო. საიდუმლოების შენახვა სცოდნია, თუ კი შენ — დაიასაც კი არ გაგიმეღავნა.

— რა საიდუმლოება?

— როდესაც არკადი მტკვრის პირას დაჭრეს და მისი დევნა დამთავრდა, მე თხრილიდან წამოვდექი, ვერის ხიდზე გადავედი და კორნელის ბინაზე მივედი და დაღამებამდე იქ ვიყავი. ვთხოვე: ჩემი იქ ყოფნა არავისთვის არ ეთქვა. კორნელის ბინიდან მე ნაბიჭვრიშვილისაკენ გავსწიე. კორნელი კი — შენკენ წამოვიდა... ვანო ამბობს: კორნელი ჩვენი, ბოლშევიკების თანამგზავრი გახდებაო... მშვიდობით იყავი, მარო. მალე ისევ გინახულებ. ძმასთან ხომ არაფერს დამაბარებ?

— ფრთხილად იყავით, დაიცადე, — მიუგო მარომ, პირსახოცი, ცხვირსახოცი და კბილის სახეხი ჯაგრისი გაზეთში გაახვია და გადასცა: — ეს მიხას მიუტანე. ხვალ ან ზეგ მინახულოს. საქმე მაქვს.

6

მიხა გვიან მივიდა დასთან. დაღლილი იყო, ტახტზე დაწვა და მაშინვე მკვდარსავით დაეძინა. მარო კი, ისევ მაგიდასთან იჯდა და აბრეშუმის კოფთის გულისპირს ჰქარგავდა. კატა-ნაცარაც ისევ პატარა სკამზე გასულიყო და თვლემდა. ღამის სამი საათი რომ შესრულდა, ქუჩიდან შემოსასვლელ კარებიდან გასაღების წვალების ხმა შემოესმა მაროს და ეკალივით მოხვდა ეს, რატომღაც, გულზე. გაიტრუნა, სმენად იქცა და გაიფიქრა: „ქუჩიდან შემოსასვლელი კარების გასაღები დიასახლისისა და ჩემს გარდა, სხვას არავის არა აქვს. დიასახლისი — ბებერი ეკა ქათამაძე მართლაც ქათმებთან ერთად წვება და ღამის სამ საათზე ქალაქში რა უნდოდაო“. ადგა, აივანზე ფეხაკრეფით გავიდა, მეზობლის — ნიკა ლაფერაშვილის ბინას ჩაუარა და დიასახლისის ეკა ქათამაძის საძინებელ ოთახის კარებს მიადგა. მაშინვე ბნელში დამალულმა, კედელს გაკრულმა ორმა კაცმა გაშიშვლებული ნაგანები მკერდზე დაადვეს და გააფრთხილეს: კრინტი არ დასძრაო. შეიარაღებული რაზმელები ახლა წინა და უკანა კიბით აივანზე ერთდროულად შემოვიდნენ. მარო ხელიდან გაუსხლტა რაზმელს, თავის ოთახისაკენ გაიჭრა და ყვირილი მორთო:

— მიხა ადექი. ადექი, მიხა! ბანდიტები დაგვესხნენ... ფანჯარაში, ფანჯარაში!

მარო დაიჭირეს. მიხამ ელექტრონის გაბმულობა გადასჭრა. კალატოზმა ნიკა ლაფერაშვილმა გვერდის კარი გაულო. მიხა ნიკას ბინაში შევარდა. უკან — მეზობლის სახლის ეზოსაკენ გაჭრილ ფანჯარას ეცა, მაგრამ ეზოდან შაშხანებმა დაიჭექეს და ფანჯრის მინები ჩაიმსხვრა. ახლა ფანჯარას მოსწყდა მიხა და, რევოლვერით ხელში ისევ თავის ოთახში შევარდა, მაგრამ ოთახში შესვლის უმალვე, რაზმელებმა ჯიბის ფარნები მიანათეს, ნაგანები დაუმიზნეს და შესძახეს:

— ხელები მაღლა... დააგდე იარაღი!

მიხამ ბრაუნინგი იატაკზე დააგდო და ხელები ასწია. რაზმელებმა უმალვე გაჩხრიკეს. ჩხრეკამ რიჟრაჟამდე გასტანა, იქაურობა ძირბუდიანად გადააბრუნეს, მაგრამ ვერაფერი ხელსახები და მნიშვნელოვანი, გარდა მიხას ბრაუნინგისა და პოლიტიკური ხასიათის წიგნებისა, ვერ აღმოაჩინეს. მიხა საგანგებო რაზმის თანამშრომელთან — დომენტი მელაძესთან მიიყვანეს. შავგვრემანი, ტანმორჩილი ჭაბუკი ოფიცერი

მაგიდასთან დაჯდა და მაუზერი წინ— დაიდო, ქუდი მოიხადა, ქოჩორა თმაზე ხელი გადაისვა და მიხას ჰკითხა:

— სად არიან ვანო მახათაძე, ნიკო გოცირიძე და სხვა შენი ძმაბიჭები?

— ჩასწერე, ახლავე გეტყვი მისამართს, — მიუგო დამცინავად მიხამ.

— ნუ ყბედობ, თორემ ყბებს დაგილეწავ ამ მაუზერის კონდახით. — უყვირა დომენტი მელაძემ, ბრაზისაგან გადმოკარკლული თვალები შეანათა და რაზმელებს უბრძანა:

— გაუთოკეთ ხელები!

დომენტი მელაძე წინად სტუდენტი— ახლა მენშევიკების საგანგებო რაზმის ოფიცერი გამხდარიყო.

როდესაც რაზმელები მიხას მისცვივდნენ და ხელებს უთოკავდნენ, დომენტი პატიმარს ეუბნებოდა:

— ენას ამოგაცლი და ისე გათქმევინებ ყველაფერს, დარდი ნუ გაქვს.

მაროს გულზე ცეცხლი მოეკიდა. იგი იცნობდა დომენტი მელაძეს და შესძახა:

— არ გრცხვენია, დომენტი! შენს წინაშე მუშა დგას და არა ავაზაკი. ვინა ხარ შენ! მეფის ჟანდარმი, ოხრანკის ოფიცერი, თუ სტუდენტი?

— ენა დაიმოკლეთ, ქალბატონო! შენობით ნუ მომმართავთ და ლანძღვაგინებას თავი გაანებეთ, თორემ ამასთან ერთად თქვენც, ციხეში მიგაბრძანებთ,—დატუქსა დომენტიმ.

— მიმაბრძანეთ. სულ ერთია: მე ძმას არ მოვშორდები. გიცნობთ, რაც ვაუბატონები ბრძანდებით. სისხლისმსმელებო, თქვენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს საპატიმროში მიყვანამდე გზაზე ჰხოცავთ. განა თქვენ მეფის ჟანდარმებზე უარესი არა ხართ?!.—უყვირა გაცეცხლებულმა და გააფთრებულმა ქალმა. დომენტიმ ნიშნად გაოცებისა მხრები აიჩეჩა, თავი გაიქნია, და მაროს და მის ძმასაც აღშფოთებით ჰკითხა:

— რა გინდათ, რას გადაგვეკიდეთ, რას ჩაგვაცივდით?!. ჭკუა სადა გაქვთ, რეგვენებო, რუს ბოლშევიკებს ... ქისტებს რომ აჰყოლიხართ— ... — სოციალისტებს და რევოლუციონერებს გვებრძვით? რა გინდათ ოჯახდანგრეულებო, საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიული რესპუბლიკის დანგრევა?

— საქართველოს დამოუკიდებლობა — ზღაპარია! სანამდე უნდა ატყუოთ თქვენ ხალხი: სოციალისტები და რევოლუციონერები ვართო?! არ გაგივათ ეს ტყუილი. პარტიამ — სტალინმა ჩამოგხადათ თქვენ კონტრრევოლუციონერებს სოციალიზმის ნიღაბი და ახლა ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენ მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის ვიბრძვით, თქვენ კი მისი დამონებისათვის. — მიუგო მიხა ფრუიძემ. მაგრამ დომენტიმ არ აცალა და უყვირა:

— კმარა, მე შენთან დისკუსიისათვის არ მოვსულვარ. — მერმე მაროს მიუბრუნდა და უთხრა:—შეუგროვეთ საპატიმროში წასაღებად ცოტა რამ ბარგი.

მარომ თეთრეული, კოსტიუმი, პალტო, კალოშები და ტუფლები კალათში ჩააწყო, ქვეშაგების შეკვრაც დაიწყო. დომენტიმ დასცინა:

— რასა შვრები, ქალო! საპატიმროში მიგვყავს თქვენი ძმა, განა კისლოვოდსკში სამკურნალოდ ვაგზავნით!

მარომ მაინც გაავსო და გასტენა ძმის დიდი კალათი, დაჰკეტა და გასაღები ძმას გადასცა. ამის შემდეგ თვითონ დაიწყო ჩაცმა-დახურვა.

— თქვენ სად მიბრძანდებით? — ჰკითხა დომენტიმ.

— ძმა უნდა გავაცილო ციხემდე,— მიუგო მარომ.

— გამცილებლები, ხომ ხედავთ, ცოტანი არა ვართ. თავს ნუ იწუხებთ... არ არის ეს საჭირო, — ნაძალადევად გაუღიმა დომენტიმ.

— არა, თქვენ ვერ განდობთ ძმას.

— რატომ?

— აკი გითხარით: თქვენ გზაში ჰხოცავთ პატიმრებს და მერე აცხადებთ: გაქცევა დააპირეს და გუშაგმა ესროლაო,—მოუჭრა მარომ.

— ტყუილია... ამ შემთხვევაში მაინც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენ ძმას, თუ იგი არ გაგიქდა და მართლა გაქცევა არ დააპირა, არავინ არაფერს მოსწევს... შინ ბრძანდებოდეთ, დებითა და ცოლშვილით პატიმრები ციხეში ჩვენ არ მიგვყავს,—უთხრა დომენტი მელაძემ.

— არა... თავი გამანებეთ. ვიცი, რაც მელიები ბრძანდებით...

მიხა გვარდიელებმა ქუჩაში გაიყვანეს. ალყა შემოარტყეს და საპატიმროსაკენ გასწიეს. უკან მარო ქაქანით მისდევდა, რაზმელები შაშხანის კონდახის ცემით აგდებდნენ.

პროსპექტზე დომენტი მელაძემ ეტლი დაიჭირა, შიგ ჩაჯდა და გვერდზე ხელებგათოკილი მიხა მოისვა. ეტლის წინა სკამზე ორი რაზმელი დაჯდა, ერთიც მეეტლესთან — კოფოზზე. მარო მივარდა და ეტლის ფეხსადგამზე გაჩერდა.

— მოაშორეთ აქედან, ეს ალქაჯი,— იყვირა დომენტიმ.

რაზმელებმა მტირალი ქალი ეტლს უხეშად და გამეტებით მოჰგლიჯეს. დაიჭირეს, ხელები მოუგრიხეს და სცემეს.

ეტლი დაიძრა.

— რა ამბავია ეს? კაცი არა ხართ, ნადირებო! ქალს მაინც რას ერჩით? — იყვირა მიხამ, როდესაც დის შემზარავი კივილი მოესმა და რადგან ხელები გათოკილი ჰქონდა, თავი დააჯახა დომენტის. დომენტიმ ნაგანი ვაზნების ბუდით ყურთან მიადო, გაისროლა და ყურის დაფის აპკი კინაღამ არ გაუხეთქა. მარომ რაზმელებს ხელზე უკბინა, გამეტებით ჩაარჭო ბასრი კბილები ხორცში და თმააწეწილი, კივილ-წივილით გამოუდგა გაჭენებულ ეტლს.

მეორე დღეს, მიხას, საპატიმროების ამბავი გალაქტიონმა [illegible] მეატყობინა. კორნელიმ მაშინვე გასწია მგლოვიარე და გულშეწუხებულ მაროსაკენ. ანუგეშებდა და თან რცხვენოდა: „ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნად არსებული უსამართლობის და უმსგავსოების მოსპობის შესახებ მემსჯელა გუშინ მაროსთან, მე მას მსოფლიო უსაზღვროებაზე ლექციებს ვუკითხავდიო“. ორი კვირის თხოვნისა, ცდისა და წვალების შემდეგ, კორნელიმ სენატორს გიორგი დადვაძეს მიხა, თავდების ქვეშ, საპატიმროდან გამოაშვებინა, რის გამოც მაყაშვილთა გაკილვა ახლაც არ აცდა: „სომხებს და ბოლშევიკებს ექომაგება და მფარველობსო“ იძახდნენ.

ერთხელ მიხა გვიან ღამით მოვიდა შინ. დას ხელი მოჰხვია, აკოცა და გულში ჩაიკრა. მარომ გაოცებით შეხედა სახეგაბრწყინვებულ ძმას.

— რუსეთიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა,—დაიწყო მიხამ.

— რა ცნობა?—გაოცდა მარო.

— საბჭოთა რუსეთში, როგორც იცი, საბრძოლო პოსტზე სტალინი იყო დანიშნული. მან წითელ მებრძოლებს გმირული სული ჩაუდგა. მისი წყალობით პეტროგრადიდან მტერი უკუქცეულია. ახლა სტალინის გენიოსური სტრატეგიული გეგმის თანახმად, ცარიცინსა და როსტოვზე გრანდიოზული შეტევა დაწყებულა. თეთრგვარდიელთა დარბეული ჯარები უწესრიგოდ იხევენ უკან... გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, — აღტაცებით დაიძახა მიხამ. მარომ ძმის მარჯვენა შეიპყრო, ზედ ხელები მაგრად მოუჭირა და სასოებით წარმოთქვა:

— სტალინი! — წამიერად ჩამოვარდნილ სიჩუმეში ქალის თვალებმა უჩვეულო ძალით გაიელვეს; თითქოს ამოდენა მანძილიდან მისჩერებოდა ბელადის ნუგეშისმცემელ და მშობლიურ სახეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ჯოგონიძე

დაბრუნება

★

ეს ატმები, ეს ნაცნობი ალუბალი...
შეფოთლილან, სულსა და გულს ახარებენ,
ეგებ ახსოვთ ვაჟი ლაშქარს მიმავალი,
ან ნაომარს მოელიან ახლა ეგებ.

აგერ სახლი,—უდარდელი ყრმობის ბუდე,
შიგ ნიადაგ დუღს ჭაღარა დედის გული,
სასთუმალთან განა მართლა ხატი უდევს,—
იმედია გულისპირზე დახატული.

ესეც ბაღი... საგულეში დადექ, გულო,
იქ შავთვალა, შველივით რომ ეზოს შვენის,
მოთმინებაც არ ყოფილა უსასრულო—
ალბათ ახლაც შორი გზიდან სატრფოს ელის.

მაშ, ეს ჭიშკარს ვინ მოადგა ფიქრზე უმალ,
რა საოცრად მოიღერა თეთრი ყელი,
ეს სახელი მან წარმოსთქვა თუ არც თქმულა,
ან მოსძახის გადამწვარი ბრძოლის ველი.

არა, იცნო, მართლა იცნო თვალმა თვალი,
გმირის მკერდზე გაინაბა სანატრელი...
გაჰქრა ყველა მწუხარების ნატამალი,—
სიყვარული წამალია ცეცხლისმგვრელი.

მაგრამ მზერა ვაჟს გაუკრთა მისეული
და როდესაც წუთი წუთზე გაჰქრა მწველი,
ქალმა იგრძნო—ბროლის ყელზე მიჩვეული
არ იძვროდა, არ ტოკავდა ცალი ხელი.

გაუნელდათ სიხარულის ნაპერწკალი,
ვაჟს წამწამზე მარგალიტი დაეკიდა
და მის სევდას ისეც მიხვდა მეგობარი,—
ისევ კოცნით ამოუშრო ცრემლი წმინდა.

— არა, კარგო, არ შეგხედავ მწუხარებით,
ცრემლი ზოგის ტანჯვაა და ზოგის შვება,
როცა მეხით ზანზარებდნენ ლურჯი მთები,
იმ მარჯვენამ მოგვიპოვა გამარჯვება.

———

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბრიელ ფალახაძე

მხარდამხარ

მოთხრობა *

★

14

მეორე თვე თავდებოდა, რაც ბეჟანი საქონელს დასდევდა მინდვრად, მრავალი გეგმა შეადგინა ამ ხნის განმავლობაში. ბევრჯერ გადასწყვიტა, წასულიყო აქედან, იქნებ სადმე პარტიზანებს გადაყროდა, ან ფრონტის ხაზზე გადასვლა მოეხერხებინა, მაგრამ ჯერ კიდევ იმდენად სუსტად იყო, რომ უსაგზლოდ და უიარაღოდ შორ გზას ვერ გაუდგებოდა. ამ ფიქრებსა და ყოყმანში ეს ორი თვე ორ დღესავით გამოეპარა თვალსა და ხელს შუა. სწორედ მაშინ იყო, ნეპაპჩუკმა ძველი საცეცხლე წერტი აჩვენა და ახალი სამოქმედო ასპარეზი გადაუშალა წინ. მეორე დღეს ნეპაპჩუკმა იარაღის საწმენდი ზეთი მოუტანა ბეჟანს.

როდესაც კარგად მოდღევდა, — ბეჟანმა ნეპაპჩუკი დატოვა საქონელთან და თითონ ტყეში შეიმალა. შაშხანა დაშალა, მოკიდებული ჟანგი მოაშორა და კვლავ ააწყო. მერე ისევ ჩალაში შეახვია, მიწურიდან გამოძვრა, ჩასასვლელს ტოტები მიაყარა.

ბეჟანი გახარებული დაჰყურებდა მიწურს, თითქოს იქ ყოფილიყოს მისი უმწიკვლო გულის ზრახვები შენახული.

— მერე და რას იზამ, რაში გამოიყენებ მაგ იარაღს. — შეეკითხა ნეპაპჩუკი.

— ვნახოთ, ხვალინდელი დღე რას გვეტყვის? — უთხრა ბეჟანმა.

* გაგრძელება. „მნათობი" № 3.

* * *

ჯერ ისევ ბნელოდა, როდესაც ბეჟანი მოედანზე გამოვიდა. წუხელ ფიქრებმა არ მოასვენეს.

შუაღამისას, როგორც იყო, ჩაეძინა, მაგრამ თითქოს ვიღაცამ დაუძახაო, მაშინვე გაეღვიძა და მერე თვალი ვეღარ მოხუჭა. მისი ფიქრი მიწურში ნაპოვნ ნაღმებს დასტრიალებდა. მარჯვე და გაბედული კაცის ხელში იმ ნაღმებს ახლა დიდი საქმის გაკეთება შეეძლო. როგორც კი მამლებმა ყივილს მოუხშირეს, ბეჟანმა ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. იგი ახლაც ღელავდა, რიჟრაჟის თალხ სიბნელეში თეთრად გაწოლილ გზატკეცილს გასცქეროდა. იქედან ახლა მანქანების გუგუნი და თოფიარაღის ნელი ჩხარუნი ისმოდა.

გერმანელები მხოლოდ ღამღამობით აწარმოებდნენ სალაშქრო გადასვლას და ჯარის ნაწილების გადაჯგუფებას. საბჭოთა თვითმფრინავების შიშით ამ გზატკეცილზე გათენებიდან დაღამებამდე ყოველგვარი მოძრაობა სწყდებოდა.

დღისით ტყეში მიმალული გერმანელები შეღამებულში გამოიშლებოდნენ გზატკეცილზე და მთელი ღამე აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდნენ. დამარცხებულ, განახევრებულ დივიზიებს მაშველ ჯარს უგზავნიდნენ ჰიტლერელები.

გზისპირა სოფლებში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული. შებინდების შემდეგ სახლიდან გამოსვლა არავის შეეძლო. ღამის პატრულები მას იქვე გაძოასალმებდნენ წუთისოფელს.

ღობის ძირში მიმალული ბეჟანი კარგახანს ადევნებდა თვალყურს ჯარის მოძრაობას. კარგად რომ გათენდა, გზატკეცილი დაცარიელდა. მხოლოდ დროდადრო მოტოციკლეტი თუ ჩაიქროლებდა ან ჩამორჩენილი ჯარისკაცი კოჭლობით ჩაივლიდა.

ცოტახნის შემდეგ თვითმფრინავების ზუზუნი მოისმა. თვითმფრინავები ძალიან მაღლა იყვნენ, მაგრამ ბეჟანმა ხმაზე იცნო ჩვენი მსუბუქი ბომბდამშენები. ისინი „საკბილოს“ ეძებდნენ.

ბეჟანს კომბალი მკერდზე მიებჯინა და ორივე ხელით ზედ დაყრდნობოდა. შუბლზე კოპები ჰქონდა ასხმული და ნახევრად მოხუჭული თვალებით — „ეშმაკის კლდისკენ“ იყურებოდა.

გზაზე გამოსული ძროხები ბღაოდნენ. ღაბაბდარგვალებული ბუღა მიწას სუნავდა და დრუნჩაწეული კბილებს კრეჭდა. ქანდარიდან ჩამოფრენილი მამალი ხმაჩახლეწილი გაჰყიოდა ღობეზე. მტვრიან გზაზე ტოროლა დაგოგმანობდა და რაღაც საამურს უსტვენდა.

— ბეჟან, ბიჭო ბეჟან! — მოისმა ნეპაპჩუკის ხმა.

ბეჟანმა პირში ორი თითი ჩაიდო და დაუსტვინა. ამ დროს ნეპაპჩუკიც გამოჩნდა ბილიკზე.

— რა ადრიანად გამოსულხარ?.. მე სახლში გეძახდი!

— მაშ მუდამ შენ უნდა გამომასწრო?!

ნეპაპჩუკმა ჩხია თვალები მიაშტერა ბეჟანს და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— ჯანზე როგორა ხარ, ბაბუა ნიკიტა! გუშინდელმა სიარულმა ხომ არ დაგღალა! — ჰკითხა ბეჟანმა.

— რა დამღლიდა, ბიჭო! ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო, ხომ გაგიგონია!

— მაშ დღეს უფრო შორს უნდა გავრეკოთ საქონელი,—უთხრა ბეჟანმა და ისევ „ეშმაკის კლდისკენ“ იყურებოდა.

— შორს, მე შენ გითხრა, დნეპრზე გადავალთ... — ნეპაპჩუკი ხალისიანად იღიმებოდა და დახარბებული შეჰყურებდა ბეჟანს.

— დღეს „ეშმაკის კლდესთან“ უნდა ვაბალახოთ საქონელი!

— რას ამბობ, ბეჟან! გაიცინა მოხუცმა:—„ეშმაკის კლდესთან“ რა გვინდა? საღამოზე დიდ კასრებს დაავსებენ ამათი პატრონები რძით?!.. მარილიანი რომ იყოს ის კლდე, კიდევ ჯანდაბას! ლოკვას მაინც დაუწყებდნენ.. ძაან საძოვარი არ ამოგირჩევია?!

— დამიჯერე ბაბუა, ნიკიტა, იმაზე ბარაქიანი საძოვარი ჩვენთვის მეორე არ იქნება.

— ბარაქიანი საძოვარიო!.. რას ამბობ, ბიჭო! მენახირე ხარ? ეგ როგორ გაივლე გულში!

— ძროხა შეიძლება მშიერი დაგვირჩეს, მაგრამ... — სიტყვა არ დაამთავრა ბეჟანმა და „ეშმაკის კლდისკენ“ გაიხედა.

ნეპაპჩუკმა უცებ ხარხარი შეწყვიტა, შეირხა, შეტორტმანდა. კომბალს დააწვა. მეჩხერ ულვაშებზე ხელი გადისვა. ჩოფურა ლოყები წითელ-ყვითლად დაეწინწკლა და თვალებში ფიქრი ჩაუდგა.

— იქ უნდა წავიდეთ! ნალმებიც თან უნდა წავიღოთ, — უთხრა ბეჟანმა სიჩუმის შემდეგ.

— გავიგე, შვილო, გავიგე! — ჩურჩულით უთხრა მოხუცმა.

— ხომ არ გეშინია?

— ეგ რა მითხარი, ბეჟან! როგორ თუ მეშინია! სადაც შენ იქნები, ჩემი ადგილიც იქ არის! განა ტყუილად შევფიცეთ ერთმანეთს მამაშვილობა! — წყენით მიუგო მოხუცმა.

ბეჟანი შეწუხდა, — მაპატიე, გეხუმრეო, — შესთხოვდა ჭაბუკი.

მზემ თავი ამოყო და გამდნარი ოქრო გადმოაღვარა სოფელს. მოედანზე შეგროვილმა საქონელმა ბღავილი ატეხა — საძოვრისაკენ გაიწია. ნეპაპჩუკმა წამოუარა ძროხას და „ეშმაკის კლდისაკენ“ უქნა პირი.

ნიკიტა ხმაგაკმენდილი მისდევდა საქონელს. ბეჟანიც სდუმდა. მხოლოდ დროდადრო კომბალს თუ წამოუსვამდა გზიდან გადაცდენილ დეკეულს ან მოზვერს.

„ეშმაკის კლდის“ ყელში რომ მივიდნენ, ნეპაპჩუკმა ცალყბად წაულაპარაკა ბეჟანს:

— ამ ბილიკით გადავალ. აქედან მარჯვედაა. ყველა წამოვიღო?

— ყველა. გასაყოფად არა ღირს.

ნეპაპჩუკი მგლური ნაბიჯით შეჰყვა ტყისაკენ მიმავალ ბილიკს.

ბეჟანმა „ეშმაკის კლდის“ გადაღმით გადარეკა ძროხა და ხრიოკებზე გაშალა საბალახოდ... თვითონ კი ბექზე ამოვიდა, თვალიერება დაუწყო კლდის პირზე ჯამბარასავით დაგრეხილ ვიწრო გზას. გზას ერთი მხრიდან შავი ტინების კედელი ჰსაზღვრავდა. მეორედან კი — ღრმა, ფლატეში ჩაკარგული მდინარე. ახლომახლო არავინ მოსჩანდა, გზას ტანკებისა და ტრაქტორების ნაკვალევი ემჩნეოდა მხოლოდ. აქა-იქ ფეტვის თავთავი ეყარა ბღუჯა-ბღუჯად.

— ესეც კარგია, გუშინ რომ ნამკალი ჩამოატარეს, იმათ დაჰბნევიათ. — სიხარულით წაილაპარაკა ბეჟანმა.

საქონელი ნეკერსა ჰკორტნიდა ხრიოკებზე და აქაიქ ამოსულ ურო ბალახს ძირიანად ჰკვნეტდა.

მზე შუბის ტარზე იდგა, როდესაც ნეპაპჩუკი მოპირდაპირე სერზე გამოჩნდა. ზურგზე სავსე ტომარა მოეგდო და ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა.

— გზაზე ხომ არავინ შეგხვედრია? — ჰკითხა ბეჟანმა.

— არავინ.

შებინდებამდე ის ტომარა ბუჩქებში დამალეს. მზე ჩავიდა თუარა, საქონელი გზაზე ჩამორეკეს. ნეპაპჩუკი „ეშმაკის კლდის“ გასასვლელთან [illegible], ძროხა გააჩერა და თვალიერება დაიწყო ირგვლივ.

ბეჟანმა ტრაქტორისა და ტანკების ნაკვალევში დიდი ნაღმები ჩააწყო, ვიწრო გადასასვლელებსა და ფერდობზე ამავალი ბილიკის დასაწყისში მხტუნავი ნაღმები მოფანტა. დანაღმულ ადგილებს ნამჯა წააყარა ზემოდან. შემოტრიალდა, დაზვერა ყოველი კუთხე კუნჭული, — ჭაჭანება არავისი მოსჩანდა. წამოავლო კომბალს ხელი, ნეპაპჩუკს ანიშნა, ძროხა გაუშვიო, და მიჰყვა ნახირს კვალდაკვალ სოფლისაკენ.

* * *

დაღამდა. მოღრუბლულ ცაზე მხოლოდ აქაიქ გამოჩნდნენ მოციმციმე ვარსკვლავები. ნიავი სისინებდა და ფრთებს მძლავრად იქნევდა. შრიალებდა ფოთოლი ჭერმის ბაღში.

ბეჟანი და ნეპაპჩუკი ფანჯარასთან ისხდნენ და გზატკეცილს გაჰყურებდნენ. ამ სერიდან გზა კარგად მოსჩანდა.

— კიდევ, კიდევ სთქვი, რამე ბაბუა ნიკიტა. ლაპარაკში და ოხუნჯობაში მალე გადის დრო! — ეუბნებოდა ბეჟანი მოხუცს და პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა, — ღელავდა. მთელი საათი გავიდა, რაც დაღამდა და გზატკეცილზე კაცი არავინ ჭაჭანებდა, არც მანქანის ხმაური ისმოდა.

„ვაითუ ამ ღამეს ჯარმა არ ჩამოიაროს!“ — ფიქრობდა ბეჟანი.

ხვალ დანაღმულ ადგილებზე, შეიძლება, ჯოგმა გადაიაროს... მაშინ ყველაფერი გამომჟღავნდება და ამდენი შრომა ტყუილ-უბრალოდ ჩაივლის...

ეს ეჭვი გულს უკლავდა ბეჟანს და სმენადქცეული, სიჩუმეში გარინდებულ გზას მისჩერებოდა.

მალაშკა სამზარეულოში დაფუსფუსებდა. ვახშამს ამზადებდა. ოთახში

მყუდროება იყო ჩამოწოლილი. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. ამ საერთო მდუმარებას ბეჟანის გახშირებული სუნთქვა არღვევდა მხოლოდ. მალაშკამ სანთელი შემოიტანა ოთახში, ბეჟანი ფანჯარას მოშორდა. შავი ქაღალდის ფარდა ჩამოაფარა ზედ. დიასახლისმა მაგიდა გააწყო. შემოუსხდნენ. ბეჟანმა ძალის-ძალად გადაყლაპა ორიოდე ლუკმა, რათა მალაშკას მისი მღელვარება არ შეემჩნია. უგემურად ღეჭავდა პურს და ყურს უგდებდა ფანჯარასთან მომდგარ სიჩუმეს.

უცბად შორიდან მანქანის ნელი გუგუნი მოისმა.

ბეჟანმა კარტოფილის ფცქვნას თავი მიანება, სანთელი ჩააქრო და ფანჯარასთან მივარდა.

— რა იყო, ბეჟან! რა მოგივიდა!— მიაძახა მალაშკამ.

— არაფერი. არაფერი!—დაბნეულად მიუგო ბეჟანმა, ფანჯარას შავი ქაღალდი ჩამოხსნა და გზატკეცილს გახედა.

ალაგ-ალაგ მბჟუტავი სინათლე მოსჩანდა. გუგუნი თანდათან მატულობდა. მერე ჯარისკაცთა ფეხსაცმლის ბრახუნიც მოისმა. ეს ხმა სადღაც შორს იწყებოდა და ახლოს თავდებოდა. მალაშკამ სუფრა აალაგა, სანთელი სამზარეულოში გაიტანა. ბეჟანი ტახტზე წამოწვა, თვალები დახუჭა და იწყო ლოდინი. მძიმე იყო ეს წუთები, მეტად მძიმე. უძრავად იწვა. ეშინოდა, გატოკებას ხელი არ შეეშალა ყურთასმენისათვის. ათი-ხუთმეტი წუთი იყო ამ ყოფაში და ასე ეგონა, სამი საათი გავიდაო უკვე მას შემდეგ, რაც პირველი მანქანის გუგუნი გაიგონა...

... ერთბაშად ძლიერი აფეთქების ხმა მოისმა.

— დაიწყო! — წასჩურჩულა ბეჟანმა კუთხეში მიყუჟულ მენახირეს.

პირველ აფეთქებას მეორე მოჰყვა. მესამე, მეოთხე... მეხუთე... ბეჟანი უკვე დათვლას ვეღარ ასწრებდა. ცეცხლის ალში გაეხვია ფრონტისაკენ მიმავალი ქვეითი ჯარი.

იმ ღამეს ასამდე ჯარისკაცი ამსხვერპლა დანაღმულმა გზამ. რამდენიმე მანქანა მდინარეში გადაიჩეხა.

გერმანელი ოფიცრები დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს გზა გერმანელთა ზურგში შემოპარულ საბჭოთა მზვერავების მიერ იყო დანაღმული. სოფლის მიდამოებს ალყა შემოარტყეს, გზები და ბილიკები შეჰკრეს, მაგრამ სად ვის მიაკვლევდნენ, როცა ნაღმების ჩამწყობნი იქვე არხეინად იდგნენ და საქონელს აბალახებდნენ.

გზაზე გაშლილი საქონელი ერთბაშად შეჩერდა. წინ მიმავალმა ბუღამ უჩვეულო ბღავილი დაიწყო. მტვრიანი გზა წინა ფეხებით მოტორა და რქებით ბდღვირი ააყენა. ძროხები გარს შემოეხვივნენ მას. მტვერი დაყნოსეს, ხაოიანი დრუნჩი მაღლა ასწიეს და კბილები დაკრიჭეს.

— გარეკე! აქ ნუ გავაჩერებთ — უთხრა ბეჟანმა ნეპაჩუკს.

მოხუცი მხოლოდ ახლა მიხვდა რომ საქონელი წუხანდელი ბრძოლის ადგილზე ბუღრაობდა და შეკოლტებულ სისხლს ყნოსავდა.

საქონელს წამოუარა და ტყისაკენ გარეკა.

ბეჟანს მთელი დღე თვალწინ ედგა ტატიანა, გაიოზი და ბაბუა კიმოთე. ახლა აღარა რცხვენოდა, თვალებში გულმართლად შეჰყურებდა მახლობელ სახეებს.

— ბეჟან, მე ხვალ ფილოპოვკაში გადავირბენ შენი დავალების შესასრულებლად! — უთხრა მოხუცმა ბეჟანს.

ბეჟანს გზის გადასახვევში მალაშკა გამოეგება.

— ჩვენსას დიდ ოთახში გერმანელი მაიორი დადგა! აბა შენ იცი, როგორ მოიავადმყოფებ თავს!

ჩამობნელდა. მალაშკამ სანთელი აანთო. ბეჟანს საჭმელი გაუწყო მაგიდაზე და თავათ კი სამფეხა სკამზე ჩამოჯ-

და. — სანთელი ბჟუტავდა და მალაშკას სახეს სინათლეს მხოლოდ მაშინ აფრქვევდა, როცა ტკიცინ-ტკიცინით გამოყრიდა სხივებს.

მაგიდასთან სკამზე ბეჟანი ჩამომჯდარიყო და სადილის მონარჩენ წვენს შეექცეოდა.

— ქალო! — მოისმა გარედან ხმა.

მალაშკამ წამოდგომა ვერც კი მოასწრო, რომ კარებში ახმახი ტანის, უნტეროფიცერი გამოჩნდა.

— რა გნებავთ?—შეეკითხა მალაშკა.

— ცეცხლი! — დამტვრეული რუსულით უთხრა უნტეროფიცერმა.

მალაშკა გავიდა, გერმანელ ოფიცერს ოთახში ცეცხლი დაუნთო და ბეჟანთან დაბრუნდა.

— როგორ გგონია, ბეჟან, სოფელში დიდხანს დარჩებიან?

— ხვალ შეეტყობა.

— ეს მეც ვიცი. თუ წავიდნენ ხვალ...

— არა, მე მაგას არ გეუბნები. თუ მარტო ჩვენთან არიან, მაშინ ალბათ, მალე წავლენ.

— მარტო ჩვენთან როგორ არიან! მთელი სოფელი სავსეა. პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ორი გერმანელი შემოვიდა ჩვენთან. ვერ შენიშნე, ჩვენი დიდი ოთახის კარებზე რაღაც წააწერეს! — მთელი დღე მანქანები მოდიან და მოდიან! ნეტა რაშია საქმე?

— ეტყობა, უკან იხევენ, თორემ ამდენ მანქანას ასე ერთბაშად ფრონტიდან ზურგში არ გამოგზავნიდნენ! — უთხრა ბეჟანმა.

— როგორ გგონია, ტატიანა სად იქნება ახლა?

— დნეპროპეტროვსკში.

— და მერე როდემდე?

— თუ ფრთხილად იქნება, ჩვენების მოსვლამდე რომ იქ დარჩეს, არაფერი დაუშავდება.

— შენც ფრთხილად უნდა იყო, ბეჟან! თუ რამე გკითხონ, უთხარი, ჩემს სახლში ვარ-თქო, ეს ქალი დედაჩემიათქო!

— ვიცი, დედი! ფრთხილად ვიქნები.

მეორე დილას ბეჟანი ჩვეულებრივზე ადრე გავიდა სახლიდან. საქონელი ღარტაფში გარეკა და თვითონ იქვე ქვაზე ჩამოჯდა. ახლად ამოცურებულმა მზემ სიცოცხლისა და ხალისის სხივები მიაფრქვია სახეზე.

გზაზე ჩქარი ნაბიჯით მომავალი მოხუცი გამოჩნდა.

— ბაბუა ნიკიტა,—შორიდანვე შეეხმიანა ბეჟანი. — შენ რაღაც კარგი ამბავი მოგაქვს, სახე ისე გიცინის!

— სალამი ბეჟანს!

— გამარჯობა, ნიკიტა პავლოვიჩ! დაიღალე ალბათ, არა? ან კი ასე სწრაფად როგორ მოასწარი. მიკვირს, ღმერთმანი, მიკვირს შენი მუხლების ამბავი.

ნეპაპჩუკმა კომბალი მიწას დაჰკრა, ბოძივით დაასო და ზედ დაეყუდა ორივე ხელებით. შემდეგ ბეჟანს შეხედა, სული მოითქვა და პირდაპირ დაიწყო.

— ყველაფერი რიგზეა. დავალება შევასრულე. ბანაკში ქართველებიც არიან, ზოგიერთი მათგანის გვარიც კი გავიგე. აი, დახედე! — უბიდან ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო.

ბეჟანმა ქაღალდი ხელიდან გამოსტაცა. დახედა, ხმა ვერ ამოიღო. თვალები აეწვა, თითქოს შიგ გაღვივებული ნაღვერდალი მოხვდაო, შუბლზე ოფლმა გამოხეთქა. მეათედ მაინც წაიკითხა სიაში გაიოზის გვარი და მაინც ვერ დაიჯერა, რომ მისი საყვარელი მეგობარი ნაპოვნი იყო. მერე ერთბაშად სახე გაუბრწყინდა, ნეპაპჩუკს მივარდა, გადაეხვია და გადაჰკოცნა.

— ბაბუა ნიკიტა! ძმა ვიპოვნე! ძმაზე უკეთესი! შენ კი,—მეორე ვაჟიშვილი. ბედნიერი ვარ, ბედნიერი! შენი თვალითა ნახე?

— არა, ბეჟან. მე ერთი უკრაინელი ტყვე შემხვდა. წყალი მოჰქონდა. იმან დამიწერა ეგ სია. კარგია, რაკი კარგ ფეხზე მივლია.

— კარგია, ძალიან კარგი! ცოცხალია ჩემი მეგობარი, ჩემი გაიოზი. — ბავშვივით ტიკტიკებდა, სიხარულისაგან გულაჩვილებული ბეჟანი.

— იცი, კიდევ რა ვნახე? ყუმბარები. უთვალავი ყუმბარები, მთელი გორა, მალაშკას სახლზე უფრო დიდი!..

— სად?—წამოვარდა ბეჟანი.

— სადგურთან!

— სადგურზე გერმანელები ბევრნი არიან?

— იყვნენ, მაგრამ ამ დილით ეშელონს გაჰყვნენ. ახლა იქ მხოლოდ დარაჯები არიან!

— უნდა მოვიფიქროთ რამე, ბაბუა ნიკიტა! იცი, ამით რამდენ დედას, ცოლსა და შვილებს ავაცდენთ ობლობასა და ქვრივობრობას!

— რა იქნება, რომ ხვალ ან ზეგ საქონელი იქით გავრეკოთ საძოვრად.

— არის იქ საძოვარი?

— არის. შარშან იქ დაგვყავდა საქონელი!

— მართლა?

— მართლა.

ბეჟანი ამ დღეს აღელვებული დაბრუნდა სახლში.

მალაშკამ ახალი ამბავი დაახვედრა.

— დღეს მეზობელი მეუბნებოდა, ჩვენები უკვე დნეპრის ნაპირს მოსდგომიანო. ძალიან უტევენ და წინ მოიწევენო!

— ეგ ძალიან კარგი ამბავია!—უთხრა გახარებულმა ბეჟანმა.

მეორე დღეს, თანახმად წინა დღის შეთანხმებისა, საქონელი ფილიპოვკისაკენ გარეკეს. ბეჟანმა საქონელი საბალახოზე მიუშვა. საქონელი ნელნელა მიუახლოვდა ყუმბარების საწყობს. ნათლად მოსჩანდა არა მარტო ცალკეული ყუმბარები, არამედ აბაზიანის ოდენა, ბეჭვრიალა ფისტონებიც. ყუმბარების მახლობლად მსუყე ბალახი მწვანეთ ხასხასებდა და თვალს სჭრიდა საქონელს. ბეჟანი გზას არ უღობავდა მათ. თავისუფლად უშვებდა წინ. ყუმბარებს ეკლიანი მავთულის ღობე უვლიდა. როდესაც საქონელი ღობემდე მივიდა, შეძდეგ ბეჟანმა [illegible] ატრიალა. წინ ნეპაპჩუკი [illegible] თან კი განზე გავიდა და მახლობელ ადგილებს დაუწყო თვალიერება. რკინის გზის ლიანდაგიდან 600—700 მეტრის მოშორებით ხრამი შეამჩნია, გაუხარდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ შორი მანძილი იყო, არ გამოდგებოდა.

მზე გადაიხარა. გაჩახჩახებულ ცაში თვითმფრინავების ზუზუნი მოისმა. საბჭოთა მფრინავებმა სადგურის თავზე დაიწყეს ტრიალი. გერმანელთა საზენიტო არტილერიამ გრიგალისებური ცეცხლი გახსნა მაგრამ სტალინურ შევარდნებს გეზი მაინც ვერ შეაცვლევინა.

ბეჟანს ამის დანახვაზე საიმედო რამ აზრი ჩაესახა გონებაში—სახე გაუბრწყინდა, ნეპაპჩუკს მიუტრიალდა და ოდნავ გასაგონი ხმით უთხრა.

— არის!

ნეპაპჩუკი თითქო მიუხვდა ბეჟანის გულისთქმას — მხიარულად ჩაიცინა.

— შინ გავრეკოთ საქონელი. არ დაგვიღამდეს.

ბეჟანმა საქონელს წამოუარა და სიმონოვკისაკენ გაწოლილ მინდვრებზე გაშალა ნახირი.

— ბაბუა ნიკიტა!—უთხრა ბეჟანმა მოხუცს, როდესაც სოფელს მიუახლოვდნენ:—ხვალ თოფი უნდა წამოიღო როგორმე.

— ჩემს კისერზედ იყოს. დახეულ მაზარაში გავხვევ და კომბლის მაგივრად გავიდებ მხარზე.

— ჯარში ჰყოფილხარ, ბაბუა ნიკიტა? — შეეკითხა ბეჟანი.

— ჯარში, როგორ არა. ამასწინათ არ გითხარი, რომ სამი წელი ომში ვიყავ-მეთქი!

— კარგია.

— ჰაი დედასა, შენოდენობას რა სახელი მქონდა! ბეჭედში ტყვიას ვაძვრენდი.

ბეჟანი ამ სიტყვებზე ნეპაპჩუკს წინ გადაუდგა და თვალებში შეხედა.

— ბეჭედში ტყვიას აძვრენდი?.. იქნებ ახლაც არ გიმტყუნოს ხელმა, ბაბუა ნიკიტა! ჰა, რას იტყვი?

— თვალში სინათლე ჯერ არ გამომლევია და მკლავში ძალა! ვნახოთ. წინასწარ ვერაფერს გეტყვი! — უთხრა მოხუცმა. იგი მიხვდა, რომ ბეჟანს რაღაც საქმე ჰქონდა განზრახული.

მეორე დღეს, ნაცრისფერ მაზარაში გამოხვეული თოფი, მართლაც, როგორც კომბალი, ისე დაებჯინა მიწაზე ნეპაპჩუკს და წინ ჩასდგომოდა საქონელს ყუმბარების საწყობის შორიახლო.

აბედისფერ ტუჩებიდან აბედისფერსავე თამბაქოს კვამლს უშვებდა მოხუცი და ცეცხლშემონთებულ გულს მყრალი წეკოს ბოლით იოხებდა. ბეჟანი მეორე მხრიდან ედგა საქონელს.

მზე გადაიხარა. ვერცხლისფერად ელვარებდნენ ცაზე მიმოფანტული ღრუბლები. ბეჟანმა თავისი ტანის ჩრდილი მოზომა მიწაზე. ოთხი ნაბიჯი გამოვიდა. „სწორედ ამ სიგრძე იყო ეს ჩრდილი გუშინაც, როდესაც საბჭოთა მფრინავებმა შემოინავარდეს აქ“.

„ნუ თუ დღეს აღარ მოვლენ?“ გაუელვა ბეჟანს და ეს ფიქრი გულზე ეკალივით მოხვდა. გაილია უკანასკნელი წუთიც და ბეჟანს სმენა და თვალი მოსტაცა ღრუბლებში მოგუგუნე თვითმფრინავებმა“ ჩვენია, უსათუოდ ჩვენი! დანიშნულ დროს მოდის!.. მაგრამ თუ ჩვენია, რატომ სდუმან ეს ტუჩშ. ვერილი ვეშაპები?.. ამ ფიქრების რკალში იყო ბეჟანი როდესაც უეცრად ელვისებური სისწრაფით დაეშვა ერთი თვითმფრინავი, გადმოყარა ყუმბარები და ისევ მაღლა ავარდა შევარდნის სილაღით. სადგურის ახლო დაეცნენ ბომბები დედა-მიწას გული გაუფატრა და კვამლითა და ლითონის ნამსხვრევებით აავსო ჰაერი. გერმანელთა შენიღბულმა საზენიტო არტილერიამ ხმა ამოიღო. აყეფდნენ ეს დამალული ძაღლები.

ბიბლიოთეკა

ნეპაპჩუკმა დრო იხელთა. თოფი მაზარიდან გამოიღო, მავთულის ღობის მახლობლად გაჩერებულ ძროხას ამოეფარა, მარცხენა თვალი მოჭუტა. ყუმბარის ფისტონი ამოიღო ნიშანში. გული და მკლავი გაიქვავა და ჩახმახს თითი გამოჰკრა. შაშხანამ იგრიალა, მაგრამ ყუმბარებისა და საზენიტო არტილერიის გრიალში მისი ხმა ისე დაიკარგა, რომ ნეპაპჩუკსაც არ გაუგია, გავარდა თუ არა მისი თოფი. დააცილა. ყუმბარები ისევ ისე ეწყო.

ჰაი დედასა, ნიკიტა პავლოვიჩ, რა დროს გიღალატა თვალმა?

მეორედ გამართა თოფი მოხუცმა. მეორედ ამოიღო ნიშანში ფისტონი... ესროლა... და ნეპაპჩუკს მოესმა რაღაც ძლიერი, ჯოჯოხეთური გრგვინვა და რამდენიმე ათეული ნაბიჯის იქით კვამლისა და ცეცხლის ოროომტრიალი დაიწყო. და სწორედ მაშინ, როდესაც გახარებულმა მოხუცმა ბეჟანისაკენ მოიხედა, აფეთქებული ყუმბარის ნამსხვრევი შუბლზე მოხვდა.

საზენიტო არტილერია გაჩუმდა: თვითმფრინავებმა პირი იბრუნეს შინისაკენ.

დიდ ლოდს ამოფარებული ბეჟანი ხანძარს უყურებდა. ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა და ყუმბარების გრიალს დასასრული არ უჩანდა. არსად ცოცხალი ადამიანი არ ჭაჭანებდა. ხანძარში გახვეული თითბრის უზარმაზარი გორა ბრჭყვიალებდა მხოლოდ. ბეჟანი მეორე მხრიდან უთვალთვალებდა საწყობს, მაგრამ როდესაც ყუმბარები აფეთქდა, გაფანტულ საქონელს თავი მოუყარა და ნეპაპჩუკს დაუწყო ძებნა.

— ყოჩაღ ჩემო მეგობარო, ყოჩაღ ჩემო მამავ! სიტყვის კაცი ყოფილხარ!

ხანძრის ალს ნიავი ბეჟანისკენ აბრუნებდა და ძებნას უშლიდა. მაგრამ ერთბაშად ცეცხლის წვიმამ გეზი იცვა-

ლა, სადგურის მეორე მხარეზე გადაინაცვლა. ბეჟანმა მიიხედ-მოიხედა. ეკლიან მავთულის ღობისაკენ გაეშურა. თითოდე ნაბიჯი გადადგა და თვალი მოატანა მიწაზე გართხმულ მოხუცს. იგი უკვე მკვდარი იყო.

15

ნეპაპჩუკის დაღუპვამ ბეჟანს გული მოუკლა. იგი თავისთავს სთვლიდა დამნაშავედ. „მოხუცი კაცი ავიყოლიე და ბოლოს კისერი მოვატეხინე. რაღა დროს მისი თოფი და ცეცხლიანი ყუმბარების წინ თამაში იყო!“ სწუხდა ბეჟანი.

მოხუცი მენახირეს დაღუპვის შემდეგ ბეჟანის საზრუნავმა უფრო იმატა. საჭირო იყო გაიოზთან კავშირის გაბმა, მაგრამ როგორ, რა გზით?.. ბეჟანი ხომ ხელში თოფაღებული ვერ მიადგება ბანაკს. ხელყუმბარებით ხომ ვერ დაჰგლეჯს ეკლიან მავთულის ღობეს!

მაკრატელი რომ წაიღოს და მავთული გადასჭრას, უშველის განა ამით რამეს. ან მიაღწევს კი მავთულამდე?! უაზროდ არ შეეწიროს ბეჟანი მეგობრის განთავისუფლების საქმეს!

მალაშკა ბეჟანის გულში იხედებოდა და ამხნევებდა—კეთილ სიტყვას დროზე მიაშველებდა ხოლმე.

აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიას დღითიდღე საქმე ურთულდებოდა. საბჭოთა ჯარის ნაწილები წინ მიიწევდნენ, ქალაქს ქალაქზე ანთავისუფლებდნენ.

მაიორი ორმოცდახუთი-ორმოცდარვა წლის კაცი იქნებოდა. საშუალოზე მაღალი ტანის, ხმელ-ხმელი აგებულების. უყვარდა ცხენით გასეირნება. გული სიამოვნებით ევსებოდა, როდესაც მისი ოქროსფერი ულაყი, უკრაინული შვრიითა და ქერით გულზე ქონშემომდგარი, კბილებით ლაგამსა ღრღნიდა და ფეხებით მიწას სტორავდა.

მაიორს ქეიფი და დროს ტარებაც ძალიან უყვარდა.

გავიდა ერთი კვირა და მაიორმა დიდი ოთახი აღარ იკმარა. მალაშკა და ბეჟანი პატარა ოთახიდანაც გამორეკა — სამხარეულოში. დიდ ოთახში თვითონ დაბინავდა, ხოლო პატარა ოთახში უნტეროფიცერს მოუწყო კანცელარია.

16

ცა მოჩითული იყო შემოდგომის ღრუბლებით. ხეებს შეყვითლებული ფოთოლი სცვივოდა და დედამიწას ქათიბად ეფინებოდა. ტრამალები დაცარიელებული გამოიყურებოდნენ, გზატკეცილზე ქარს მტვრის ხვიები აემართნა ცაში.

მანქანები და ცხენის საზიდრები გამალებით მიმოდიოდნენ.

ბეჟანი ტყის პირას, აკაციის ხეებს წამოფარებოდა და ჩაფიქრებული გაჰყურებდა გზას. საქონელი მადიანად სძოვდა ბალახს — მალაშკას, ჭრელი ძროხა, ბაღის მახლობლად ტრიალებდა და აკაციის ჩამოცვენილ ფოთოლს ხარბად იქცევდა ენის შიგნით.

ერთბაშად ამ ძროხასთან ბეჟანმა ვიღაც ქალიშვილი დაინახა. ქალი ძროხას ეფერებოდა, კისერზე ხელს უსვამდა. გაოცებულმა ბეჟანმა შუბლი მოიჩრდილა. ქალი სწორედ ამ დროს შემობრუნდა მისკენ. „ტატიანაა. ღმერთო ჩემო!“ დარეკა ბეჟანის გულმა.

— ტატიანა!..

— ბეჟან!..—შესძახა ქალმა და მისკენ გამოექანა.

იმ საღამოს ბეჟანი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა შინ. ჭიშკართან მალაშკა და ტატიანა შემოეგება. ტატიანას ფოსტლებში წაედგა ფეხები. ნამგზავრს, ტანისამოსიც გამოეცვალა. ცისფერი, მოწითალო წინწკლებიანი ხალათი ჩაეცვა და თავზე თეთრი ხილაბანდი წაეკრა.

ბეჟანის დანახვაზე მალაშკას გაეღიმა.

— დღეს რა ადრე დაბრუნდი, შვილო! — უთხრა მან და ქალიშვილს გადახედა.

— ჰო, დღეს ცოტა ადრე გამოვრეკე საქონელი, — დარცხვენილად მიუგო ბეჟანმა.

ტატიანას სახეზე სიწითლემ გადაურბინა და აღელვების დასაფარავად, „მცივაო“, წაიჩურჩულა და შინ შევიდა.

მალაშკას უკვე მოესწრო ვახშმის მომზადება. ქათამი დაეკლა, კარტოფილი შეეწვა, „ვარენიკები“ გაეკეთებინა და ნახევარი ლიტრი არაყიც ეშოვნა.

ბეჟანმა ხელპირი დაიბანა. გახურებული შუბლი ცივი წყლით გაიგრილა და სამზარეულოში შევიდა.

ივახშმეს ტკბილად და გემრიელად. თვითეული მათგანის გული სიამით იყო სავსე.

— ტატიანა, გვიამბე დნეპროპეტროვსკის ამბები! როგორ გამოგიშვეს იმ ძაღლებმა? რამ მოგიყვანა აქ ამ ღროს? — ჰკითხა ბეჟანმა.

ტატიანამ პასუხი დააგვიანა.

— რამ მოიყვანა და დედის სიყვარულმა! თავისი ძმობილის ნახვის სურვილმა! — ჩაურთო სიტყვა მალაშკამ.

— მართალია. დედა მართალს ამბობს. — ნაზად წარმოსთქვა ეს სიტყვები ტატიანამ და სიყვარულით შეხედა დედასა და ბეჟანს თვალებში.

— რა ამბავია შენს საავადმყოფოში. მალე ხომ არ აპირებ უკან დაბრუნებას?

— უკან დაბრუნებას აღარ ვაპირებ!—მიუგო ტატიანამ.

— სასიამოვნოა. აქაც ხომ არის საავადმყოფო? აქ დაიწყე მუშაობა. ჩვენთან ახლო იქნები.

ტატიანას უცბად სახე მოეღრუბლა.

— ჩვენს სახლში რომ გერმანელები დგანან, იმათ ხომ არ იციან, რომ მე ექიმი ვარ?—შეეკითხა ტატიანა დედას.

— საიდან უნდა იცოდნენ? ეგენი რა ჩემი გულის ვარდები ყოფილან, რომ ჩემი ფიქრების ზიარად გავიხადო. არავინ არაფერი იცის.

— კარგია. არ არის გახმაურება საჭირო, — ტატიანამ სული მოითქვა და დაბალი ხმით განაგრძო:—მე უკან აღარ დავბრუნდები და ჯერჯერობით არც აქ ვაპირებ სამსახურს.

ტატიანა წამოდგა. კარები გამოაღო. დერეფანში გაიხედა. შემდეგ თავის ადგილზე დაბრუნდა. ბროლივით თეთრი ხელის თითები ერთი მეორეს ჩააჭდო და ღრმად ამოისუნთქა.

— მე დნეპროპეტროვსკიდან გამოვიქეცი.

მალაშკას და ბეჟანს სუნთქვა შეეკრათ. ხმა ვერ ამოიღეს.

— დნეპროპეტროვსკიდან ამჟამად იძულებითი წესით აგზავნიან ექიმებს გერმანიაში. გასაგზავნთა სიაში მეც ვიყავი შეტანილი. გამოვიქეცი... ყველაფერი მივატოვე.

— იძულებითი წესით სოფლებიდანაც აგზავნიან ახალგაზრდებს გერმანიაში! — სთქვა ბეჟანმა.

— და მერე შენ რა? შენ ხომ ექიმი ხარ!

— ექიმებსაც აგზავნიან.

ტატიანას გადაჭდობილი თითები ერთმანეთს დასცილდნენ და თვალებში ცრემლი მოადგა.

— მე გერმანიაში არ წავალ, აქვე რომ ჩამომკიდონ ხეზე! ერთი-ორი დღე აქ დავისვენებ და მერე ვნახოთ! მე ჩემს გზას მოვნახავ!

ბეჟანს გაუკვირდა, იმდენი ძალა და სიმტკიცე იყო ახლა ტატიანას სიტყვებში.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო! — უთხრა დედამ და სახე კედლისაკენ მიიბრუნა, რომ თვალზე უნებურად მომდგარი ცრემლი დაემალა.

სიმონოვკის თეთრი სახლები მოუმარედ იყვნენ ჩამწკრივებულ ხერხ

მალაშკას ეზოს ბოლოში მუდამ მოხმაურე მდინარეს თითქოს ძილი მოჰკიდებიაო, — სულთქმა შეეკრა. მთვარის შუქზე სარკესავით კრიალებდა ბორევი და მის კაშკაშა ზედაპირზე მოსჩანდა ცის თაღზე მოსრიალე დავახშმებული მთვარე და თავჩაქინდრული წნორის ხეები.

მალაშკას სამზარეულოს სარკმელს ცისფერი ფარდა ჰფარავდა. მთვარე მისდგომოდა ამ ფანჯარას და მისი შუქი ტახტზე ჩამომჯდარ ბეჟანსა და ტატიანას ეფრქვეოდა სახეზე. ტატიანას ქერათმებზე და მქრქალ ყელყურზე დაღვრილი მთვარის სინათლე, კდემამოსილებას ჰმატებდა. მზისა და ქარისაგან გარუჯულ ბეჟანის სახეს კი ბრინჯაოსფერ იერს აძლევდა.

შუაღამე გადასული იქნებოდა, მათ ლაპარაკს კი დასასრული არ უჩანდა.

— ტატიანა, მე მზადა ვარ აქედან წავიდე. ან ფრონტზე გადავალ, ანდა პარტიზანების რაზმს მოვძებნი, მაგრამ...

— რა, მაგრამ, ბეჟან!

— ჯერჯერობით აქედან ფეხს ვერ მოვიცვლი!

— რატომ, ბეჟან! შენ იქ უფრო საჭირო ხარ!

— ვიცი, ტატიანა, მაგრამ ფილიპოვკის მახლობლად საკონცენტრაციო ბანაკია. იქ ჩვენი ძმები არიან გამომწყვდეულები. მათ შორის, ჩემი კარგი მეგობარიცაა. გაიოზი ჰქვია მას სახელად. ვაქკაცს უკეთესს ვერ ინატრებს დედა! ვინ იცის, კიდევ რამდენი მგზნებარე მებრძოლია იქ ხელფეხ შეკრული!..

ბეჟანის ნაღველმა ტატიანასაც სიმწარე აგრძნობინა. გულში ბოლმა ჩაუდგა და სახე აელეწა.

— უნდა გავანთავისუფლოთ!

— მეც სწორედ ამიტომ მინდა აქ დარჩენა! სანამ ტყვეებს სხვაგან გადაიყვანდნენ, მანამდე უნდა დავიხსნათ ისინი, თორემ მერე გაძნელდება საქმე! ეჰ, საწყალი ნეპაპჩუკი უდროოდ დაიღუპა, თორემ, ჩვენ აქამდე გამოვაწყობდით კიდეც რაიმესა.

ტატიანამ და ბეჟანმა კიდევ ბევრ რამეზე ილაპარაკეს, მრავალნაირად აწონეს და გაზომეს მდგომარეობა. მრავალნაირად განსაჯეს საქმე.

17

მაიორი ლოგინიდან ნაგვიანებად წამოდგა. გაიზმორა. კისერი მიატრიალ-მოატრიალა, ხელის თითები გაატკაცუნა და გაღეღილი მკერდით ფანჯარასთან მიდგა. ფანჯარა გამოაღო, ხარბად გადაყლაპა დილის სუფთა ჰაერი.

ალუბლის ხეების ხეივანში ტატიანა გამოჩნდა. წყალი მიჰქონდა კასრით. ცხვირის ნესტოები ხშირი სუნთქვით სიფრიფანა ქაღალდივით უთრთოდა. ოქროვანი კულულები მხრებზე ჰქონდა გადმოშლილი. მოიჩქაროდა სახლისაკენ.

მაიორმა თვალი მოჰკრა ტატიანას.

— ვინ არის ეს ახალგაზრდა ქალი?— შეეკითხა უნტეროფიცერს.

— ეს ბატონო მაიორო, ამ სახლის პატრონის ქალიშვილია. წასულ კვირას ჩამოვიდა, სწორედ იმ დღეს, თქვენ რომ უმანში წაბრძანდით.

— საიდან ჩამოვიდა?

— არ ვიცი. მოხუცმა ქალმა სთქვა, მეზობელ სოფელ სერგიევკიდანო. იქ დეიდასთან ყოფილა სტუმრად.

— ლამაზი გოგოა! — ჩაილაპარაკა მაიორმა.

იგი ტატიანას თვალს არ აშორებდა. მერე სარკმელზე გადაწვა და ზღურბლთან მომდგარ ტატიანას უტიფრად ჩაუკრა თვალი. ტატიანამ თავი დახარა, მკერდზე გადმოფენილი თმები ზურგზე გადაიყარა და სამზარეულოში შევიდა. პირსაბანში წყალი ჩაასხა. ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბს მიუბრუნდა, საჭმელს კოვზი მოურია.

ცოტახნის შემდეგ კარი გაიღო და მაიორი შემოვიდა.

— წყალი! — უბრძანა მალაშკას, მაგრამ ტატიანას მოჰკრა თვალი და წყალს აღარ დაუცადა, — ტატიანასთან მივიდა. ტატიანა მაშინვე გაეცალა — ეზოში გაიქცა, ვითომ ძროხა უნდა გადაედენა ეზოდან.

— რატომ გამირბის, — ჰკითხა მალაშკას გაჯავრებულმა მაიორმა!

— უსწავლელი გოგოა, ბატონო მაიორო! აპატიეთ! — უთხრა გულგადატრიალებულმა დედამ.

ბეჟანს არ გაუმხილა ეს ამბავი. „შეიძლება ამით საწყალი ბიჭი ხიფათს გადავიდო!“..

ამ დღიდან მოკიდებული მაიორი ხშირად აგზავნიდა უნტერ-ოფიცერს ტატიანას დასაძახებლად. ათასს რამეს ეკალებდა: ეს შემიწვი, ეს გამომიცხვე, ეს გამიკერე... წყალი გამითბე... მას უნდოდა ამ გზით დაეახლოვებინა ახალგაზრდა ქალი.

18

შემოდგომა ილეოდა. მზე იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე ტყეების თავზე გაკრულ ღრუბლებში. ღამღამობით ჰყინავდა კიდეც. სუსხმა საძოვრებზე ბალახი მოწვა და მინდვრებს მწვანე ქათიბი შემოაცალა.

კარგა მოდღეებული იყო, როდესაც ბეჟანმა ნახირი გარეკა სამწყესურზე. ნეპაპჩუკის დაღუპვის შემდეგ სოფელმა ერთი პატარა მარჯვე ბიჭი გამოჰყო მწყემსად.

სახელად მიკოლა ერქვა. იგი და ბეჟანი მალე დამეგობრდნენ.

ტყიდან რაღაც ხმაური შემოესმა ბეჟანს. გაიხედა, — ვერაფერი დაინახა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და თვალი იქით გააყოლა, საიდანაც ხმა მოისმოდა. შეფიქრდა. ეჭვმა გაჰკრა გულში: „მიწურში თოფსა და ვაზნებს ხომ ვრავინ მიაკვლიაო?!“.

— სწრაფად!.. — გერმანულ ენაზე მრისხანე კილოთი ნათქვამი სიტყვა გაიგონა მან.

ბეჟანი წაქცეულ ხეზე შედგა და გზას გახედა.

— სწრაფად!..—კიდევ გაიგონა იგივე ხმა.

ხიდან ჩამოვიდა, პატარა ბეჭობს ფეხაკრეფით შემოუარა და შესდგა.

ბეჭობის ძირში აკაციის ხეებს ჰხერხავდა ოთხი — მათხოვრის ძონძებში გამოხვეული ტყვე. მათ თავზე გერმანელი გუშაგი დასტრიალებდა, რომელსაც მარჯვენა ხელის მაჯაზე რეზინის ჯოხი ჰქონდა ჩამოკიდებული.

ბეჟანმა ტუჩები მოიკვნიტა. გაახსენდა თავისი თავი ბანაკში. ერთბაშად გულმა ბაგაბუგი დაუწყო და თვალები გაუგანიერდა. ტყვეებს შორის გაიოზი შეიცნო მან.

გაიოზს სახე დაღმეჭოდა. თვალები ჩასცვივნოდა და ძველებური ცეცხლი დაჰკარგოდა. დახეული პილოტკა ჰქონდა თავზე ჩამოფხატული. დაკონკილ შარვალში ბარძაყები უჩანდა და შიშველა ფეხებზე ხის გაცვეთილი ქოშები ეცვა. ორივე ხელით ჩაფრენოდა ბირდაბირს საწყალი და ძლივს ეწეოდა თავისკენ.

„ღმერთო ჩემო, გაიოზი! ჩემი გაიოზი!“—ჩურჩულით აღმოხდა ბეჟანს.

გერმანელმა გუშაგმა კვლავ დაიღრიალა, რეზინის ჯოხი გამეტებით გადაუშხუვლა ბეჭებში იმ ტყვეს, რომელმაც შესვენება სცადა და ხელი შეაყენა.

ბეჟანს ამის დანახვაზე გული აუდუღდა.

თოფნაკრავივით მოსწყდა ადგილს, საქონელთან დაბრუნდა, ნახირი ნასიმინდარში გადარეკა და მიკოლას უთხრა:

— აქ ატრიალე საქონელი ჩემს მოსვლამდე!

ბეჟანი ტყეში შევიდა. თვალის დახამხამებაზე მიწურთან გაჩნდა. თოფი ამოიღო. დატენა. შეათვალიერა ირგვლივ ყოველი ბილიკი, ხე და ბუჩქი. ფრთხილი, მაგრამ სწრაფი ნაბიჯით გაუყვა გზას ბექობისაკენ. მაღლა რომ ავიდა, მიწაზე დაწვა და გუშაგს გახედა. იგი კუნძზე ჩამომჯდარიყო და თუთუნს ეწეოდა. ნაფაზს არტყამდა და კვამლის ვრეხილ რგოლებს უდარდელად გასცქეროდა.

ბეჟანმა თოფი დაუმიზნა და თითი ნელა გამოჰკრა სასხლეტს: იგრიალა თოფმა. გუშაგი პირქვე დაემხო კუნძთან.

ტყვეებმა მუშაობა შეწყვიტეს და აქეთ-იქით დაიწყეს ცქერა.

— გაიოზ!—შესძახა ბეჟანმა და ბექობიდან სწრაფად დაეშვა.

გაიოზი შემოტრიალდა. ჩაშრეტილი შავი თვალები ერთბაშად გაუბრწყინდა.

— ბეჟან!!!

გაიოზს მუხლი მოეკვეთა, კინალამ წაიქცა, ბეჟანმა მოასწრო, ხელი სტაცა და მკერდში ჩაიკრა მეგობარი. მათ თვალთაგან ცხელმა ცრემლმა იწვიმა.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. ჯუმაკინი

კავკასიის ფყვე

★

ნაწილი პირველი

სხედან ჩერქეზნი ქოხების წინა
და სავაჟკაცო ამბებს ჰყვებიან:
თუ რა ბრძოლები გადახდათ წინათ,
ვის რა გმირობა უჩვენებია,
თუ რა მკვირცხლია მათი ცხენები,
მათი თავდასხმა რა საზარია
და რაოდენად უეცარია,
რამდენად მარჯვე ჰყავთ უზდუნები,
რა მკვეთრი არის იმათი ხმალი,
აუცდომელი ისარი მალი,
რა სიმაღლემდე ასულა ალი
გადაბუგული მტრის სოფლებისა.
თან აგონდებათ წყარო შვებისა —
ხვევნა შავთვალა ტყვე ქალებისა.

გაერთვნენ დინჯი ბაასის დენით,
მეავარეს გადეკრა ღამის ბურუსი.
უცებ ჩერქეზი მოიჭრა ცხენით
და დაიყვარა: „აჰა, ურუსი!“
ყაჩაღს ქამანდი ეჭირა გრძელი —
მან ახალგაზრდა ტყვე მოათრია.
მყისვე მოგროვდა აული მთელი
და გულის ბოღმა გადმოანთხრია.
მაგრამ ტყვე უხმო, ცივი, მტვრიანი
უძრავად ეგდო თავსისხლიანი.
ვერ ხედავს იგი სახეებს მტრულსა,
არ ეყურება ლანძღვა-გინება;
ფრთა გაუშლია სიკვდილის რულსა
და მისი სუნთქვა ზედ ეფინება.
ამგვარად ჟამი გავიდა ვრცელი.
იწვა იგი ტყვე გონდაბნეული.
თავს წამოადგა შუადღე ცხელი,
მზე დააცქერდა ზეაწეული.
თითქოს მნათობი სხივთა მფრქვეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლინებოდა სიცოცხლეს მხსნელად:
კვნესა გაისმა გაურკვეველი,
წამოიხარა ბედშავი ნელა.
ძლივს მოატარა ირგვლივ თვალები...
ხედავს: დასცქერენ მას მწვერვალები
თვალუწვდენელი, დიდი ქედისა —
მთა, უაჩაღური ტომების ბუდე,
მიუდგომელი, მაღალი ზღუდე
თავისუფალი ჩერქეზეთისა.
ტყვეობის ფიქრმა შეაჟრიალა,
თითქოს ეს იყო სიზმარი ავი.
უცებ მან ჩუმად ჩაღუნა თავი,
ფეხზე ბორკილმა რომ იჩხრიალა...
ოჰ, ყველაფერი უკვე თქმულია
ამ საზარელი, სასტიკი ხმითა!
ბუნება მისთვის დაბნელდა, წმიდა
თავისუფლება წართმეულია!
მონაა იგი...

მიგდებულია
სახლს უკან ისა. ვინ შესძლოს შველა?
თავზე არ ადგას მას ყარაული:
მინდვრად გასულა ჩერქეზი ყველა,
და მისცემია დუმილს აული.
წინ ვრცლად გაშლილნი, მწვანილოვანნი
სჩანან ვაკენი უკაცურები,
იქით გორაკნი ერთფეროვანნი
და ერთმანეთზე გადაბმულები.
იგი მათ შორის გზასა უცქერდა,
თუ სად ჰქრებოდა მისი ხვეული,
და ახალგაზრდა ტყვეს აუძგერდა
გული უმძიმეს ფიქრით ძლეული...

რუსეთისაკენ გზა იყო გრძელი,
სად სიჭაბუკე დაეწყო მწველი,
იწყო სიცოცხლის ხელგაშლით ხარჯვა,
სადაც პირველი სცნო სიხარული,
ბევრს რამეს უძღვნა მან სიყვარული
და განიცადა მრისხანე ტანჯვა.
მღელვარების და წვისთვის შობილმა,
ჩაჰკლა იმედი, ნატვრა, შვებანი,
და გადამალა გულმა ჭკნობილმა
უკეთეს დღეთა მოგონებანი.
მოსძულდა იქ მას დიდკაცთა ხროვა,
ჰკრიფა საკმაოდ ცხოვრების ნარი.
მეგობართ გულში ღალატი ჰპოვა
და სიყვარულში—სიზმარი მტკნარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოჰბეზრდა ყოფა ფუქსავატური,
წესად ქცეული მისგან წამება,
სულში ორპირთა ხელის ფათური
და გულუბრყვილო ცილისწამება.
შორს, შორს! ბუნება იწამა ღმერთად,
მშობელი მიწის დასტოვა ზღვარი
და შემოაღო სხვა ქვეყნის კარი
თავისუფლების აჩრდილთან ერთად.

თავისუფლებავ! ამ ქვეყნად მხოლოდ
შენღა სწყურდი, შენღა გნატრობდა.
გულს მან ვნებებით მოულო ბოლო,
ოცნება, ჩანგი აღარ ათრობდა.
ის მარტოოდენ შეირხეოდა
შენგან სულჩადგმულ სიმღერებითა
და შენს გულზვიად კერპს ეხვეოდა
მხურვალე რწმენით და ვედრებითა.

აღსრულდა... ქვეყნად არ დარჩენილა
საგანი მისი სასოებისა,
და გუნდი მისგან შორს გაფრენილა
თვით ბოლოდროის ოცნებებისა.
მონაა იგი. ქვას დაყრდნობილი,
ნატრობს: რა მზემან დახუჭოს თვალი,
ჩაუქრეს მასაც სიცოცხლის ალი
და მიწამ შთანთქას მიწად შობილი.

მზე იბინდება მთებს მოფარებით,
და ტყვე ერკვევა რაღაც ხმაურში:
ეს მინდვრებიდან მოდის აულში
ხალხი ცელების აელვარებით.
მოვიდნენ. ცეცხლი დაანთო ყველამ;
მიწყნარდა უკვე ჩოჩქოლი, ხმები
თანდათანობით. გარშემო ბნელა
და ყველაფერი მოცულა შვებით.
შორს კი ციმციმებს თეთრად ნაკადი
პიტალო კლდეზე ჩამომდინარი,
და შებურვილან ღრუბლის ნაბადით
კავკასიონის მთები მძინარი...
მაგრამ, ჩუ, მთვარის შუქში ვინ არი,
ღრმა სიჩუმეში რომ დადის მალვით?
ერკვევა რუსი. უსიტყვოდ, კრძალვით
წინ ახალგაზრდა ჩერქეზის ქალი
წარუდგა. ტყვემან მიაპყრო თვალი.
მხოლოდ სიზმარი სცნო მან ამაში,
ან დაქანცული გრძნობის თამაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსილმა მთვარის ფერმკრთალი სხივით,
გულშემატკივრად გაღიმებულმა
და მუხლმოდრეკით ძირს დაშვებულმა,
ბედშავის პირთან ყუმისი ცივი
მან მიიტანა სათუთის ხელით.
ვაჟი ივიწყებს მკურნავ ფიალსა —
მას გულს უღელვებს ოცნება მწველი,
ხმა ეყურება საამო, ნელი,
შესაქერის ქალის თვალთა ციალსა.
სიტყვები უცხო არ ესმის, ხოლო
მზერა გულთბილი, ღაწვების ფერი
და ხმა საამოდ, მხიბლავად მჟღერი
მას ეუბნება: შორს არის ბოლო,
უნდა იცოცხლო! და მართლაც კვალად
ტყვეს განუახლდა სიცოცხლის ძალა.
ის იკრებს ღონეს, დასძრა სხეული,
რომ შეასრულოს მისი სურვილი,
მისწვდა ფიალას წამოწეული
და განიქარვა მძაფრი წყურვილი.
მერე კვლავ იგრძნო ტკივილი მწვავი
და ისევ ქვაზე დააყრდნო თავი,
მაგრამ ის მაინც მიბნედილ თვალსა
აღარ აშორებს ჩერქეზის ქალსა.

და დიდხანს, დიდხანს მის წინ ასული
ზის უმოძრაოდ, ფიქრში წასული;
გრძნობით, რომელიც არ იყო თქმული,
სურს ანუგეშოს ბედკრულის გული.
დროდადრო ბაგე გაეხსნებოდა
მეტყველებისთვის მას უნებურად;
მაგრამ ოხრავდა, კვლავ დუმდებოდა,
რადგან თვალები ცრემლს დაებურა.

დღე მისდევს დღესა, ვითარცა ჩრდილი.
ყოველ დღეს იგი, ტყვე ნაღვლიანი,
მთაში ჯოგს უდგას ბორკილიანი.
მას ნესტიანი გვირაბი გრილი
იცავს, როდესაც ზაფხულში ცხელა;
ხოლო როდესაც ამოვა ნელა
ვერცხლის ნამგალა მთვარე მთებიდან,
მაშინ დაბინდულ ბილიკებითა
ჩერქეზის ქალი მოუტანს ხელად
თაფლსა, ყუმისსა, ღომსა და ღვინოს.
თავადაც ვახშმობს მასთან ფარულად,
უცინის ნაზად და მხიარულად
და მის თვალებში ცქერითა ლხინობს.
რასაც ვერ უხსნის მეტყველებითა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანიშნებს სახით და ხელებითა.
ტკბილია კილო იმისი ხმისა:
ირგვლივ ირღვევა ძილი მდელოსი,
როს აღმოხდება სიმღერა მთისა,
ან ბედნიერი საქართველოსი.
ტყვეს მოუთმენელ მეხსიერებით
სურს შეითვისოს უცხო ბგერები.
ეს იყო ქალის პირველი ტრფობა,
რომელიც მუდამ ცეცხლოვანია,
მაგრამ რუსმა კი დიდიხანია
ახალგაზრდული დაჰკარგა გრძნობა:
მან ვერ მიიღო აშკარა, სრული
ტრფიალი მისი ნორჩი გულისა,
ეგებ არ სურდა გაეკრთო რული
დავიწყებული სიყვარულისა.

ჩვენი სინორჩე მყისვე არ ჭკნება,
მყის არ იქცევა სიამე ჭირად,
მოულოდნელი გულის აღგზნება
მომავალშიაც გვეწვევა ხშირად.
მაგრამ პირველო შთაბეჭდილებავ,
პირველო ტრფობავ, ნაფეთქო ალად,
თქვენი ელფერი დაიჩრდილება
და არც გვეწვევით არასდროს კვალად.

სჩანს, წარკვეთოდა იმედი ყრმასა
და ყოფა მძიმე აღარ ჰზარავდა.
ტყვეობის ნაღველს, ამბოხის ხმასა
სულის წიაღში ღრმადა ჰფარავდა.
შავს კლდეთა შორის მოხეტეს, დილით,
როცა ნიავი მოჰბერდა გრილი,
სანახაობა ერთი ათრობდა:
იგი შორეულ გოლიათებსა —
ვარდისფერს, ლურჯსა, ჭაღარა მთებსა —
ცნობისმოყვარე თვალს მიაპყრობდა.
რა სურათისა იყო მშვრეტელი!
მარადი თოვლის ფუძე და კალთა —
მწკრივი იმათი ეგონა თვალთა
ღრუბლების ჯაჭვი განუწყვეტელი.
და სხვებზე მაღლა იქა ჩნდებოდა
ორთავიანი მთა სხივოსანი —
ეს, ყინულოვან-გვირგვინოსანი,
ცას იალბუზი შეჰყუდებოდა.
ხშირად ქუხილი დიდის ძალისა,
წინამორბედი ქარიშხალისა,
რომ გაისმოდა, ის, სერზე მჯდარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასცქერდა აულს მშვიდი და წყნარი.
ფეხქვეშ ღრუბელი იკლაკნებოდა,
ძირს ველი სჩანდა ამტვერებული,
და გამოქვაბულს ეტანებოდა
უკვე ირემი შეშინებული;
კლდიდან არწივნი მიჰფრენდნენ რხევით
და გაჰყიოდნენ ერთმანეთს ზევით.
ცხენთა ჭიხვინი, ხართა ზმუილი
ქარტეხილის ხმით იფარებოდა,
ღრუბელი ელვით იბზარებოდა,
იდგა წვიმის და სეტყვის შხუილი;
ღვარი მომსკდარი ფერდობს ღარავდა,
სთხრიდა ქვებსა და ქვებსვე ახლიდა,
და ღრიანცელით ხევსა ჰზარავდა.
ხოლო ტყვე ამდროს მთის სიმაღლიდან,
სადაც შავ ღრუბელს დაშორებული,
არ იყო იგი დელგმით ვნებული,
მზის გამოჩენას ელოდებოდა.
თანაც სალხინოდ ეჩვენებოდა
ავდრის ღმუილი განრისხებული.

მაგრამ საოცარ ხალხს ევროპელი
ყველაზე მეტად აკვირდებოდა.
თავად მთიელთა წრეში მყოფელი,
მოსიყვარულე მათი ხდებოდა.
ის ეცნობოდა იმათ ენასა,
ჩვეულებს, ადათებს ზნეს და რწმენასა.
მოსწონდა მათი ცხოვრება სადა,
სტუმრის გულისთვის თმობა თავისა,
ყოველთვის ყოფნა ბრძოლისთვის მზადა,
ფეხმარდობა და ღონე მკლავისა.
გადეყრებოდა გულიდან დარდი,
როცა ხედავდა: ჩერქეზი მარდი,
ხან ვაკე გზითა, ხანაც მთიანით,
ნაბადმოსხმული, ბოხოხიანი,
უნაგრის კოტას გადამხობილი
და უზანგებზე ფეხდაყრდნობილი
მიჰქროდა ცხენით ხალისიანად,
რომ შესჩვეოდა ომს ადრიანად.
სტკბებოდა რუსი მთელის გრძნობითა
მათი სამხედრო ჩაცმულობითა.
ზის იარაღში ჩერქეზი მარად
ამით ამაყობს, ეს მისთვის კმარა.
იგი, დღემუდამ საფრთხეში მყოფი,
შემოსილია ნაქსოვი რვალით;
დაუკიდნია სიათა თოფი,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მშვილდი, კაპარჭი, ხანჯალი, ხმალი.
ტანი სიმძიმით არ უდუნდება,
ზედ არც რაიმე გაჩხაკუნდება.
ცხენოსანი, თუ მავალი ფეხით,
იგი ყოველთვის ერთნაირია,
გაუტეხელი, მტკიცე, ვით მეხი,
მტრისთვის მარცხი და შავი ჭირია.
რისხვა უდარდელ კაზაკებისა,
იგი ამაყობს ძვირფასი ცხენით —
დამამშვენარი მთის ჯოგებისა,
ის ერთგულია და ჭირთა მთმენი.
კლდის გამოქვაბულს, ან მაღალ შამბსა,
იმასთან ერთად აფარებს თავსა
ეს მტაცებელი დაუნდობელი
და, რა წამსაც კი შენიშნავს მგზავრსა,
მიჰქრის იმისკენ, ისრის მსწრობელი.
შეტევა მკაცრი და აღგზნებული
მათ შორის ბრძოლას გადასწყვეტს ხელად,
ხვდება ქამანდი გაელვებული,
და ვიღას ძალუძს ბედშავის შველა!
წაათრევს უცებ მას, თითქოს ფრენით,
გაქანებული მთებისკენ ცხენი;
მისთვის ერთია: გზა ეკლიანი,
ჭაობიანი, თუნდა ტყიანი.
რჩება მას უკან წითელი კვალი,
მაგრამ ეს მხედარს არ ედარდება.
აგერ წინ მოჰქუხს ნაკადი მალი,
და ბედაური შიგ შევარდება.
ჩასძირავს ტალღა ძალმილეულსა,
და ჰყლაპავს იგი წყალს ამღვრეულსა.
როგორ უმუხთლა ბედმა ვერანმა!
უახლოვდება აღსასრულს მწარეს...
მაგრამ, ჰა, უკვე მძლავრმა მერანმა
ის გაათრია მეორე მხარეს.
ან როს მიდამოს გორაკებიანს
ღამე ჩრდილს მოჰფენს ჩაშავებულსა,
ჩერქეზი იჭერს ხეს ტოტებიანს,
წყალში ქარიშხლით ჩანარცხებულსა,
და მის ფესვებზე და რქებზე ჰკიდებს
საჭურველს თვისას: ფარს, მუზარადსა
მშვილდსა და კაპარჭს, ბექთარს, ნაბადსა,
მერე მოსწყდება მდინარის კიდეს
და წესთან ერთად მიაპობს ტალღებს.
გარშემო ღამის ყრუ მდუმარებას
მხოლოდ მდინარის შხუილი არღვევს,
რომლის ღონიერ სწრაფ მდინარებას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის ნაპირ-ნაპირ, ყორღნებთან ახლოს,
მიაქვს; თვითეულ იქაურ მაღლობს
იცავს კაზაკი შუბს დაყრდნობილი.
მქუხარე ტალღებს დაჰყურებს ისა,
ზედ იარაღი მიცურავს მტრისა,
ვერ დანახული, ვერ შეცნობილი...
კაზაკო, ნეტავ რას ფიქრობ ახლა?
ეგებ იგონებ ომებს მზარავსა,
ან ბრძოლის ველზე გაშლილ კარავსა,
პოლკების ლოცვებს, აღვლენილს მაღლა,
და სამშობლოსა? მაგრამ... უფალო!..
მშვიდობით დონო, მდინარევ წყნარო,
მამის ოჯახო, სიამის წყაროვ,
თქვენც, სტანიცების ქალნო ტურფანო!
მტერი ფარული ნაპირზე დგება,
ის კაპარჭიდან იღებს ისარსა —
ისარი მიჰქრის, კაზაკსა ხვდება
და გაუგმირავს გულის ფიცარსა.

ხოლო როდესაც ავი დარია,
დაბანდებული ჩერქეზი შინა
ოჯახთან ერთად ჩამომჯდარია
გაჩაღებული კერიის წინა.
თუ, ჩამომხტარი ცხენიდან მაშინ,
დაყოვნებული უდაბურ მთაში,
დაღლილი მგზავრი შეაღებს ფრთხილად
კარსა და ცეცხლის მახლობლად ჯდება,
მას მასპინძელი უღიმის ტკბილად,
ესაუბრება, მერე კი დგება
და ღვინოს აწვდის მეგობრულ ხელით.
მგზავრს ჰხურავს ღამით ნაბადი სველი
და სძინავს ქოხში მშვიდის ძილითა.
ლასტოვებს, გზა რომ გალიონ გრძელი,
სტუმართმოყვარულ ბინას დილითა.

როცა ბრწყინვალე დღესასწაულის—
ბაირამის დღე გათენდებოდა,
საასპარეზოდ მთელი აულის
ყმაწვილკაცობა შეიყრებოდა.
ხან ძირს ცვივოდნენ არწივნი, მკვდარნი
მაღლა ატყორცნილ სწრაფ ისრებითა,
ხან, მოუთმენელ რიგებად მდგარნი,
დაქანებულის გორაკებიდან
მხედრები დაბლა დაეშვებოდნენ,
რა წამს მისცემდნენ ამისთვის ნიშანს;
ცხენები ველზე გამგელდებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზე ისროდნენ მტვერსა და ქვიშას.
მაგრამ ომისთვის დაბადებულსა
ერთფეროვანი ყოფა სწყინდება,
და ხშირად თამაშს გალაღებულსა
შავი თამაში გადებინდება.
ზოგჯერ ხმლებს რისხვით აქნევენ მკლავნი,
როცა ღრეობენ გაგიჟებულნი:
მტვერში ცვივიან მონების თავნი,
და ტაშს უკრავენ ყრმანი შვებულნი.

მაგრამ რუსი კი არა ხარობდა
ამ სისხლიანი გასართობითა.
სასტიკ შექცევას წინათ სწყალობდა—
თავის წაგებაც სურდა წლობითა.
ჰქონდა პატივის შელახვის რიდი,
არვის აწევდა მოპყრობას მტრულსა,
და დუელებში, მტკიცე და მშვიდი,
დამღუპველ ტყვიას უშვერდა გულსა.
ეგებ ხანდახან ჩაფიქრებული,
ოცნებით წარსულ დროს ეწვეოდა,
როდესაც იგი ძმური კრებულით
გარემოცული ლხინს ეძლეოდა...
როს ალონებენ განვლილნი დღენი,
მისი იმედის მკვლელი დროება,
ან უკვირს, როგორ ერთობა ლხენით
უსასტიკესი უბრალოება,
და ამ ველური ტომების ზნენი
ჰზარავენ ასე აშკარა ჩენით—
მაშინ, მდუმარე, თითქოს აფერხებს
ის თავის გულის მოძრაობასა,
და მაღალ შუბლზე ვერვინ ახერხებს
მის ფარულ ფიქრთა კვალის ცნობასა.
მის გულადობას, ვაჟკაცობასა
ჰკვირობდნენ თავად ჩერქეზნი მხნენი;
დაზოგეს მისი სიცოცხლის დღენი,
ბატონებს იგი ისე მოსწონდათ.
მათ ამ ნადავლით თავიც მოჰქონდათ.

ნაწილი მეოთხე

შენც განიცადე, ასულო მთისავ,
გულის დათრობა, სიცოცხლის სიტკბო;
შენმა თვალებმა, ვით შუქმა მზისამ,
სასიყვარულო აფრქვია სითბო.
როს ბნელ ღამეში მეგობრის მწველი
ბაგე გკოცნიდა უსიტყვო გზნებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ, დატყვევებულს ალერსით, ვნებით,
გავიწყდებოდა ქვეყანა მთელი;
ეუბნებოდი: ტყვეო, გთხოვ დასტკბე,
ეგ ნაღვლიანი გული ახარე,
აგერ ჩემს მკერდზე თავი დახარე,
თავისუფლება, სამშობლო დასთმე
ფიქრშიაც. მზად ვარ ვცხოვრობდე სადმ
ყრუ უდაბნოში მე შენთან ერთად,
რადგან გიწამე ჩემს მეფედ, ღმერთად.
ოჰ, შემიყვარე! ბაგით ჩემს ბაგეს
ვაჟი ჩერქეზი არ შეჰხებია,
საწოლსა ჩემსას, ნატიფად ნაგებს,
ჭაბუკი არვინ მიჰკარებია.
მიცნობენ როგორც ულმობელ ქალსა,
ვისაც სიტურფე ვერ მოსჭრის თვალსა.
ვიცი რომ ბედი მომელის შავი:
მამაჩემი და ჩემი ძმა ავი
ფიქრობენ, რომ სხვა აულში ძვირად
მიმყიდონ კაცსა, ვინც მიჩანს ჭირად.
მაგრამ ძმას, მამას, მოვულბობ გულსა,
არა და—ხანჯლით დავიჩენ წყლულსა.
შეუცნობელი დიადი ძალით
ვარ მოზიდული შენსკენ მთლიანად,
და სიყვარულის უშრეტი ალით,
ძვირფასო, ვიწვი მე ერთიანად...

მაგრამ დუმილით და სიბრალულით
უმზერდა იგი ქალს ვნებიანსა.
სულს უმძიმებდა ფიქრი მალული,
ხმას რომ ისმენდა ალერსიანსა.
მოგონებანი წარსულთა დღეთა
თავდავიწყებულს ეხვევნენ ჯარად,
და ერთხელ ტანჯვამ და გულის წყვეტამ
თავიც იჩინა ცრემლების ღვარად.
გულს უმძიმებდა, ისე ვით რკინა,
ძველი ტრფიალის უიმედობა.
ბოლოს გამოსთქვა ქალწულის წინა
თვისი ნაღველი და უბედობა.

„დამთმე: არა ვარ მე ღირსი შენი
ალტაცების და სიყვარულისა.
სხვას მიუძღვენი ძვირფასნი დღენი,
ხხვა გამონახე სატრფო გულისა.
შესცვლის ტრფიალის ცხელი ვნებითა
ის ჩემი სულის ნაღვლიან ყინვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის თაყვანსა სცემს აღტაცებითა
შენს სილამაზეს, თვალების ბრწყინვას.
მოხიბლავს ენა, გრძნობის მქარგველი,
სინაზე შენი, ღირსი ქებისა.
მე კი რას მოგცემ, თვით დამკარგველი
სასოების და სურვილებისა?
გრძნობამ ბედკრულმა მომიღო ბოლო,
სულის ქარცეცხლით ვარ გაალული.
გადამივიწყე; მაჩუქე მხოლოდ,
როგორც უბედურს, მე სიბრალული.
ჩემო ძვირფასო, ნეტამც კი შენა
ჩემს თვალებს მაშინ მოვლინებოდი,
როდესაც მქონდა იმედის რწმენა,
როცა ოცნებით, ნატვრით ვტკბებოდი.
აწ გვიანღაა. გული მკვდარია,
იმედებია მთლად გალეული.
ბედნიერება არ მიხარია,
ნაზ გრძნობათათვის ქვად ვარ ქცეული...

„რაა, ბაგეებს, ვნებით გზნებულებს,
თუ უპასუხებ კოცნით ფრთხილითა
და თვალებს ცრემლით ამოვსებულებს
შეაცქერდები ცივ ღიმილითა!
ძნელია, იჭვით გამხდარსა ავად,
გრძნობაწართმეულ სულით მძინარსა,
ქალი გეკვროდეს, ხოლო შენ თავად
ფიქრით ნატრობდე სხვას—უჩინარსა...

„როს მოიჭრები ჩემთან ფრინველად,
როცა ეგ ბაგე ჩემს ბაგეს ერთვის,
და საათები ტრფობისა შენთვის
გადიან ჩქარა და უდრტვინველად;
მაშინ ფარულად ცრემლმოწმენდილი,
დაღონებული, ხმაგაკმენდილი,
მე ჩემს წინაშე, სიზმრისა გვარად,
სახესა ვხედავ სანატრელს მარად;
მას მოვუწოდებ, ვისწრაფი მისკენ;
ვდუმვარ, არ ვხედავ, არაფერს ვისმენ;
რომ გულს მიმიკრა, გაძლევ ნებასა,
თვით კი ვეხვევი მტკნარ ჩვენებასა;
ვასველებ ცრემლით უდაბურ არეს,—
ის მუდამ ჩემთან დაეხეტება,
და ობოლ სულში მე ნაღველს მწარეს
მაწურავს იგი მძიმე წვეთებად.
„მარგუნა ბედმა ხუნდის ტარება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამითმე ჩემი ცრუ ოცნებანი,
ცრემლები, სევდა, მოგონებანი:
მათი ნუ გინდა გაზიარება.
მე გულის ბოღმა გასმინე მწველი;
აწ კი მშვიდობით... მომეცი ხელი.
ვიცი, ლამაზ ქალს არ ეტკინება
ხანგრძლივად გული ცივ განშორებით:
ტრფობა გაივლის, მოეწყინება,
სიყვარულს იგრძნობს განმეორებით".

ჰგოდებდა, მაგრამ სულ გაშრობოდა
ცრემლები ყმაწვილ ქალს უბედურსა;
უძრავი მზერა კი, ეტყობოდა,
გამოხატავდა ღრმა საყვედურსა;
ხელით ეჭირა ვაჟს ცივი ხელი
ათრთოლებულის, ფერწასულისა;
ბოლოს ნაღველმა სიყვარულისამ
ქალს ათქმევინა სათქმელი ძნელი.

„ოჰ, რუსო, რუსო, რად გენდობოდი,
ვიდრე მე შენს გულს გავეცნობოდი!
აღარ იგუა აწ შენმა მკერდმა
ქალწული ტკბილად მისვენებული;
მას ბევრი ღამე არ მისცა ბედმა
ლხენით აღსავსე და დიდებული!
დაბრუნდებიან კვლავ ეს ღამენი?
ნუთუ ქარს გაჰყვნენ მთლად სიამენი?..
მე ხომ ადვილად მოვტყუვდებოდი
გამოუცდელი სიყმაწვილითა;
შენც მოტყუებას შეეცდებოდი
ყალბი ალერსით ან დუმილითა,
რომ შებრალება გდომოდა ჩემი...
გეყოლებოდი ნუგეშის მცემი,
მე უნაზესი მორჩილებითა,
რათა გესუნთქა ბედკრულს შვებითა.
შენ იქნებოდი ფხიზელი — ლხენით,
ხოლო ძილის დროს მშვიდად მძინარი;
არ მოისურვე... მაგრამ ვინ არი
ის მეგობარი ძვირფასი შენი?
შენ გიყვარს, რუსო? უყვარხარ იმას?
ვინ არ გაიგებს მაგ მწუხარებას...
ალბათ შემინდობ ცრემლების წვიმას
და არ დასცინებ ჩემს გამწარებას."

დადუმდა. კვნესამ და ცრემლის ღვარმა
სულ შეუხუთეს უბედურს გული.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გონდაკარგულმა, მიცვლილის დარმა,
ძლივს მოიბრუნა ბოლოს მან სული,
ვაჟის მუხლებზე მკლავმოჭდობილმა.
როგორც ერთგულმა მისმა ძმობილმა,
ტყვემ ააყენა და უთხრა ტკბილად:
„ნუ სტირი: ბედი არ მწყალობს მეცა,
მან ბევრი ტანჯვა მარგუნა წილად
და დამიბნელა ჭაბუკსვე ზეცა.
არა, სანაცვლო სიყვარულითა
არც მე ვყოფილვარ გახარებული:
მარტოს მიყვარდა სავსე გულითა,
მარტოდაც ვიყავ მე წამებული.
მე ჩამიქრება, ვით სუსტი ალი,
ამ უცხო ველზე მიგდებულს თვალი.
კუბოდ მექცევა მე ეს ტრამალი,
ზედ ახლობელნი თავს ვერ დახრიან;
ძვირფას კუთხიდან გადანამალი
აქ ჩემი ძვლები ხუნდებს დაჰყრიან.

ღამის მნათობნი იბინდებოდნენ:
შორს, გამსჭვირვალე ცაში ჩნდებოდნენ
თოვლით მოსილნი ვეება მთანი.
მათ ჩაეწყვიტათ, ბედკრულებს, ხმანი
და ერთმანეთსა ეთხოვებოდნენ.

ტყვე კიდევ უფრო მას შემდეგ ნაღვლობს
და დადის მარტოდ აულის ახლოს.
მზე გახურებულ ცაზე ამოდის,
დღეებს მისდევენ დღეები წყნარად,
ღამე სცვლის ღამეს, და ამაოდ ის
თავისუფლებას ნატრულობს მარად.
თუ ბუჩქს შეარყევს გარბენა მშველის,
ან თუ სხვა რამე გაიშრიალებს,
ის აენთება, ხუნდს აჩხრიალებს,—
კაზაკის ქურდულ მოპარვას ელის.
კაზაკი ხომ აქ მონათ მხსნელია,
ღამით აულთა ამკლებელია.
მოუხობს... მაგრამ სძინავს მუნ ველსა;
გაისმის მხოლოდ ხმაური ზვირთის,
და კაცის ხმაზე მხეცი შორს ილტვის,
რომ შეეფაროს უდაბნოს ბნელსა.
ერთხელ ტყვეს მკვეთრი, ვითა მახვილი,
მთებში სამხედრო ესმა ძახილი:
„აბა, ცხენები, მორეკეთ ჯოგი!“
ატყდა ჩოჩქოლი, იწყეს ტრიალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპილენძის ლაგმებს გააქვთ წკრიალი,
ზოგი ნაბადს შლის, ხმალს ირტყამს ზოგი,
მათი ბექთრები მზეზე ელავენ,
ტორებსა სცემენ მიწას, ღელავენ
ბედაურები შეკაზმულები.
თავდასასხმელად უკვე სრულებით
მომზადებულა აული მთელი.
რაზმი ველური, შიშისა მგვრელი,
დაეშვა ღვარად გორაკებიდან.
მათ მიმოთელეს ყუბანის ველი,
ხარკი რომ ჰკრიფონ იძულებითა.

აულში მიწყდა აურზაური.
ძაღლები მზეზე წამოწოლილან.
ტიტლიკანები, როგორც შობილან,
იქ თამაშობენ ახლა ხმაურით
ცელქი ბავშვები შავთვალწარბანი.
დამსხდარან ირგვლივ მათნი პაპანი:
ასდით ჩიბუხებს ბოლის რკალები.
ზღერიან ახლოს ნორჩი ქალები.
ჭოხუცებულნი ამ ხმით სტკბებიან
და გულით კიდეც ყმაწვილდებიან.

ჩერქეზული სიმღერა

1

ჰქუხან მდინარის ზვირთები ავი;
მთები მოიცვა სიჩუმემ სრულმა;
ფოლადის შუბზე მიყრდნობილს თავით,
დაქანცულ კაზაკს დასძლია რულმა.
კაზაკო, ძილი ნუ გეპარება:
გაღმა ჩაჩანი დაიარება.

2.

აგერ კაზაკმა, ჩამჯდარმა ნავში,
მდინარის ფსკერზე ბადე ატარა.
ამოიხრჩობი, კაზაკო, წყალში,
როგორც იხრჩობა ბავშვი პატარა,
სიცხეში ტალღას რომ ეფარება:
გაღმა ჩაჩანი დაიარება.

3.

აღთქმულ მდინარის პირს გაშლილები
დოვლათიანი სტანიცებია.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რუსის ქალები მოხდენილები
ცეკვა-სიმღერით წყალთან სტკბებიან.
ქალნო, შინისკენ არ გეჩქარებათ? —
გალმა ჩაჩანი დაიარება.

ასე მღერიან ქალწულნი გუნდად.
ზის რუსი წყალთან, გაქცევა უნდა;
მაგრამ ტყვეს ფეხზე ამძიმებს რვალი,
და მდინარეში ღრმა არის წყალი...
ბოლოს დაბინდულ ველს ჩაეძინა,
კლდეებს ლეჩაქი გადეკრა მუქი.
აულში ქოხებს გადაეფინა
გავსილი მთვარის ფერმკრთალი შუქი.
სთვლემენ ირმები ძილმორეული,
მიწყდა არწივთა ყივილი ცაში.
და გამოძახილს ჰპოულობს მთაში
ცხენთა ჯოგების ხმა შორეული.

მოესმა რაღაც, თან მოჰკრა თვალი:
ჩადრით მოსილი გამორბის ქალი.
ის არის! მიდის მასთან ასული
დანაღვლებული და ფერწასული.
უნდა მშვენიერს, რომ დასძრას ენა,
თვალებს ემჩნევა დარდი და წყენა,
ძირს ჩამოშლია შავ ტალღად თმები
და დაუფარავს მკერდი ღ› მხრები.
იმის ერთ ხელში ხერხი ელვარებს
და მეორეში ხანჯალი მჭრელი,
თითქოს მიანდეს ქალწულს მღელვარეს
სამხედრო საქმე ფარული, ძნელი.

ტყვეს ეუბნება: „გაიქეც ჩქარა,
შენი ამდენი წამება კმარა:
არ შეგვეყრება ჩერქეზი არსად,
ვერც დაგეწევა გზაზე მდევარი;
ვიდრე წყვდიადი გერტყმება გარსად,
ვერვინ შეგნიშნავს. ჰა, სატევარი!
ხერხს მოუჭირა მთრთოლვარე ხელი
და ძირს იხრება გულისტკივილით:
რკინას ხერხის ქვეშ გააქვს წივილი,
ზედ ეცემიან ცრემლები ცხელი —
და გახსნა პირი ჩხარუნით რვალმა.
„განთავისუფლდი, წარმოსთქვა ქალმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიქეც!“ მაგრამ ის, ცოცხალ-მკვდარი,
ბედშავ სიყვარულს დაჰკანკალებდა.
იტანჯებოდა. აშლილი ქარი
საბურველს მისას აფრიალებდა.
„ოჰ, მეგობარო!—აღმოხდა ტყვესა, —
ვიდრე სიკვდილი ჩამიქრობს მზესა,
შენ მეყვარები სხვა აღარავინ.
დავაგდოთ მხარე ეს შემზარავი,
გავიქცეთ ერთად...—“ ძვირფასო, არა!
ბედნიერებას შევავლე თვალი,
ვიგემე კიდეც... ვაი, რომ ჩქარა
გაფრინდა! გაჰქრა იმისი კვალი.
როგორ იქნება? შენ ის გიყვარდა!..
კვლავ მასთან დასტკბი მისი მნახველი...
მაშ გული კიდევ რამ დამიდარდა?
რადღა მამძიმებს შავი ნაღველი?..
მშვიდობით! ჩემი ლოცვა-კურთხევა
იქნება შენი მფარველი, მცველი.
მე კი... რა ვუყოთ! გასწი ურყევად,
უკანასკნელად მომეცი ხელი.
ის ჩერქეზის ქალს ხელებგაშლილი
მისწვდა, იგრძნო რა მადლი შვებისა,
და სიყვარულის მტკიცე კავშირი
კოცნამ აღბეჭდა განშორებისამ.
ხელჩაკიდულნი, დაღონებულნი
მიუახლოვდნენ მდინარის არეს.
უკვე ზვირთები ქაფმოდებულნი
ვაჟს მიარხევენ მეორე მხარეს.
იგი იქითურ ნაპირს მიადგა,
ხელებსა სჭიდებს კიდევაც კლდესა.
უცებ ზვირთები ყრუდ გახმიანდა,
და შორეული მოისმა კვნესა.
გავიდა იგი სამშვიდობოსა.
შეჩერდა. უკან იბრუნა პირი.
გალმა ნაპირი გამოჩნდა მწირი,
და ამჩნევს კიდეც ქაფის ქობასა.
ველს მთის ძირამდე მოავლო თვალი,
მაგრამ არ სჩანდა ჩერქერის ქალი.
მიდამოს მკვდრულად ჩასძინებია,
მხოლოდ ქარი კი სტვენს გამალებით,
და მთვარის შუქზე იკარგებიან
შეტოკებული წყალის რკალები.
მიხვდა ყველაფერს...

და მან გახედა
უკანასკნელად მყუდრო აულსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველს, სადაც ჯოგებს აბალახებდა,
კლდეებს, შებორკილ ფეხს რომ ახებდა,
და ქაფმორეულ სწრაფ ნაკადულსა,
სადაც, შუადღის მზით დადაგულსა,
გრილი, საამო შხეფი ესხმოდა,
როდესაც მკაცრი ჩერქეზი მთაში
მიიმღეროდა, და იმის ხმაში
თავისუფლების ქება ესმოდა.

ცაზე რიჟრაჟის შუქი ღვიოდა,
და მალე ბინდი, ძლეული მზითა,
მოეხსნა ველებს. შორეულ გზითა
თავისუფალი ტყვე მიდიოდა.
ახლოს არიან აწ მისი ძმები—
ელვა შენიშნა მან ხიშტებისა,
და ყორღნებიდან მოესმა ხმები
მოყარაულე კაზაკებისა.

თარგმანი **კონსტანტინე ჯიჯინაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხ. ბლაჭბა

დიმიტრი გულია

(დაბადებიდან 75 წლის შესრულების გამო)

★

აფხაზეთის სახალხო პოეტმა დიმიტრი გულიამ მეტად მდიდარი შემოქმედებითი გზა გაიარა. მის სახელთან დაკავშირებულია აფხაზური კულტურის განვითარება უკანასკნელი 50 წლის მანძილზე.

დ. გულიას ნაწარმოებნი ფართოდ არიან ცნობილნი ხალხში, მათ სწავლობენ სკოლებში, ლექსებს მღერიან კოლმეურნეობებში. ისინი გამოხატავენ აფხაზების მძიმე წარსულს და დღევანდელ თავისუფალ ცხოვრებას.

დიმიტრი იოსების-ძე გულია დაიბადა 1874 წლის 21 თებერვალს სოფელ უარჩაში, გუმისტას (ახლა გულრიფშის) რაიონში, რომელიც მღელვარე მდინარე კოდორის ნაპირზე მდებარეობს. ეს ის ადგილებია, რომელიც ასე ლამაზად აღწერა დიდმა რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ თავის შესანიშნავ მოთხრობაში „ადამიანის დაბადება“.

აფხაზეთის ყველა გლეხის მსგავსად, გულიას ოჯახმაც იგემა თვითმპყრობელობის სუსხი, ჩაგვრა და ადგილობრივი თავად-აზნაურობისაგან შევიწროება. დიმიტრი გულიას მამა ღარიბი გლეხი იყო. 1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როდესაც გავრცელდა ე. წ. მახაჯირობა, ესე იგი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელების იძულებითი გადასახლება, მას მოუხდა ტრაპიზონში წასვლა. აქ გულიას ოჯახმა საშინელ პირობებში რამდენიმე თვე გაატარა. 1878 წ. დიდის ვაივაგლახით იოსებ გულიამ შესძლო მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნება. შემდეგში დ. გულია, თავის პოემაში „სიმღერა აფხაზეთზე“ აფხაზეთის წარსულის სურათების დახატვისას, შეეხო აგრეთვე თურქეთში ყოფნის მძიმე დღეებს.

ადგილობრივმა მმართველობამ ნება არ დართო გულიას ოჯახს გუმისტას რაიონში დასახლებისა, რადგან მათი სოფელი კოლონისტებისათვის იყო განკუთვნილი, ამიტომ იოსები დასახლდა სოფელ აძიუბჟაში (ახლა ოჩამჩირის რაიონი). აქ გაატარა თავისი ბავშვობა დამიტრი გულიამ.

იმ დროს არც სოფელ აძიუბჟაში, არც მახლობლად სკოლა არ არსებობდა. ცხრა წლის დიმიტრი დადიოდა სოფლის მღვდელთან, რომლისგანაც ისწავლა ქართული და რუსული კითხვა. ცნობისმოყვარე ახალგაზრდას სწავლის წყურვილი უფრო გაეზარდა. და სამი წლის წვალების შემდეგ, აღსრულდა მისი გულითადი სურვილი: დიმიტრი ჩარიცხეს ორკლასიან სკოლის ინტერნატში.

ამ სკოლის დამთავრების შემდეგ,

1889 წ. დიმიტრი გულია შევიდა გორის საოსტატო სემინარიაში, მაგრამ ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა ხუთი თვის შემდეგ დაენებებია მისთვის თავი. ავადმყოფობის შემდეგ იგი სემინარიაში აღარ მიიღეს. ბევრი ეცადა ხონის საოსტატო სემინარიაში შესულიყო, მაგრამ ამაოდ. თანაც საოჯახო პირობები ხელს არ უწყობდა დიმიტრის: დედ-მამა გარდაეცვალა და მის რჩენაზე დარჩა და-ძმა.

ამრიგად დ. გულიამ სასწავლებელში დაჰყო მხოლოდ ხუთი წელი. თავისი განათლება მან შემდეგში შეავსო ბეჯითი შრომით და თვითგანვითარებით. უფრო გვიან იგი ექსტერნად აბარებს გამოცდებს ჯერ—დაწყებითი, და შემდეგ — საშუალო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებად.

თავისი ლექსების პირველი კრებული დ. გულიამ გამოსცა 1912 წელს თბილისში. უკვე ამ კრებულში თავისი გამოხატულება ჰპოვეს აფხაზი ხალხის გრძნობებმა და მისწრაფებებმა, დამჩაგვრელებისადმი სიძულვილმა, მებრძოლმა სულმა და ოცნებამ თავისუფალ, ბედნიერ მომავალზე.

პოეტი ხმას იმაღლებს მშრომელი გლეხების დასაცავად. ლექსის დიდი მამხილებელი სიძლიერით იგი თავს ესხმის ადგილობრივ თავად-აზნაურობას, მტაცებლებს და მუქთახორებს, მაგალითად, ლექსი „მოქეიფე“ (1907 წელს), სადაც დ. გულიას გამოყვანილი ჰყავს მუქთახორა მოქეიფე ადამიანი.

დ. გულია ხშირად მიმართავდა აგრეთვე აფხაზეთის წარსულს, ხალხის გმირული წინაპრების ცხოვრების აღწერას („ეშოუს დამბაჩა“, „აბრასკილი“, „მამა და შვილი“). პოეტს გამოყავს მთელი გალერეა გმირობით, მორალური სილამაზით და ძლიერებით აღსავსე ადამიანებისა. ლექსში „აბრასკილი“ (1910) გულიას დახატული ჰყავს აფხაზეთის ხალხური ეპოსის ლეგენდარული გმირი — აბრასკილი (ამირანი), რომელსაც ... ადამიანი და ბევრი რამ გააკეთა მისი ბედნიერებისათვის: ღმერთების მრავალი საიდუმლოება გაუზიარა მას, ამიტომ მოთმინებიდან გამოსულმა ღმერთმა დაამწყვდია იგი გამოქვაბულში. აბრასკილის სახით პოეტი გამოხატავს ხალხის ოცნებას ბედნიერებაზე, სამართლიანობაზე.

დ. გულიას პირველი ლიტერატურული მასწავლებლები იყვნენ ქართველი კლასიკოსები აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს მას აინტერესებდა ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია. აი რას სწერდა დ. გულია აკაკი წერეთლის შესახებ: „ამ შესანიშნავმა ადამიანმა მთელი თავისი სიცოცხლე ხალხს უძღვნა. ჩვენ ვამბობთ: აკაკი წერეთლის პოეზია, გულში კი ვფიქრობთ — ქართველი ხალხის სიმღერები. ასეთია ჩემთვის ეს ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობიდან შემიყვარდა მისი მომხიბლავი და გაბედული სიმღერებისათვის“. აკაკი წერეთლის მთელი რიგი ლექსები და პოემა „გამზრდელი“ პოპულარული შეიქმნა აფხაზებისათვის დ. გულიას თარგმანით. ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის ნაციონალურ-გამათავისუფლებელმა და დემოკრატიულმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინეს დ. გულიას მსოფლმხედველობის გამომუშავებაზე.

1919 წელს გამოვიდა დ. გულიას პოემა „ქალ-ვაჟიანი“, რომელიც აფხაზური ლირიკის პირველ დიდ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. სახეებს და შედარებებს ეს პოემა სესხულობს ხალხურ ზეპირ-სიტყვაობიდან, ლექსის რიტმი სასიმღეროა, ევფონიით მდიდარი. ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციას გულია მიეგება როგორც გათავისუფლების გან-

თიადს და ხალხთა დიდ ბედნიერებას. ლექსში „წინ“ დ. გულია გამოსთქვამდა იმედს, რომ სინათლე საბოლოოდ დასძლევს სიბნელეს და მის მშობლიურ ქვეყანასაც დაუდგება ბედნიერი დღეები. მაგრამ რამდენიმე წელი გაგრძელდა მენშევიკების კონტრრევოლუციური ფარფაში, ამ დროს პოეტმა დასწერა სევდით და პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული ლექსი „სამშობლოს“ (1920), სადაც თავისი ხალხის იდუმალი ფიქრები გამოხატა.

დ. გულია ერთადერთი რევოლუციამდელი პოეტი იყო აფხაზეთში. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოს, და მათ შორის, აფხაზეთის მშრომელებს მოუტანა გათავისუფლება, ბედნიერება და კულტურის აყვავება. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შესაძლებელი გახდა მხცოვანი აფხაზი პოეტის შემოქმედების ნამდვილი გაფურჩქვნა.

1933 წელს გამოიცა დ. გულიას „აფხაზური მაირები“, რომელნიც თავის მწვავე სატირით და მკვეთრი ჰუმორით მიმართული იყვნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ, გარდასულ წოდებათა ზნეჩვეულებების, კოლმეურნეობებში მავნებლების, ძველი ჩვეულების და ცრურწმენათა წინააღმდეგ.

დ. გულია დიდის აღტაცებით და სიამაყით უმღერის ახლა ხალხთა მეგობრობას, კოლმეურნეთა შეძლებულ ცხოვრებას, თავის სამშობლოს აღორძინებას („ცისკრის ვარსკვლავი“, „საუბარი მეგობართა წრეში“, „სიმღერა აფხაზეთზე“ და სხვ.).

პოეტი ნათლად ხედავს, რომ ხალხის ბედნიერი დღეები დადგა, და იგი თავის ლექსებში გამოხატავს იმ ღრმა ოპტიმიზმს, რომელიც საბჭოთა ადამიანის შეგნებაში არის განმტკიცებული.

შემოქმედებითი ენთუზიაზმით აღსავსე მრავალ ლექსს უძღვნის პოეტი დიდ სტალინს. ამ ლექსებში გამოხატულია აფხაზი ხალხის ღრმა მადლობა და სიყვარული დიდი ბელადისადმი.

პოემაში „სიმღერა აფხაზეთზე“ (1940) დ. გულია გვიხატავს წარსულის და აწმყოს სურათებს, თუ როგორ იტანჯებოდა აფხაზეთი წარსულში და როგორი ეკონომიური და კულტურული აღორძინება მოხდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. აფხაზეთი, საქართველოს ეს მშვენიერი კუთხე, რომელიც „მზით გამთბარი, მთებით შემკული და ზღვით შემორკალულია“, უწინ „გმინავდა უღლისქვეშ, ახლა კი მისი დღეები ბრწყინავენ, სიბნელე და ტანჯვა გაქრა“. პოეტი სჭვრეტს მთელ საქართველოს „აყვავებულს, მტკიცე ნაბიჯით მუდამ წინ მიმავალს“.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დ. გულიას შემოქმედებაში ხალხთა სტალინური მეგობრობის თემას (ლექსები „ტარას შევჩენკოს“, „რუსთაველის ძეგლი სოხუმში“, „ჯამბული“ და სხვ.)

1938 წ. პოეტმა უძღვნა ლექსი სახელგანთქმულ ჯამბულს, რომელიც რუსთაველის საღღესასწაულო დღეებში ჩამოვიდა თბილისში. ამავე 1938 წ. და შემდეგ, 1947 წ. დ. გულია ხალხმა დიდი ნდობით აღჭურვა, იგი ორჯერ არჩეული იქნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

როდესაც ჩვენს სამშობლოში გერმანელი ფაშისტების ავაზაკთა ბრბო შემოიჭრა, დ. გულიამ როგორც ჭეშმარიტმა პატრიოტმა, საბჭოთა ინტელიგენციის ნამდვილმა წარმომადგენელმა თავისი ჩანგი მებრძოლ ჰანგზე ააყღერა.

ანტიფაშისტურ თემებთან ერთად, მის ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი

ადგილი დაიკავეს საბჭოთა პატრიოტიზმის მოტივებმა. „დიდი სამამულო ომი,—სწერდა იგი,—წარმოშობს ათასობით ადამიანებს, რომელნიც ძლიერი ნებისყოფით, გმირობით და მამაცობით არიან დაჯილდოებულნი. ეს თვისებები გამომდინარეობენ იმ დიდი სიყვარულიდან, რომელსაც საბჭოთა ხალხი თავის სამშობლოსადმი გრძნობს. ახლა გმირობა ყოველდღიურ მოვლენად იქცა და აქამდე კაცობრიობის ისტორიაში არნახულ მასობრივ ხასიათს ღებულობს“.

„სამშობლოსათვის, სტალინისათვის“ — ასეთი სათაური შეიძლება მივცეთ სამამულო ომის დროის ლექსების მთელ იმ სერიას, სადაც აფხაზეთის სახალხო პოეტი უმღერის საბჭოთა მებრძოლების გმირობას ამაღელვებელი სიმღერებით. საბრძოლო მოწოდება, სამშობლოსადმი სიყვარული და მტრისადმი სიძულვილი — აი ამ დროის მისი ლექსების მთავარი თემები. ამ მხრივ აღსანიშნავია დ. გულიას ლექსი „გმირთა გმირი“, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ ხარაზიას ცხოვრებისადმია მიძღვნილი. ამ ლექსის მთელი სტრიქონები ხალხურ სიმღერად გადაიქცა.

კავკასიისათვის ბრძოლა გამოხატულია დ. გულიას მიერ შესანიშნავ ლექსში „ჩვენი კავკასია“, სადაც ახალის ძალით ამეტყველდნენ ხალხური ეპოსის ამირან-აბრასკილის და ნართების შთამაგონებელი სახეები.

1947 წ. დ. გულიამ დაამთავრა გამოკვლევა თემაზე: „პატრიოტიზმის იდეა ქართულ და აფხაზურ პოეზიაში“. ამავე წელს გამოვიდა მინიატურული მოთხრობების კრებული, სადაც ასამდე პატარ-პატარა მოთხრობა იყო მოთავსებული აფხაზეთის რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრებიდან.

1943 წ. დ. გულიამ დიდის აღფრთოვანებით დასწერა პოემა „სიმღერა სტალინზე“, სადაც გამოხატულია დიდი სამამულო ომის ცალკეული სურათები და ეპიზოდები. ამ პოემაში აღწერილია საბჭოთა ხალხის გამძაფრებული და თავდადებული ბრძოლა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ, საბჭოთა არმიის გადასვლა შეტევაზე და მტრის განადგურება მოსკოვთან, სტალინგრადთან და კავკასიის მისადგომებთან. ავტორი აღწერს დიდი ბელადის სიბრძნეს, ნებისყოფას და ძლიერებას, რომლის გენიამ წინასწარ განჭვრიტა და დასახა საბჭოთა ხალხის გამარჯვების გზა. პოემაში აღწერილია აგრეთვე კავკასიის დაცვის ამბები და ლ. პ. ბერიას ისტორიული როლი ამ დაცვის სტალინური გეგმის განხორციელებაში.

ამაღელვებელი ლექსები უძღვნა დ. გულიამ გმირ ქალაქებს მოსკოვს, ლენინგრადს, სევასტოპოლს, სტალინგრადს, აგრეთვე საბჭოთა ხალხის გამარჯვებას სამამულო ომში („ზღვა“, „გამარჯვებულნი“ და სხვ.). ლექსში „გემი მოვიდა“ პოეტმა გამოსთქვა ხალხის უდიდესი სიხარული იმის გამო, რომ აფხაზეთის ერთ-ერთ ნავსადგურში შემოვიდა გემი, რომლის საყვირმა მშრომელებს აუწყა მშვიდობიანი ცხოვრების დაწყება სასტიკი და ულმობელი ომის შემდეგ. მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასვლას და საბჭოთა მებრძოლების შინ დაბრუნების თემას დ. გულიამ მთელი რიგი ნაწარმოები უძღვნა.

საკ. კ. პ. (ბ) ც კ-ის დადგენილებები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე დიდი იდეური ძალის იარაღად გადაიქცნენ საბჭოთა პოეტებისა და მწერლებისათვის. აფხაზეთის მწერლები და პოეტები მეტის გაბედულებით შეეხენ თანამედროვე თემას, საბჭოთა ადამიანების ბრძოლას ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შეს-

რულებისათვის. აფხაზეთში უკანასკნელი წლების პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები არის დ. გულიას პოემა „შემოდგომა სოფელში“, რომელიც დაწერილია 1947 წელს. პოემა შეეხება დღევანდელი კოლმეურნეების ცხოვრებას. დ. გულიას უკანასკნელი დროის ლექსები აფხაზური ლირიკის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ, მაგ., ლექსები „მჭედელი“, „მიწის მუშას“, „მდინარე“, „მწყემსის სიტყვა“, „მეთევზე“, „მთები და ზღვა“ და სხვ.

მაგრამ დ. გულია ცნობილია არა მარტო როგორც პოეტი, იგი არა ნაკლებ თვალსაჩინო პროზაიკოსიც არის. იგი დიდი რომანის „კამაჩიჩის“ (1940), ნოველებისა და მოთხრობების ავტორია.

რომანი „კამაჩიჩი“ ფაქტიურად რამდენიმე ცალკე ნოველებისაგან შესდგება, რომელნიც ყოველთვის არ არიან ერთი მეორეზე გადაბმულნი. მიუხედავად ამისა, რომანს აქვს საკმაო შემეცნებითი მნიშვნელობა. იგი ერთადერთი დიდი პროზაული ნაწარმოებია ძველი აფხაზეთის ცხოვრებიდან. რომანი ეხება ხალხის მძიმე მდგომარეობას რევოლუციის წინა დღეებში. კამაჩიჩი — რომანის გმირი — ქალია. იგი ბევრს შეეწროებას და ტანჯვას განიცდის, მაგრამ კამაჩიჩი აქტიური და ნებისყოფით სავსე ქალია, შრომისმოყვარე და მგრძნობიერი. ექსპლოატატორული წყობილების პირობებში კამაჩიჩი ვერ პოულობს გამოსავალს და მისი ბედი მეტად ტრაგიკულად თავდება. რომანში გამოყვანილია ძველი აფხაზური სოფლის სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები, ნაჩვენებია მათ შორის არსებული კლასობრივი წინააღმდეგობანი, მწერალმა გვიჩვენა გლეხების უმწეო მდგომარეობა, მათი დამოკიდებულება ადგილობრივ თავად-აზნაურობასთან, რომელიც მოხერხებულად იყენებდა ძველ ადათ-ჩვეულებებს ექსპლოატაციისათვის. დ. გულია ძველ ადგილს უთმობს ხალხის ცხოვრების და ზნე-ჩვეულებების ჩვენებას.

დ. გულიას ლიტერატურული მემკვიდრეობა და მისი შემოქმედებითი გამოცდილება შესწავლის ობიექტად გადაიქცა ახალგაზრდა აფხაზი მწერლებისათვის. დ. გულიას მიერ გაკაფულ გზას მრავალი გაჰყვა. ახალგაზრდობას ხიბლავდა მისი ნაწარმოებების სადა და მხატვრული ენა, რიტმის მღერადობა, პოეტური აზრის სინათლე. თვითონ დ. გულია დიდის ყურადღებით ეპყრობა დამწყებ აფხაზ მწერლებს და ეხმარება მათ რჩევა-დარიგების მიცემით.

დ. გულიას მიერ თარგმნილია აფხაზურ ენაზე „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, პუშკინის, ლერმონტოვის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, შევჩენკოს მთელი რიგი ლექსები, დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“ და სხვ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის დიდი მუშაობა, რომელიც ჩაატარა დ. გულიამ შოთა რუსთაველის გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურად თარგმანზე. სამ წელზე მეტი მუშაობდა დ. გულია ამ თარგმანზე. აფხაზური და ქართული ენის კარგმა ცოდნამ საშუალება მისცა მთარგმნელს ეს სამუშაო ღირსეულად დაემთავრებინა. პოემის თარგმანი გამოვიდა 1941 წელს.

დ. გულიას კალამს ეკუთვნის აგრეთვე მთელი რიგი შრომებისა აფხაზეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის, აფხაზური ენის და ფოლკლორის საკითხებზე. 1925 წ. თბილისში გამოვიდა მისი „აფხაზეთის ისტორია“ (ტომი პირველი), რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს აფხაზეთის ისტორიას X საუკუნემდე. ეს შრომა გამოირჩევა იმით, რომ მასში მოთავსებულია დ. გულიას მიერ შეგროვილი დიდი ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალა. 1934 წელს დ. გულიამ დასწერა ვა-



მოკვლევა „სოხუმი — დიოსკურია არ არის“, სადაც აფხაზური ენის მასალაზე დაყრდნობით, დ. გულია ცდილობს დააზუსტოს ძველი ქალაქის დიოსკურიის ნამდვილი ადგილმდებარეობა.

აფხაზეთის ეთნოგრაფიის საკითხებს აშუქებს დ. გულია აგრეთვე რამდენიმე ნაშრომში: „აფხაზური კალენდარი“ (1920), „ნადირობის ღმერთი და მონადირეთა ენა აფხაზეთში“ (1926), „თხის კულტი აფხაზეთში“ (1928) და სხვ. აფხაზური ენის შესწავლას უძღვნა შემდეგი ნაშრომები: „მასალები აფხაზური გრამატიკისათვის“ (1920), „აფხაზურ-რუსული ტერმინოლოგია“ (1930), „აფხაზური ენის ორთოგრაფია“ (1933) და სხვ. დ. გულიამ ბავშვობიდანვე შეიყვარა ფოლკლორი, ხალხის ზეპირსიტყვაობა, აგროვებდა მას და ამუშავებდა. ჯერ კიდევ 1907 წ. თბილისში გამოიცა წიგნი „აფხაზური ანდაზები და გამოცანები“ რუსულ ენაზე. 1939 წ. დ. გულიამ გამოაქვეყნა „აფხაზური ანდაზებისა და გამოცანების კრებული“.

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ მაღალი შეფასება მისცეს აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას შემოქმედებით მოღვაწეობას. იგი დაჯილდოებულია ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით. იგი — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრია. დ. გულიას სახელი ცნობილია არა მარტო აფხაზეთში, მისი ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ და რუსულ ენებზეც.

მხცოვანი პოეტი ახლაც დიდის აღფრთოვანებით ემსახურება ჩვენს დიდ სამშობლოს, როგორც საბჭოთა აფხაზეთის უხუცესი მომღერალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლიმენტი გოგიავა

მაქსიმ გორკი ამერიკის შესახებ

★

1906 წლის 10 აპრილს უზარმაზარი გემი ნიუ-იორკის ნავსადგურს მიადგა. წვიმდა, მაგრამ მგზავრები მაინც გემბანზე გამოვიდნენ. მგზავრთა შორის იყო დიდი რუსი ხალხის გამოჩენილი მწერალი მაქსიმ გორკი. მას ნავსადგურში ათასობით ამერიკელი მშრომელი შეეგება. მშრომელები დაუცხრომელი სიყვარულითა და პატივისცემით შეხვდნენ დიდ პროლეტარულ მწერალს. მათში გორკიმ დიდი ენთუზიაზმი აღძრა, მაგრამ რუსეთის მეფის დიპლომატთა, თეთრი სახლისა და მისი მფარველის უოლ-სტრიტის წრეებში მისმა ჩამოსვლამ დაბნეულობა და სიძულვილი გამოიწვია.

ერთი საათიც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მაქსიმ გორკიმ ამერიკის მიწას ფეხი დაადგა, დაქირავებულმა ჟურნალისტებმა მაშინვე გაზეთებში ყვირილი ასტეხეს: თითქოს გამოჩენილი მწერალი შეჩერდა თავისუფლების ქანდაკებასთან და სიხარულით წამოიძახა:

„აი, თავისუფალი ამერიკა!"

მაგრამ გორკის არაფერი ამის მსგავსი არ უთქვამს. პირიქით მან კარგად იცოდა ამერიკელ ჟურნალისტთა თავაშვებულობის ამბავი და ბურჟუაზიული გაზეთის არც ერთი მჯღაბნელი არ მიუღია. ხოლო თავისუფლების ცნობილი ქანდაკება მან თავის შესანიშნავ პამფლეტში „ყვითელი ეშმაკის ქალაქი", რომელიც ამერიკულ ჟურნალის „აპელტონ მეგაზინში" დაბეჭდა, შემდეგი სიტყვებით დახატა:

„გემის ქიმზე შეიკრიბნენ ემიგრანტები და მდუმარედ იცქირებოდნენ გარშემო იმედითა და შიშით, მოლოდინითა და სიხარულით აღსავსე გაკვირვებული თვალით.

— ეს ვინ არის?—წყნარად იკითხა პოლონელმა ქალიშვილმა და გაკვირვებით გაიშვირა თითი თავისუფლების ქანდაკებისაკენ. ვიღაცამ უპასუხა:

— ამერიკის ღმერთია...

ბრინჯაოს ქალის ზორბა ფიგურა მწვანე ობს დაუფარავს. ცივი სახე ბრმად იცქირება ნისლში უდაბური ოკეანისაკენ, თითქო ბრინჯაო მზეს ელოდება, რომ მან გაუცოცხლოს მკვდარი თვალები. თავისუფლების ქანდაკების ფეხქვეშ მიწა ცოტაა, იგი თითქოს ოკეანიდან ამოტივტივებულა, მისი კვარცხლბეკი თითქოს გაყინული ტალღებია".

ამ სტრიქონების დაწერიდან ორმოცდასამი წელიწადი გავიდა. და დღეს ამერიკელები თავისუფლების ქანდაკების შესახებ ნიუ-იორკში აცხადებენ.

„თავისუფლების ქანდაკებამ ამერიკას ზურგი შეაქციაო".

ამერიკელი პროგრესიული მხატვრები ჟურნალ-გაზეთებში მას გამოსახავენ ძირს დაშვებული კანდელითა და აცრემლებული თვალებით.

გამოჩენილმა მხატვარმა გროპერმა

ამასწინათ ასეთი სურათიც გამოაქვეყნა: თავისუფლების ქანდაკების ყვარცხლბეკზე დგანან ხელ-ფეხში ბორკილებგაყრილი ადამიანები. და ამ სურათს ქვევით აწერია: „ეს პროგრესიული ამერიკაა“.

მაგრამ ეს მხოლოდ მწარე იუმორია, სინამდვილეში პროგრესიულ ძალებს ვერავითარი ბორკილი ვერ შეაკავებს. ისინი თავგამოდებით იბრძვიან თავისუფლებისა და მშვიდობიანობისათვის.

უოლ-სტრიტი თავისი თეთრი სახლის ლაქიებით ყოველმხრივ ცდილობს ლახვარი ჩასცეს ამერიკელ დემოკრატთა მშვიდობიანობისათვის ბრძოლას.

ამერიკელმა ომისგამჩაღებლებმა უკვე გამოუცხადეს ბრძოლა პროგრესიული ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენლებს. მათ შემოიღეს „შავი სია“. მასში განურჩევლად შეაქვთ ყველა ის მოღვაწე, რომელიც მხარს არ **უჭერს ომს** და ბრმად არ მიყვება გაიძვერა იმპერიალისტების სისხლიან გზას.

მ. გორკი წინასწარმეტყველურად ჰვრეტდა ამერიკელ კაპიტალისტთა მომავალს. მას თავის ამერიკულ ნარკვევებში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ კაპიტალიზმი კულტურის დაუძინებელი მტერიაო.

დღევანდელი ამერიკის ერთი მუჭა მესვეურები ყოველმხრივ ცდილობენ გაანადგურონ მოწინავე ხალხის ინტერესების გამომხატველი კულტურა, მოსპონ მისი ძალები. მ. გორკის ამერიკული ჟურნალის ანკეტის პასუხში შესანიშნავად აქვს დახატული კაპიტალისტები და მათი მისწრაფებანი. იგი წერს:

„ფულის გარდა, რას ქმნიან კაპიტალისტები? პესიმიზმს, შურს, სიხარბესა და სიძულვილს, რომელიც აუცილებლად მოსპობს მათ, მაგრამ მათთან ერთად, თავისი აფეთქებით შეიძლება მოსპოს კულტურის ბევრი განძი. თქვენი ავადმყოფურად ჰიპერტროფირებული ცივილიზაციისა [illegible] ტრაგედიებს გიქადის თქვენ.

პირადად, რა თქმა უნდა, მე ისეთი აზრისა ვარ, რომ ნამდვილი ცივილიზაცია და კულტურის სწრაფი ზრდა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ პოლიტიკური ძალაუფლება მთლიანად მშრომელ ხალხს ეკუთვნის და არა პარაზიტებს, რომლებიც სხვისი შრომით ცხოვრობენ. და, რასაკვირველია, რჩევას ვიძლევი—კაპიტალისტები გამოცხადებულ იქნან სოციალურად საშიშ ადამიანებად და ჩამოერთვათ ქონება სახელმწიფოს სასარგებლოდ, ეს ადამიანები გადასახლებულ იქნან ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე და იქ დაიხოცონ მშვიდად. ეს არის სოციალური საკითხის მეტად ჰუმანური გადაჭრა, და იგი სრულიად შეეფერება „ამერიკულ იდეალიზმს“, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა იმ ადამიანთა უაღრესად გულუბრყვილო ოპტიმიზმი, რომელთაც ჯერ კიდევ არ განუცდიათ დრამა და ტრაგედია, რასაც საერთოდ „ხალხის ისტორია“ ეწოდება“.

მ. გორკი ამავე პასუხში აღნიშნავს ჩიკაგოს მერის ანტიხალხურ მოქმედებას. იმ წელიწადს, გორკი რომ ამერიკაში იყო, ჩიკაგოს მერმა საჯაროდ დასწვა ინგლისელი კლასიკოსების წიგნები, როგორც მავნე ნაწარმოებნი. და დღესაც ასეთივე მდგომარეობა მეორდება, ხოლო უფრო ფართო მასშტაბით და უფრო საზარელ ფორმებში.

*

* *

როგორც ცნობილია, მ. გორკი ამერიკაში ჩავიდა პარტიული დავალებით. ვ. ი. ლენინი მის მგზავრობას ევროპასა და ამერიკაში დიდ მნიშვნელობას აძლევდა. 1905 წლის რევოლუციის

შემდეგ, რომელმაც თვითმპყრობელობას მომაკვდინებელი ჭრილობა მიაყენა, რუსეთის ცარიზმი ევროპისა და ამერიკის რეაქციონერთა ბანაკში მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას დაეძებდა.

მ. გორკის დიდ ისტორიულ ამოცანას სწორედ ის შეადგენდა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობისა და საერთაშორისო რეაქციის შეთანხმება ჩაეშალა. ევროპისა და ამერიკის მშრომელებისათვის მოეთხრო სიმართლე რუსეთის პირველი რევოლუციის მნიშვნელობისა და შედეგების შესახებ.

მ. გორკი მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან. იგი თავგამოდებით იბრძოდა ლენინის იდეების გამარჯვებისათვის.

„ა. მ. გორკი 1902 წელს ორგანიზაციულ კავშირს აბამს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიასთან, — ვკითხულობთ მწერლის ბიოგრაფიაში, — ამ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიის ორგანო იყო არალეგალური გაზეთი „ისკრა“, რომელიც საზღვარგარეთ გამოდიოდა და რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა. 1903 წელს ა. მ. გორკი ებმება ბოლშევიკურ მუშაობაში, ამასთან ფულადსა და ორგანიზაციულ დახმარებას უწევს ამ მუშაობას“.

მ. გორკი არა მარტო მხატვრულად აგვიწერდა ცხოვრებას, არამედ იგი შეუპოვრად იბრძოდა ამ ცხოვრების გარდაქმნისათვის, ადამიანთა თავისუფლებისათვის, კარგი და ბედნიერი მომავლისათვის. გორკის თითოეული ნაწარმოები გამთბარია მომავლის იმედით.

აი რას ეუბნება პირველი პროლეტარული რომანის „დედის“ გმირი პეტრე ვლასოვი მოსამართლეს:

„— თქვენ მოსწყვიტეთ ადამიანი ცხოვრებას და გაანადგურეთ იგი, სოციალიზმი შეაერთებს თქვენ ბიერ დანგრეულ სამყაროს ერთ მთლიან ერთეულად“.

სოციალიზმისათვის მებრძოლი მწერალი დიდი მეგობარი იყო მსოფლიო პროლეტარიატის ბელადების — ლენინისა და სტალინისა.

ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლი გორკი უდიდეს მუშაობას აწარმოებდა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის. ამხანაგმა მოლოტოვმა სამართლიანად აღნიშნა:

„თავისი განსაკუთრებული გზებით მოვიდა დიდი მხატვარი მაქსიმ გორკი კომუნიზმისათვის მებრძოლთა რიგებში. შემოვიდა იგი ჩვენს რიგებში ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციურ აღმავლობამდე, მაგრამ უკვე რევოლუციის ქარიშხლის მაუწყებლის გაშლილი დროშით“.

ხოლო მაქსიმ გორკი წერს:

„ჭეშმარიტი რევოლუციონერობა მე სწორედ ბოლშევიკებში ვიგრძენი, ლენინის სტატიებში და იმ ინტელიგენტთა სიტყვებსა და საქმეში, ვინც მას მიჰყვებოდა“.

მ. გორკი, იყო რა ღრმად დარწმუნებული ბოლშევიკების ჭეშმარიტ რევოლუციონერობაში, მტკიცედ მიჰყვებოდა მათ გზას და მთელი თავისი სულითა და გულით პარტიის საქმეს აკეთებდა. ბოლშევიკთა პარტია გორკის მხატვრულ ნაწარმოებებს, სააგიტაციო წერილებს და სიტყვებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობის განვითარებისათვის. პარტიის დავალებით გორკი გაემგზავრა ამერიკაში და შეუდგა რევოლუციის დასახმარებლად ფულის შეგროვებას. ამ მოგზაურობამ მწერლის შემოქმედებითს მუშაობაზე უდიდესი გავლენა იქონია.

მ. გორკიმ ამერიკაში დასწერა პირველი ბოლშევიკური რომანი „დედა“, რომელშიაც მხატვრული დამაჯერებ-

ლობით ასახა მუშათა ორგანიზაციულ-პოლიტიკური ბრძოლა.

გორკიმ მხატვრულ ლიტერატურაში პირველად გამოიყვანა მუშა ბოლშევიკები, შეჰქმნა დედის უკვდავი სახე, ღარიბი და დაბეჩავებული ქალი გამოიყვანა ცხოვრების ფართო გზაზე. „დედის“ გამოქვეყნებამ ააფორიაქა იმდროინდელი რუსეთის მესვეურები. „დედა“ აკრძალული იქნა, ხოლო ავტორის წინააღმდეგ დაიწყო საჩივრები.

1905 წლის 9 იანვარს მუშების ვერაგულად დახოცვის საპასუხოდ მ. გორკიმ შეადგინა პროკლამაცია, რომელშიც ზუსტად აღწერა „სისხლიანი კვირის“ ამბები. დიდი მწერალი ბრალს სდებდა ნიკოლოზ მეორეს, რომელმაც „ბრძანა ესროლათ უიარაღო მუშებისათვის“. ამ დღეს გორკი იყო პეტერბურგში და საკუთარი თვალით ხედავდა ვერაგულად დახოცილ მუშებსა და მთელი არსებით განიცდიდა დემონსტრანტთა ტრაგედიას.

ამ პროკლამაციაში მწერალი მოუწოდებდა ყველას „დაუყოვნებლივი, შეუპოვარი და შეთანხმებული ბრძოლისაკენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“.

პირსისხლიანმა მეფემ გორკის წინააღმდეგ მიიღო რეპრესიული ზომები. მწერალი დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში მოათავსეს, მაგრამ მთავრობას შეეშინდა ხალხის რისხვისა და გორკის მისცა საშუალება 10 ათას მანეთად გამოესყიდა თავი.

ეს იყო მ. გორკის მეხუთე დაპატიმრებისაგან თავის დაღწევა. ამავე შემოდგომაზე მ. გორკიმ მოაწყო გაზეთი „ნოვაია ჟიზნი“, რომელსაც ვ. ი. ლენინი რედაქტორობდა. ეს იყო პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი, რომელშიც გორკიმ დაბეჭდა წერილების მთელი სერია მეშჩანების შესახებ. გორკი ბოლშევიკებს ძალიან მტკიცედ დაუკავშირდა. იგი გამოდიოდა კრებებზე და მონაწილეობას ღებულობდა მუშათა დემონსტრაციებში; აგროვებდა ფულს დეკემბრის აჯანყებულ აჯანყებისათვის საჭირო ბარაღის შესაძენად.

ამერიკაში ჩასვლისთანავე მ. გორკი დაუკავშირდა არა მარტო ლიტერატორებსა და სწავლულებს, არამედ რევოლუციურად განწყობილ მუშებსა და ფერმერებს. პროლეტარულ მწერალთან დაახლოვებამ მათზე დიდი გავლენა მოახდინა.

როგორც ცნობილია, ამერიკელი რეაქციონერები დაირაზმენ მწერლის წინააღმდეგ. გაზეთები ცილს წაძებდნენ გორკის და ათას ჭორებს თხზავდნენ მის შესახებ, მაგრამ ამით ამერიკელ რევოლუციონერთა თვალში გორკის ავტორიტეტი ოდნავადაც არ მცირდებოდა, პირიქით მუშები, ფერმერები და მასწავლებლები მეგობრულ ხელს უწვდიდნენ და ყოველ კუთხიდან გამამხნევებელ წერილებს უგზავნიდნენ.

მ. გორკიმ ამერიკაში ბრწყინვალედ შეასრულა რუსეთის ბოლშევიკების პარტიული დავალება. იგი აწყობდა ხალხმრავალ მიტინგებს და მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდა მუშათა კლასის დიად საქმეთა სასარგებლოდ. მ. გორკის გამოსვლებმა ნიუ-იორკის, ბოსტონის, ფილადელფიის და სხვა ქალაქებში გამართულ მიტინგებზე დიდი გავლენა მოახდინა მშრომელებზე. ისინი წინ აღუდგნენ კაპიტალისტთა წრეებს, რომელნიც რევოლუციონერ მუშათა დასათრგუნავად რუსეთის ცარიზმს თავიანთ ბინძურ ხელებს უწვდიდნენ.

მწერლის სიტყვებმა და წერილებმა ამერიკელ მუშათა და ფერმერთა შორის დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია. ათასობით მშრომელი მგზნებარე, ძმურ წერილებთან ერთად გზავნიდნენ თავიანთ დანაზოგ ცენტებსა და დოლარებს რუსეთის რევოლუციონერ მუშათა ორგანიზაციების მუშაობის გასაძლიერებლად.

რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ,

ბრძოლის საქმეში გორკის ასეთმა წარმატებებმა „ღრმად ჩააფიქრა“ რუსეთის იმპერატორის ელჩი სტრუვე. მან მოისყიდა ყვითელი პრესის აგენტები და ბრძოლა გაუმართა მწერალს, რათა შეენელებინა ამერიკაში მისი რეზონანსი, ყვითელმა გაზეთებმა დიდი „კამპანია“ გააჩაღეს გორკის წინააღმდეგ.

სანამ მაქსიმ გორკი თავის ამერიკულ ნარკვევებს გამოაქვეყნებდა, მთელი ბურჟუაზიული პრესა დიდის ამბით ათავსებდა სენსაციურ ცნობებს იმის შესახებ, რომ გამოჩენილი რუსი მწერალი შეხვდება პრეზიდენტ თეოდორ რუზველტს და ამერიკის მთელ რიგ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებსო. მაგრამ გორკიმ გამოაქვეყნა ამერიკის შესახებ თავისი შესანიშნავი ნარკვევები და პამფლეტები. თანაგრძნობის დეპეშები გაუგზავნა მაშინ ციხეში გამომწყვდეულ მუშათა ლიდერებს. ხმა აღიმაღლა რევოლუციონერთა დასაცავად და ამავე დროს ამხილა რუსეთის ცარიზმის კავშირი ამერიკელ რეაქციონერებთან. ამან კიდევ უფრო შეაშფოთა უოლ-სტრიტის ბინადარნი და რუსეთის იმპერატორის ელჩი სტრუვე. რუსეთის ელჩმა ყოველი ღონე იხმარა იმისთვის, რათა თეთრ სახლში პრეზიდენტ რუზველტს გორკი არ მიეღო.

ასოშეიტედ პრესის სააგენტომ მთელ ამერიკას მოსდო სენატორ კნუტ ნელსონის ცილისმწამებლური სიტყვა: „მაქსიმ გორკი—ეს საშინელი ქმნილებაა“.

დიახ, გაიძვერა სენატორი არ ცდებოდა. გორკი სენატორთა კლასისათვის, ბურჟუაზიისათვის მართლაც საშინელი იყო. და დღესაც მისი შემოქმედება გამანადგურებლად თავს ატყდება ყველა ქვეყნის ბურჟუაზიას, ასე მზაკვრულად რომ ქადაგებენ ახალი ომის საჭიროებას.

მ. გორკი თავის შესანიშნავ წერილში „ვისთან ხართ თქვენ, კულტურისტატნო?“, რომელიც საბჭოთა საბჭოთლიან პასუხს წარმოადგენს ამერიკელ კორესპონდენტების წერილებზე, შესანიშნავად ახასიათებს ბურჟუაზიული პრესის მუშაკებს. იგი წერს: „ჟურნალისტები ემსახურებიან კაპიტალისტებს, სამუშაოს მიმცემთა ინტერესებს, საოცრად ეხერხებათ რწყილს აქლემი აშობინონ და სრულიადაც არ ცდილობენ მოაჭკვიანონ ღორი, თუმცა ძალიან კარგად ხედავენ, რომ ღორს ეშმაკი შესჩენია და გაცოფებულა“.

ბურჟუაზიულ მწერლებსა და ჟურნალისტებს დაუპირისპირა მაქსიმ გორკიმ თავისი კალამი და მშვენიერი მამხილებელი წიგნი შეჰქმნა იმპერიალისტური ამერიკის შესახებ.

დიდია ამ წიგნის მნიშვნელობა დღეს, როცა მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიანობის დასარღვევად და მათ დასამონავებლად ამერიკელმა იმპერიალისტებმა გამოიგონეს ათასი გაიძვერული გეგმები. „ტრუმენის დოქტრინა“, „მარშალის გეგმა“, ჩრდილო ატლანტიკის პაქტი და ხალხთა დამონების მრავალი სხვა რეცეპტი.

„ამჟამად მმართველი წრეები ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე დიდ ბრიტანეთში, — ამბობს ამხანაგი ძოლოტოვი, — სათავეში უდგანან ერთ საერთაშორისო დაჯგუფებას, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალიზმის განმტკიცებას და სხვა ხალხებზე ამ ქვეყნების ბატონობის მიღწევას. ეს ქვეყნები სათავეში უდგანან იმპერიალისტურ და ანტიდემოკრატიულ ძალებს საერთაშორისო საქმეებში, ცნობილი სოციალისტი ლიდერების აქტიური მონაწილეობით ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში... ახლა უკვე აღარ მალავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები — ხშირად, დიდ ბრიტანეთთან ერთად — აწყობენ სულ ახალ-ახალ სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო

ბაზებს დედამიწის ყველა ნაწილში და მთელ სახელმწიფოებსაც კი იყენებენ ამგვარ მიზნებისათვის, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მახლობლად".

მ. გორკი მთელი თავისი მშვენიერი ცხოვრების მანძილზე დაუღალავად ებრძოდა ომისგამჩაღებლებს. მან პირველმა აღიმაღლა ხმა ფრანგი ბანკირების წინააღმდეგ, რომლებმაც ომისათვის მეფე ნიკოლოზს სესხი მისცეს... გორკი გამოვიდა მოწოდებით: „ნუ აძლევთ ნურცერთ გროშს რუსეთის მთავრობას. მას არა აქვს კავშირი მასებთან, მილიონობით გულებმა უკვე მიუსაჯეს მას დაღუპვა".

მაგრამ ფრანგმა ბანკირებმა რუსეთის მეფეს მაინც გაუმართეს ხელი და სესხი მისცეს. ამით აღშფოთებულმა გორკიმ თავის წერილში იწინასწარმეტყველა: „რუსეთის რევოლუცია განვითარდება ნელა და დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ იგი დამთავრდება ხალხის გამარჯვებით".

* * *

ამერიკაში მაქსიმ გორკიმ მეცნიერებისა და ხელოვნების ოსტატებს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. იგი ძალზე დაინტერესდა საერთოდ ბურჟუაზიული კულტურის პრობლემებით.

მწერალი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბურჟუაზიული მეცნიერება დოლარის საიმედო მსახურია. ამერიკელი მილიონერები ისევე ყიდულობენ მეცნიერებას, როგორც კაკაოსა და ბრინჯის პლანტაციებს თავიანთ კოლონიებში. ისინი ინახავენ სწავლულთა დიდ არმიას, რომლებიც მოქმედებენ თავიანთ პატრონთა ნება-სურვილით. გორკი მახვილად ხატავს მილიონერის ტიპს. ერთ-ერთ ამერიკელ მილიონერს, რომელთანაც მას ინტერვიუ ჰქონდა, ეკითხება:

„— რომელია თქვენი საყვარელი წიგნი? მე ჩეკების წიგნზე, როდი ფლაპარაკობ".

ამ კითხვას რკინიგზების მფლობელი მილიონერი ასეთ პასუხს აძლევს.

„— მე ორი წიგნი მიყვარს — ბიბლია და მთავარი საბუღალტრო. ისინი ორივე თანაბრად შთააგონებს გონებას. როცა მათ ხელში აიღებ, — გრძნობ, რომ მათში ჩამარხულია ისეთი ძალა, რომელიც ყველაფერს განიჭებს, რაც საჭიროა... ეს სავსებით კარგი წიგნებია! ერთი წინასწარმეტყველებმა დასწერეს, მეორე კი მე შევქმენი. ჩემს წიგნში სიტყვა ცოტაა. იქ ციფრებია".

მ. გორკის პამფლეტი „რესპუბლიკის ერთერთი მეფე", საიდანაცაა ეს ამონაწერი, მძაფრად გვიხატავს ამერიკის მილიონერის ცხოვრებას და ბრძოლას იმისთვის, რათა მან ფულის საშუალებით ხელში ჩაიგდოს, როგორც მატერიალური დოვლათი ისე კულტურა.

ამ მხრივ საინტერესოა პამფლეტში ის ადგილი, სადაც ფულზეა ლაპარაკი.

მ. გორკი წერს:

„— რამდენ ხორცს შეჭამთ საუზმეზე? — ვკითხე მას.

— მე ხორცს არა ვჭამ! — განაცხადა მილიონერმა, — ერთი ფორთოხალი, კვერცხი, პატარა ფინჯანი ჩაი — ეს არის და ეს...

— კეთილი! — ვსთქვი გაკვირვებულმა, — მაგრამ, გამოიჩინეთ გულწრფელობა,—მითხარით გულახდილად, რამდენჯერ ჭამთ დღეში?

— ორჯერ, — მშვიდად მომიგო მან. — საუზმე და სადილი — ეს სრულიად საკმარისია ჩემთვის. სადილად ერთი თეფში წვენი, თეთრი ხორცი და ტკბილი რამ. ხილი. ფინჯანი ყავა, სიგარი...

— მაგრამ, თუ ეს მართალია, — მაშინ რას უშვრებით თქვენს ფულს?

მან ოდნავ აიჩეჩა ძხარი, თვალები აახამხამა და მიპასუხა:

— ფულით კიდევ ფულს ვაკეთებ...

— რისთვის?

— რომ კიდევ ფული გავაკეთო...

— ფულს როგორ აკეთებთ?

— ა! მესმის! — სთქვა მან და თავი ჩაიქნია. — უბრალოდ. მე რკინიგზები მაქვს. ფერმერები საქონელს ამზადებენ. მე ეს საქონელი ბაზარზე გამაქვს. გამოვიანგარიშებ, რამდენი ფული უნდა დაუტოვო ფერმერს, შიმშილით რომ არ ძოკვდეს და კვლავ იმუშაოს, დანარჩენს მივიღებ, როგორც გადატანის ტარიფს. ძალიან მარტივი საქმეა...

— მთავრობა ხელს არ გიშლით? — მოკრძალებით ვკითხე.

— მთავრობა? — გაიმეორა მან, ჩაფიქრდა და შუბლზე ხელი მოისვა. შემდეგ, თითქოს რაღაც გაიხსენაო, თავი ჩაიქნია. — აჰა... ისინი... ვაშინგტონში რომ არიან? არა, ისინი ხელს არ მიშლიან. ისინი ძალიან კეთილი ხალხია... მათ შორის არიან ზოგიერთნი ჩემი კლუბიდან. მაგრამ მათ იშვიათად ვხედავ... ამიტომ ზოგჯერ კიდევაც მავიწყდებიან. არა, ისინი ხელს არ მიშლიან, — განიმეორა და მყისვე ცნობისმოყვარეობით, მკითხა:

— განა არიან ისეთი მთავრობანი, რომლებიც ხელს უშლიან ადამიანებს ფულის კეთებაში?..

— არა,—წყნარად ვთქვი, — მე ამაზე როდი... იცით, რა, მგონია, რომ ზოგჯერ მთავრობამ უნდა აკრძალოს აშკარა ძარცვა...

— ეე—ე!—შემესიტყვა იგი. — ეგ იდეალიზმია. ეგ აქ მიღებული როდია. მთავრობას უფლება არა აქვს ჩაერიოს კერძო საქმეებში"...

ამ სტრიქონების დაწერიდან ოთხათეულ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ მილიონერის ეს სახე დღესაც ცოცხლად დგას ჩვენს წინაშე. ამერიკელი მილიონერი ყველაფერს ფულით ყიდულობს.

„მარშალის გეგმა", რომელსაც ოქრო უნათებს გზას, ღრმად შეიჭრა, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში ისე ახლო აღმოსავლეთში. განსაკუთრებით აღსანიშნავია თურქეთი, რომლის პოლიტიკას და ეკონომიკას თანდათან ნთქავს ამერიკის კაპიტალი.

ათასობით ამერიკელი მუშაობს თურქეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში. ამერიკელი ოფიცრები წრთვნიან თურქ ჯარისკაცებს. თურქი რეაქციონერები ყოველმხრივ ბაძავენ ამერიკელ ბნელეთისმოციქულებს.

„ჩვენ ამერიკელებივით ვიცვამთ, — წერს სტამბოლის გაზეთი „კუდრეტი", — დავდივართ ისე, როგორც ამერიკელები. ვზივართ სკამზე, ხოლო ფეხებს მაგიდაზე ვაწყობთ, როგორც ამერიკელები. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ ყველა იმას ვაკეთებთ, რასაც ამერიკელები".

„მარშალის გეგმით" მიღებულმა დახმარებამ თურქეთის ხალხს არა თუ შეუმსუბუქა მდგომარეობა, არამედ კიდევ უფრო უმწეო ყოფაში ჩააგდო.

ჯერ კიდევ გასული წლის 5 აპრილს გაზეთი „სონ პოსტი" წერდა:

„თურქი ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის. გლეხები სამი თვის განმავლობაში იძულებულნი არიან ბალახი ჭამონ. მათ არ გააჩნიათ უბრალო კუსტარული სასოფლო-სამეურნეო იარაღებიც კი" და ამ დროს „მარშალის გეგმით" ხდება თურქეთის შეიარაღება. იქ შეაქვთ ამერიკული ქვემეხები და ტანკები. სწორედ ამიტომ 79 სოფელი აჯანყდა. აჯანყებულები აცხადებდნენ: „ჩვენ გვინდა მიწა და სასოფლო-სამეურნეო იარაღები და არა ამერიკული ქვემეხები და ტანკები".

თურქეთი გამონაკლისს როდი წარმოადგენს. ამერიკელი ბნელეთისმოციქულები მოედვნენ მთელ რიგ ქვეყ-

ნებს და „ტრუმენის დოქტრინისა“ და „მარშალის გეგმის“ მიხედვით იმონებენ ამ ქვეყნების ხალხებს. ამერიკელ მილიონერთა დოლარები მხოლოდდამხოლოდ ომის გასაჩაღებლად ჩხრიალებენ.

მ. გორკი, როცა ამერიკელ მილიონერს აღწერს, იგი ყურადღებას აქცევს „ამ ადამიანის“ გრძელ ხელებს.

გორკი წერს: „საერთოდ ჩემს წარმოდგენას მილიონერებზე დამთავრებული წარმოდგენა არა ჰქონია. მოკლედ, ეს, უწინარეს ყოვლისა, იყო გრძელი მოქნილი ხელები. ისინი მოსდებიან მთელ დედამიწას, დიდ, ბნელ ხახასთან მიუტანიათ იგი და ეს ხახა ჩვენს პლანეტას გაუმაძღრობის ნერწყვით ასველებს და წუწნის, ღრღნის და ღეჭავს, როგორც შემწვარ ცხელ კარტოფილს“...

სწორედ ამერიკელ კაპიტალისტთა ასეთი გრძელი ხელები ახვევია ახლა, მთელ რიგ ქვეყნებს, და ამ ქვეყნების სიმდიდრეს მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასთან ერთად ნთქავენ უოლ-სტრიტელი კაციჭამიები.

ამერიკის შეერთებული შტატების გაზეთები ბევრს ხმაურობენ ხან „ტრუმენის დოქტრინასთან“, ხან „მარშალის გეგმასთან“ დაკავშირებული სხვადასხვა ამერიკული პროექტების გარშემო. მათ აქვთ „ევროპის დახმარების“, „ჩინეთის დახმარების“ და კიდევ სხვადასხვა ქვეყნების დახმარების ეგრეთწოდებული გეგმები, რომლებიც ისეთ სურათს გადაგიშლით, თითქოს შინაური პრობლემები ამერიკაში უკვე დიდი ხანია გადაჭრილია. ახლა ისღა დარჩენილა, რომ შეერთებულმა შტატებმა საქმეები მოაწესრიგონ სხვა ქვეყნებში, უკარნახონ მათ თავისი პოლიტიკა და მთავრობათა მისთვის სასურველი შემადგენლობები.

მაგრამ სულ სხვას ლაპარაკობს სინამდვილე. ამერიკის მესვეურები ვულკანზე სხედან. მოახლოვებულია დიდი ეკონომიური კრიზისი, ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების მესვეურ წრეებში საშინაო საქმეები რომ არ იწვევდნენ დიდ შეშფოთებას, განსაკუთრებით მოახლოვებულ ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით, მაშინ არ იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიის იმ ეკონომიური პროექტების ასეთი სიუხვე, რომლებიც თავის მხრივ, ემყარებიან ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულ სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებს“ (ვ. მოლოტოვი).

*
* *

მაქსიმ გორკის დაბადების 81 წლისთავთან დაკავშირებით ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში მწერლის მრავალი, მეტად საინტერესო, ნაწარმოები გამოქვეყნდა. ხოლო ცალკე გამოცემად გამოვიდა ამერიკის შესახებ დღევანდელობისათვის მეტად აქტუალური ნარკვევებისა და პამფლეტების კრებული. მასში მოთავსებულია ნარკვევები: „ყვითელი ეშმაკის ქალაქი“, „მოწყენილობის მეფობა“, „ბრბო“, რამდენიმე ინტერვიუ და მ. გორკის ცნობილი წერილი „პასუხი ამერიკელი ჟურნალის ანკეტაზე“. ეს უკანასკნელი პირველად ქვეყნდება მწერლის არქივის მასალების მიხედვით. ამ ნაწარმოებში გორკი მეტად საინტერესო აზრს ანვითარებს კაპიტალისტური სამყაროს შესახებ. თუ ჩვენ დღევანდელ ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებას გადავხედავთ, ადვილად დავრწმუნდებით, თუ რა წინასწარმეტყველურად გაისმის გორკის სიტყვები.

„ყველა ქვეყნის კაპიტალისტები თანაბრად საძაგელი და არაადამიანური მოდგმაა, მაგრამ თქვენი კაპიტალისტები უარესნი არიან, — მიმართავდა მწერალი ამერიკელ ხალხს და იქვე დასძენდა: — ისინი, როგორც ჩანს, უფრო

სულელურად ხარბი არიან ფულისადმი... წარმოიდგინეთ, რაოდენ სულელური და სამარცხვინოა ყოველივე ეს: ჩვენი მშვენიერი პლანეტი, რომელსაც ჩვენ ესოდენ შრომით ვრთავთ და ვამდიდრებთ, — თითქმის მთელი ჩვენი დედამიწა ადამიანთა ერთი მუჭა მოდგმის გაუმაძღარ ხელშია, რომელთაც, გარდა ფულისა, არაფრის კეთება არ შეუძლიათ. დიდებულ შემოქმედებითს ძალას — მეცნიერების, ტექნიკოსების, პოეტების, მუშების სისხლსა და ტვინს, რომლებიც ქმნიან კულტურას, ჩვენს „მეორე ბუნებას“, ეს ჩლუნგი ადამიანები აქცევენ ყვითელ ლითონის გორგოლაჭებად და ჩეკების ქაღალდის ნაჭრებად“.

კაპიტალიზმი ხელოვნებას უყურებს, არა როგორც მასების აღზრდის უდიდეს საშუალებას, არამედ როგორც მათ გართობას. მილიონერის აზრით ხელოვნება კარგია მხოლოდ აპოლიტიკური, უიდეო. ის მილიონერი, რომელიც მაქსიმ გორკის გამოყვანილი ჰყავს პამფლეტში „რესპუბლიკის ერთერთი მეფე“, გამოსთქვამს თავის შეხედულებებს ხელოვნებაზე. „იგი გასართობი უნდა იყოს,—ეს ხელოვნება,—აი რას მოვითხოვ, — ამბობს მილიონერი.—ჩემს საქმეში გასაცინარი ბევრი რამ როდია, ზოგჯერ საჭიროა ტვინის რაიმე დამამშვიდებელი... ხოლო ხანდახან სხეულს ენერგიის აღმგზნები რამ შეუშხაპუნო. როცა ხელოვნებას ჭერზე ან კედელზე ქმნიან, მან მადა უნდა აღგიძრას... რეკლამები საუკეთესო მკაფიო საღებავით უნდა იწერებოდეს. რეკლამამ შორიდანვე, ერთი მილიდან უნდა ჩაგჭიდოს ყურში ხელი და ერთბაშად მიგიყვანოს იქ, სადაც გიწვევს. მაშინ იგი გაამართლებს ფულს. ქანდაკებანი ან ლარნაკები ყოველთვის უმჯობესია გაკეთდეს ბრინჯაოსაგან, ვიდრე მარმარილოს ან ფაიფურისაგან. მსახური ისე ხშირად ვერ გასტეხს ბრინჯაოს, როგორც ფაიფურს. ძალიან კარგია მამლების ჭიდილი და ვირთაგვების წაკიდება... მუსიკა ბანტიოტული უნდა იყოს. მარში „უდამ“ კარგია, მაგრამ საუკეთესო მარში ამერიკულია... ამერიკელები დედამიწაზე საუკეთესო ადამიანები არიან. მათ ყველაზე მეტი ფული აქვთ. აბა ვის აქვს იმდენი ფული, რამდენიც ჩვენ. ამიტომ ჩვენთან მალე მოვა მთელი მსოფლიო“.

ამ მიმართულებით, ამ „პროგრამის“ მიხედვით განვითარდა ამერიკაში ბურჟუაზიული ხელოვნება. ასეთი ანტიკულტურული, ანტიჰუმანიური, რეაქციული იყო და დღესაც ასეთია ამერიკის ბურჟუაზიული ხელოვნება. თეატრი, კინო, ფერწერა, პოეზია—ეს ყველაფერი გაჟღენთილია უხამსობისა და გარყვნილების საწამლავით.

ამერიკული კულტურის ცენტრები ნიუ-იორკი და ჩიკაგო მაქსიმ გორკის მშვენივრად აქვს აღწერილი. მან ნიუ-იორკი თავის დამახასიათებელი შტრიხებით ოსტატურად დახატა და „ყვითელი ეშმაკის ქალაქი“ უწოდა.

მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის არქივმა ამასწინათ გამოაქვეყნა მწერლის მიერ 1931 წელს დაწერილი სტატია „პოემა პროზად“, რომელშიც აწერილია „ჩიკაგო“, ეს ნიუ-იორკის შემდეგ შეერთებული შტატების პირველი ქალაქია სიმდიდრითა და მცხოვრებთა რაოდენობით. ამ ნაწარმოებში გორკი შესანიშნავად აღწერს კაპიტალისტური ქალაქის ანარქიულ მეურნეობას და ამავე დროს იმ ბანდიტურ ორგანიზაციებს, რომლის ხელშიც ფაქტიურად ქალაქი იყო. მ. გორკი წერს:

„...ჩიკაგო ყველაზე ორიგინალური ქალაქია მსოფლიოს ქალაქთა შორის. ჩიკაგოს ორიგინალობა ის არის, რომ მის მოსახლეობას ერთდროულად და განსაკუთრებული წარმატებით ძარცვავენ არა მარტო ბანკირები — როგორც ყველგან — არამედ ბანდიტებიც, რომ-

ლებიც არსად არ არიან ისე ორგანიზებულნი, როგორც აქ.

არსებითად ბანკირი ბანდიტისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ბანდიტიზმი მიჩნეულია სისხლის სამართლის კანონით დასასჯელ მოქმედებად და იდევნება კანონით, ხოლო ბანკირები არა თუ სარგებლობენ კანონის მფარველობით, არამედ ბანკირები თვითონ კანონმდებლობენ, ე. ი. ქმნიან ისეთ კანონებს, რომლებიც ბანკირიზმს შრომას უადვილებენ მოსახლეობის გასაძარცვავად".

ასეთია დღესაც ჩიკაგო. თეთრი სახლი და უოლ-სტრიტელი ბანკირები ბანდიტურად მართავენ სახელმწიფოს და მსოფლიოს ატომური ბომბებით „აშინებენ".

* * *

მაქსიმ გორკი ამერიკაში ნაყოფიერ ლიტერატურულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა.

ამერიკაში მ. გორკი ას ოთხმოცდაათ დღეს იმყოფებოდა. ამ ხნის განმავლობაში ის აკვირდებოდა მაშინდელ ამერიკელთა ცხოვრებას და ქვეყნის განვითარებას. ის ნაწარმოებნი, ნარკვევი იქმნება ის თუ პამფლეტი, რომელიც ამერიკის შესახებ შექმნა დიდმა რუსმა მწერალმა, დღესაც მეტად საინტერესო და აქტუალურ მასალას წარმოადგენს მკითხველთა ფართო მასებისათვის.

დიდი ჰუმანისტი გორკი ააშკარავებს იმპერიალიზმის სიუძლურეს, მის სოციალურ ბუნებას და მისწრაფებებს. ექსპლოატატორული კლასის წარმომადგენლები სოციალურად მავნე ელემენტებია. „კაპიტალისტები სოციალურად მავნე ხალხია,—წერდა მ. გორკი,— ისინი ამზადებენ ახალს საყოველთაო ხოცვა-ჟლეტას; ისინი იძულებულს ხდიან საბჭოთა კავშირს მუდმივ მზად იყოს თავდაცვისათვის, აიძულებენ მუშათა კლასს აუარებელი ძვირფასი დრო და მასალა დახარჯოს კაპიტალისტებისაგან თავდაცვის იარაღების დასამზადებლად; ისინი ემზადებიან საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის. იმათ სურთ ეს უზარმაზარი ქვეყანა თავის ახალშენად, თავის მაზრად გაიხადონ".

მაგრამ ამას ამერიკელი იმპერიალისტები ვერასოდეს ვერ მოესწრებიან. საბჭოთა ხალხებმა ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით ააშენეს სოციალიზმი და ახლა დაუცხრომლად მიიწევენ წინ კომუნიზმისაკენ. საბჭოთა ადამიანებმა იციან, როგორ უნდა დაიცვან თავიანთი სამშობლო, ხოლო გარეწარი კაპიტალისტები, რომლებიც მას გარს ახვევია, ვერასოდეს ვერ შესძლებენ, რა რიგადაც არ უნდა შეიარაღდნენ ისინი, წაართვან მათ ეს სამშობლო.

ომის სურვილით გახელებულ ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებს მაქსიმ გორკი აფრთხილებდა: „საბჭოთა კავშირის ხალხს არ სურს ომი, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მას ომის არ ეშინია და მზად არის მისთვის".

ბურჟუაზიული „სამშობლოების" პირობებში „მუშებს არ აქვთ სამშობლო", ამბობს „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". დიდმა ლენინმა გენიალურად განსაზღვრა, რომ „ნამდვილად მხოლოდ ბურჟუაზიული სამშობლოების დანგრევას შეუძლია ყველა ქვეყნის მუშებს მისცეს „კავშირი მიწასთან", მშობლიური ენის თავისუფლება, პურის ნაჭერი და კულტურის ღირებულებანი".

პურისათვის იბრძვიან ამერიკის მუშები და ღარიბი ფერმერები. მათ თავიანთი „სამშობლო" სიღარიბესა და უმეცრებაში ამყოფებს. მილიონობით ამერიკელ უმუშევრებს შიმშილით სიკვდილი მოელით. ბურჟუაზია ვაჭრობს თავისი ქვეყნით, თავისი ქვეყნის ხალხით.

ბურჟუაზიული „პატრიოტიზმი" — ეს არის ნაციონალიზმი, რასიზმი, ბარ-

ბაროსობა. ბურჟუაზიული „პატრიოტიზმი“ ეს არის ომი, მეზობელი სახელმწიფოების დაპყრობა და ხალხის დამონება. სწორედ ეს „პატრიოტიზმი“ ამოძრავებს დღეს ამერიკის ბურჟუაზიას.

კაპიტალი გახდა არა მარტო ეკონომიკის, არამედ, მთელი სახელმწიფოს სრულუფლებიანი მბრძანებელი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს ფაქტიურად მართავს მორგანების, როკფელერების, ფორდების, მაკორმიკების ფინანსიური დინასტია. მათ ნებასურვილს შეურყეველად ანხორციელებენ კონგრესებზე.

დღევანდელ ამერიკაში მინისტრის პორტფელები განაწილებული აქვთ უოლ-სტრიტელ საქმოსნებს, მსოფლიო ტრესტების აქციონერებს და დირექტორებს. ყველა დღევანდელი ჰარიმანები, დალესები და სხვ. მრეწველები და ბანკირები, რომლებიც ტრუმენის მთავრობაში შედიან, არა თუ არ უშლიან კაპიტალისტებს „აკეთონ ფული“, არამედ ყოველმხრივ იბრძვიან, რათა მათ უშოვნონ ახალ-ახალი ბაზრები და ფულმა აკეთოს ფული.

„პირპონტი მორგანის კომშარულ ფიგურას, — ამბობდა მ. გორკი სსრკ მწერალთა ყრილობაზე, — ჯერ მსგავსი არ ჰყოლია, თუ არ მოვიგონებთ ერთ უძველეს დროის მეფეს, რომელსაც ხახა გადამდნარ ოქროთი ამოუვსეს“.

მაქსიმ გორკიმ კაპიტალისტური ამერიკის „დემოკრატიზმსა“ და „კეთილდღეობას“ ნიღაბი ჩამოხადა. ამერიკული იმპერიალიზმი, შენიშნავს გორკი, ჰხოლოდ სიტყვით ქადაგებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობას, ხოლო საქმით მთელი ხელისუფლება ოქროს ტომრის ხელშია. ბურჟუაზიული დემოკრატიის ქებულ ნიღაბში იმალება მსოფლიო მძარცველი, რომლის სახე და ნამდვილი ბუნება გორკიმ თავის ნაწარმოებში ოსტატურად დაგვიხატა.

მწერალმა მთელი სისრულით გამოააშკარავა ბურჟუაზიული ნამალი. მას უწოდა სულიერი [illegible] ბურჟუაზია წამლავს ხალხს, რომ მორჩილებაში იყოლიოს. „მორალის ქურუმი“, რომელიც მ. გორკიმ ამერიკაში დასწერა, შესანიშნავ პამფლეტს წარმოადგენს საერთოდ ბურჟუაზიულ მორალის შესახებ. ამ პამფლეტში ერთ-ერთი გმირი ამბობს:

— „მორალი — ეს თქვენი ინტერესების გუშაგია, თქვენ ცდილობთ განამტკიცოთ იგი იმ ადამიანების სულში, რომელიც თქვენ გარს გარტყიათ. ქუჩებში თქვენ აყენებთ პოლიციელებს და ჯაშუშებს, ადამიანის სულში კი თქვენ აჩრით მთელ რიგ პრინციპებს, რომელთაც ფესვები უნდა გაიდგას მის ცნობიერებაში და შეჰბოჭოს, ჩაახშოს, გაანადგუროს მასში ყველა აზრი, რომელიც მიმართულია თქვენს წინააღმდეგ, ყველა სურვილი, რომელიც ემუქრება თქვენს უფლებებს: მორალი ყველაზე მკაცრია იქ, სადაც ეკონომიური წინააღმდეგობანი უფრო თვალსაჩინოა. რაც უფრო მეტი ფული მაქვს, მით უფრო მკაცრი მორალისტი ვარ. აი ამიტომ არის, რომ ამერიკაში, სადაც ასე ბევრია მდიდრები — ას ცხენისძალიან მორალს აღიარებენ“.

ამ ორმოცდასამი წლის წინათ დაწერილ პამფლეტს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. თითქოს დიდი მწერალი დღევანდელი ამერიკის შესახებ წერსო ისე გაისმის მისი სიტყვები. განა დღევანდელ ტრუმენისა და მარშალის ამერიკას სავსებით არ ეხება პამფლეტის ეს სიტყვები?

„თქვენ ზუსტად იცავთ პრინციპს — არა კაცკვლა. იმიტომ რომ ცხოვრება თქვენთვის ძვირფასია, საამურია და სიამოვნებით აღსავსე. ვთქვათ, თქვენს ქვანახშირის მაღაროებში მუშები ხელფასის გადიდებას მოითხოვენ. თქვენ გამოიძახებთ ჯარისკაცებს, რომლებიც ტყვიას დაუშენენ მუშებს, — ან, ვთქვათ,

თქვენ არ იცით სად გაასალოთ საქონელი. თქვენ მიუთითებთ ამ ფაქტზე თქვენს მთავრობას და არწმუნებთ მას, რომ ახალი ბაზარი იშოვოს თქვენთვის".

მაქსიმ გორკი, როგორც სიკეთის, თავისუფლებისა და ადამიანთა სიყვარულის მქადაგებელი მწერალი მსოფლიოს ყველა ხალხმა მხურვალედ შეიყვარა. დიდია მისი მსოფლიო მნიშვნელობა. ყველა ქვეყნის მწერლებმა ბევრი რამ ისწავლეს გორკისაგან. განსაკუთრებით ევროპისა და ამერიკის დემოკრატიული მწერლები დიდად დავალებული არიან მისგან.

მ. გორკი მსოფლიოს მწერლებს ასწავლიდა სიმართლისათვის ბრძოლას, დაჩაგრულთა დაცვას და მისი ინტერესების გამოხატვას. იგი უნერგავდა მწერლებს იმ აზრს, რომ მშრომელი ადამიანის ცხოვრებისა და ბრძოლის ასახვის გარეშე არ შეიძლება შეიქმნეს დიდი ლიტერატურა.

თეოდორ დრაიზერი დიდად აფასებდა მაქსიმ გორკის, როგორც რეალიზმის უდიდეს წარმომადგენელს. მ. გორკი,—წერს ის,—რეალისტ მწერალთა მსოფლიო პლეადის წარმომადგენელია. ის ხედავდა ჩვენს აწმყოს და მომავალს იმ ძნელად მისაღწევი მწვერვალებიდან, საიდანაც თვალწინ იშლება ყველაზე ფართო და ყველაზე ნათელი პერსპექტივა... მხოლოდ ის ლიტერატურა, რომლის ოსტატიც გორკი იყო, არის ლიტერატურა, რომელიც ხედავს ჩვენი რეალური ცხოვრებას დიად მწუხარებათა და სიხარულთ.— მხოლოდ ასეთი ლიტერატურა აღძრავს და წარმართავს ადამიანის აზრს. ის ადამიანს უხსნის გზას ეკონომიური გათავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრების ასაგებად. მე მწამს, რომ ჩვენი მწერლებიც გაიგებენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ცხოვრების ის ცოდნა, რომელსაც გორკი ჰფლობდა".

მაქსიმ გორკის შემოქმედება და სახელი თავზარს ცემდა მშრომელთა ყველა მტერს. გორკი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მშრომელთა სასიხარულოდ, მტერთა საზარად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ. მაისურაძე

ლენინი და სტალინი კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ

★

ჩვენი ქვეყანა ცხოვრობს და ვითარდება კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. „მისი საგარეო მდგომარეობა დამოკიდებულია არა მარტო მის შინაგან ძალებზე, არამედ ამ კაპიტალისტური გარემოცვის მდგომარეობაზე, იმ კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობაზე, რომლებიც ჩვენ ქვეყანას არტყიან, მათ ძალასა და სისუსტეზე, მთელი მსოფლიოს ჩაგრული კლასების ძალასა და სისუსტეზე, ამ კლასების რევოლუციური მოძრაობის ძალასა და სისუსტეზე“.[1]

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ჩვენ გარშემორტყმული ვართ ადამიანებით, კლასებით მთავრობებით, რომელნიც აშკარად გამოხატავენ სიძულვილს ჩვენდამი და რომ ჩვენზე თავდასხმა მუდამ მოსალოდნელია.

ი. ბ. სტალინი ყოველთვის აფრთხილებდა პარტიას იმ საფრთხის შესახებ, რაც ჩვენს ქვეყანას მოელის კაპიტალისტური გარემოცვის გამო.

„კაპიტალისტური გარემოცვა, — ეს ნიშნავს, რომ არის ერთი ქვეყანა, საბჭოთა კავშირი, რომელმაც დაამყარა სოციალისტური წესწყობილება და გარდა ამისა, არის ბევრი ქვეყანა, ბურჟუაზიული ქვეყნები, რომლებიც განაგრძობენ კაპიტალისტური წესით ცხოვრებას და რომლებიც ერტყმიან საბჭოთა კავშირს, ელოდებიან რა შემთხვევას იმისათვის, რომ თავს დაესხან მას, დაამარცხონ იგი ან, ყოველ შემთხვევაში, ძირი გამოუთხარონ მის ძლიერებას და დაასუსტონ იგი“.[2]

კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა კონკრეტულ-ისტორიულ გარემოებასთან შეფარდებით სხვადასხვა ფორმებს ატარებდა: ზოგჯერ იგი გამოიხატებოდა კაპიტალისტურ ქვეყნებთან საერთაშორისო ხელშეკრულებათა, შეთანხმებათა დადებით, სავაჭრო ურთიერთობის დამყარებით და სხვ. საბჭოთა კავშირი იძულებული იყო თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაეცვა მრავალრიცხოვან მტრებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. მაგრამ ამ სხვადასხვა ფორმების მოქმედების მიზანი ერთი იყო—მშვიდობის დაცვა.

---

[1] ი. სტალინი, მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე. სახელგამი. 1928.

[2] ი. სტალინი, პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებსა და ტროცკისტ და სხვათა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე. გვ. 13. 1937 წ.

*
* *

ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში საბჭოთა ქვეყანას ბრძოლა უხდებოდა პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ორივე კოალიციის წინააღმდეგ.

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადების მიუხედავად, „გერმანელი იმპერიალისტები სჩადიოდნენ ყოველივე შესაძლებელს იმისათვის, რომ მოეხდინათ საბჭოთა ქვეყნის იზოლირება, დაესუსტებინათ და დაეღუპათ იგი. მათ საბჭოთა რუსეთს მოსწყვიტეს, მართალია უკრაინის რადასთან დადებული „ხელშეკრულებით",—უკრაინა, უკრაინის თეთრგვარდიული რადის თხოვნით უკრაინაში შეიყვანეს თავისი ჯარები და დაიწყეს უკრაინელი ხალხის მხეცურად ძარცვა და ჩაგვრა, უკრძალავდნენ რა მას რაიმე კავშირი ჰქონოდა საბჭოთა რუსეთთან. მათ საბჭოთა რუსეთს მოსწყვიტეს ამიერკავკასია, ქართველი და აზერბაიჯანული ნაციონალისტების თხოვნით იქ შეიყვანეს გერმანელთა და თურქთა ჯარები და იწყეს პარპაში თბილისსა და ბაქოში. ისინი ყოველნაირად მხარს უჭერდნენ, მართალია ჩუმად, იარაღითა და სურსათით—დონის მეამბოხე გენერალს—კრასნოვს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".[3]

ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, ამერიკის იმპერიალისტებმა სამხედრო ინტერვენცია დაიწყეს ომის გამოუცხადებლად, თუმცა ეს იყო ნამდვილი ომი ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ, ამასთან ყველაზე ცუდი ტიპის ომი. „ფარულად, ქურდულად მოგვეპარნენ ეს ცივილიზებული ყაჩაღები და გადმოსხეს თავის ჯარები რუსეთის ტერიტორიაზე.[4]

საბჭოთა მთავრობის მიმართვაში ამერიკის კონსულ პულისადმი ნათქვამი იყო:

„ინგლის-საფრანგეთის შეიარაღებული ძალები შემოიჭრნენ ჩვენს ტერიტორიაზე, ძალით დაიკავეს ჩვენი ქალაქები და სოფლები, დაშალეს ჩვენი მუშათა ორგანიზაციები, საპყრობილეებში ჩასვეს და სახლებიდან განდევნეს ამ ორგანიზაციების მონაწილენი რაიმე საფუძველის უქონლად, რომლითაც შესაძლებელი იყოს ასეთი მტაცებლური მოქმედების გამართლება. ომის გამოუცხადებლად... ჩვენს წინააღმდეგ დაიწყეს მტრული მოქმედება და გაძარცვეს ჩვენი ეროვნული ქონება. ჩვენს მიმართ დაცული არ არის არავითარი სამართლიანობა და არავითარი კანონი, რომელსაც აღიარებენ ისინი, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედი ეს ჯარები გამოგზავნა... ჩვენს წინააღმდეგ დასაშვებად მიაჩნიათ აღვირახსნილი ავაზაკობა. ეს ხალხები, რომელსაც ჩვენთვის ომი არ გამოუცხადებიათ, ისე მოქმედებენ ჩვენს წინააღმდეგ, როგორც ბარბაროსები... შეგიძლიათ... თუ არა თქვენ გარკვეულად გვითხრათ, რა სურს ჩვენგან დიდ ბრიტანეთს? არის თუ არა დიდი ბრიტანეთის მიზანი მოსპოს ყველაზე პოპულარული მთავრობა, როგორიც ოდესმე უხილავს მსოფლიოს, სახელდობრ—ღარიბთა და გლეხთა საბჭოები? არის თუ არა დიდი ბრიტანეთის მიზანი კონტრრევოლუცია?.. თუ განზრახული აქვს რომელიმე გარკვეული ქალაქებისა და ტერიტორიების დაპყრობა?".[5]

---

[3] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. გვ. 295—296.

[4] იქვე, გვ. 296.

[5] Международная политика новейшего времени. ч. II, стр. 162—163. 1926.

სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პირობებში, რთულ საერთაშორისო ვითარებაში ლენინისა და სტალინის საგარეო პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ გამოეყენებინათ იმპერიალისტთა ბანაკში მეტოქეობისა და შეუთანხმებლობის ყოველი გამოვლინება, ყოველმხრივ ესარგებლათ იმპერიალისტური წინააღმდეგობებით და მიეღწიათ მშვიდობისათვის.

„ჩვენ მხოლოდ იმიტომ გავძელით და შევძელით დაგვემარცხებინა,—ამბობდა ლენინი,—ანტანტის სახელმწიფოთა უმაგალითოდ ძლიერი კავშირი, რომელსაც მხარს უჭერდნენ ჩვენი თეთრგვარდიელები, რომ ამ სახელმწიფოთა შორის არავითარი ერთიანობა არ იყო. დღემდე ჩვენ შევძელით გამარჯვებათა მოპოვება მხოლოდ იმის მეოხებით, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის უღრმესი განხეთქილება იყო“.[6]

საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობაზე ლენინმა განაცხადა, რომ 1918 წლის 5 აგვისტოდან 1919 წლის 5 დეკემბრამდე, ე. ი. 16 თვის განმავლობაში საბჭოთა მთავრობამ თერთმეტჯერ მიმართა ანტანტის სახელმწიფოებს ზავის დადების წინადადებით.

საბჭოების VII ყრილობამ ლენინისა და სტალინის წინადადებით მიიღო სპეციალური რეზოლუცია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და ერთხელ კიდევ მიმართა ანტანტის ყველა სახელმწიფოს—ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, იტალიას, იაპონიას, „ყველას ერთად და ცალცალკე“, წინადადებით სამშვიდობო მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ და სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო კომისართა საბჭოს და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს დაავალა სისტემატიურად განეხორციელებინათ სამშვიდობო პოლიტიკა და მიეღოთ ყველა ზომა ამ პოლიტიკის წარმატებისათვის.[7]

საბჭოთა მთავრობის ყოველი სამშვიდობო მიმართვა თავისი მტრებისადმი ნიღაბს ხდიდა იმპერიალისტთა დაპყრობითს პოლიტიკას.

საბჭოთა მთავრობამ 1919 წელს ვერ შეძლო კაპიტალისტურ ქვეყნებთან სამშვიდობო ურთიერთობის დამყარება. ეს გასაგებიცაა. კაპიტალისტებისათვის არ არსებობს სხვა კანონი, გარდა ძლიერების მგლური კანონისა. საბჭოთა ქვეყანამ იარაღით აიძულა კაპიტალისტური ქვეყნები სამშვიდობო ურთიერთობა დაემყარებინათ მასთან.

1919 წლის გაზაფხულზე ინტერვენტებმა და თეთრგვარდიელებმა ახალი ძალით დაიწყეს ფართო ლაშქრობა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ. ეს იყო. ანტანტის პირველი ლაშქრობა.

„ეს ლაშქრობა კომბინირებული იყო. რადგან იგი ვარაუდობდა კოლჩაკის, დენიკინის, პოლონეთის, იუდენიჩის და თურქესტანსა და არხანგელსკში მყოფი ინგლისელთა და რუსთა შერეული რაზმების ერთობლივ თავდასხმას, ამასთან ლაშქრობის სიმძიმის ცენტრი კოლჩაკის რაიონში მდებარეობდა.

ამ პერიოდში ერთიანი და შემჭიდროებული ანტანტა აშკარა ინტერვენციის თვალსაზრისზე დგას: მუშათა მოძრაობის სისუსტე დასავლეთში, საბჭოთა რუსეთის მტრების სიმრავლე და რუსეთზე გამარჯვების სრული რწმენა შესაძლებლობას აძლევდა ანტანტის მესვეურებს გაეტარებინათ დაუფარავი ინტერვენციის თავხედური პოლიტიკა“.[8]

[6] ლენინი—თხზ., ტ. XVI, გვ. 7. რუს.

[7] ВКП(б) в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов ЦК. ч. I, стр. 324. 1936.

[8] ი. სტალინი—თხზ. ტ. IV, გვ. 350.

როგორც ცნობილია, ანტანტის პირველი ლაშქრობა სამარცხვინო კრახით დამთავრდა.

ანტანტის პირველ ლაშქრობაში დამარცხებამ ინტერვენტები აიძულა მოქმედების ტაქტიკა შეეცვალათ. მათ ხელი აიღეს რუსეთის ტერიტორიაზე უცხოეთის დიდი არმიების შეყვანის ტაქტიკაზე და ამჯობინეს ემოქმედნათ უმთავრესად რუსეთის მოსაზღვრე პატარა ქვეყნებისა და რუსეთის კონტრრევოლუციის ძალებით. „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, — წერს ჩერჩილი თავის მეძუარებში, — რომ ჩვენ ფრონტებზე ვიბრძოდით ბოლშევიკების მოწინააღმდეგე რუსების საქმისათვის. პირიქით, რუსეთის თეთრგვარდიელები იბრძოდნენ ჩვენი საქმისათვის“.[9]

ამხანაგი სტალინი შემდეგნაირად ახასიათებდა ანტანტის მეორე ლაშქრობის თავისებურებას:

„ბრძოლის მსვლელობაში დაისახა ახალი კომბინაცია, შეიარაღებული ჩარევის ახალი, დაფარული ფორმა, მართალია, უფრო რთული, ვიდრე აშკარა ჩარევა, მაგრამ სამაგიეროდ უფრო „მოსახერხებელი“, ცივილიზებული“ და „ჰუმანური“ ანტანტისათვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს იმპერიალიზმის მიერ ნაჩქარევად შეკოწიწებული კავშირი რუმინეთის, გალიციის, პოლონეთის გერმანიის, ფინეთის მთავრობებისა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ... გერმანიის მთავრობამაც კი, ანტანტის მიერ თავლაფდასხმულმა და მიწასთან გასწორებულმა, იმანაც კი დაკარგა საკუთარი ღირსების ელემენტარული გრძნობა და ხვეწნით გამოითხოვა უფლება სოციალიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობისა... იმავე ანტანტის სასარგებლოდ.

ამრიგად, იმპერიალიზმი იძულებულია ჟღარუნის პოლიტიკიდან, აშკარა ინტერვენციის პოლიტიკიდან იძულებულია გადავიდეს შენიღბული ინტერვენციის პოლიტიკაზე, სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მცირე და დიდი დამოკიდებული ერების ჩათრევის პოლიტიკაზე“.[10]

დასავლეთის იმპერიალისტებმა ამჯერად აშკარა ინტერვენცია იმიტომაც ვერ გაბედეს, რომ დაუფარავი ინტერვენციის პოლიტიკამ მარცხი განიცადა ევროპაში რევოლუციური მოძრაობის ზრდისა და იმ მხარდაჭერის გამო, რომელსაც კაპიტალისტური სამყაროს დიდი სახელმწიფოების მუშათა კლასი უწევდა საბჭოთა რუსეთს. აშკარა ინტერვენციის პოლიტიკა „მთლიანად გამოიყენა რევოლუციურმა სოციალიზმმა იმპერიალიზმის სამხილებლად“.[11]

ანტანტის მეორე ლაშქრობის უკუგდების შემდეგ დადგა ხანმოკლე სამშვიდობო შესვენება, მაგრამ 1920 წლის გაზაფხულზე კვლავ დაიწყო ახალი ანტისაბჭოთა ლაშქრობა. ამჯერად საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ იბრძოდა ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის დამქაში—პოლონეთი. ამავე დროს ყირიმიდან შეტევაზე გადმოვიდა ბარონი ვრანგელი.

ლენინის თქმით, პანების პოლონეთი და ვრანგელი—ეს იყო ორი ხელი საერთაშორისო იმპერიალიზმისა, რომელიც ცდილობდა საბჭოთა ქვეყნის წახრჩობას.

საბჭოთა მთავრობის არაერთგზის ცდა—დაეწყო პოლონეთთან მოლაპარაკება მშვიდობის შესანარჩუნებლად და ომის თავიდან ასაცილებლად—

---

[9] Черчилль, Мировой кризис. Стр. 174.

[10] ი. სტალინი თხზ. ტ. IV, გვ. 269—271.

[11] იქვე, გვ. 271.

უშედეგოდ დამთავრდა. პოლონეთის მმართველ წრეებს მიზნად ჰქონდათ დასახული საბჭოთა უკრაინისა და საბჭოთა ბელორუსიის დაპყრობა და „დიდი პოლონეთის შექმნა ზღვიდან ზღვამდე, დანციგიდან თდესამდე“. ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების მიერ შეიარაღებულმა პოლონეთმა 1920 წლის აპრილში ომი დაიწყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და დაიკავა კიევი. ამ თავდასხმის საპასუხოდ წითელი არმია შეტევაზე გადავიდა მთელ ფრონტზე, პოლონელები უკრაინიდან და ბელორუსიიდან განდევნა და მიუახლოვდა ვარშავას.

„საქმე მიდიოდა პოლონელი პანების სრული დამარცხებისაკენ“.[12]

პოლონეთის წინააღმდეგ ომს, როგორც ლენინი აღნიშნავდა, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან პოლონეთი უმნიშვნელოვანესი რგოლი იყო ვერსალის სისტემაში.

„პოლონეთი რომ საბჭოთა გამხდარიყო, ვარშავის მუშებს საბჭოთა რუსეთისაგან დახმარება რომ მიეღოთ, რომელსაც ისინი ელოდნენ და რომელსაც მიესალმებოდნენ, ვერსალის ზავი ჩაიფუშებოდა, და მთელი საერთაშორისო სისტემა, რაც გერმანიაზე გამარჯვებათა შედეგად შეიქმნა, დაინგრეოდა. საფრანგეთს მაშინ არ ეყოლებოდა ბუფერი, რომელიც გერმანიას საბჭოთა რუსეთისაგან იფარავდა. მას არ ექნებოდა ტარანი საბჭოთა რესპულიკის წინააღმდეგ“.[13]

მაგრამ იუდა ტროცკიმ და მისმა დამჭაშმა ტუხაჩევსკიმ ჩაფუშეს წითელი არმიის წარმატებანი. წითელი არმია იძულებული იყო ვარშავიდან უკან დაეხია. მიუხედავად ამისა, წითელმა არმიამ ახალი კონტრდარტყმა მოამზადა პოლონელებისა წინააღმდეგ და პოლონელი პანები [illegible] სამუდამოდ და საბოლოოდ დაეკარგნათ თავიანთი გიჟური პრეტენზიები. პოლონეთმა ზავის დადება ითხოვა.

1920 წლის 20 ოქტომბერს პოლონეთთან დადებული საზავო ხელშეკრულების თანახმად საბჭოთა რუსეთმა თავისი საზღვრები დასავლეთისაკენ გადასწია 80-100 კილომეტრით. ეს პირობები საბჭოთა რუსეთისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე ის პირობები, რაც პირველად შესთავაზეს პოლონეთს. „ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება იძლევა წინადადებას ზავის შესახებ, მის სიტყვებსა და განცხადებებს აუცილებლად სერიოზულად უნდა მოეპყრო“.[14]

უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში საბჭოთა რესპუბლიკას მეტად სერიოზული ბრძოლა უხდებოდა აგრეთვე იაპონიის იმპერიალიზმთან. 1918 წლის 4 აპრილს ვლადივოსტოკში იაპონელებმა მიმართეს ნაცად პროვოკაციულ მეთოდს: ვითომც „უცნობმა პირებმა“ მოკლეს ორი იაპონელი, რომლებიც ფირმა „უსიდის“ კანტორაში მსახურობდნენ. მეორე დღეს იაპონიის ესკადრა შეუდგა დესანტის გადმოსხმას, ვითომდა იაპონელ ქვეშევრდომთა დასაცავად. სინამდვილეში კი იაპონიის ინტერვენტების ნამდვილი მიზანი ის იყო, რომ საბჭოთა რუსეთისათვის ჩამოეგლიჯათ პრიმორიე და შორეული აღმოსავლეთი. იაპონიის იმპერიალისტები ცდილობდნენ ამ საბჭოთა მხარეებისაგან შეექმნათ მათზე დამოკიდებული მარიონეტული სახელმწიფო. დაესუსტებინათ საბჭოთა რუსეთი და გაეფართოებინათ თავიანთი კოლონიური სამფლობელოები.

---

[12] საკ. კ. ბ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 314.

[13] ლენინი, თხზ., ტ. XXV, გვ. 413.

[14] ლენინი — თხზ., ტ. XXV, გვ. 412.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის არსებულ იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გამო იაპონია ვერ ბედავდა რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიის დაპყრობის აშკარა პროგრამით გამოსვლას და თავის ექსპანსიონისტურ გეგმებს ნიღბავდა ასეთი ლოზუნგით: „ბრძოლა დემოკრატიისათვის, საბჭოების წინააღმდეგ!“ ყაჩაღური ზრახვების განსახორციელებლად იაპონელი აგრესორები იყენებდნენ აგრეთვე თავიანთ აგენტებს რუსეთის კონტრრევოლუციის ბანაკში, რგორიც იყო, მაგალითად, თეთრგვარდიელი გენერალი სემიონოვი.

ლენინმა და სტალინმა როგორც ყოველთვის, დროულად შეაფასეს შექმნილი მდგომარეობის მთელი სერიოზულობა. ლენინმა ვლადივოსტოკის საბჭოს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა, რომელიც სტალინის მონაწილეობით იქნა შედგენილი:

„ჩვენ მდგომარეობა მეტად სერიოზულად მიგვაჩნია და მთელი კატეგორიულობით ვაფრთხილებთ ამხანაგებს. ნუ მიეცემით ილუზიებს: იაპონელები უთუოდ დაიწყებენ შემოტევას. ეს გარდუვალია. მათ დაეხმარებიან უკლებლივ ყველა მოკავშირენი [15].

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებსაც იაპონიის გაძლიერებისა ეშინოდათ და თვითონ ცდილობდნენ ციმბირის აურაცხელ სიმდიდრეთა ხელში ჩაგდებას, აგრეთვე გადმოსხეს საოკუპაციო ჯარები შორეულ აღმოსავლეთში.

ასეთ ვითარებაში საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გამოეყენებინა იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წინააღმდეგობანი და თავიდან აეცილებინა სამხედრო შეტაკება იაპონიასთან. ეს იაპონიასთან ომის წარმოება,—ამბობდა ლენინი,—ჩვენ არ ძალგვიძს,—და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევეცადოთ თავიდან ავიცილოთ იგი. იმიტომ, რომ ჩვენ ამ ომს გასაგები პირობების გამო ამჟამად ვერ ავიტანთ“. [16]

1920 წლისათვის წითელმა არმიამ თითქმის ყველა ინტერვენტი განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან. გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ იაპონელები. იმ მომენტში ანტანტა მესამე ანტისაბჭოთა ლაშქრობას ამზადებდა, და საბჭოთა რესპუბლიკა იძულებული რომ გამხდარიყო იაპონიასთანაც ეომნა, მეტად მძიმე პირობებში ჩავარდებოდა. ამიტომ ლენინმა და სტალინმა გამოიყენეს მანევრის შესანიშნავი ტაქტიკა. 1920 წლის იანვარში შეიქმნა შორეულ აღმოსავლეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ეს იყო ფორმით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული „ბუფერული“ სახელმწიფო, რომელშიც ხელმძღვანელი როლი ბოლშევიკებს ეკუთვნოდათ. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის შექმნამ საბჭოთა რუსეთს თავიდან ააცილა იაპონიასთან უშუალო შეტაკება. საბჭოთა მთავრობამ დრო მოიგო და ძალები დააგროვა შემდეგში იაპონელების გასანადგურებლად.

შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკამ თავისი როლი შეასრულა და 1922 წლის დასასრულს არსებობაც დაამთავრა. შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის აღვირახსნილმა აგრესიამ კიდევ უფრო გაამწვავა იმპერიალისტური წინააღმდეგობანი. ამ წინააღმდეგობებმა, როგორც ცნობილია, იაპონია და ამერიკის შეერთებული შტა-

[15] ლენინი, თხზ., ტ. XXVI, გვ. 7. რუს. გამოცემა.

[16] Ленин. Из эпохи гражданской войны. Письма, документы, распоряжения, стр. 32. 1934.

ტები მიიყვანა სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებამდე მეორე მსოფლიო ომში.

გასაოცრად გამართლდა ლენინის გენიალური წინასწარხედვა:

„რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობას განსაზღვრავს, სხვათა შორის, იაპონიისა და ამერიკის მეტოქეობა. ამ ქვეყნების ეკონომიურმა განვითარებამ, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, მოამზადა უამრავი საწვავი მასალა, რომელიც გარდუვალს ხდის ამ სახელმწიფოთა გააფთრებულ შეჯახებას წყნარ ოკეანესა და მის სანაპიროზე ბატონობისათვის. შორეულ აღმოსავლეთის მთელი დიპლომატიური და ეკონომიური ისტორია სავსებით უეჭველს ხდის, რომ კაპიტალიზმის ნიადაგზე შეუძლებელია იაპონიასა და ამერიკას შორის მომწიფებული მწვავე კონფლიქტის თავიდან აცილება“.[17]

ამრიგად, ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში ლენინმა და სტალინმა შექმნეს საბჭოთა სახელმწიფოს სუვერენიტეტის მძლავრი დასაყრდენი—წითელი არმია, რომელმაც ისტორიულ ბრძოლებში გადაწყვიტა სოციალისტური სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. ლენინურ-სტალინურ საგარეო პოლიტიკას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა სახელმწიფოს მტრებზე გამარჯვების მოსაპოვებლად ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის.

საბჭოთა დიპლომატია ამხელდა იმპერიალისტურ დამპყრობთა გეგმების კონტრრევოლუციურ ხასიათს, შეუპოვრად ეწეოდა „ომს მშვიდობისათვის“ და მტკიცედ გამოდიოდა სამშვიდობო წინადადებებით. ლენინურ-სტალინური საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავდა დაეკარგა ინტერვენტებისათვის გამარჯვების რწმენა, გაეხრწნა და გაეთიშა მეწინააღმდეგეთა ძალები და გაერღვია საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ბლოკადის რკალი.

* * *

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის დამთავრების შემდეგ ლენინმა ქვეყნის ახალი საერთაშორისო მდგომარეობის საფუძველზე დასახა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება.

ლენინს გამორიცხულად არ მიაჩნდა ინტერვენციის განმეორების შესაძლებლობა, მაგრამ ამბობდა, რომ საბჭოთა ქვეყანამ წითელი არმიის გამარჯვებათა შედეგად შესვენებაზე უფრო მეტი რამ მოიპოვაო.

„შესვენებას ჩვენ ვუწოდებთ დროის მოკლე მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ბევრჯერ ჰქონდათ შესაძლებლობა განეახლებინათ ჩვენთან ომის უფრო ძლიერი ცდა“.[18] „ჩვენ გვაქვს არა მარტო შესვენება,—ჩვენ გვაქვს ახალი ხანა, როდესაც კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ქსელში ჩვენი ძირითადი საერთაშორისო არსებობა მოპოვებულია“.[19] ლენინი მიუთითებდა, მტკიცე მშვიდობა არ შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოსო, მაგრამ იმ პერიოდში შესაძლებლად არ მიაჩნდა ახალი ინტერვენციის დაუყოვნებლივ დაწყება. ახლა, როდესაც იმპერიალისტებმა ხელები დაიწვეს რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ლაშქრობაში, მათ არ შეუძლიათ იფიქრონ ახალი ომის დაუყოვნებლივ დაწყებაზეო. საგარეო პოლიტიკის მთავარი ამო-

[17] ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. XXIII, გვ. 5. რუს.

[18] ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. XXV, გვ. 485. რუს.

[19] იქვე.

ცანა ამ პერიოდში გამომდინარეობდა სოციალისტური მშენებლობის ეკონომიური და პოლიტიკური ამოცანებიდან, იმ მთავარი ამოცანებიდან, რომ ინტერვენტებთან ბრძოლაში მოპოვებული შესვენება გადაგვექცია კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ხანგრძლივ პერიოდად და გამოგვეყენებინა იგი სახალხო მეურნეობის აღსადგენად, საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო, პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების განსამტკიცებლად.

ჩვენ, ამბობდა ლენინი 1920 წლის ნოემბერში, მოვიპოვეთ ის პირობები, რომლებშიც შეგვიძლია ვიცხოვროთ კაპიტალისტური სახელმწიფოების გვერდით. ჩვენ მოვიპოვეთ დამოუკიდებელი არსებობის უფლებაო.

„მართალია გვაქვს მეტად არამტკიცე, მეტად მერყევი წონასწორობა, მაგრამ, მაინც ისეთი წონასწორობა, რომ სოციალისტურ სახელმწიფოს შეუძლია იარსებოს კაპიტალისტურ გარემოცვაში“.[20]

საბჭოთა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გამოეყენებინა ის წინააღმდეგობანი, რაც კაპიტალიზმს ახასიათებს თავის განვითარების იმპერიალისტურ ეტაპზე.

„სანამ ჩვენ ეკონომიური და სამხედრო თვალსაზრისით უფრო სუსტი ვართ, ვიდრე დანარჩენი კაპიტალისტური სამყარო, მანამდე ასეთი წესის მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ: უნდა შეგვეძლოს გამოვიყენოთ იმპერიალისტთა შორის არსებული წინააღმდეგობანი“.[21]

„უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხება,—წერდა ლენინი, — შეიძლება მხოლოდ ძალთა უაღრესი დაძაბვით და იმით, რომ აუცილებლად, უაღრესად გულმოდგინედ, მზრუნველად, ფრთხილად, უნარიანად ვიყენოთ როგორც მტრებს შორის არსებული ყოველი, თუნდაც უმცირესი „ბზარი“, სხვადასხვა ქვეყნების ბურჟუაზიისა და ცალკეული ქვეყნების შიგნით ბურჟუაზიის სხვადასხვა ჯგუფებს ან სახეობებს შორის არსებული ინტერესთა ყოველი წინააღმდეგობა,— ისე ყოველი, თუნდაც უმცირესი შესაძლებლობა მოიპოვო მოკავშირე, თუნდაც დროებითი, მერყევი, არამტკიცე, არასაიმედო, პირობითი. ვისაც ეს ვერ გაუგია, მას სრულებით ვერაფერი გაუგია მარქსიზმში და საერთოდ მეცნიერულ, თანამედროვე სოციალიზმში.“[22]

ლენინი აღნიშნავდა, რომ ყურადღება უნდა მიექცეს არა წვრილმან, შემთხვევით უთანხმოებას, რომელზეც დაყრდნობა იმას ნიშნავს, რომ წვრილი პოლიტიკური მოხელე და იაფფასიანი დიპლომატი გახდე. „პოლიტიკურად ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მოწინააღმდეგეთა შორის არსებული ის უთანხმოება, რომელიც უღრმესი ეკონომიური მიზეზებით აიხსნება“.[23]

ასეთ წინააღმდეგობებად ლენინი თვლიდა წინააღმდეგობებს იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, ამერიკასა და მთელ დანარჩენ კაპიტალისტურ სამყაროს შორის, ანტანტასა და გერმანიას შორის, ინგლისსა და საფრანგეთს შორის, დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და მცირე ქვეყნებს შორის, კოლონიებსა და მეტროპოლიებს შორის.

ასეთსავე დებულებას ავითარებდა ამხანაგი სტალინიც.

პარტიის X ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა გააკრიტიკა ჩიჩერინის სტატიები, რომლებიც ყრილობის მოწვევამდე ცოტა ხნით ადრე გამოქვეყნდა.

[20] ლენინი. ტ. XXVI. გვ. 427. რუს.
[21] ლენინი, თხზ., ტ. XXV, გვ. 498. რუს.
[22] იქვე, გვ. 211 — 212.
[23] იქვე, გვ. 501.

ამ სტატიებში უარყოფილი იყო კაპიტალისტური სისტემის შიგნით წინააღმდეგობათა გამწვავების ფაქტი.

ჩიჩერინი იმეორებდა კაუცკისა და ვილფერდინგის ცრუ და მავნე დებულებებს „ზეიმპერიალიზმის“ შესახებ და ეცემოდა „იმპერიალისტურ ეკონომიზმამდე“, რომელიც თავის დროზე გააცამტვერა ლენინმა.

ამხანაგმა სტალინმა დაასაბუთა, რომ ჩიჩერინის პოზიცია ეწინააღმდეგება იმპერიალიზმის ლენინური თეორიას და პრაქტიკულად ზიანს აყენებს პარტიის პოლიტიკას, რადგანაც იწვევს კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის განიარაღებას. ჩიჩერინის მტკიცება იმის შესახებ, რომ საბჭოთა რუსეთს მოწინააღმდეგეებად ეყოლება დასავლეთისა და აღმოსავლეთის უკლებლივ ყველა სახელმწიფო, კაპიტულანტურ დასკვნებამდე მივყავდით.

სტალინურმა კრიტიკამ ნათელყო ჩიჩერინის მტკიცების მცდარობა და მავნე ხასიათი.

„ჯერ ერთი, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — ამხ. ჩიჩერინი უარყოფს წინააღმდეგობებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, გაზვიადებულად აფასებს იმპერიალისტთა ინტერნაციონალურ გაერთიანებას და მხედველობიდან უშვებს, სათანადოდ ვერ აფასებს იმ შინაგან წინააღმდეგობებს იმპერიალისტურ ჯგუფებსა და სახელმწიფოებს შორის, რომლებიც არსებობენ და ომს წარმოშობენ (საფრანგეთი, ამერიკა, ინგლისი, იაპონია და სხვ.). მან გაზვიადებულად შეაფასა იმპერიალისტური ზედაფენების გაერთიანების მომენტი და სათანადოდ ვერ შეაფასა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ამ „ტრესტის“ შიგნით არსებობენ. ნამდვილად კი ეს წინააღმდეგობანი არსებობენ და მათზეა დამყარებული საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის [illegible]

შემდეგ ამხანაგი სტალინი [illegible] ებს მეორე შეცდომას. ის სათანადოდ ვერ აფასებს იმ წინააღმდეგობებს, რაც არსებობს გაბატონებულ დიდ სახელმწიფოთა და ბოლო ხანებში წარმოშობილ ნაციონალურ სახელმწიფოთა შორის (ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ფინეთი და სხვ.), რომლებიც ფინანსიურ და სამხედრო მორჩილებაში ჰყავთ ამ დიდ სახელმწიფოებს“.[24]

ამხანაგი სტალინი მიუთითებდა, რომ ჩიჩერინის მესამე შეცდომა იყო კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხების სახელმწიფოებრივი გამოყოფის ლოზუნგის უარყოფა. ამ ლოზუნგზე უარის თქმა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — იმას ნიშნავს, რომ ხელი შეუწყო იმპერიალისტებს.[25]

ლენინი ამბობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ამოცანაა „მოვეწყოთ ისე, რომ კაპიტალისტურ გარემოცვაში გავიმარჯვოთ“.[26] ამ ამოცანის განხორციელება მოითხოვდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას, რაც მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის საფუძველი უნდა გამხდარიყო.

1922 წელს ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, იტალიის და სხვა სახელმწიფოთა ინიციატივით იტალიის ქალაქ გენუაში ეკონომიური და საფინანსო საკითხების გადასაწყვეტად მოწვეულ იქნა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც მიწვეულ იქნა საბჭოთა კავშირი.

ლენინმა და სტალინმა კარგად იცოდნენ, რომ გენუის კონფერენციას იმიტომ იწვევდნენ, რომ საბჭოთა კავშირისათვის მთელი რიგი მოთხოვნები

---

[24] ი. სტალინი. თხზ., V, გვ. 41—42. რუს.
[25] იქვე, გვ. 42.
[26] Ленинский сборник, XX, стр. 169.

წაეყენებინათ, როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან ეკონომიური ურთიერთობის დამყარების პირობა. ასეთი ურთიერთობით დაინტერესებული იყო არა მარტო საბჭოთა კავშირი, არამედ დაინტერესებული იყვნენ კაპიტალისტური სახელმწიფოებიც.

„ჩვენ მშვენივრად გვესმის, — ამბობდა ლენინი,—თუ რა უდევს საფუძვლად ამ თამაშს: ჩვენ ვიცით, რომ მის არსს ვაჭრობა წარმოადგენს. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს სჭირდებათ რუსეთთან ვაჭრობა. მათ იციან, რომ ეკონომიური ურთიერთობის ამათუ იმ ფორმის გარეშე მათში ნგრევა უფრო შორს წავა, ვიდრე დღემდე მიდიოდა“.

ლენინი და სტალინი საბჭოთა მთავრობის ამოცანას იმაში ხედავდნენ, რომ, გენუის კონფერენციაზე მოესინჯათ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის პირობები და მიეღწიათ შეთანხმებისათვის ზოგიერთი ურთიერთდათმობის საფუძველზე.

„ჩვენ,—ამბობდა ლენინი, — თავიდანვე ვაცხადებდით, რომ გენუას მივესალმებით და მასზე მივდივართ; ჩვენ მშვენივრად გვესმოდა და სრულებითაც არ ვმალავდით, რომ ამ კონფერენციაზე მივდივართ როგორც ვაჭრები, იმიტომ რომ ჩვენთვის კაპიტალისტურ ქვეყნებთან (ვიდრე ისინი ჯერ სავსებით არ დანგრეულან) ვაჭრობა უთუოდ აუცილებელია, და რომ ჩვენ მივდივართ იქ იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწორად და რაც შეიძლება ხელსაყრელად განვიხილოთ ამ ვაჭრობის პოლიტიკურად მისაღები პირობები“.[27]

ლენინი და სტალინი წინასწარმეტყველებდნენ, რომ გენუის კონფერენციაზე კაპიტალისტური სახელმწიფოები შეეცდებიან [illegible] ძუქარითა და შანტაჟით აიძულონ დათმობაზე წავიდეს და ხელსაყრელი პირობები მიიღონ. მაგრამ ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა ერთი წუთითაც არ შედრკა ბურჟუაზიული საძყაროს დიპლომატიური შემოტევის წინაშე.

„ჩვენ საკმაოდ ბევრი მუქარა ვნახეთ,—ამბობდა ლენინი, — და თანაც გაცილებით უფრო სერიოზული, ვიდრე მუქარა ვაჭრისა, რომელიც აპირებს კარი გაიჯახუნოს, თუ მის სულ მცირე ფასს არ დაეთანხმები. ჩვენ ვნახეთ ზარბაზნებით მუქარა მოკავშირე სახელმწიფოების მხრივ, რომელთა ხელში იყო თითქმის მთელი მსოფლიო. ამ მუქარას ჩვენ არ შევუშინდით. ნუ დაივიწყებთ ამას, ბატონო ევროპელო დიპლომატებო“.[28]

კონფერენციაზე იმპერიალისტებმა თავხედური მოთხოვნები წაუყენეს საბჭოთა ქვეყანას. მათ მოითხოვეს მეფისა და დროებითი მთავრობების ყველა სესხის გადახდა უცხოელი კაპიტალისტებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნაციონალიზებული საწარმოების დაბრუნება, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმება, უცხოეთის კაპიტალის თავისუფლად დაშვება საბჭოთა რუსეთში და სხვ. ამ პირობებით იმპერიალისტური სახელმწიფოები ჰპირდებოდნენ საბჭოთა კავშირს უმნიშვნელო სესხებს.

მაგრამ საბჭოთა კავშირმა თავისი სუვერენიტეტი და თავისუფლება გაცილებით მაღლა დააყენა, ვიდრე კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან უმნიშვნელო სესხების მიღება. საბჭოთა მთავრობამ უარყო იმპერიალისტთა მოთხოვნები და თავის მხრივ

[27] ლენინი. თხზ., ტ. XXVII, გვ. 169. რუს.

[28] იქვე, გვ. 171.

კონტრანგარიში წარუდგინა მათ ბლოკადით და ინტერვენციით გამოწვეული ზარალისთვის, რაც გაცილებით აღემატებოდა კაპიტალისტური სახელმწიფოების პრეტენზიებს. (საბჭოთა მთავრობის მიერ გამოანგარიშებული ზარალი განისაზღვრებოდა 38 მილიარდი მანეთით, უცხოეთის ყველა ქვეყნის ვალი კი არ აღემატებოდა 12 მილიარდ მანეთს).

გენუის კონფერენციის პირველსავე სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ ლენინის პირდაპირი მითითებით წინადადება შეიტანა შეიარაღების საყოველთაო შემცირების შესახებ. დიდი ბრიტანეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა საბჭოთა დელეგაციის ამ წინადადებას უწოდა დამატებითი ტვირთი, რომლის სიმძიმე ჩასძირავს კონფერენციის ისედაც გადატვირთულ გემსო. იმპერიალისტებმა შესძლეს საბჭოთა წინადადების დღის წესრიგიდან მოხსნა, მაგრამ საბჭოთა კავშირს არ შეუწყვეტია ბრძოლა დემოკრატიული მშვიდობისათვის.

გენუის კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „რუსეთის დელეგაცია კომუნიზმის პრინციპებზე რჩება და ამასთან აღიარებს, რომ ახლანდელ ისტორიულ ეპოქაში, რომელიც ძველი და ახლადშობილი სოციალისტური წყობის პარალელური თანაარსებობის შესაძლებლობას იძლევა, ამ ორი სისტემის სახელმწიფოთა ეკონომიური თანამშრომლობა საესებით აუცილებელია საყოველთაო ეკონომიური აღდგენისათვის“.[29]

ლენინურ-სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ ჩაშალა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტის შექმნის ცდა. საბჭოთა მთავრობამ უნარიანად გამოიყენა იმპერიალისტებს შორის არსებული ანტაგონიზმი. ... ...

ნიშნავდა საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას. საბჭოთა ქვეყანა გახდა ერთიანი ძთელი, უძლიერესი ცენტრალიზებული სახელმწიფო. ამით კიდევ უფრო გაძლიერდა ნიადაგი იმპერიალისტების იმედებს, რომ შეძლებდნენ საბჭოთა ზურგის ცოტად თუ ბევრად დასუსტებას. სამხედრო ავანტიურების მოყვარულთ ნებსით თუ უნებლიედ ანგარიში უნდა გაეწიათ სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერებისათვის. გაიზარდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი და ხვედრითი წონა. იგი კიდევ უფრო ძლიერი ძალა გახდა საერთაშორისო ასპარეზზე.

ამხანაგი სტალინი 1922 წელს საბჭოების პირველ ყრილობაზე ამბობდა:

„საბჭოთა ხელისუფლება ფიქრობს უკვე არა მარტო არსებობაზე, არამედ იმაზედაც, რომ განვითარდეს სერიოზულ საერთაშორისო ძალად, რომელიც შეძლებს ზეგავლენა მოახდინოს საერთაშორისო ვითარებაზე, შეძლებს შეცვალოს იგი მშრომელთა ინტერესების სასარგებლოდ“.[31]

ლენინისა და სტალინის ბრძნულმა საგარეო პოლიტიკამ სამშვიდობო შესვენება გადააქცია საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტურ სახელმწიფოების მშვიდობიანი თანამშრომლობის მთელ პერიოდად.

საბჭოთა მთავრობამ შეძლო კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის დამყარება. უცხო სახელმწიფოებთან საქონელბრუნვა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების აუცილებელი პირობა იყო.

ამხანაგი სტალინი წერდა, რომ 1921 წლის დასასრული და 1922 წლის დასაწყისი — ეს იყო გენუისა და ჰაგის ხანა, „როცა დასავლეთის კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა, გული რომ გაუტყდათ იხტერვენციის ძალაზე, სცადეს მიეღწიათ კაპიტალისტური საკუთრების აღდგენისათვის საბჭოთა რესპუბლიკებში არა სამხედრო, არამედ დიპლომატიური წესით, როცა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი დიპლომატიური ფრონტი — ეს აუცილებელი საშუალება შეიქნა, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო დასავლეთის სახელმწიფოთა შემოტევასთან გამკლავება.

...თუ საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო კავშირმა სამოქალაქო ომის პერიოდში შესაძლებლობა მოგვცა უკუგვეგდო ჩვენი მტრების სამხედრო ჩარევა, ხოლო ამ რესპუბლიკების დიპლომატიურმა კავშირმა გენუისა და ჰაგის პერიოდში გაგვიადვილა ბრძოლა ანტანტის დიპლომატიურ შემოტევასთან, საბჭოთა რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანება, უეჭველია, შექმნის ყოველმხრივი სამხედრო-სამეურნეო თანამშრომლობის ისეთ ფორმას, რომელიც ძირეულად გააადვილებს საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო წარმატებას და გადააქცევს მას ციხე-სიმაგრედ საერთაშორისო კაპიტალიზმის მხრივ ხელყოფის წინააღმდეგ“.[32]

*
* *

ლენინი და სტალინი პარტიას აფრთხილებდნენ, რომ ვიდრე კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, ყოველთვის იქნება ინტერვენციის საფრთხე, მაგრამ ორი დაპირისპირებული სისტემის—კაპიტალისტური და

[31] ი. სტალინი. მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი. გვ. 182.

[32] ი. სტალინი. თხზ., ტ. V. გვ. 140—144. რუს.

სოციალისტური სისტემის არსებობა არ ნიშნავს მათ შორის აუცილებელ ომს. ლენინსა და სტალინს დასაშვებად მიაჩნდათ ამ ორი სისტემის მშვიდობიანი თანამშრომლობა და შეჯიბრება მოქმედების ყველა სფეროში.

ეს მდგომარეობა შესანიშნავად გამოხატა ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის საბჭოთა XII ყრილობაზე:

„რთულ საერთაშორისო პირობებში წარმოებს ორი მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი სისტემის შეჯიბრება და ამასთან ერთად თანამშრომლობა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მდგომარეობა წინააღმდეგობებს შეიცავს, მაგრამ ეს შეეფერება საქმეების ფაქტიურ მდგომარეობას. წარმოებს შეჯიბრება ან თუ გნებავთ, ბრძოლა და ამასთან ერთად აულ ახალი და ახალი ფორმებით იშლება საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა ამა თუ იმ კაპიტალისტურ ქვეყანასთან როგორც ეკონომიური ურთიერთობის დარგში, ისე მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმეში“.[33]

მაგრამ რეაქციული იმპერიალისტური წრეები არ ცხრებოდნენ და კვლავ ცდილობდნენ ახალი ინტერვენციის მოწყობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. 1923 წლის მაისში ლოზანაში ვერაგულად მოკლეს ერთ-ერთი გამოჩენილი საბჭოთა დიპლომატი ვ. ვოროვსკი. ამავე დროს დიდი ბრიტანეთის „შუბლმაგარმა“ საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორდმა კერზონმა პროვოკაციული ულტიმატუმი წაუყენა საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა კავშირი პროვოკაციას არ დამორჩილდა და საკადრისი პასუხი გასცა ინგლისელ იმპერიალისტებს.

ინგლისის იმპერიალისტებმა ვერ შეძლეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ომის დაწყება. კერზონი იძულებული გახდა თავისი ულტიმატუმი [illegible] წაეღო. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ კერზონის ულტიმატუმთან დაკავშირებული ამბები „გამოცდის ნიმუში“ იყო.

„ის ფაქტი, რომ ჩვენ მაშინ სიძნელეებიდან საქმის დაუზიანებლად გამოვედით, უეჭველად ლაპარაკობს იმაზე, რომ ლენინის მოწაფეებმა უკვე ბევრი რამ ისწავლეს თავისი მასწავლებლისაგან“.[34]

რამდენჯერმე დამარცხებულმა კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა შიშითაც კი დაუწყეს ცქერა რუსეთს, რაკი გრძნობდნენ, რომ რუსეთის სახით იზრდება უდიდესი სოციალისტური სახალხო სახელმწიფო, რომელიც თავს არავის დააჩაგვრინებს.[35] საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის გავლენა და ავტორიტეტი ყოველწლიურად, ყოველთვიურად იზრდებოდა. ულტიმატუმებისა და მუქარის ხანა შეიცვალა საბჭოთა კავშირის ცნობის ხანით, 1924 წელი საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში შევიდა, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს დიპლომატიური ცნობის წელი.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა „ნაკარნახევია ჯერ-ერთი, იმ ბურჟუაზიული ქვეყნების კაპიტალისტური კონკურენციის მოთხოვნილებებით, რომლებიც ისწრაფვიან თავისი ადგილი დაიკავონ საბჭოთა კავშირის ბაზარზე, მეორეც—პაციფიზმის „პროგრამით“, რომელიც მოითხოვს „ნორმალური ურთიერთობის“ დამყარებას „საბჭოთა ქვეყანასთან, თუნდაც რაიმე ხელშეკრულების“ ხელმოწერას სა-

[33] В. Молотов, Отчетный доклад о работе правительства VII съезду советов СССР. стр. 15. 1935 г.

[34] И. Сталин. Об оппозиции. Стр. 74.

[35] ი. სტალინი. თხზ., ტ. IV, გვ. 423.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბჭოთა კავშირთან. ლაპარაკია იმაზე, რომ ახლანდელმა „დემოკრატებმა“ და „პაციფისტებმა“ დაამარცხეს თავიანთი ბურჟუაზიული კონკურენტები საპარლამენტო არჩევნებში საბჭოთა კავშირის „ცნობის პლატფორმის წყალობით“.

მსოფლიოს ხალხთა ფართო მასებში საბჭოთა კავშირის გავლენისა და ავტორიტეტის უდიდეს ზრდას ამხანაგი სტალინი ხსნიდა ჯერ-ერთი, მუშათა კლასის სიძულვილით კაპიტალიზმისადმი, მეორე — ხალხთა მასების სიძულვილით ომისადმი.

ხალხთა მასები „თანაუგრძნობენ საბჭოთა ხელისუფლებას იმიტომ, რომ ის არის ხალხთა შორის მშვიდობიანობის მეფრონტე და საიმედო ბურჯი ომის წინააღმდეგ. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოპულარობის ზრდა მოწმობს იმას, რომ იზრდება მთელი მსოფლიოს ხალხთა მასების სიძულვილი იმპერიალისტური ომისა და მისი ორგანიზატორებისადმი.

ჩაგრული მასები თანაუგრძნობენ საბჭოთა კავშირს იმიტომ, რომ ისინი ხედავენ მასში მოკავშირეს იმპერიალიზმისაგან განთავისუფლების საქმეში. ამიტომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოპულარობის ზრდა ნიშნავს იმას, რომ იზრდება მთელი მსოფლიოს ჩაგრული ხალხების სიძულვილი იმპერიალიზმისადმი“.[36]

საბჭოთა სახელმწიფომ თავის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას და საერთაშორისო ურთიერთობის უდავო ზრდას მიაღწია იმიტომ, რომ მისი ლენინურ-სტალინური საგარეო პოლიტიკა ემყარებოდა თანმიმდევრობით მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს და სურვილს ჰქონოდა ნორმალური ურთიერთობა და აუცილებელი სავაჭრო კავშირი სხვა სახელმწიფოებთან.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღიდანვე საბჭოთა ქვეყანასთან დამოკიდებულების საკითხი მწვავე ბრძოლის საგანი გახდა უკლებლივ ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოში. „რუსეთის საკითხის“ გარშემო ხდებოდა სხვადასხვა კლასებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების პოზიციების, სხვადასხვა შეხედულებებისა და პლატფორმების დაპირისპირება.

სინამდვილეში ფაქტიურად ყველა ხალხებს შორის დავა იწყებოდა იმაზე, თუ ვინ ემხრობოდა ბოლშევიკებს და ვინ გამოდიოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ,—სწერდა ლენინი.[37]

ამხანაგი სტალინი ამბობდა: „რუსეთის საკითხის“ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ამჟამად ის ფაქტია, რომელსაც კომუნიზმის მტრებს არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ. „რუსეთის საკითხის“ გარშემო ორი ფრონტი შეიქმნა: საბჭოთა რესპუბლიკის მტრების ფრონტი და მისი თავდადებული მეგობრების ფრონტი“.[38]

საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ახასიათებდათ ორი ტენდენცია, რომელიც განსაზღვრავდა მთელ შემდგომ დიპლომატიურ ბრძოლას.

პირველი ტენდენციაᲜ გამოხატავდა ინტერესებს მსოფლიო ბურჟუაზიის იმ წრეებისას, რომლებიც ყველა ხერხითა და საშუალებით ცდილობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მოსპობას. მე-

[36] ი. სტალინი. თხზ., ტ. VI, გვ. 298, 299. 300. რუს.

[37] ლენინი. თხზ. ტ. XXIII, გვ. 230. რუს.

[38] И. Сталин. Об оппозиции. Стр. 475.

ორე ტენდენცია გამოხატავდა შეხედულებებს უფრო შორსმჭვრეტელი ბურჟუაზიის ნაწილისას, რომელსაც შესაძლებლად არ მიაჩნდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ამიტომ ცდილობდა საბჭოთა კავშირთან შეთანხმებასა და ნორმალური ურთიერთობის დამყარებას.

ლენინი და სტალინი ითვალისწინებდნენ ამ ორი დაპირისპირებული ტენდენციის არსებობას და საბჭოთა საგარეო პოლიტიკას ისეთ ხაზს უსახავდნენ, რომელსაც ყველა საშუალება უნდა გამოეყენებინა კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის უზრუნველსაყოფად.

კაპიტალიზმის ნაწილობრივი, შედარებითი სტაბილიზაციის წლებში ნათლად ჩანდა, თუ რამდენად დიდი იყო საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ახალი ომის საფრთხე. იმპერიალისტები „პაციფიზმს", „მუდმივ მშვიდობიანობას" ქადაგებდნენ და ამავე დროს ახალი ანტისაბჭოთა ლაშქრობის გეგმებს ადგენდნენ.

კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაცია არ იყო მყარი, მტკიცე სტაბილიზაცია. მართალია, იმპერიალისტებმა ერთგვარ შეთანხმებებს მიაღწიეს საერთაშორისო ურთიერთობის მნიშვნელოვან საკითხებში, მაგრამ ამ შეთანხმებებს ოდნავადაც არ შეეძლოთ შეეჩერებინათ კაპიტალისტური სამყაროს დამახასიათებელ წინააღმდეგობათა, ბურჟუაზიული საზოგადოების კრიზისის ზრდა.

კაპიტალიზმის სტაბილიზაციამ უპირველეს ყოვლისა გაამწვავა წინააღმდეგობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის. იმპერიალისტების განსაკუთრებულ გაცოფებას იწვევდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატებანი, რადგანაც ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა განამტკიცებდა საბჭოთა წყობილებას, უძლეველს ხდიდა მას.

აძხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XV კონფერენციაზე კაპიტალიზმის სტაბილიზაციის პირობებში ახალი ინტერვენციის საფრთხის შესახებ ამბობდა:

„ჩვენ კუნძულზე როდი ვცხოვრობთ. ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ გარემოცვაში. იმ გარემოებამ, რომ ჩვენ სოციალიზმს ვაშენებთ და ამით კაპიტალისტური ქვეყნების მუშებს ვარევოლუციურებთ,—არ შეიძლება არ გამოიწვიოს სიძულვილი და მტრობა მთელი კაპიტალისტური სამყაროს მხრით. იმის ფიქრი, რომ კაპიტალისტურ სამყაროს შეუძლია გულგრილად უცქიროს სამეურნეო ფრონტზე ჩვენს წარმატებებს, ნიშნავს იმას, რომ ილუზიებს მივეცეთ". [39]

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობის დღიდან შვიდი წელიც არ იყო გასული, მან ღირსეული ადგილი დაიკავა საერთაშორისო ასპარეზზე, მოიპოვა საყოველთაო აღიარება და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა. მშვიდობიანობის საბჭოთა საგარეო პოლიტიკამ ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვა.

საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში ახალი პერიოდი დადგა. ბოლშევიკურმა პარტიამ საბჭოთა ხალხის წინაშე დააყენა გრანდიოზული ამოცანა — უმოკლეს ვადაში შეექმნა სოციალისტური სახალხო მეურნეობა, აეგო ძლიერი სოციალისტური ინდუსტრია. ამ პროგრამის შესრულებას უნდა შეექმნა საფუძვლები ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის და საბჭოთა კავშირის მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაქცევისათვის.

---

[39] И. Сталин. Об оппозиции. Стр. 348.

საბჭოთა კავშირის სოციალისტური მეურნეობის განმტკიცებაში ბურჟუაზიული სახელმწიფოები ხედავდნენ კაპიტალისტური სისტემის დამხობის საფრთხეს. ამიტომ იმპერიალისტურმა მთავრობებმა დაიწყეს ზომების მიღება იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირს არ მოეპოვებინა ეკონომიური დამოუკიდებლობა, ჩაეშალათ, ან უკიდურეს შემთხვევაში შეეფერხებიათ მისი ინდუსტრიალიზაცია. ერთი სიტყვით, კაპიტალისტური გარემოცვა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირში სოციალიზმი არ აშენებულიყო.

კაპიტალისტური ქვეყნების მიერ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ინტერვენციის განხორციელების ღონისძიებაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი დაუესის გეგმას. დაუესის გეგმის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანიის ეკონომიური ექსპანსია საბჭოთა კავშირისაკენ წარემართათ. გერმანიის საქონლის გამსაღებელ ბაზრად საბჭოთა კავშირის გადაქცევაზე იმპერიალისტური ქვეყნები ოცნებობდნენ იმიტომ, რომ ამით, ჯერ-ერთი, გერმანიას ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის სასარგებლოდ რეპარაციების გადახდის საშუალება მიეცემოდა და, მეორე მხრივ, რაც მთავარია, საბჭოთა მრეწველობას ძირს გამოუთხრიდა, საბჭოთა კავშირს გერმანიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების აგრარულ დამატებად გადააქცევდა.

დაუესის გეგმის ანტისაბჭოთა მიზნები თავის სიტყვაში 1924 წლის 3 ოქტომბერს შემდეგნაირად გამოხატა ბრიტანეთის იმპერიალიზმის ერთერთმა წარმომადგენელმა ბოლდუინმა:

„დასავლეთ ევროპამ ცივილიზაცია შეინარჩუნა, და ჩვენი ვალია ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ შემდეგშიც დავიცვათ იგი. დასავლეთ ევროპის ცივილიზაციის დასაცავად უნდა შეიქმნას ისეთი მტკიცე და ურყევი ბარიერი, რომ მან გაუძლოს აღმოსავლეთიდან მომავალ ყოველგვარ გამახადგურებელ შემოტევას. ამ მიზნისათვის არ არსებობს უკეთესი და საიმედო საშუალება, ვიდრე განხორციელება დაუესის გეგმისა, რომელიც გერმანიის ბაზარს მსოფლიო ბაზრებთან დააკავშირებს. გერმანელები ყოველთვის ბევრს ვაჭრობდნენ რუსეთთან, ვინაიდან ახლოს არიან მასთან გეოგრაფიულად, იციან რუსული ენა და ესმით რუსებთან ვაჭრობის მეთოდები. ჩემი აზრით, მსოფლიო ვაჭრობისათვის ყველაზე სასარგებლო საქმე იქნებოდა განვითარებულიყო რუსეთთან ვაჭრობა გერმანიის დახმარებით, იმ ანგარიშით, რომ გერმანიამ თავისი ექსპორტის ნაჭარბს, აგრეთვე იმას, რაც მას ესაჭიროება პროცენტების გადასახდელად ამერიკის წინაშე ჩვენს ვალებთან დაკავშირებით, რეალიზაცია უყოს რუსეთის ბაზარზე, ნაცვლად იმისა, რომ საექსპორტო საქონლის ეს მასა ჩვენს ქვეყანაში ან ჩვენს კოლონიებში გამოჰქონდეს“.[40]

ამრიგად, საბჭოთა კავშირი აგრარულ ქვეყნად უნდა დარჩენილიყო და მას ხელი უნდა აეღო სოციალიზმის მშენებლობაზე. მაგრამ დაუესის გეგმის ავტორებმა ვერ გაითვალისწინეს ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ როგორც ამხანაგი სტალინი მიუთითებდა თავის მოხსენებაში საკ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე, დაუესის გეგმის ეს ნაწილი „შედგენილია პატრონის დაუსწრებლად“. „რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ სრულებითაც არა გვსურს გავხდეთ აგრარულ ქვეყნად რომელიმე სხვა სახელმწიფოსათვის, თუგინდ

[40] История дипломатии. т. III, стр. 284.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიისათვის. ჩვენ თვითონ შევუდგებით მანქანების და სხვა საწარმოო იარაღების დამზადებას. ამიტომ ის გადაწყვეტილება, რომ ჩვენ გადავიქცევით აგრარულ ქვეყნად გერმანიისათვის, არის გადაწყვეტილება პატრონის დაუკითხავად. დაუესის გეგმის ეს ნაწილი არსებითად ძირმომპალია".

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გერმანიის გამოყენების მეორე ცდა იყო ლოკარნოს კონფერენცია, რომელიც მოწვეულ იქნა შვეიცარიაში 1925 წლის ოქტომბერში.

ლოკარნოს ხელშეკრულების შესახებ ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ იგი „შეიცავს ახალი ომის შესაძლებლობას ევროპაში". ინგლისის კონსერვატორები ფიქრობენ, „სტატუს ქვოც" შეინარჩუნონ და გერმანიაც გამოიყენონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ძალიან დიდია მათი სურვილი!" [41]

ინგლისის კონსერვატიული მთავრობის ერთერთმა წევრმა ორმსბი ჰორმა თვითონ აღიარა ლოკარნოს ხელშეკრულების ანტისაბჭოთა მიმართულება: „ლოკარნოს კონფერენციას,—განაცხადა მან, — უნდა გადაეწყვიტა საკითხი, დაუკავშირებს თუ არა გერმანია თავის ბედ-იღბალს დიდ სახელმწიფოებს, თუ რუსეთთან ერთად იმუშავებს. ლოკარნოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი იმას ნიშნავს, რომ გერმანიის ახლანდელი მთავრობა შორდება რუსეთს და თავის ბედიღბალს დასავლეთის სახელმწიფოებს უკავშირებს". [42]

ლოკარნოს ხელშეკრულება გერმანიას სრულ თავისუფლებას აძლევდა საკუთარი სურვილის მიხედვით „გაესწორებინა" თავისი სასაზღვრო ალმოსავლეთით. აქრიგად, ლოკარნოს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მაგრამ საბჭოთა მთავრობა და მისი დიპლომატია ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს იმპერიალისტთა ოინებს, ნიღაბს ხდიდნენ ანტისაბჭოთა ინტრიგებს და ანტისაბჭოთა ბლოკების შექმნის ცდებს. ლოკარნოს შეთანხმებათა მიუხედავად საბჭოთა მთავრობამ მიაღწია იმას, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დაიდო ხელშეკრულება (1926 წლის 24 აპრილს), რომლითაც გერმანია ვალდებულებას კისრულობდა ნეიტრალიტეტი დაეცვა საბჭოთა კავშირის მიმართ და არ მიმხრობოდა ეკონომიურ და საფინანსო ბოიკოტის მიზნით რომელიმე სახელმწიფოს მიერ შექმნილ კოალიციას.

ამ ხელშეკრულების დადება პასუხი იყო იმპერიალისტური სახელმწიფოებისადმი, რომლებიც ცდილობდნენ ერთმანეთისათვის დაეჯახებინათ გერმანია და საბჭოთა კავშირი.

*
* *

ჩვენი ამოცანა ნათელია: ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს და ვცდილობთ ყველა პირობა შევქმნათ ამ ამოცანების განსახორციელებლად. ერთერთი ასეთი პირობაა მტკიცე მშვიდობიანობა. თავისი საგარეო პოლიტიკის გატარებისას საბჭოთა სახელმწიფო გამოდის ორი სისტემის—სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემის ხანგრძლივი თანამშრომლობის პერსპექტივებიდან. ამიტომ საბჭოთა მთავრობა ყოველთვის ცდილობდა საქმიანი ურთიერთობა დაემყარებინა კაპიტალისტურ ქვეყნებთან.

ამხანაგი სტალინი მიუთითებდა, რომ

---

[41] ი. სტალინი, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში XIV ყრილობაზე. გვ. 11. 1926 წ.

[42] История дипломатии. т. III, стр. 348.

ასეთი ურთიერთობა შესაძლებელი და მიზანშეწონილია მშვიდობიანი განვითარების გარეშეოებაში. ორი ერთმანეთისადმი საწინააღმდეგო კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის არსებობა არ გამოხატავს მათ შორის შეთანხმების შესაძლებლობას. „ექსპორტი და იმპორტი,—ავითარებდა ამხანაგი სტალინი თავის აზრს ამერიკელ მუშებთან საუბარში, — საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენენ ასეთ შეთანხმებისათვის. ჩვენ გვესაჭიროება: მოწყობილობა, ნედლი მასალა (მაგალითად, ბამბა) და ნახევრადფაბრიკატები (ლითონის და სხვ.). კაპიტალისტებს ესაჭიროება აღნიშნული საქონლის გასაღება. აი ნიადაგიც შეთანხმებისათვის. კაპიტალისტებს ესაჭიროება ნავთი, ხე-ტყის მასალა, ხორბალი, ჩვენ კი გვესაჭიროება ამ საქონლის გასაღება. აი კიდევ ნიადაგი შეთანხმებისათვის. ჩვენ გვესაჭიროება სესხი, კაპიტალისტებს — კი კარგი სარგებელი ამ სესხზე. აი კიდევ ერთი ნიადაგიც შეთანხმებისათვის, მაგრამ ეს უკვე კრედიტის ხაზით, და ამასთანავე ცნობილია, რომ საბჭოთა ორგანოები სხვაზე უფრო წესიერი კრედიტორებია. იგივე ითქმის დიპლომატიურ დარგში შეთანხმების შესახებ. ჩვენ ვაწარმოებთ მშვიდობიან პოლიტიკას და მზადა ვართ შეთანხმებაზე, რაც გამოვაცხადეთ მთელი ქვეყნის წინაშე ჯერ კიდევ გენუის კონფერენციაზე. აი, ნიადაგიც შეთანხმებისათვის დიპლომატიური ხაზით“.[43]

*
* *

1926 წლისათვის საბჭოთა კავშირში წარმატებით დამთავრდა სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდი და დაიწყო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, რაც [illegible] კაპიტალისტური ელემენტების შეიწროებას, უცხოეთის ქვეყნებზე ეკონომიური დამოკიდებულებისაგან საბჭოთა კავშირის განთავისუფლებას.

საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო ძალიერების განმტკიცებამ კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. „სსრ კავშირის სოციალისტური მეურნეობის განმტკიცებაში კაპიტალისტური ქვეყნები ხედავდნენ მუქარას კაპიტალისტური სისტემის არსებობისათვის. ამიტომ იმპერიალისტური მთავრობები ყველა შესაძლებელ ღონისძიებას ხმარობდნენ, რათა ახალი ზემოქმედება მოეხდინათ სსრ კავშირზე, გამოეწვიათ არევდარევა, ჩაეშალათ ან, ყოველ შემთხვევაში, შეეფერხებინათ სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაციის საქმე“.[44] იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაუფარავი იერიში პირველად მიიტანეს ინგლისელმა კონსერვატიულმა წრეებმა ჩინეთში. 1927 წლის აპრილში ჩინეთის მილიტარისტები ინგლისის კონსერვატორების მითითებით ავაზაკურად თავს დაესხნენ საბჭოთა საელჩოს პეკინში.

„ეს თავდასხმა სულ მცირე ორ მიზანს ისახავდა: მას უნდა აღმოეჩინა სსრ კავშირის „ძირგამომთხრელი“ მუშაობის „საშინელი“ დოკუმენტები, რომლებსაც უნდა შეექმნა საერთო აღშფოთების ატმოსფერო და ნიადაგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად. მას უნდა შეექმნა სამხედრო კონფლიქტი პეკინის მთავრობასთან და საბჭოთა კავშირი ჩინეთის წინააღმდეგ ომში ჩა-

[43] ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, გვ. 379. თარგმანი მეორე რუსული გამოცემიდან. 1931 წ.

[44] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 367.

ეთრია".[45] მაგრამ ომის გამჩაღებლების ამ ცდამ ამაოდ ჩაიარა.

„ძეოოე დაუფაოავი დაოტყმა განხოოციელეაულ იქნა ლოხდოხ ძი არკოს ხე თაკდასხ ძითა და სსრ კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტით".[46]

როგორც ცნობილია, 1927 წლის მაისში ინგლისის კონსერვატორებმა პროვოკაციული თავდასხმა მოაწყეს „არკოსზე" (ინგლისთან ვაჭრობის საბჭოთა საზოგადოება). იმავე წლის 26 მაისს ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ გამოაცხადა ინგლისის მიერ სსრ კავშირთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტა.

1927 წლის 7 ივნისს ვარშავაში რუსმა თეთრგვარდიელმა, რომელიც პოლონეთის ქვეშევრდომი იყო, მოკლა სსრ კავშირის ელჩი ამხ. ვოიკოვი.

ვოიკოვის მოკვლას, რაც კონსერვატიული პარტიის აგენტების მიერ იყო მოწყობილი, ისეთივე როლი უნდა შეესრულებინა, რაც შეასრულა სარაევოში მომხდარმა მკვლელობამ[47] და უნდა გამოეწვია საბჭოთა კავშირის სამხედრო კონფლიქტი პოლონეთთან.[48]

ინგლისი ცდილობდა გერმანია ჩაეთრია ანტისაბჭოთა ბლოკში. ამ მიზნით 1928 წელს გერმანიაში გაგზავნილ იქნა ინგლისის პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფი (ეგრეთწოდებული ბირკენჰედის მისია), რომელსაც უნდა მიეღწია გერმანიის მთავრობასთან შეთანხმებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეოთობლიგან მოქმედების შესახებ.

იმპერიალიზმის აგენტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთაშორისო ასპტაბით მოქმედებდნენ და ამავე დროს ძირგამოთხოელ მუშაობას ეწეოდნენ საბჭოთა კავშირის შიგნითაც.

ანტისაბჭოთა ინტერვენციის მოწყობაში იმპერიალისტები ეყრდნობოდნენ თავიანთ აგენტებს საბჭოთა ქვეყნის შიგნით—ადამიანთა მოდგმის ნაძირალებს — ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშებსა და მკვლელებს. ამხანაგი სტალინი მაშინ ტყუილად კი არ ამბობდა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იქმნება რაღაც მსგავსი ერთიანი ფრონტისა ჩემბერლენიდან ტროცკიმდეო.

„ბრესტის ზავის ჩაშლის პროვოკატორული ცდები 1918 წლის დასაწყისში; შეთქმულება ლენინის წინააღმდეგ და „მემარცხენე" ესერებთან, შეთანხმება ლენინის, სტალინისა და სვერდლოვის დაპატიმრებისა და მოკვლის შესახებ 1918 წლის გაზაფხულზე; ვერაგული თავდასხმა ლენინზე და მისი დაჭრა 1918 წლის ზაფხულში; უთანხმოებათა განზრახ გამწვავება პარტიაში 1921 წელს ლენინის ხელმძღვანელობის შიგნიდან შერყევისა და დამხობის მიზნით; პარტიის ხელმძღვანელობის დამხობის ცდები ლენინის ავადმყოფობის დროს და მისი სიკვდილის შემდეგ; სახელმწიფო საიდუმლოებათა გაცემა და უცხოეთის დაზვერვისათვის ჯაშუშური ცნობების მიწოდება; კიროვის ვერაგულად მოკვლა; მავნებლობა, დივერსიები, აფეთქებები; მენჟინსკის, კუიბიშევის, გორკის ვერაგულად მოკვლა,—ყველა ეს და მათი მსგავსი ბოროტმოქმედებანი, თურმე ტარდებოდა ოცი წლის

---

[45] И. Сталин. Об оппозиции, стр. 611—612.

[46] იქვე.

[47] 1914 წლის 28 ივნისს ბოსნიის ქალაქ სარაევოში სერბიის არმიის ოფიცერთა „ნტაავსტრიული საიდუმლო ორგანიზაციის „შავი ხელის" დავალებით სტუდენტმა გაბრიელ პრინციპმა მოკლა ავსტრია-უნგრეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი, რაც იმპერიალისტებმა პირველი მსოფლიო ომის საბაბად გამოიყენეს. დ. მ.

[48] И. Сталин. Об оппозиции, стр. 612.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანძილზე ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის, ბუხარინის, რიკოვის და მათი დამქაშების მონაწილეობით ან ხელმძღვანელობით—უცხოეთის ბურჟუაზიულ დაზვერვათა დავალებებით.

სასაძართლო პროცესებმა გამოარკვიეს, რომ ტროცკისტ-ბუხარინელი არაძზადები, ასრულებდხენ რა თავიანთი ბატონ-პატრონების — უცხოეთის ბურჟუაზიული დაზვერვების ნება-სურვილს, თავიანთ მიზნად ისახავდნენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დანგრევას, ქვეყნის თავდაცვისათვის ძირის გამოთხრას, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის გაადვილებას, წითელი არმიის დამარცხების მომზადებას, სსრ კავშირის დანაწილებას, იაპონელებისათვის საბჭოთა პრიმორიეს მიცემას, პოლონელებისათვის საბჭოთა ბელორუსიის მიცემას, გერმანელებისათვის საბჭოთა უკრაინის მიცემას, მუშებისა და კოლმეურნეების მონაპოვართა მოსპობას, სსრ კავშირში კაპიტალისტური მონობის აღდგენას".[49]

ამხანაგი სტალინი 1927 წელს აღნიშნავდა, ინტერვენციული ტენდენციების გაძლიერება იმპერიალისტების ბანაკში და ომის საფრთხე (საბჭოთა კავშირის მიმართ) ახლანდელი მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორიაო.[50]

ასეთ ვითარებაში საბჭოთა მთავრობის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი მტრების პროვოკაციულ გამოხდომათა მიუხედავად მტკიცედ და ურყევად გაეტარებინა სამშვიდობო პოლიტიკა და ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქოხოდა.[51]

საბჭოთა მთავრობა სრულიად ატარებდა ამ ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას. ამჟღავნებდა რა ანტისაბჭოთა ინტრიგებს, იგი საბჭოთა ხალხს მოუწოდებდა ბოლომდე შეენარჩუნებინა სიმტკიცე და სიმშვიდე და არ აჰყოლოდა არავითარ პროვოკაციას.

ომის საფრთხე განსაკუთრებით გაძლიერდა შემდგომ წლებში, როდესაც ინდუსტრიალიზაციის გეგმის წარმატებით შესრულების შემდეგ საბჭოთა ქვეყანა შეუდგა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გეგმის განხორციელებას და უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის — კულაკობის ლიკვიდაციას.

ომისათვის მზადება რომ დაეფარა, იმპერიალისტურმა დიპლომატიამ პაციფისტური ხასიათის ახალ მანევრს მიმართა. 1928 წლის ზაფხულში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კელოგმა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიანმა ხელი მოაწერეს პაქტს ომის, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღის უარყოფის შესახებ. სინამდვილეში კი ბრიან-კელოგის პაციფისტურ დეკლარაციას მიზნად ჰქონდა იმპერიალიზმის პოზიციების განმტკიცება. საბჭოთა კავშირი მიწვეული არ იყო ამ პაქტის დასადებად წარმოებულ მოლაპარაკებაზე, რაც შემთხვევით მოვლენას როდი წარმოადგენდა. „ამ პაქტის ინიციატორებს განზრახული ჰქონდათ და აქვთ საბჭოთა კავშირის იზოლაციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად გახადონ იგი. ეგრეთწოდებული კელოგის პაქტის დასადებად წარმოებული მოლაპარაკება, როგორც ჩანს, წარმოადგენს შემადგენელ ნაწილს საბჭოთა

[49] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 451 — 452.

[50] ი. სტალინი, მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე, გვ. 21.

[51] И. Сталин. Об оппозиции, стр. 613.

კავშირის გარშემორტყმის პოლიტიკისას, რომელიც მოცემულ მომენტში საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრში დგას... დასავლეთის მთავარი სახელმწიფოების ეს დიპლომატიური აქცია თავისი მახვილით მიმართულია სსრ კავშირის წინააღმდეგ“.[52]

1929 წელს პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ კაპიტალიზმის რესტავრატორების ბუხარინულ-რიკოვული ბანდის აშკარა გამოსვლასთან დაკავშირებით ომის გამჩაღებლები, „ფიქრობენ რა, რომ პარტიაში ახალი უთანხმოებანი წარმოადგენენ პარტიის დასუსტების ნიშანს, ... მიმართავენ ახალ ცდას—ჩააბან სსრ კავშირი ომში და ჩაშალონ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ჯერ კიდევ მოუმაგრებელი საქმე“.[53]

1929 წელს იმპერიალისტებმა მოაწყეს ჩინეთის კონფლიქტი სსრ კავშირთან ჩინეთის მილიტარისტების მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინიგზის (რომელიც სსრ კავშირს ეკუთვნოდა) ხელში ჩაგდების მიზნით. ჩინეთის მილიტარისტებმა თავდასხმა მოახდინეს საბჭოთა კავშირის შორეულ აღმოსავლეთის საზღვარზე. საბჭოთა მთავრობამ საკადრისი პასუხი გასცა სამხედრო ავანტიურების მოყვარულ ჩინელ მილიტარისტებს. კონფლიქტი ხანმოკლე ვადაში იქნა ლიკვიდირებული. „ერთხელ კიდევ გაიმარჯვა სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკამ, მიუხედავად ყვილაფრისა, მიუხედავად გარეშე მტრების მზაკვრული ცდებისა და პარტიის შიგნით „უთანხმოებისა“.[54]

1927 წელს საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა ღრმა ანალიზი გაუკეთა მსოფლიო კაპიტალიზმის ეკონომიკას და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციიდან „წარმოიშვება მსოფლიო კაპიტალიზმის უაღრესად ღრმა, უაღრესად მწვავე კრიზისი, რომელიც გამოიწვევს ახალ ომებს, რომელიც საფრთხეს უმზადებს თვით უმტკიცესი სტაბილიზაციის არსებობას“.[55]

ამხანაგ სტალინის ეს გენიალური პროგნოზი მთლიანად და სავსებით გამართლდა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში 1929 წლის დამლევს იფეთქა და 1933 წლამდე გრძელდებოდა მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რომელიც მანამდე არნახული იყო თავისი გამანადგურებელი ძალით.

მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა ნათელყო სოციალისტური სისტემის უპირატესობა დამყაყებული კაპიტალისტური სისტემის წინაშე. მაშინ როცა კაპიტალისტურ სამყაროს ეკონომიური კრიზისი ღრღნიდა, საბჭოთა კავშირი წარმატებით ახორციელებდა სოციალისტური მშენებლობის თავის პირველ ხუთწლიან გეგმას.

მსოფლიო პროლეტარიატი, მთელი პროგრესული კაცობრიობა სიხარულით შესცქეროდა სოციალიზმის ქვეყნის წარმატებებს. პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი რწმენას უნერგავდა ყველა ქვეყნის მუშათა კლასის რევოლუციურ ძალებს. მან საბჭოთა კავშირი მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად გადააქცია.

პირველი ხუთწლედის შედეგების შეჯამებისას ამხანაგი სტალინი ამბობ-

---

[52] Международная политика в 1928 г., стр. 23—24.

[53] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 385.

[54] იქვე.

[55] ი. სტალინი. მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე, გვ. 6.

და: „ჩვენ არ შეგვეძლო გვცოდნოდა, თუ რა დღეს დაესხმოდნენ თავს იმპერიალისტები სსრ კავშირს და შესწყვეტდნენ ჩვენს მშენებლობას, ხოლო მათ რომ ყოველ წუთს შეეძლოთ თავდასხმა, ისარგებლებდნენ რა ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური სისუსტით,—ეს ყოველ ეჭვს გარეშე იყო. ამიტომ პარტია იძულებული იყო სწრაფი ნაბიჯით წაეყვანა ჩვენი ქვეყანა, რომ არ დაეკარგა დრო, მთლიანად გამოეყენებინა შესვენება და მოესწრო ინდუსტრიალიზაციის საფუძვლების შექმნა სსრ კავშირში რაც წარმოადგენს მისი ძლიერების ბაზას.

... საბჭოთა კავშირი სუსტი და თავდაცვისათვის მოუმზადებელი ქვეყნიდან გადაიქცა თავდაცვისუნარიანობის მხრივ მძლავრ ქვეყნად, ქვეყნად, რომელიც მზად არის ყოველი შემთხვევისათვის, ქვეყნად, რომელსაც შეუძლია დაამზადოს მასობრივი მასშტაბით თავდაცვის ყველა თანამედროვე იარაღი და მოამარაგოს ამ იარაღებით თავისი არმია გარედან თავდასხმის შემთხვევაში“.[56]

კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა კაპიტალისტური სამყაროსათვის დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობანი, პირველ რიგში კი წინააღმდეგობა კაპიტალიზმის ქვეყნებსა და სოციალიზმის ქვეყანას შორის. საერთაშორისო ბურჟუაზია ცდილობდა კრიზისიდან გამოსავალი საბჭოთა კავშირთან წინააღმდეგ ომში ენახა.

საბჭოთა კავშირში მომხდარ დიდ პოლიტიკურ პროცესებზე (სასამართლო პროცესები სამრეწველო პარტიის, მენშევიკების, ტროცკისტების და სხვათა საქმეებზე) გამოირკვა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ახალი ინტერვენციის დაწყებას იმპერიალისტები აპირებდნენ 1927 წლისათვის. მაგრამ როცა ეს განზრახვა ჩაეფუშათ, გადაწყვიტეს ომი დაეწყოთ 1930—1931 წლებისათვის.

ამ მიზნით გაჩაღდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის იდეოლოგიური, დიპლომატიური და ეკონომიური მომზადება.

კაპიტალისტურ ქვეყნებში საბჭოთა კავშირის შესახებ სიცრუისა და ჭორის კორიანტელი იქნა დაყენებული. ამ კამპანიის მიზანი ის იყო, რომ მოეტყუებინათ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები და გამოეწვიათ მათში საბჭოთა კავშირისადმი მტრობა. ერთი სიტყვით, იდეოლოგიურად მზადდებოდა ახალი ინტერვენცია. ბურჟუაზიის ნაფიცი ლაქიები—რეაქციული ჟურნალისტები თავიანთ ბინძურ ფურცლებზე ავრცელებდნენ ზღაპრებს საბჭოთა კავშირში იძულებით შრომის არსებობის, რელიგიის დარბევის შესახებ და სხვა ათასგვარ ჭორს. რომის პაპმა პიუს XI-ემ მორწმუნეებს მოწოდებითაც კი მიმართა დაეწყოთ „ჯვაროსნული ლაშქრობა“ „უღმერთო ბოლშევიზმის“ წინააღმდეგ.

1930—1931 წლებში საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, კანადის, იუგოსლავიის, რუმინეთის, უნგრეთის და სხვა სახელმწიფოთა მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება საბჭოთა საქონლის შეზიდვის შეზღუდვის შესახებ. ეს სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა სსრ კავშირის ეკონომიურ ბლოკადას.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დიპლომატიურ მომზადებაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავა ეგრეთწოდებული „პან-ევროპის“ გეგმას, რომლის ავტორიც იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიანი. 1930 წლის 17 მაისს ბრიანმა ევროპის 27 ქვეყანას მიმართა წინადადებით ბურჟუაზიული ევროპის ყველა ქვეყნის ფედერაციის შექმნის შესახებ. ბრიანის გეგმის არსი ის იყო, რომ

[56] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები. XI გამ, გვ. 468—469.

„ფედერაციულ კავშირში“ გაერთიანებული ევროპა დაპირისპირებოდა საბჭოთა კავშირს. „პან-ევროპა“ საბჭოთა კავშირის მტერი უნდა გამხდარიყო.

იმპერიალისტებმა ვერ შესძლეს „პან-ევროპის“ შექმნის გეგმის განხორციელება. იმპერიალისტებს შორის არსებულ მწვავე ეკონომიურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა შერიგება არ მოხერხდა საბჭოთა კავშირისადმი მათი საერთო სიძულვილითაც კი.

„ამ ომისწინა ორომტრიალის პირობებში,—ამბობდა ამხანაგი სტალინი,—რამაც მოიცვა მთელი რიგი ქვეყნები, საბჭოთა კავშირი კვლავ მტკიცედ და ურყევად იდგა თავის სამშვიდობო პოზიციებზე ამ წლების განმავლობაში, ებრძოდა ომის საფრთხეს, იბრძოდა მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის, მხარს უჭერდა იმ ქვეყნებს, რომლებიც ასე თუ ისე ემხრობიან მშვიდობიანობის შენარჩუნებას, ამხელდა და ნიღაბს გლეჯდა მათ, ვინც ამზადებს, პროვოკაციულად იწვევს ომს“.[57]

საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა შეაფასა საბჭოთა სახელმწიფოს როლი იმ პერიოდში იმპერიალისტურ პროვოკაციათა წინააღმდეგ და შემდეგნაირად დაახასიათა საბჭოთა დიპლომატიის მოღვაწეობა:

„ჩვენი პოლიტიკა არის მშვიდობიანობისა და ყველა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერების პოლიტიკა. ამ პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს ურთიერთობის გაუმჯობესება მთელ რიგ ქვეყნებთან და მთელ რიგ ხელშეკრულებათა დადება, ვაჭრობის ტექნიკური დახმარების და სხვ. შესახებ. მისივე შედეგს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის შეერთება კელოგის პაქტთან, ხელის მოწერა ცნობილ ოქმზე კელოგის პაქტის ხაზით პოლონეთთან, რუმინეთთან, ლიტვასთან და სხვ. ხელისმოწერა ოქმზე თურქეთთან მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ. და, ბოლოს, ამ პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენ შევძელით მშვიდობიანობის დაცვა, საშუალება არ მივეცით მტრებს ჩავეთრიეთ კონფლიქტებში, მიუხედავად მთელი რიგი პროვოკაციული აქტებისა და ომის გამჩაღებელთა ავანტიურისტული იერიშებისა. მშვიდობიანობის ამ პოლიტიკას ჩვენ განვაგრძობთ მომავალშიც მთელი ჩვენი ძალღონით და ყველა საშუალებით. არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა არ გვინდა, მაგრამ არც ჩვენ მიწას, ჩვენი მიწის არც ერთ გოჯს არავის მივცემთ“.[58]

* * *

1931 წლის 18 სექტემბრის ღამეს იაპონია შეიჭრა მანჯურიაში. გომინდანური ჩინეთის ხელისუფალნი და სამხედრო სარდლობა ამჯობინებდნენ ებრძოლათ არა იაპონელი აგრესორის, არამედ ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული რაიონების წინააღმდეგ.

არც დასავლეთის ეგრეთწოდებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ქვეყნების მმართველი წრეები ეწინააღმდეგებოდნენ იაპონიის აგრესიას. ისინი იმედოვნებდნენ, რომ იაპონიის მოქმედება ანტისაბჭოთა ლაშქრობის პირველი ნაბიჯი იქნებოდა. მათ ახარებდათ იაპონიის წარმომადგენლის მაცუოკას გამოსვლები ერთა ლიგაში, სადაც ის აცხადებდა—იაპონია მხოლოდ იმიტომ აწარმოებს მანჯურიის დაპყრობას, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დასაყრდენი გახდესო.

იაპონიის იმპერიალისტებს განსაკუთრებულ თანაგრძნობას უცხადებდნენ ინგლისის ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწეები. ოსტინ ჩემბერლენი, მაგა-

[57] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები. I გამოცემა, გვ. 647 — 648.

[58] იქვე, გვ. 427 — 428.

ლითად, აღიარებდა: „როცა მანჯურიაში არეულობა დაიწყო, ჩემი სიმპათიები მთლიანად და სავსებით იაპონიის მხარეზე იყო“.[59]

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ტოკიოში გრიუ თავის მთავრობას მოახსენებდა: „იაპონიის არმიის ოპერაციები ნამდვილად მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ, თუ ახლა არა, უახლოეს მომავალში“.[60]

საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში ნათქვამია:

„იაპონიის ჯარებმა მთლიანად ხელთ ჩაიგდეს მანჯურია, ამზადებდნენ რა ხელსაყრელ პოზიციებს ჩრდილოეთ ჩინეთის დასაპყრობად და სსრ კავშირზე თავდასხმისათვის. რათა უფრო თავისუფლად ემოქმედნა, იაპონია გამოვიდა ერთა ლიგიდან და იწყო გაძლიერებით შეიარაღება.

ამ გარემოებამ აიძულა ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი გაეძლიერებინათ თავისი სამხედრო-საზღვაო შეიარაღება შორეულ აღმოსავლეთში. იაპონია აშკარად ისახავდა მიზნად—დაემორჩილებინა ჩინეთი და გაეძევებინა იქიდან ევროპა—ამერიკის იმპერიალისტური სახელმწიფოები. უკანასკნელებმა ამაზე თავისი შეიარაღების გაძლიერებით უპასუხეს.

მაგრამ იაპონია სხვა მიზანსაც ისახავდა—ხელთ ჩაეგდო საბჭოთა შორეული აღმოსავლეთი. რა თქმა უნდა, სსრ კავშირი ასეთ საფრთხეს უყურადღებოდ არ დასტოვებდა და შეუდგა შორეულ აღმოსავლეთის მხარის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების გაძლიერებას.

ამრიგად, იაპონიის ფაშიზირებული იმპერიალისტების მეოხებით, შორეულ აღმოსავლეთში შეიქმნა ომის პირველი კერა“.[61]

მსოფლიო ომის მეორე კერა, და ამასთან მთავარი კერა, ევროპის ცენტრში შეიქმნა — გერმანიაში მომხდარი ფაშისტური გადატრიალების შედეგად.

1933 წელს გერმანიაში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს ფაშისტებმა.

გერმანიის ფაშიზმს გზა გაუკაფეს სოციალ-დემოკრატებმა თავიანთი გამთიშველი, გამცემლური საქმიანობით. გერმანიის ხელისუფლების სათავეში ჰიტლერული პარტიის დაყენება შეუძლებელი იქნებოდა ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სრული თანხმობის გარეშე. გერმანიის იმპერიალისტებმა შეძლეს სწრაფად აღედგინათ გერმანიის სამხედრო-სამრეწველო ძლიერება მილიარდიანი სესხებით, რაც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მონოპოლიებისაგან მიიღეს.

„თავისი საშინაო პოლიტიკა გერმანელმა ფაშისტებმა აღნიშნეს რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდებით, მუშათა კლასის მხეცური დათრგუნვით, მუშათა კლასის ორგანიზაციების მოსპობით, ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ თავისუფლებათა მოსპობით თავისი საგარეო პოლიტიკა — ერთა ლიგიდან გასვლით და აშკარა მზადებით ომისათვის გერმანიის სასარგებლოდ ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების ძალდატანებითი გადასინჯვის განსახორციელებლად.

ამრიგად, გერმანიის ფაშისტების მეოხებით, ევროპის ცენტრში შეიქმნა ომის მეორე კერა.

გასაგებია, რომ სსრ კავშირი ასეთ სერიოზულ ფაქტს უყურაღღებოდ ვერ დასტოვებდა. და იგი ფხიზლად აღევნებდა თვალყურს ამბების მსვლელობას დასავლეთში და ამავე დროს ამაგრებ-

---

[59] Г. Деборин. Образование двух очагов войны и борьба СССР за создание коллективной безопасности. 1947 г.

[60] იქვე.

[61] საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 391—392.

და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას მის დასავლეთ საზღვრებზე“.[62]

ომის ორი კერის შექმნასთან დაკავშირებით ამხანაგი სტალინი განსაკუთრებით აღნიშნავდა იმ საფრთხეს, რაც საბჭოთა კავშირს ემუქრებოდა ფაშისტური გერმანიის მხრივ:

„მართლაც სასაცილო და სისულელე იქნებოდა თვალები დაგვეხუჭა და არ დაგვენახა კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტი და გვეფიქრა, რომ ჩვენი გარეშე მტრები, მაგალითად ფაშისტები, თუ მათ შემთხვევა მიეცათ, არ შეეცდებიან მოახდინონ სამხედრო თავდასხმა სსრ კავშირზე. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ ბრმა ბაქიებს ან ფარულ მტრებს, რომელთაც სურთ მიაძინონ ხალხი. არანაკლებ სასაცილო იქნებოდა იმის უარყოფა, რომ სამხედრო ინტერვენციის სულ მცირე წარმატების შემთხვევაში ინტერვენტები შეეცდებიან დაანგრიონ საბჭოთა წყობილება მათ მიერ დაკავებულ რაიონებში და აღადგინონ ბურჟუაზიული წყობილება. განა დენიკინი და კოლჩაკი არ აღადგენდნენ ხოლმე ბურჟუაზიულ წყობილებას მათ მიერ დაკავებულ რაიონებში? რით სჯობიან ფაშისტები დენიკინს ან კოლჩაკს. სამხედრო ინტერვენციისა და რესტავრაციის ცდების საფრთხის უარყოფა კაპიტალისტური გარემოცვის არსებობის დროს შეუძლიათ მხოლოდ უთაურებს ან ფარულ მტრებს, რომელთაც სურთ ბაქიობით დაფარონ თავისი მტრობა და რომელნიც ცდილობენ ხალხის დემობილიზებას“.[63]

ამიტომ ამხანაგი სტალინი საბჭოთა საგარეო პოლიტიკას ასეთ კონკრეტულ ამოცანებს უყენებდა: ნიღაბი აეხადა გერმანიის ფაშიზმის აგრესიული ზრახვებისათვის და აგრეთვე მათთვის, ვინც ხელს უწყობდა მსოფლიო ბატონობისათვის ჰიტლერული მისწრაფებათა განხორციელებას „ლოკალური ომის“, „აგრესიის კანალიზირების“ და სხვ. თეორიებით; შეუნელებელი ბრძოლა ეწარმოებინა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო იზოლაციის ცდების წინააღმდეგ, კოლექტიური უშიშროებისათვის, ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ მშვიდობისმოყვარე ხალხების ერთიანი ფრონტის შექმნისათვის.

თავის მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მისთვის ჩვეული სიბრძნით იწინასწარმეტყველა გერმანიის ფაშიზმის გარდუვალი განადგურება.

ამხანაგმა სტალინმა ნიღაბი ჩამოგლიჯა ფაშისტურ გეგმებს, რომლითაც „ომი უნდა მოაწყოს „უმაღლესმა რასამ“, ვთქვათ, გერმანულმა „რასამ“, „დაბალი რასის“, უწინარეს ყოვლისა—სლავების წინააღმდეგ, რომ მხოლოდ ასეთ ომს შეუძლია მდგომარეობიდან გამოყვანა, რადგან „უმაღლესი რასა“ მოწოდებულია გაანაყოფიეროს „დაბალი რასა“ და იბატონოს მასზე. დავუშვათ, რომ ეს უცნაური თეორია, რომელიც ისევე დაშორებულია მეცნიერებისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან,—დავუშვათ, რომ ეს უცნაური თეორია განახორციელეს პრაქტიკულად. რა შეიძლება აქედან გამოვიდეს? ცნობილია, რომ ძველი რომი სწორედ ისევე უყურებდა ახლანდელი გერმანელების და ფრანგების წინაპრებს, როგორც ამჟამად „უმაღლესი რასის“ წარმომადგენლები უყურებენ სლავურ ტომებს. ცნობილია, რომ ძველი რომი დაცინვით უწოდებდა მათ „დაბალ რასას“, „ბარბაროსებს“, რომელნიც მოწოდებული არიან მუდამ ემორჩილებოდნენ „უმაღლეს რასას“, „დიდ რომს“, ამასთან ჩვენ შორის

---

[62] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 393.

[63] ამხ. ივანოვის წერილი და ამხ. სტალინის პასუხი. 1938 წ.

იყოს ნათქვამი, ძველ რომს ამისათვის ჰქონდა ერთგვარი საფუძველი, რაც არ შეიძლება ითქვას ახლანდელი „უმაღლესი რასის“ წარმომადგენლებზე. მერე რა გამოვიდა აქედან? გამოვიდა ის, რომ არარომაელები, ე. ი. ყველა „ბარბაროსები“ გაერთიანდნენ სართო მტრის წინააღმდეგ და ჭექა-ქუხილით დაამხეს რომი. იბადება კითხვა: სად არის გარანტია, რომ ახლანდელი „უმაღლესი რასის“ წარმომადგენელთა პრეტენზიები იმავე სავალალო შედეგებს არ გამოიწვევენ? სად არის გარანტია, რომ ფაშისტურ-ლიტერატურულ პოლიტიკოსებს ბერლინში უფრო გაუღიმებს ბედი, ვიდრე ძველ და გამოცდილ დამპყრობთ რომში? განა უფრო მართებული არ იქნება წარმოვიდგინოთ საწინააღმდეგო შედეგი“?[64]

მსოფლიო მოვლენების მთელმა შემდგომმა მსვლელობამ მთლიანად დაადასტურა ამხანაგ სტალინის გენიალური განჭვრეტა.

საბჭოთა კავშირი თავისი მშვიდობისმოყვარული მისწრაფებებით მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა ფაშისტი აგრესორებისათვის და იმპერიალისტებისათვის მათ მიერ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების გზაზე. ამიტომ გერმანიის ფაშისტები, იაპონიის იმპერიალისტები და მათი ხელშემწყობნი მთელი ძალღონით ცდილობდნენ საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის იზოლაციას, მისი ავტორიტეტისა და გავლენის შელახვას. ამ მისწრაფებებს ფაშისტური გერმანიისათვის იმიტომ ჰქონდა მნიშვნელობა, რომ იგი შექმნიდა პირობებს, რაც საშუალებას მისცემდა ცალცალკე გასწორებოდა თავის მომავალ მსხვერპლთ.

[64] ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები. X გამოც. გვ. 645.

აგრესორის ალაგმვა შესაძლებელი იყო მხოლოდ კოლექტიური უშიშროების პოლიტიკის გატარებით და აგრესორთა ბლოკისადმი დემოკრატიული სახელმწიფოების ერთიანი ფრონტის დაპირისპირებით. მთელი რიგი ქვეყნებისა და ხალხების ანტიფაშისტური კოალიციის შექმნისაკენ საბჭოთა მთავრობის მისწრაფება უდიდეს გამოხმაურებას ჰპოვებდა მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასებში, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი მშვიდობის შენარჩუნებით. მაგრამ ამ ქვეყნების მთავრობები მხარს არ უჭერდნენ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას. პირიქით, უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოები — ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატები მფარველობდნენ ფაშისტურ აგრესიას.

საბჭოთა მთავრობა მთელი სიმტკიცით ატარებდა ბრძნულ სტალინურ საგარეო პოლიტიკას, რაც იქითკენ იყო მიმართული, რომ საბჭოთა სახელმწიფო მოუმზადებლად არ შეხვედროდა ყოველგვარ მოულოდნელობას. „ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელია,—იგი არის მშვიდობიანობის შენარჩუნებისა და ყველა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერების პოლიტიკა. საბჭოთა კავშირს აზრად არა აქვს დაემუქროს ვისმე და მით უმეტეს — თავს დაესხას ვისმე. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და ვიცავთ მშვიდობიანობის საქმეს. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარისა და მზადა ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებლების დარტყმას. ვისაც სურს მშვიდობიანობა და ვინც ეძებს საქმიან ურთიერთობას ჩვენთან, ჩვენ მას ყოველთვის მხარს დავუჭერთ. ხოლო ისინი, ვინც შეეცდება თავს დაესხას ჩვენს ქვეყანას, გამანადგურებელ პასუხს მიიღებენ, რათა

შემდეგში დაეკარგოთ ხალისი შემოსჩარონ თავისი ღორული დინგი ჩვენს საბჭოთა ბოსტანში".[65]

* * *

ომისწინა საერთაშორისო ვითარება ხასიათდებოდა უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა უმაგალითო გამწვავებით. 1934 წელს თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XVII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა, გააკეთა რა საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა ანალიზი, აღნიშნა: „ისევე, როგორც 1914 წელს, პირველ რიგში გამოდიან მებრძოლი იმპერიალიზმის პარტიები, ომის და რევანშის პარტიები.

საქმე აშკარად ახალი ომისაკენ მიდის".[66]

1935 წელს იტალია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა აბისინიას და დაიპყრო იგი. ეს იყო დარტყმა არა მარტო აბისინიაზე, არამედ ინგლისზეც და ევროპასა და ინდოეთს შორის მდებარე მის საზღვაო გზებზე.

1937 წელს იაპონია შეიჭრა ჩრდილოეთ და ცენტრალურ ჩინეთში და დაიკავა პეკინი და შანხაი.

1938 წელს გერმანიამ დაიპყრო ავსტრია და ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქი.

ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები მრავალი წლის განმავლობაში ამზადებდნენ. „იგი დაიწყო ჩუმჩუმად, ომის გამოუცხადებლად. სახელმწიფოები და ხალხები როგორღაც შეუმჩნევლად მოექცნენ მეორე იმპერიალისტური ომის ორბიტაში".[67]

ომის გაჩაღებაში ფაშისტ აგრესორებს ხელი შეუწყო „ჩაურევლობის პოლიტიკამ", რომელსაც ატარებდნენ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები. მათ ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა მეორე მსოფლიო ომისათვის, რომელიც ფაშისტმა ავაზაკებმა გააჩაღეს და რომელმაც გაუგონარი ტანჯვა მოუტანა ხალხებს.

პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა ფარდა ახადა „ჩაურევლობის პოლიტიკის" მიზანს: „ჩაურევლობის პოლიტიკა ნიშნავს აგრესიისადი წაყრუებას, ომის გაღვივებას, — მაშასადამე, მის მსოფლიო ომად გადაქცევას. ჩაურევლობის პოლიტიკაში გამოსჭვივის მისწრაფება, სურვილი—ხელი არ შეუშალონ აგრესორებს აკეთონ თავიანთი შავბნელი საქმე, ხელი არ შეუშალონ, ვთქვათ, იაპონიას ჩაებას ომში ჩინეთთან, ხოლო კიდევ უკეთესი—საბჭოთა კავშირთან. ხელი არ შეუშალონ, ვთქვათ, გერმანიას, ჩაეფლოს ევროპის საქმეებში, ჩაებას ომში საბჭოთა კავშირთან, აცალონ ომის ყველა მონაწილეთ ღრმად ჩაეფლონ ომის ჭაობში, ჩუმჩუმად წააქეზონ ისინი ამაში, აცალონ მათ დაასუსტონ და დააუძლურონ ერთმანეთი, ხოლო შემდეგ, როდესაც ისინი საკმაოდ დასუსტდებიან,—გამოვიდნენ სცენაზე ახალი ძალებით, გამოვიდნენ, რა თქმა უნდა, „მშვიდობიანობის ინტერესებისათვის" და თავიანთი პირობები უკარნახონ ომის დასუსტებულ მონაწილეებს".[68]

ჩაურევლობის პოლიტიკის კულმინაციური პუნქტი იყო ჩეხოსლოვაკიის

[65] ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები. X გამოცემა, გვ. 652.

[66] იქვე, გვ. 642.

[67] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 433.

[68] ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, XI გამოცემა, გვ. 707.

დაქუცმაცების შესახებ ოთხი სახელმწიფოს — ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის შეთანხმება მიუნხენში 1938 წლის 29 სექტემბერს.

ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტები, რომლებიც ხელთ იგდო საბჭოთა სახელმწიფომ, ადასტურებენ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა პოლიტიკის ვერაგობას. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ისტორიულ ცნობაში „ისტორიის ფალსიფიკატორები" თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ გაჰყიდეს ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებმა ჩეხოსლოვაკია და როგორ გაუხსნეს გზა გერმანიის ფაშიზმს აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების დასაპყრობად.[69]

ნიურნბერგის პროცესზე დაწვრილებით გამოირკვა ფაშისტური ხროვის საზიზღარი დანაშაულობანი ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთის და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ხალხების მიმართ. ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე ნათლად ჩანდა იმის სურათი, თუ როგორ გადადიოდა ომი ფაშისტთა საიდუმლო ქაღალდებიდან იმ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე, რომლებიც ფაშისტური აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ.

1939 წლის 15 მარტს ფაშისტურმა გერმანიამ მთლიანად დაიკავა ჩეხოსლოვაკია, რამაც გერმანია მიუახლოვა საბჭოთა კავშირის საზღვრებს. ამან აუწერელი სიხარული გამოიწვია მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოების რეაქციულ წრეებში. ინგლისის გაზეთები პირდაპირ წერდნენ, რომ გერმანიის „დრანგ ნახ ოსტენ" (შეტევა აღმოსავლეთისაკენ) ინგლისის მხრივ წინააღმდეგობას არ წააწყდებაო. ოცნებობდნენ [illegible] ომს გერმანიას ომი დაეწყო საბჭოთა კავშირთან.

ამხანაგი სტალინი ამის გამო ამბობდა:

„კიდევ უფრო დამახასიათებელია, რომ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი პოლიტიკოსნი და პრესის მოღვაწენი, რომელთაც დაუკარგავთ მოთმინება „საბჭოთა უკრაინაზე ლაშქრობის" მოლოდინში, თვითონ იწყებენ ჩაურევლობის პოლიტიკის ნამდვილი სარჩულის მხილებას. ისინი პირდაპირ ამბობენ და შავით თეთრზე წერენ, რომ გერმანელებმა მათ სასტიკად „გაუცრუეს იმედი", რადგან ნაცვლად იმისა, რომ დაძრულიყვნენ უფრო შორს აღმოსავლეთისაკენ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მათ, წარმოიდგინეთ, დასავლეთისაკენ იბრუნეს პირი და თავისთვის კოლონიებს მოითხოვენ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გერმანელებს მისცეს ჩეხოსლოვაკიის რაიონები, როგორც საფასური ვალდებულებისა — აეტეხათ ომი საბჭოთა კავშირთან, ხოლო გერმანელები, უარს ამბობენ რა ახლა თამასუქის განაღდებაზე, სადღაც უფრო შორს გზავნიან მათ".[70]

ამხანაგმა სტალინმა განაცხადა, რომ დიდი სახიფათო პოლიტიკური თამაში, რომელიც ჩაურევლობის პოლიტიკის მომხრეებმა დაიწყეს, შეიძლება მათთვის სერიოზული მარცხით დამთავრდეს. საბჭოთა კავშირი არასოდეს არ ყოფილა და არ იქნება სხვისი და მისთვის მიუღებელი პოლიტიკის იარაღი, არამედ გაატარებს თავის, დამოუკიდებელ საგარეო პო-

---

[69] ისტორიის ფალსიფიკატორები. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ისტორიული ცნობა. 1948 წ.

[70] ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები. XI გამოც., გვ. 709.

ლიტიკას, ისეთ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება სსრ კავშირის ხალხთა ინტერესებს. ამ პოლიტიკის ამოცანები ამხანაგმა სტალინმა შემდეგნაირად განსაზღვრა:

„1. მომავალშიც გავატაროთ მშვიდობიანობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი კავშირის განმტკიცების პოლიტიკა.

2. დავიცვათ სიფრთხილე და საშუალება არ მივცეთ ომის პროვოკატორებს, რომლებიც მიჩვეული არიან სხვისი ხელით ნარის გლეჯას, კონფლიქტებში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა“.[71]

* * *

1940 წელს გერმანიის ჯარებმა დაიკავეს საფრანგეთი, ჰოლანდია და ბელგია. ჰიტლერული გერმანიის საგარეო პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ევროპის ყველა სახელმწიფო იმ ანგარიშით, რომ უშუალოდ დაეწყო ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ ჰიტლერული ხროვა თავისი ანტისაბჭოთა გეგმების განხორციელებას შეუდგა ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე და თუ ჰიტლერულმა გერმანიამ სამხედრო თავდასხმის პირველ ობიექტად სხვა სახელმწიფოები აირჩია, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ჰიტლერს გერმანია ჯერ კიდევ მოუმზადებელი მიაჩნდა ისეთ სერიოზულ მოწინააღმდეგესთან საომრად, როგორიც საბჭოთა კავშირია. ჰიტლერელები გრძნობდნენ, რომ საბჭოთა კავშირთან ომი ყველაზე სერიოზული გამოცდა იქნებოდა გერმანიისათვის და რომ იგი ყველაზე მეტ საფრთხეს უქადდა გერმანიას. მაგალითად, ჰიტლერი რა-

[71] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 33. 712.

უშინგთან საუბარში ამბობდა: „საბჭოთა რუსეთი დიდი ლუკმაა, იგი შეიძლება ყელზეც დაგადგეს, ამ ლუკმით არ დავიწყებ“. ომს რომ აჩაღებდნენ, ჰიტლერელები დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების მმართველ წრეებს რევოლუციის აჩრდილით აფრთხობდნენ და აცხადებდნენ, ჩვენ მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომზე ვფიქრობთო. ამ მანევრის შესახებ ჰიტლერი კურტ ლიუდეკეს მოუთხრობდა: „მე მომიხდება კაპიტალიზმს ბურთი ვეთამაშო, ვერსალის სახელმწიფოები ბოლშევიზმის აჩრდილის შემწეობით დავიყოლიო და დავარწმუნო იმაში, რომ გერმანია უკანასკნელი საყრდენია წითელი წარღვნის წინააღმდეგ. ეს ჩვენთვის ერთადერთი საშუალებაა იმისათვის, რომ კრიტიკული პერიოდი გადავიტანოთ, ვერსალი თავიდან მოვიშოროთ და ხელახლა შევიარაღდეთ“.[72]

როდესაც ჰიტლერელები ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის, პოლონეთზე თავდასხმის, დანიაში, ნორვეგიაში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში, იუგოსლავიაში შეჭრის და თვით ჰიბრალტარის ხელში ჩაგდების გეგმებს ადგენდნენ, ყოველთვის ითვალისწინებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის აუცილებლობას.

ფაშისტური გერმანიის მმართველების ავაზაკური ზრახვების უფრო კონკრეტული გამოხატულება მოცემული იყო „ბარბაროსას გეგმაში“ — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის გეგმაში, რაც შედგენილი იყო 1940 წლის დასასრულს.

„ბარბაროსას გეგმის“, ე. ი. საბჭოთა კავშირზე სამხედრო თავდასხმის გეგმის განხორციელება ჰიტლერს ყველაზე ძნელად გასახორციელებელ

[72] Г. Деборин. Образование двух очагов войны и борьба СССР за создание коллективной безопасности, стр. 9.

საქმედ მიჩნდა. ამიტომ ჰიტლერელებმა მისი განხორციელების ცდა დაიწყეს მხოლოდ ხანგრძლივი და ყოველმხრივი მომზადების შემდეგ.

საბჭოთა კავშირზე ვერაგულ თავდასხმამდე ფაშისტურმა გერმანიამ დაიმორჩილა ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო, ეს მან შეძლო იმით, რომ ევროპის ბევრი სახელმწიფოს სათავეში იდგნენ ანტისახალხო, რეაქციული მთავრობები.

გერმანიას აშკარად ეხმარებოდნენ ზოგიერთი ეგრეთწოდებული „ნეიტრალური სახელმწიფოები" — თურქეთი, ესპანეთი, პორტუგალია. იტალიის გარდა გერმანიამ თავის მოკავშირეებად გაიხადა რუმინეთი, უნგრეთი, ფინეთი. 1941 წლის მარტში სამთა პაქტს შეუერთდა ბულგარეთის ფილოვის მთავრობა და იუგოსლავიის ანტისახალხო მთავრობა, რომლის სათავეში იდგა ცვეტკოვიჩი.

საბჭოთა კავშირზე თავით ფეხამდე შეიარაღებული ჰიტლერელთა ურდოების თავდასხმის შემდეგ ამხანაგი სტალინი თავის ისტორიულ გამოსვლაში 1941 წლის 3 ივლისს ამბობდა:

„რა მოიგო და რა წააგო ფაშისტურმა გერმანიამ იმით, რომ მუხანათურად დაარღვია პაქტი და თავს დაესხა სსრ კავშირს? ამით მან მიაღწია თავისი ჯარებისათვის ერთგვარ ხელსაყრელ მდგომარეობას მოკლე ხნით, მაგრამ მან წააგო პოლიტიკურად, ვინაიდან მთელი მსოფლიოს თვალში გამოააშკარავა თავისი თავი, როგორც პირსისხლიანმა აგრესორმა. ეჭვი არ არის, რომ ეს ხანმოკლე სამხედრო ხელსაყრელობა გერმანიისათვის მხოლოდ ეპიზოდია, სსრ კავშირის დიდი პოლიტიკური მოგება კი სერიოზული და ხანგრძლივი ფაქტორია, რომლის საფუძველზედაც უნდა გაიშალოს წითელი არმიის გადამწყვეტი სამხედრო წარმატებანი ფაშისტურ გერმანიასთან ომში".[73]

ასრულდა ის, რასაც ამხანაგი სტალინი წინასწარმეტყველებდა.

საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნულმა და შორსმჭვრეტელმა ლენინურ-სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ უზრუნველყო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციების სერიოზული განმტკიცება იმ მომენტში, როდესაც ჰიტლერული გერმანია ყაჩაღურ თავდასხმას ამზადებდა ჩვენს ქვეყანაზე.

ამ პოლიტიკამ გააქარწყლა ძლიერი ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობის" გაშლის ჰიტლერული ცდები. ჰიტლერელებმა ვერ შეძლეს საბჭოთა კავშირის იზოლირება. პირიქით, ფაშისტური გერმანია აღმოჩნდა იზოლირებული დიდ სახელმწიფოების — სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლავრი კოალიციის წინაშე, რაც უკვე ომის მსვლელობაში შეიქმნა.

სამამულო ომის პერიოდი საბჭოთა დიპლომატიის განსაკუთრებული აქტივობის პერიოდი იყო. ეს გასაგებია. 1945 წლის 24 მაისს წითელი არმიის სარდლების მიღების დროს, ამხანაგმა სტალინმა თქვა: „ნუ დაგავიწყდებათ, რომ კარგი საგარეო პოლიტიკა ზოგჯერ უფრო მეტს იწონის, ვიდრე ორი-სამი არმია ფრონტზე".

ჰიტლერელები იმედს იმაზე ამყარებდნენ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში მას დახმარებას გაუწევდნენ ინგლისი და ამერიკა, ან უკიდურეს შემთხვევაში ეს სახელმწიფოები დაიკავებდნენ ნეიტრალიტეტის პოზიციას მაინც. ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში 1941 წლის 6 ნო-

---

[73] ი. სტალინი. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ. გვ. 12. 1947 წ.

ემბერს ჰიტლერელთა დიპლომატიური გეგმების შესახებ ამბობდა: „მათი ვარაუდი ემყარებოდა სერიოზულ იმედს, რომ შექმნიდნენ საყოველთაო კოალიციას სსრ კავშირის წინააღმდეგ, ჩააბამდნენ ამ კოალიციაში დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რისთვისაც წინდაწინ დააშინებდნენ ამ ქვეყნების მმართველ წრეებს რევოლუციის აჩრდილით, და ამრიგად სავსებით ჩამოაცილებდნენ ჩვენს ქვეყანას სხვა სახელმწიფოებს... მაგრამ გერმანელები სასტიკად მოტყუვდნენ... დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები არა თუ არ შეუერთდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ლაშქრობას სსრ კავშირის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, სსრ კავშირთან ერთად აღმოჩნდნენ ერთ ბანაკში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ“.[74]

ანტიჰიტლერულ სახელმწიფოთა კოალიციის შექმნა ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკის უდიდესი ტრიუმფი იყო.

ეს კოალიცია მომზადებულ იქნა ხალხთა მშვიდობისათვის და უშიშროებისათვის საბჭოთა კავშირის ხანგრძლივი ბრძოლის მეოხებით.

1942 წლის 6 ნოემბერს თავის მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავის შესახებ ამხანაგმა სტალინმა განაცხადა რომ „ჩვენს ფრონტზე წელს გერმანელების ტაქტიკურ წარმატებათა მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობამ მათ შესაძლებლობა მისცა მოეყარათ ჩვენს ფრონტზე მთელი თავისუფალი რეზერვები და შეექმნათ თავიანთი ძალების დიდი სიჭარბე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით“.[75]

საბჭოთა კავშირი გერმანიისა და მისი სატელიტების ჯარებს გამანადგურებლად ურტყამდა და მოითხოვდა, რომ ამავე დროს მათთვის მოკავშირეებსაც დაერტყათ დასავლეთიდან და ამრიგად გერმანია ორი ფრონტის მარწუხში მოექციათ.

მაგრამ ინგლის-ამერიკის რეაქციონერები აშკარად აჭიანურებდნენ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას. ისინი იმედს იმაზე ამყარებდნენ, რომ საბჭოთა კავშირი გერმანიასთან ჭიდილში სისხლით დაიცლებოდა და დასუსტდებოდა. ჯერ კიდევ 1942 წლის მაის-ივნისში ამხ. მოლოტოვის მიერ ინგლისისა და ამერიკის მთავრობებთან წარმოებული მოლაპარაკების შედეგად სრული შეთანხმება იქნა მიღწეული1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელ ამოცანების შესახებ. მაგრამ 1942 წელს მეორე ფრონტი არ გახსნილა. იმავე წლის აგვისტოში მოსკოვში ყოფნის დროს ჩერჩილმა განაცხადა, რომ მეორე ფრონტი გაიხსნებოდა 1943 წელს. მაგრამ ეს არც 1943 წელს იქნა შესრულებული.

როგორც ცნობილია, მეორე ფრონტი მხოლოდ მაშინ გახსნეს, როდესაც საბჭოთა არმია შევიდა მტრული სახელმწიფოების ტერიტორიაზე, და როდესაც სავსებით ნათელი გახდა, რომ საბჭოთა კავშირს მარტო შეეძლო მთელი გერმანიის ოკუპირება და ფაშისტ დამპყრობთაგან დასავლეთ ევროპის განთავისუფლება.

ცნობილ ამერიკელ ჟურნალისტს რალფ ინგერსოლს თავის წიგნში „სრულიად საიდუმლოდ“ მოჰყავს იმის მრავალი დამაჯერებელი ფაქტი, რომ ინგლისისა და ამერიკის სარდ-

[74] ი. სტალინი. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ. გვ. 22—23. 1947 წ.

[75] იქვე, გვ. 75.

ლობის მიერ გამომუშავებული ევროპაში შეჭრის გეგმა ეგრეთ წოდებული „ოვერლორდი“ ისე იყო შედგენილი, რომ ყოველნაირად გაჭიანურებულიყო ევროპაში საომარი მოქმედების დაწყება.

აღნიშნული გეგმის ავტორების აზრით, ევროპაში ინგლის-ამერიკის ჯარების შეჭრა შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ შემდეგ პირობის არსებობის შემთხვევაში:

— „თუ ძლიერი ქარი არ იქნებოდა;

— თუ ზღვის მოქცევა სწორედ ისეთი იქნებოდა, როგორიც საჭირო იყო;

— თუ მთვარე სწორედ ისეთ ფაზაში იქნებოდა, როგორიც საჭირო იყო...

— თუ გერმანიის თავდაცვა ამ დროის განმავლობაში, — გეგმის შედგენისა და მისი შესრულების პერიოდში,—არ იქნებოდა გაუმჯობესებული;

— თუ იმ დროისათვის გერმანელებს ჩრდილოეთ-დასავლეთ ევროპაში ეყოლებოდათ რეზერვის არა უმეტეს 20 მოძრავი დივიზიისა და იმ პირობით, რომ გერმანელები პირველი ორი თვის განმავლობაში რუსეთის ფრონტიდან ვერ შეძლებდნენ თხუთმეტზე მეტი დივიზიის გადმოყვანას და სხვ.“ [76]

ნამდვილად კი მეორე ფრონტი თავის დროზე არ გახსნეს არა სამხედრო, არამედ პოლიტიკური მიზეზების გამო.

მაშინ როცა საბჭოთა კავშირი იბრძოდა ფაშიზმის სრული ლიკვიდაციისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათა და ხალხთა თანამშრომლობის აღდგენისათვის, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი იბრძოდნენ იმისათვის, რომ მოესპოთ მეტოქე კონკურენტები მსოფლიო ბაზრებზე, რომელნიც ხელყოფდნენ მათ კოლონიებს და „გავლენის სფეროებს“— გერმანია და იტალია. ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისთან კავშირში ცდილობდნენ მსოფლიო ბატონობის მოპოვებას.

ჩერჩილი და მისი მსგავსი რეაქციონერები ფორმალურად საბჭოთა კავშირის მოკავშირეებად ითვლებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში მისი მტრები იყვნენ. მათ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებისა უფრო ეშინოდათ, ვიდრე გერმანიის ფაშიზმისა.

„ომმა,—თქვა ამხანაგმა სტალინმა,— ულმობლად ჩამოჰგლიჯა ყველა ნიღაბი და საბურველი, რაც ჰფარავდა სახელმწიფოების, მთავრობების, პარტიების ნამდვილ სახეს, და გამოაჩინა უნიღბოდ, შეულამაზებლად“. [77]

ომის დამთავრების შემდეგ რეაქციულმა ძალებმა აშკარა ლაშქრობა დაიწყეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი იარაღს აყღარუნებენ და ახალი ომის დაწყებისაკენ მიისწრაფვიან.

მეორე მსოფლიო ომის დროს, სანამ ბრძოლა წარმოებდა გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ, სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები მოკავშირეები იყვნენ და ერთ ბანაკს შეადგენდნენ. მაგრამ უკვე იმ პერიოდში მოკავშირეთა შორის აზრთა პრინციპული სხვადასხვაობა არსებობდა როგორც ომის მიზნების გაგებაში, ისე ომისშემდგომი მშვიდობის საკითხებში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა ორი ბანაკი—იმპერიალიზმის

---

[76] Ральф Ингерсолл. Совершенно секретно. Перевод с английского. 1947.

[77] ი. სტალინი. სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე.

ბანაკი—ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით და სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაკი—საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1925 წელს ამბობდა, რომ „მსოფლიო გაითიშა ორ ბანაკად—კაპიტალიზმის ბანაკად, ინგლის-ამერიკის კაპიტალიზმის მეთაურობით, და სოციალიზმის ბანაკად, საბჭოთა კავშირის მეთაურობით. საერთაშორისო მდგომარეობა სულ უფრო და უფრო იქნება დამოკიდებული ამ ორი ბანაკის ძალთა თანაფარდობაზე“.[78]

ზოგიერთი კომპარტიის წარმომადგენელთა საინფორმაციო თათბირზე გაკეთებულ მოხსენებაში 1947 წელს ამხანაგი ჟდანოვი ამბობდა:

„იმპერიალისტური ბანაკის ძირითად წამყვან ძალას ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენენ. ამერიკის შეერთებულ შტატებთან კავშირში იმყოფებიან ინგლისი და საფრანგეთი. ამასთან ინგლისში ეტლი—ბევინის ლეიბორისტული მთავრობისა და საფრანგეთში... სოციალისტური მთავრობის არსებობა ხელს არ უშლის ინგლისსა და საფრანგეთს, რომ ყველა ძირითად საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურ პოლიტიკას მისდიონ როგორც მათმა სატელიტებმა. იმპერიალისტურ ბანაკს მხარს უჭერენ აგრეთვე ისეთი კოლონიური სახელმწიფოები, როგორიც არიან ბელგია და ჰოლანდია, რეაქციული ანტიდემოკრატიული რეჟიმის მქონე ქვეყნები, როგორიც არიან თურქეთი და საბერძნეთი, პოლიტიკურად და ეკონომიურად ამერიკის შეერთებულ შტატებში დამოკიდებული ქვეყნები, როგორიც არიან ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნები...

[78] ი. სტალინი თხზ., ტ. VII, გვ. 59. რუს.

იმპერიალისტური ბანაკის ძირითად მიზანს წარმოადგენს [illegible] ბრძოლის განმტკიცება, ახალი იმპერიალისტური ომის მომზადება, სოციალიზმისა და დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა და ყველგან რეაქციული და ანტიდემოკრატიული პროფაშისტური რეჟიმებისა და მოძრაობებისათვის მხარდაჭერა.

ამ ამოცანების გადაწყვეტაში იმპერიალისტური ბანაკი მზად არის დაეყრდნოს რეაქციულ და ანტიდემოკრატიულ ძალებს ყველა ქვეყანაში და მხარი დაუჭიროს გუშინდელ სამხედრო მოწინააღმდეგეებს თავის სამხედრო მოკავშირეთა წინააღმდეგ.

ანტიიმპერიალისტური და ანტიფაშისტური ძალები შეადგენენ მეორე ბანაკს. ამ ბანაკის საფუძველს წარმოადგენს სსრ კავშირი და ახალი დემოკრატიის ქვეყნები. მასში შედიან აგრეთვე ისეთი ქვეყნები, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს იმპერიალიზმთან და მტკიცედ დაადგნენ დემოკრატიული განვითარების გზას, როგორიც არიან რუმინეთი, უნგრეთი, ფინეთი. ანტიიმპერიალისტურ ბანაკს ეხმარებიან ინდონეზია, ვიეტნამი, მას თანაუგრძნობენ ინდოეთი, ეგვიპტე, სირია. ანტიიმპერიალისტური ბანაკი ეყრდნობა მუშათა და დემოკრატიულ მოძრაობას ყველა ქვეყანაში, მოძმე კომუნისტურ პარტიებს ყველა ქვეყანაში, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლებს კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, თვითეულ ქვეყანაში არსებულ ყველა პროგრესულ დემოკრატიულ ძალთა მხარდაჭერას. ამ ბანაკის მიზანია ახალი ომების საფრთხისა და იმპერიალისტური ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლა, დემოკრატიის განმტკიცება და ფაშიზმის ნაშთების აღმოფხვრა“.[79]

ამერიკის შეერთებული შტატების

[79] ა. ჟდანოვი. საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. გვ. 14—15. 1947 წ.

პოლიტიკას საფუძვლად უდევს მონოპოლისტური წრეების დევიზი: „XX საუკუნე-ამერიკის შეერთებული შტატების საუკუნეა“.

თავის აგრესიულ მისწრაფებათა განხორციელებას ამერიკის იმპერიალისტები ცდილობენ სხვადასხვა „დოქტრინებისა“ და გეგმების საშუალებით.

1947 წლის მარტში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ტრუმენი გამოვიდა საპროგრამო სიტყვით შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მიზნების შესახებ. ტრუმენის ამ საპროგრამო გამოსვლამ შემდეგში მიიღო „ტრუმენის დოქტრინის“ სახელწოდება. მაშასადამე, საქმე ეხებოდა არა მარტო საგარეო პოლიტიკის უბრალო გეგმებსა და პროგრამებს, არამედ „მთელ დოქტრინას“. ამით ამერიკის მმართველ წრეებს იმის თქმა უნდოდათ, რომ ტრუმენმა წამოაყენა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის არა წარმავალი, არამედ ძირითადი პრინციპები, ისევე როგორც 125 წლის წინათ წამოყენებული იყო მონროეს დოქტრინა (1823 წელს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მონროემ თავის მიმართვაში კონგრესისადმი განაცხადა, შეერთებული შტატები არ დაუშვებენ ევროპის სახელმწიფოთა ჩარევას დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნების საქმეებშიო). ტრუმენს სურს მონროეს ფორმულა „ამერიკა ამერიკელებისათვის“ შეცვალოს ახალი ფორმულით: „არა მარტო ამერიკა, არამედ მთელი დედამიწა ამერიკელებისათვის“. „ტრუმენის დოქტრინის“ ერთ-ერთი მიზანი ისიც არის, რომ ამერიკამ გზა გაიკაფოს ახლო აღმოსავლეთის ნავთის საბადოებისაკენ. კარგად შენიშნა ურუგვაელმა კომუნისტმა, პუბლიცისტმა არისმენდიმ: ტრუმენი თავის დოქტრინას პლანეტა მარსზეც გაავრცელებდა, იქ ნავთის საბადოები რომ ეგულებოდესო.

ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში იჭრებიან, აფართოებენ თავიანთ პოზიციებს ახლო და შუა აღმოსავლეთში, ცდილობენ მთლიანად ჩაიგდონ ხელში სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ეკონომიკა. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გარს შემოერტყან საბჭოთა კავშირს და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად მსოფლიოს ყველა ნაწილში ჰქმნიან ბაზებსა და პლაცდარმებს. ამერიკის იმპერიალისტები კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების დაპყრობის მისწრაფებებით არ კმაყოფილდებიან და მთელი ენერგიით ცდილობენ ევროპის დამონებას, ევროპის ყველა ქვეყნის გადაქცევას ამერიკის შეერთებული შტატების ვასალებად, სატელიტებად. სწორედ ეს არის „მარშალის გეგმის“ შინაარსიც. ევროპის აღდგენის საქმეში ეკონომიური დახმარების დაპირების საფარით ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა მარშალმა ევროპის დამონების გეგმა წამოაყენა. ამ „გეგმის“ მიხედვით ევროპის სახელმწიფოების ეკონომიკა ამერიკის კაპიტალის ინტერესებს უნდა დაუმორჩილდეს, ევროპის სახელმწიფოებმა უარი უნდა თქვან თავის ეკონომიურ დამოუკიდებლობაზე და ამერიკის ინდუსტრიის აგრარული დამატება გახდნენ. ამ გეგმის განხორციელებით ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ მხარი დაუჭირონ შავბნელ რეაქციულ ძალებსა და რეჟიმებს ევროპაში, გაანადგურონ დემოკრატიული მოძრაობა, მოსპონ აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების სახალხო-დემოკრატიული რეჟიმები და რაც მთავარია, შექმნან ევროპის სახელმწიფოთა ანტისაბჭოთა

ბლოკი. მარშალის გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს გერმანიის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის პირველ რიგში აღდგენას და იმას, რომ დასავლეთ გერმანია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ანტისაბჭოთა ბლოკის მნიშვნელოვანი ბერკეტი გახდეს.

უკანასკნელ ხანს მომხდარმა ამბებმა კიდევ უფრო ნათელყვეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მაჩანჩალა ინგლისის მმართველი წრეების პოლიტიკის აგრესიული კურსი.

ეს ამბებია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ტრუმენის მიერ საბჭოთა კავშირთან სამშვიდობო პაქტის დადებაზე უარის თქმა, უშიშროების საბჭოში ინგლის-ამერიკის უმრავლესობის მიერ ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ საბჭოთა დელეგაციის წინადადების უარყოფა და სხვა.

შეერთებული შტატების მთავრობის ახლანდელი ხელმძღვანელების მიერ მშვიდობის პაქტის შეკვრაზე უარის თქმას თან მოჰყვა ჩრდილო ატლანტიკის პაქტის დადება, რომელიც აშკარად მოასწავებს ახალი ომის გაჩაღებისათვის მზადებას.

ჩრდილო ატლანტიკის პაქტის ინიციატორებმა ამ პაქტის დადებაში მონაწილეობის მიღების საშუალება არ მისცეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს და საბჭოთა კავშირს იმიტომ, რომ იგი სწორედ მათ წინააღმდეგ არის მიმართული.

ამერიკის იმპერიალისტები ახალ ომს აჩაღებენ. როგორც სჩანს, ისტორიის გაკვეთილებმა მათთვის ამაოდ ჩაიარა. „ხალხთა ხსოვნაში მეტად ცოცხალია ამასწინანდელი ომის საშინელებანი და მეტად დიდია საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ მშვიდობას, და ჩერჩილის მოწაფეებს აგრესიის დარგში არ ძალუძთ მათი დაძლევა [illegible] საკენ მიბრუნება“.[80]

ახალი ომის გამჩაღებლებს ისეთივე აღსასრული მოელის, როგორიც გერმანიის იმპერიალიზმს. გერმანიის იმპერიალიზმი კი, როგორც ცნობილია, „ჯერ არაჩვეულებრივად გაიბერა, სამი მეოთხედი ევროპა დაიკავა, გასუქდა, ხოლო შემდეგ იქვე გასკდა და საშინელი სიმყრალე დასტოვა“.[81]

საბჭოთა მთავრობა თავისი ომისშემდგომი საგარეო პოლიტიკის გატარებისას მტკიცედ ხელმძღვანელობს ამხანაგ სტალინის მითითებით იმის შესახებ, რომ „ვაჩაღებთ რა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ხრიკები საერთაშორისო რეაქციისა, რომელიც გულში ატარებს ახალი ომის გეგმებს. საჭიროა გვახსოვდეს დიდი ლენინის მითითება, რომ გადავდივართ რა მშვიდობიან შრომაზე, მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა და თავდაცვისუნარიანობას“.[82]

*
* *

შევაჯამოთ: სანამ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, საჭიროა იარაღი მუდამ მზად გვქონდეს. სანამ იმპერიალიზმი არსებობს, ყოველთვის იქნება საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საფრთხე, ახალი, მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების საფრთხე. ომის საფრთხის თავიდან აცილება შეუძლია

---

[80] „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვები და ამხანაგ სტალინის პასუხები. „კომუნისტი“, 1948 წლის 29 ოქტომბერი.

[81] ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. XXIII, გვ. 266. რუს.

[82] ბრძანება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა № 7. „კომუნისტი“, 1946 წ. 1 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ შეიარაღებულ ხალხს, რომელსაც ძლიერი საწარმოო ძალები აქვს.

ლენინი ამბობდა, რომ „ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო სახელმწიფოში, არამედ სახელმწიფოთა სისტემაშიც, და საბჭოთა რესპუბლიკის დიდი ხნით არსებობა იმპერიალისტური სახელმწიფოების გვერდით წარმოუდგენელია. ბოლოს და ბოლოს ან ერთი გაიმარჯვებს, ან მეორე. ხოლო ვიდრე ეს ბოლო დადგებოდეს, გარდუვალია მთელი რიგი უსაშინელესი შეჯახებანი საბჭოთა რესპუბლიკასა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის“.[83]

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „არ დავივიწყოთ კაპიტალისტური გარემოცვა, გვახსოვდეს, რომ ჯერ ... დაზვერვა კვლავაც შემოგვიტევს, ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ბომელაური

საქართველოს შავი მეტალურგია

★

შავი მეტალურგია ანუ თუჯისა და ფოლადის გამოდნობა, შენადნობების მიღება და გლინვა (ლითონის წნევით დამუშავება) წარმოადგენს მრეწველობის ერთ-ერთ ძირითად და უძველეს დარგს.

„შავი მეტალურგია — სახალხო მეურნეობის ძირითადი ძალაა",—ასე განსაზღვრავს ამხანაგი სტალინი მრეწველობის ამ ძირითადი დარგის მნიშვნელობას.

ადამიანი რკინას, მის გამოდნობას და დამუშავებას გაეცნო უფრო გვიან, ვიდრე ფერად ლითონებს. მაგრამ რკინის აღმოჩენამ და გამოყენებამ გამოიწვია ტექნიკის, მრეწველობის და ადამიანთა საზოგადოებრივი წყობის განვითარების ძირფესვიანი ცვლილება.

რკინამ შეასრულა რევოლუციური როლი ისტორიის განვითარებაში.

ჯერ კიდევ უხსოვარ დროიდან, რკინა წარმოადგენს ყველაზე მეტად გავრცელებულ და ყველაზე მეტად გამოყენებულ ლითონს ადამიანთა საზოგადოებაში. დედამიწა შეიცავს რკინის მადნების უდიდეს მარაგს.

ყამირების მრავალი ანალიზების შედეგად გამოთვლილია, რომ დედამიწის ქერქი შეიცავს 5,01% რკინას.

რკინის მადნებიდან ჩვეულებრივი რკინის მისაღებად საჭიროა, რკინისა და ჟანგბადის ქიმიური შენაერთის დაშლა, შემდეგ კი ჟანგბადისა და რკინის მადანში არსებული მინარევების—ფუჭი ქანების მოცილება.

რკინისა და ჟანგბადის ქიმიური შენაერთის დაშლა ხდება მხოლოდ 1000°-ზე და უფრო მაღალ ტემპერატურაზე. ამ ტემპერატურაზე ნახშირბადი რომელიც წარმოიშვება კოქსისაგან და რომლის საშუალებითაც სწარმოებს რკინის მადნის გალღობა, რკინის ჟანგეულებს ართმევს ჟანგბადს. ამ პროცესის საფუძველზე სწარმოებს ჟანგბადისაგან გათავისუფლება, ანდა მეტალურგების ენით—რკინის აღდგენა.

რკინის ღირსებას შეადგენს: სიმაგრე, სიმტკიცე, გაგლეჯის დიდი წინააღმდეგობა და ჭედადობა, რომლებიც იძლევიან საშუალებას მივცეთ მას ნებისმიერი მოყვანილობა, იოლად დავადუღოთ და შევადუღოთ. მეცნიერებას ჯერ არ შეუძლია ზუსტად გვითხრას თუ როდის გაეცნო კაცობრიობა რკინას და შეისწავლა მისი მიღება და გამოყენება.

ჩვენამდე მოღწეულ უძველეს გადმოცემებსა და თქმულებებში რკინის შესახებ ლაპარაკია, როგორც ადამიანის ყოფაცხოვრების მნიშვნელოვან საგანზე, ამ ცნობებით რკინა ჯერ კიდევ უძველეს დროში იყო ცნობილი და ჰქონდა ფართო გამოყენება.

არქეოლოგიური მონაცემებით (ხეოფსის პირამიდაში რკინის ნივთების

აღმოჩენა, ბაბილონის ნანგრევებში და უძველესი ასირეთის დედაქალაქ ნინევიაში სხვადასხვა რკინის ნაკეთობების — მუზარადების, ხერხების მიწათმოქმედების საგნების პოვნა) დადგენილია, რომ 4000—3000 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე სწარმოებდა მადნიდან რკინის მიღება.

რკინის, ისევე, როგორც ძველად ცნობილი სხვა ლითონების, აღმოჩენა ალბათ შემთხვევით მოხდა. შეისწავლა რა ადამიანმა ცეცხლის გამოყენება მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ მან არ იცოდა მისი მიღება, ქარისაგან და წყლისაგან ცეცხლის ალის დასაცავად, ოჯახის მუდმივ კოცონს გარშემო ადამიანი უწყობდა ქვებს. ამ ქვებს შორის ზოგიერთ შემთხვევაში გამოერეოდა რკინის ადვილადმდნადი მადანი, რომელიც ლღვებოდა და პირველყოფილი ადამიანი ნაცრის გამოხვეტის დროს პოულობდა ლითონის ზოდს. ასეთ ცდებს და დაკვირვებას პირველყოფილი ადამიანი, განვითარების შემდეგ საფეხურზე, მიჰყავდა დნობისათვის საჭირო პრიმიტიული ღუმელის მოწყობის იდეამდე და ასე თანდათანობით წარმოიშვა მეტალურგიის ხელოვნება.

პირველყოფილი პრიმიტიული ქურები ჩვეულებრივად ეწყობოდა ტყეში, რკინის მადნის საბადოს ახლოს. ჩვეულებრივად გადასამუშავებლად ხმარობდნენ მიწის ზედაპირზე ნაპოვნ, ადვილად დასამუშავებულ მდიდარ რკინის მადნებს.

ძველი ისტორიკოსები ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ კავკასიის მთები და საერთოდ შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარე მთაგრეხილების მთელი ზოლი უხვად შეიცავდა სხვადასხვა ლითონებს. აქ ფართოდ იყო განვითარებული, როგორც მადნების მოპოება, ასევე მათი დამუშავებაც, ამავე დროს სხვა ლითონთა შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ფართოდ იყო განვითარებული რკინის მადნების მოპოვებაც ლითონების მიღება-დამუშავების საქმეში ქართველ ტომებს მიუძღვის უდიდესი და საპატიო დამსახურება კაცობრიობის წინაშე.

ხეთურ-სუბარულ ტომებს შორის მეტალურგიის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებით ცნობილი არიან ხალიბები, სუბარები მუსკები და თუბალები, რომლებიც წარმოადგენენ შემდგომი დროის ქართველთა ტომების, მესხების, იბერების და კოლხების წინაპრებს. ქართველთა ეს ტომები ლითონის იარაღს და საოჯახო ნივთებს აწარმოებდენ არ მარტო თავიანთი საჭიროებისათვის არამედ გაჰქონდათ კიდეც ისინი შორეულ ქვეყნებში.

„ბიბლიაში", რომელშიაც ძალიან ძველი ისტორიული გადმოცემებია დაცული, თუბალი თუბალ-კაინად იწოდება და მის შესახებ ნათქვამია: „ესე იყო კვერით ხუროი, მჭედელი რვალისა და რკინისაო"-ო. კაინი მჭედელს ნიშნავს. ამრიგად ეს სუბარული ტომი მჭედელ მეტალურგ ხალხად იყო მიჩნეული და სახელდებული. იგი განთქმული ყოფილა თავისი ლითონის, კერძოდ რკინის, ნახელავით.

„ჩვენ ვიცით, რომ რკინა სუბარულმა ტომებმა ხმარებაში შემოიღეს უკვე მეორე ათასწლეულის შუა ხანებისათვის. მაგრამ იმ დროს რკინა ჯერ იშვიათი ლითონი იყო, იარაღს კიდევ დიდხანს ჩვეულებრივად ბრინჯაოსაგან აკეთებდნენ, მხოლოდ პირველი ათასწლეულის პირველ საუკუნეებში გავრცელდა უფრო მეტად რკინის იარაღი, თუმცა ამასთან ერთად ბრინჯაოც არ გამოსულა ხმარებიდან, რკინის მეტალურგიის ერთი უმთავრესი კერათაგანი ისევ სუბარეთი იყო". (საქართველოს ისტორია").

ძალიან მაღალი აზრისა იყვნენ ბერძნებიც ამ ტომების მეტალურგიაზე. მადნეულის დამუშავებით, ლითონის

გამოდნობით, რკინისა და ფოლადის ნაკეთობების გამოყვანით, განსაკუთრებულად სახელგანთქული იყვნენ ხალიბები. მათი დამზადებული რკინის ნივთები და იარაღები ძვირად ფასობდნენ და ცნობილი იყო შორეულ ქვეყნებშიც. ხალიბების რკინა სულ სხვა წარმოშობისაა, ვკითხულობთ ჩვენ ბერძნულ წყაროებში. „ხალიბების ქვეყანაში მდინარეებს რკინის ქვიშა ჩამოაქვს. ხალიბები ამ ქვიშას რამდენიმეჯერ რეცხავენ და ადნობენ ეგრეთწოდებულ „ცეცხლგამძლე ქვასთან“ ერთად, რომელიც ბევრია მათ ქვეყანაში. ასე ამზადებენ ხალიბები რკინას, რომელიც ბევრად სჯობია სხვა რკინას და ვერცხლში ძნელი გამოსარჩევია. მხოლოდ ამგვარ რკინას არ ეკიდება ჟანგიო. აქ აღწერილია მაღალი ხარისხის ფოლადის დამზადება. ამიტომაა რომ ფოლადის ბერძნული სახელი, „ხალიფს“, ხალიბების სახელწოდებისაგანაა ნაწარმოები და ხალიბურ ლითონს „აღნიშნავს“ (საქართველოს ისტორია“).

ამჟამად დადასტურებულია, რომ შავი ზღვის სანაპიროების მაგნიტური ქვიშები წარმოადგენენ ბაზალტოვანი ქანების დაშლის პროდუქტებს, რომლებიც შეიცავენ მაგნიტურ რკინის დაახლოებით 11 პროცენტს. მაგნიტური რკინის მადნის შემცველი ბაზალტის დაშლის პროდუქტები, მრავალრიცხოვან მდინარეების მიერ ჩამოტანილი ქვიშები, რომლებზედაც ბერძნები ლაპარაკობდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ შავი ზღვის მაგნიტური ქვიშებია, რომლისაგანაც თურმე „ადნობდნენ“ უძველეს დროში სახელგანთქმულ ხალიბურ რკინას.

პირველი ლითონები, რომლებითაც ადამიანი სარგებლობდა, ეჭვს გარეშეა წარმოადგენდა ისეთ ლითონებს, რომლებსაც ის პოულობდა ხალასი ლითონის სახით, მაგალითად, ვერცხლი, სპილენძი და ოქრო. რკინა ბუნებაში ხალასი სახით გვხვდება ძალიან იშვიათად და ისიც ერთეულ შემთხვევებში. ერთადერთი სახე, რომელშიც რკინა შეიძლებოდა ეპოვნა პირველყოფილ ადამიანს დედამიწის ზედაპირზე, ეს იყო მეტეორიტები, რომლებიც შეიცავენ რკინის საგრძნობ მაღალ პროცენტს.

პირველ ხანებში ადამიანი ქვის დაგვარადვე, ქვის იარაღების საშუალებით ამუშავებდა მეტეორიტული წარმოშობის რკინას. ამ მდგომარეობასთან იყო ალბათ დაკავშირებული რკინის „ზეციური“ წარმოშობის შეხედულება და მისი კულტის მნიშვნელობა. ფიქრობენ, რომ ამ მომენტის გამოძახილს წარმოადგენს სიტყვა ლითონი, რომელიც ბერძნულად ქვას ნიშნავს.

კოცონზე რკინის მიღების პირველყოფილი ხერხი თანდათან ვითარდებოდა, და შემდეგში მან დაუთმო ადგილი მიწაში ამოთხრილ პრიმიტიულ ქურა-ღუმელს. ასეთი ღუმელები მუშაობდნენ ხის ნახშირზე, მათ აგებდნენ გორაკებზე, რათა წვის გასაძლიერებლად გამოყენებული ყოფილიყო ქარის ძალა.

ადამიანმა თანდათან დაიწყო ხელოვნური ბერვის გამოყენება, შემდეგ დაიწყო ჰაერსაბერი ხელსაწყოების გაუმჯობესება, ადამიანის ძალის გამოყენება ამ საქმეში შეიცვალა ცხოველთა ძალით, ხოლო შემდეგ კი წყლის ძალით. ამან შესაძლებელი გახადა ქურაში მიეწოდებინათ ჰაერის საგრძნობლად მეტი რაოდენობა და ამით პრიმიტიულ ქურაში წვის ინტენსიურობის გაზრდის მეშვეობით მიეღოთ უფრო მაღალი ტემპერატურა. ასეთ ქურაში ტემპერატურის აწევამ საგრძნობლად გააუმჯობესა ლითონის ხარისხი. რკინის მადნის ნატეხები, გავარვარებულ ნახშირბადთან შეხე-

ბით თანდათან იწყებენ აღდგენას (გაჟანგვას) და წარმოიშვებოდა ღრუბლოვანი რკინა. რკინის მადნის ის ნაწილი, რომლის აღდგენაც ამ პერიოდის განმავლობაში ვერ მთავრდებოდა, თხიერ მდგომარეობაში გადადიოდა რკინოვან წიდაში. წიდაში იხსნებოდა ფუჭი ქანის საგრძნობი რაოდენობა და მას საგრძნობლად უშვებდნენ გარეთ.

ამგვარად, ასეთ ქურაში რკინის მიღებას თან ახლდა, ერთის მხრივ—რკინის მადანში მყოფი რკინის ჟანგეულების აღდგენის პროცესი და მეორეს — მხრივ — აღდგენილ ლითონში ნახშირბადის გადასვლის დაჟანგვის პროცესი. ხალიბები რკინის მისაღებად, უეჭველია, იყენებდნენ პირდაპირ აღდგენის უძველეს ხერხებს. აღვილად დასაშვებია, რომ ძველი მეტალურგები ხარისხოვანი ფოლადის მისაღებად იყენებდნენ აგრეთვე მანგანუმს, რომელიც საქართველოში დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა და რომელიც საშუალებას იძლევა მაღალხარისხოვანი ფოლადის მიღებისათვის.

ბერძენთა ისტორიკოსი ქსენოფონტე მოგვითხრობს, ხალიბები მიწათმოქმედებას ნაკლებად მისდევენ და მათი უმეტესობა საარსებო საშუალებებს პოულობს რკინის მადნის დამუშავებითო.

ფსევდო-არისტოტელი ამტკიცებს ხალიბური რკინა განსაკუთრებული ხარისხით იმიტომ განირჩეოდა, რომ მათი წარმოება რაღაც განსაკუთრებული საშუალებით იცოდნენო.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური გათხრების მონაცემებით მტკიცდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეტალურგიას ქართველი ხალხის ისტორიაში. უძველესი გადმოცემები, მეტალურგიულ ხელოვნების გამოგონებას ქართველ ტომებს აკუთვნებენ.

ბერძნულ-რომაული ლიტერატურა რკინისა და ფოლადის დამუშავების ხელოვნების აღმოჩენას [illegible] მავლობისათვის გადაცემას — [illegible] ბენ ქართველ ტომებს, რომლებიც გამოჩენილ მეტალურგებად ითვლებოდნენ და თავიანთი ნაწარმოები გაჰქონდათ შორეულ ქვეყნებში. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, რკინა პირველად აღმოჩენილი იყო კავკასიაში, და კაცობრიობას რკინის დამუშავების ხელოვნება უნდა შეეთვისებინა კავკასიიდან.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით, საქართველო წარმოადგენდა ლითონის მოპოების და დამუშავების უძველეს კერას. ქართველ ტომებში მეტალურგიის დამოუკიდებელი განვითარების ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთად ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს ის მოსაზრება, რომ ქართულ ენაში არ არის კალის გარდა არც-ერთი დასახელება ლითონისა, რომელიც ნასესხები იყოს სხვა ენებიდან. ოქრო, ვერცხლი, თითბერი, სპილენძი, ტყვია, რკინა—ძირეული ქართული სიტყვებია. ჯერ კიდევ კაცობრიობის განვითარების ისტორიის გარიჟრაჟზე, ქართველმა ტომებმა შეასრულეს უდიდესი როლი მეტალურგიის განვითარების საქმეში. მსოფლიო ისტორიაში ისინი იყვნენ ამ საქმის პიონერები.

ის მდგომარეობა, რომ საქართველოში წარმოების მეტალურგიული დარგი, კერძოდ კი რკინის გამოდნობა იყო ფართოდ განვითარებული, მტკიცდება არა მარტო წერილობითი საბუთების დიდი რაოდენობით, არამედ წარსულის მრავალი უტყვი მოწმეებითაც, უძველესი სამთო გამონამუშევრებით და წიდების გროვებით. მრავალი ასეთი ძეგლები წარსულისა საქართველოში აღმოჩენილი იყო მკვლევართა მიერ. საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გაფანტულია მრავალი უკვე ჩამონგრეული მიწის ქვეშა გამონამუშავრები, რომელთა გარშე-

მოც იპოვება წიდების დიდი რაოდენობა. ეს ძველი გამონამუშავრები აღნუსხულია როგორც ჩათახის, მადნისწყაროს, მადნის-სერის, ფახრალოს რაიონებში, ასევე რაჭაში (წედისის საბადო სოფ. წედისის ახლოს და სარკინეთის რკინის საბადო მდინარე ჯეჯორის და ქვედრულას ხეობებში), სვანეთში შხიბარად (ე. ი. წიდების ადგილად) წოდებულ მიდამოებში და სხვა ადგილებში.

ლითონის წარმოების საქართველოს უძველესი ცენტრები, ძირითადად განლაგებული იყვნენ: ჭოროხის აუზში, ძველი შავშეთის, ტაო-კლარჯეთის საზღვრებში და აგრეთვე დღევანდელი გურიის ტერიტორიაზე. სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში, ძველი იბერიის სამხრეთ ოლქებში, სადაც მეტალურგიული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბორჩალოს და ალავერდის რაიონების ტერიტორია; ჩრდილოეთ პროვინციებში — დიდი კავკასიონის მთიანი ადგილები — აფხაზეთის, სვანეთის, იმერეთის და რაჭის საზღვრებში. საქართველოს სამხრეთ ზონაში მცირე კავკასიის მთაგრეხილის მიდამოებში. განლაგებული მეტალურგიული მრეწველობის ცენტრები, მეტალურგიის განვითარებისა და აღორძინების საქმეში ასრულებდნენ გადამწყვეტ როლს ანტიური ეპოქის მთელი ისტორიული ეტაპის განმავლობაში.

ლითონების წარმოების ფართოდ განვითარების დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენდნენ იმერეთში, სამეგრელოსა და სხვა ადგილებში დღევანდლამდის შემორჩენილი დიდი რაოდენობის რკინის წიდები. ბოლნისის რაიონში ჩათახის რკინის საბადოს მიდამოებში მოიპოვება მრავალი უძველესი მაღაროები. ამ მაღაროების ძველად დამუშავების სიდიდისა და ხანგრძლივობის შესახებ შეიძლება ეიმსჯელოთ ზედაპირზე ნაპოვნი წიდებისა და ნაყარის დიდი გროვების მიხედვით, რომლებიც, გაბატონებული არიან ამ რაიონში რამდენიმე ათეულ კილომეტრზე

საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მრეწველობის მეტალურგიულ დარგს საქართველოში ჰქონია არა დროებითი და შემთხვევითი ხასიათი, არამედ წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკის ორგანიულ ნაწილს. ლითონების წარმოებისა და კერძოდ რკინის წარმოების მაღალი განვითარება, აკავშირებდა ძველ საქართველოს გარე ქვეყნებთან და ამ საფუძველზე სწარმოებდა ინტენსიური ვაჭრობა ანტიკური ეპოქის კულტურულ სახელმწიფოებთან. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტია, რომელიც გვიჩვენებს ძველ საქართველოში რკინის წარმოების შედარებით ფართო მასშტაბს.

ცნობილია, რომ მადნის ბუდობების რაოდენობა და მარაგი განსაზღვრავს როგორც მეტალურგიული მრეწველობის ჩასახვასა და განვითარებას, ისევე მოცულობას და სასაქონლო პრუდუქციის რაოდენობას.

ისმება საკითხი, რომელ რკინის საბადოებს ემყარებოდა ძველი საქართველოს მეტალურგია?

ამჟამად საქართველოში ცნობილია რკინის მადნის მრავალი საბადო. ამ საბადოების მადნებში რკინა გვხვდება მაგნეტიტის, რკინის კრიალას და წითელი რკინა-ქვის სახით. გეოლოგიურად ეს საბადოები ჯერ კიდევ არა საკმარისადაა შესწავლილი, ხოლო ზოგიერთ საბადოს შესახებ ძალიან მცირე გეოლოგიური ცნობები მოგვეპოვება.

ამათთაგან ყველაზე მეტად ცნობილია შემდეგი საბადოები:

1. სანჭარის მაგნიტური რკინის საბადო, რომელიც განლაგებულია აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, კავკასიონის მთავარი ქედის სანჭარის ულელტეხილის რაიონში, ზღვის დონიდან

2550 მეტრ სიმაღლეზე. საბადო ნაკლებადაა შესწავლილი. ლითონური რკინის შეცულობა მადანში შეადგენს 68,2 პროცენტს.

2. ვაკიჯვრის მაგნეტური რკინის საბადო, რომელიც განლაგებულია სოფ. ვაკიჯვრის ახლოს. ეს საბადო ღირსშესანიშნავია იმ თვალსაზრისით, რომ მოსალოდნელია მასში ვანადიუმისა და სხვა იშვიათი ელემენტების არსებობა.

3. ძამის მაგნეტური რკინის საბადო, რომელიც განლაგებულია მდ. ძამის მარჯვენა შესართავის სათავესთან, სად. ქარელიდან 27 კ. დაშორებით. საბადოს პირიტიზებული ფენიდან აღებული მადნის ნიმუშები შეიცავს რკინის 42,6 პროცენტს. საბადო მოითხოვს შემდგომ შესწავლას.

4. ჯუნჯლარის (მარელისის) მაგნიტური რკინის საბადო განლაგებულია ა/კ რკინიგზის სად. მარელისის მახლობლად. ამ საბადოს მადანი მასიურია, მძიმეა და ძლიერ მაგნიტური. რკინის შეცულობა აღწევს 68 პროცენტამდე. საბადო არაა საკმარისად შესწავლილი.

5. მაგნიტური ქვიშების შავი ზღვის სანაპიროს საბადო, რომელიც განლაგებულია ზოგიერთი არა დიდი წყვეტილებით ზღვის პირა ზოლში ბათუმიდან გაგრამდე, სიგრძით 250 კილომეტრამდე. ამ საბადოს ცოტად თუ ბევრად სერიოზული გამოკვლევა და ძიება დაიწყო 1897 წ, როდესაც ამით დაინტერესდა „დონეცკო-იურევსკის“ მეტალურგიული საზოგადოება. 1924—25 წელს აღნიშნული საბადო საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ფერო-მარგანეცის კომისიის ყურადღების საგანს წარმოადგენდა. მთელ ძიების ფართობზე, რკინის შემადგენლობა კონცენტრატში შეადგენდა 53—55 პროცენტს, სუფსა-ნატანების უბანის სილებში მაგნეტიტის შემადგენლობა 5—6 მეტრის სიღრმეზე საშუალოდ შეადგენს 2 პროცენტს. ამჟამად სუფსა-ნატანების [illegible] საბადოს მაგნეტური სილები [illegible] ნავთის მრეწველობაში თიხოვან გამხსნელების დასამძიმებლად.

6. თიანეთის რკინის კრიალას საბადო, რომელიც განლაგებულია მდ. ალაზნის ზემო წელის მარჯვენა ნაპირზე სოფ. ზემო-პანკისის აგარაკის მიდამოებში, მთა კარდაბულას ჩრდილოეთ ფერდზე. საბადო არაა შესწავლილი.

7. სოშების რკინის კრიალას საბადო. ეს საბადო განლაგებულია მდ. ძირულის მარცხენა ნაპირზე სოფ. სოშების მიდამოებში, ა/კ რკინიგზის სად. ძირულიდან 5—6 კმ. დაშორებით.

8. წედისისა და ჩასავალის რკინის კრიალას საბადო განლაგებულია რაჭაში, პირველი მდ. ჯოჯორის მარჯვენა ნაპირზე წედისის ჩრდილო დასავლეთით, მთა ქვაწითელის ციცაბო ფერდზე, მეორე კი იმავე მდინარის მარცხენა ნაპირზე სოფ. ჩასავალის სამხრეთით. წედისის დამუშავება, როგორც სჩანს, უძველესი დროიდანვე სწარმოებდა, რაც დასტურდება ამ რაიონში არსებული ძველი სამთო გამონამუშევრებით. ამ საბადოს ხასიათისა და მისი გეოლოგიური პირობების შესახებ მეტად უმნიშვნელო ცნობები მოგვეპოვება.

9. ძირულის რაიონის წითელი რკინა-ქვის საბადო; აღნიშნულ რაიონის ფარგლებში, სოფ. შროშის, წევის, წინლავაკე-სანახშირეს, საჭვინის, უბისის, ვერტყვილის-ჭალის, კაცხის, და სხვა სოფლების მიდამოებში გვხვდება ბუნდოვანი და ლინზური სახეობის თავმოყრა წითელი რკინა-ქვისა. მადანში რკინის საშუალო შეცულობა 30 პროცენტს უდრის. ძირულის რაიონის წითელი რკინა-ქვის საბადო ყურადღების ღირსია, იგი შემდგომს დაწვრილებითს შესწავლას საჭიროებს.

10. მადნის-სერის მურარკინის ქვის

საბადო განლაგებულია თბილისის რაიონში, სოფ. ბოგვიდან 6—7 კმ. დაშორებით ჩრდილო დასავლეთით, მადნის-სერის მთაზე, ცივარეშის-ხევის მარჯვენა ნაპირზე. აქ მურა რკინაქვის მადანი ბუდეებადაა განლაგებული და თან ახლავს მარგანეცი.

აღნიშნული საბადოების გარდა საქართველოში ცნობილია კიდევ რკინის მადნის დაახლოებით 100-მდე საბადო. რკინის მადნის მეტი წილი ბუდობები დღემდე ცუდადაა შესწავლილი. გამოკვლეული მარაგი თანამედროვე მეტალურგიული ქარხნისათვის წარმოადგენს უმნიშვნელო რაოდენობას.

ყველაზე მეტი ყურადღების ღირსია ჩათახის რკინის საბადო. რკინის კრიალას ჩათახის საბადო განლაგებულია 75 კმ. დაშორებით თბილისიდან და 12 კმ. მანძილზე რაიონულ ცენტრ ბოლნისიდან, მდ. ფოლადაურისა და ლოქის წყლის შესართავთან. ეს საბადო ძველთაგანვე ცნობილია, როგორც რკინის მადნის რაიონი. ჩათახის რაიონის ფარგლებში შეიძლება დასახელებული იქნას 30-დე ცალკეული უბნები, სადაც რკინის მადნები გვხვდება. ამ რაიონებში მრავალ ადგილას ნაპოვნია რკინის წიდები და აგრეთვე ძველი პრიმიტული მადან-საღნობი ღუმელები.

ადრინდელი ცნობები აღმოსავლეთ საქართველოში ჩათახის საბადოს ბაზაზე რკინის წარმოების შესახებ მოცემულია ცნობილ ქართველ გეოგრაფ ვახუშტის შრომაში.

თანახმად ვახუშტის მონაცემებისა მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში სარკინეთის მიდამოებში, სწარმოებდა რკინის მადნის მოპოვება და რკინის გამოდნობა. ერეკლე II მეფობის პერიოდში მიღებული იყო გადამწყვეტი ზომები საქართველოში სამთო-მეტალურგიული მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

1795 წელს აღა-მაჰმადხანის გამანადგურებელი შემოსევის შედეგად ჩათახის რაიონში შესწყვეტილ იქნა რკინის წარმოება. 12 წლის შემდეგ ფოლადაურის რაიონში აღდგენილ იქნა რკინის წარმოება. ქარხანა იძლეოდა სულ 300 ფუთ რკინას წელიწადში. ამის შემდეგ მალე აქ მადნის ამოღება და რკინის გამოდნობაც მთლიანად შესწყდა.

აკადემიკოს აბიხის ცნობით, ამ რაიონის რკინის საბადოს დამუშავების საკითხი აღძრული ყოფილა კავკასიის სამთო ნაწილის მმართველი ივანიცკის მიერ და 1860 წ. გაცემული იქნა თუჯის სადნობ ქარხნის აშენების კონცესია. ქარხანა ამუშავდა 1862 წლის დეკემბერში. ქარხანა ხან გამოშვებით მუშაობდა 1875 წლამდე, როდესაც საბოლოოდ გაჩერდა სათბობის ნაკლოვანებებისა და მეწარმეთა საშუალების შემცირების გამო.

ერთადერთი ჩათახის ბრძმედი, ორცვლიან 12 საათიანი სამუშაო დღის მუშაობის პირობებში, წლიურად იძლეოდა 65 ათას ფუთ თუჯს, ნაცვლად გათვალისწინებული 150 ათასი ფუთისა. შემდგომში ჩათახში აგებული იქნა მეორე ბრძმედი. იმის გამო, რომ რკინაზე უფრო დიდი მოთხოვნილება არსებობდა, ვინემ თუჯზე, წამოიჭრა ფოლადისა და რკინის მწარმოებელ ქარხნების მოწყობის საჭიროება.

ჩათახის მეტალურგიული ქარხანა გაანგარიშებული იყო, როგორც ქარხანა მთლიანი მეტალურგიული ციკლით. თუჯის ფოლადად გადასაკეთებლად გამოყენებული იყო „პუდლინგ-პროცესი". 1863 წელს ქარხნის მიერ 77 ათას ფუთ მადნიდან გამოდნობილი იყო 30 ათასი ფუთი თუჯი.

ჩათახის ლითონი უმთავრესად იგზავნებოდა ქალაქ თბილისის ქარხნებისათვის. თბილისში 26 კომისრის სა-

ხელობის ბაღის თუჯის ღობე ჩამოსხმულია ჩათახის თუჯიდან.

აკადემიკოსი აბიხი 1858 წელში საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ჩათახის რაიონის მადნის გამოვლინებას და ახასიათებს მას, როგორც მაღალი ხარისხის რკინის კრიალა-ქვის შემცველ ბუდობს, რომელიც წარმოადგენს არა თანაბრად განლაგებულ ქერცლოვან გამადნების დიდ მერიდიანალურ ზონას. ამის შემდეგ სხვადასხვა დროს, რკინის მადანის ჩათახის საბადოს ათვალიერებენ მრავალი გეოლოგები და კომისიები, რომლებიც ყოველგვარ სერიოზულ გეოლოგიურ სამუშაოთა ჩატარების გარეშე აღწერდნენ საბადოს და იძლეოდნენ სხვადასხვა დასკვნებს. მრავალი იმათგანი ქებას ასხამდა მას, როგორც მაღალხარისხოვანი რკინის მადნის მდიდარ საბადოს.

ჩათახის საბადოს მესამედ დამუშავება დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ქარხანა ამუშავებულ იქნა 1923 წელს და მუშაობდა 1927 წლამდე.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა, სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის დამთავრებისთანავე, შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენას. სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში თუჯის წარმოება მკვეთრად დაეცა მთელ რესპუბლიკაში, ხოლო მის სამხრეთ რაიონებში (დონეცის აუზში) მთლიანად შეწყდა. სამხრეთის მრავალი ბრძმედებიდან მუშაობდა მხოლოდ მცირე მოცულობის ბრძმედი ენაკიევოში და ისიც როგორც ღუმელ-გენერატორი.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას სჭიროდა ლითონი განახლებული მრეწველობისათვის, ტრანსპორტისათვის და მშენებლობისათვის. თუჯის ასეთივე მწვავე მოთხოვნილება იყო ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებშიაც, განსაკუთრებით კი ბაქოში. შექმნილ პირობებში ლითონის მიღება შეუძლებელი [illegible] სხვა ქარხნებიდან. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა საქართველოში თუჯის წარმოების გამოდნობის განახლება. ამ მიზნისათვის დაიწყო, XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში გაჩერებული, ჩათახის თუჯის გამომდნობ ძველი ქარხნის აღდგენა.

ნედლეულის ძირითად ბაზას თუჯის გამომდნობ ქარხნისათვის წარმოადგენდა ჩათახის ბუდობის სარკინეთის უბანი, რომლის ექსპლოატაციის დროს 3 წლის განმავლობაში ამოღებული იქნა 12 ათასი ტონა მადანი, რკინის საშუალო 48 პროცენტის შეცულობით.

ქარხანასთან ეს უბანი შეერთებული იყო ვიწრო ლიანდაგიანი 7 კმ. სიგრძის რკინიგზით. მიწის ქვეშა სამუშაოები შესდგებოდა სამი გვირაბისაგან და მთელი რიგი შტრეკების რთული სისტემისაგან.

ამას გარდა რკინის ამოღება სწარმოებდა ღია სამუშაოებითაც. ამ უბანზე საექსპლოატაციოდ, ძველადვე გახსნილი პირველი დიდი კარიერის გარდა, გახსნილი იქნა მეორე კარიერიც.

კირქვებს ღებულობდნენ მთებში განლაგებული კარიერებიდან, რომელთა დამუშავებაც სწარმოებდა ყოველგვარი მექანიზაციის გარეშე (ხელით ბურღვითა და აფეთქებით). კირქვები თავიანთი შემადგენლობით საშუალო და საშუალოზე მაღალი ხარისხისა იყო. კარიერები ქარხნიდან დაშორებული იყო 8-10 კმ. და კირქვის ჩამოტანა სწარმოებდა ურმებით.

აქვე იყო ადგილობრივი საყალიბე სილები და ცეცხლგამძლე თიხები, რომელთა მოთხოვნილებაც უმნიშვნელო იყო.

ბრძმედებისათვის საჭირო სათბობს იძლეოდა ხის ნახშირი, რომლის გამოწვაც სწარმოებდა უშუალოდ ქარხნისათვის გამოყოფილ 20—30 ათასი ქცევა ტყის უბნებიდან.

ნახშირის გამოწვა სწარმოებდა პრიმიტიული-გროვების სახით. ქარხანას ნახშირს აწვდიდნენ საპალნეებით, აქლემებისა და ვირების საშუალებით, აგრეთვე ურმებით. ნახშირის გამოწვისათვის იყენებდნენ შემდეგ ჯიშებს: წიფელას, რცხილას, იშვიათად ცაცხვს და მუხას.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ქარხანა აღდგენილი იყო თითქმის ყოველგვარი რეკონსტრუქციის ჩატარების გარეშე. ქარხნის შემადგენლობაში შედიოდა: 1. ძველი ტიპის აგურების გარცმიანი კვადრატული სახის ორი ბრძმედი, თვითეული 50 კუბ. მტ. ტევადობისა. რეკონსტრუქცია განიცადა მხოლოდ ბრძმედყელმა, ჰაერის მილგაყვანილობამ, ჩამტვირთავმა მოწყობილობამ. აგებული იქნა მილოვანი ჰაერის გასათბობი მოწყობილობა, რაც ბრძმედებში მხოლოდ სუსტად გახურებული ჰაერის მიწოდების საშუალებას იძლეოდა (დაახლოებით ჰაერი თბებოდა 200—250 გრადუსამდე). 2. სასხმულო ეზო თუჯის ჩამოსასხმელად, 3. ჰიდრო ტურბინიანი ჰაერმბერავები, 4. თუჯის სასხმო საამქრო, სადაც ისხმებოდა მილები, წყალსადენის არმატურა და ჭედადი თუჯისაგან კი წყალსადენისათვის საჭირო ფიტინგები და სხვა საგნები. 5. ორი მბრუნავ ხერხიანი ხეტყის სახერხი საამქრო. 6. ქიმიური ლაბორატორია. 7. მექანიკური სახელოსნო, სამჭედლო, ხის დამამუშავებელი და საყალიბო საამქროები. 8. საცხოვრებელი დაბა ცალკეული სასტუმრო, სამინისტრატიული სახლი და სხვ.

ჩათახის ქარხანა უშვებდა: სასხმო და გადასამუშავებელ თუჯს, თუჯის მილებს და მათ ფასონურ ნაწილებს, სამეურნეო სხმულებს, სამანქანო სხმულებს და ჭედად თუჯისაგან ფიტინგებს.

თუჯის მომხმარებლები იყვნენ: საქართველოს ყველა ქარხანა, ა/კავკასიის რკინიგზა, ბაქოს ზოგიერთი ქარხნები და ქალაქ თბილისის კომუნალური განყოფილება.

გარდა ამისა თუჯს ღებულობდა სტალინგრადის ქარხანა „კრასნი ოქტიაბრი" და კრამატორსკის ქარხანა. დღეღამეში თუჯის გამოდნობა აღწევდა 400—500 ფუთამდე.

ქარხნის მშენებლობა და ექსპლოატაცია გამოწვეული იყო იმ დროის სიტუაციით; საქართველოში თუჯი არ მოიპოებოდა, შემოტანაც არ ხერხდებოდა, რადგან სამხრეთ რუსეთში გაჩერებული იყო თითქმის ყველა ქარხანა. ასეთ ვითარებაში საქართველოში თუჯის გამოდნობა, მისი მცირე რაოდენობისა და დიდ ხარჯების პირობებში, გამართლებული იყო არა ეკონომიურად, არამედ თუჯზე დიდი მოთხოვნილებით.

საბჭოთა კავშირის მექანიზირებული, მძლავრი ბრძმედების ამუშავების შემდეგ, ჩათახის პრიმიტიული მცირე სიმძლავრის ქარხნის მოქმედება შეწყვეტილი იქნა, მისი ეკონომიურად გაუმართლებლობის გამო.

ამ პერიოდში დაისვა საკითხი ჩათახის რკინის მადნის ბუდობის მთლიანად შესწავლისა.

ჩათახის რაიონის რკინის მადნების საბადო არც ამჟამადაა შესწავლილი; ამ რაიონის საძიებო სამუშაოები, როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩატარებული იყო შეზღუდულ ფარგლებში, ზერელე ძიება შეეხო მხოლოდ ზოგიერთ რაიონებს, ხოლო მთელი რიგი რაიონები, მათ შორის შედარებით მნიშვნელოვან კოშევსკის ტყის რაიონიც დარჩენილია სრულიად შეუსწავლელი.

ჩათახის საბადოს შემსწავლელი გეოლოგების უმეტესობა მას სთვლიან პერსპექტიულად. მაგრამ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები ჯერ კიდევ არ იძლევიან იმის მტკიცე მაჩვენებლებს, რომ საბადო ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად თანამედროვე მეტალურგიული ქარხნის მოთხოვნილებისა.

საქართველოს ოდესღაც მძლავრი მოწინავე მეტალურგიული წარმოება მე-19 საუკუნიდან იწყებს თანდათან დაცემას, წარმოების მთლიანად შეწყვეტამდე. მეტალურგიული მრეწველობით განთქმული უძველესი ქვეყანა, შავი მეტალურგიის ისტორიის პიონერი ხალხი, რომელსაც მეტალურგიის განვითარების პირველ საფეხურზე დიდი მიღწევები ჰქონდა, მტერთა განუწყვეტელი შემოსევების შედეგად ჩამოყენებულ იქნა სამეურნეო განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე. დიდ რუს ხალხთან მჭიდრო კავშირმა და ძმობამ ხელახლა მისცა ქართველ ხალხს ახალი ძალა შემოქმედებითი მუშაობისათვის. მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა არ იძლეოდა ამ ძალების გაშლის საშუალებას. საქართველოსა და ამიერ კავკასიაში მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატისტების ბატონობის პერიოდი იყო სამეურნეო გაყინვისა და დეგრადაციის პერიოდი. ამიტომ გასაგებია, რომ იმ დროს შავი მეტალურგიის განვითარების შესახებ ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე რუსეთი ინდუსტრიის მხრივ ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. ცარიზმს არ შეეძლო ქვეყნის ბუნების წიაღში მყოფი სიმდიდრის გამოყენება. მსოფლიო მრეწველობის პროდუქციაში რუსეთის წილი გამოიხატებოდა უმნიშვნელო ციფრით — 2,6%.

თუ რევოლუციამდე მეფის რუსეთი ინდუსტრიის მხრივ საგრძნობლად ჩამორჩებოდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს, საქართველო, რომელიც კოლონიურ ჩაგვრას განიცდიდა, ძლიერ ჩამორჩებოდა რუსეთსაც კი.

1913 წელს საქართველოში მექანიკური ძრავების სიმძლავრე ერთ სულ მცხოვრებზე მოდიოდა ათჯერ უფრო ნაკლები, ვინემ მეფის რუსეთში, ხოლო მეტალურგიული, სამანქანათმშენებლო და ქიმიური მრეწველობის დარგები საქართველოში სრულიადაც არ არსებობდა.

ბოლშევიკური პარტიის გარშემო დარაზმულმა მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოკლე ხნის მანძილზე შესძლო რუსეთის საუკუნებრივი ჩამორჩენილობის მოსპობა; მან გაათავისუფლა ქართველი ხალხიც სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან და გზა გაუხსნა მას ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებისაკენ.

შავი მეტალურგია—ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთერთი ძირითადი და

მნიშვნელოვანი დარგია, ის მძიმე ინდუსტრიის საფუძველია. ლითონის წარმოების რაოდენობა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის და მისი თავდაცვითი სიძლიერის ნათელი მაჩვენებელია. ამიტომაც სოციალისტური მრეწველობის ყველა ეტაპზე შავი მეტალურგიის განვითარება იმყოფებოდა პარტიის უშუალო ყურადღების ქვეშ.

მე-13 პარტყრილობის (1924 წ.) რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „სახელმწიფო მრეწველობის განვითარების საქმეში მომავალი პერიოდის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მეტალურგიის აღმავლობა". მე-16 პარტყრილობაზე (1930 წ.) ამხანაგმა სტალინმა განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა მეტალურგიის განვითარების ჩქარი ტემპების საჭიროებას, მიუთითა, რომ „მეტალურგიის განვითარების ტემპების შემდგომი მომატების გარეშე ჩვენ რისკს ვეწევით ჩვენი სამრეწველო წარმოების ბედი საფრთხის ქვეშ დავაყენოთ-ო".

1946 წლის 9 თებერვალს ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინა საარჩევნო კრებაზე თავის ისტორიულ გამოსვლაში ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა ჩვენი მძიმე მრეწველობის უდიდესი მნიშვნელობა ფაშისტ დამპყრობთა განადგურების საქმეში და საბჭოთა ხალხის წინაშე დააყენა ახალი ამოცანები. „ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას,—ამბობდა ამხანაგი სტალინი,—რომ ჩვენმა მრეწველობამ შესძლოს ყოველწლიურად აწარმოოს 50 მილიონამდე ტონა თუჯი, 60 მილიონამდე ფოლადი. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გარანტირებული იქნება ყოველგვარ შემთხვევითობისაგან".

მე-18 პარტყრილობის რეზოლუციაში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მთელი სიძლიერით ასის აღნიშნული ნედლეულისა და სათბობის წყაროებთან მრეწველობის შემდგომი მოახლოების აუცილებლობა.

მრეწველობის თანაბარი განლაგება ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში, სადაც შექმნილია საჭირო ეკონომიური პირობები, გაათავისუფლებს, ჩვენს სახალხო მეურნეობას არარაციონალურ დიდ მანძილზე ტვირთების გადაზიდვისაგან და უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის ეკონომიურად ჩამორჩენილ რაიონების შემდგომ აღმავლობას.

მე-18 პარტიული ყრილობის დირექტივას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შავი მეტალურგიის ქარხნების განლაგებისათვის, ვინაიდან ნედლეულისა და სათბობის ხარჯვის კოეფიციენტი მეტალურგიულ მრეწველობაში განსაკუთრებით მაღალია (ერთი ტონა მზა პროდუქტზე მოდის დაახლოებით ხუთი ტონა ნედლეული). ნედლეულისა და სათბობის მაღალი ხვედრითი ხარჯვა და მეტალურგიული პროდუქციის შედარებით სიიაფე იწვევს იმას, რომ პროდუქციის ღირებულებაში სატრანსპორტო ხარჯები მაღალ პროცენტს შეადგენს. ამიტომ ყველა ახალ მეტალურგიულ რაიონს უნდა ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი სატრანსპორტო მახასიათებელი.

საქართველოში შავი მეტალურგიის შექმნის საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე დაისვა, მაგრამ ნედლეულისა და სათბობის წყაროების სათანადოდ შეუსწავლელობის გამო საკითხი მხოლოდ იმის შემდეგ გადაწყდა, როდესაც ნედლეულისა და სათბობის ბუდობები შესწავლილი იქნა და შესაძლებელი გახდა მათი მარაგის საბოლოო დადგენა. შავი მეტალურგიის განვითარების

დასაწყისად საქართველოში უნდა ჩაითვალოს ის მომენტი, როცა, შეიქმნა ზესტაფონის ფეროშენადნობის მძლავრი ქარხანა.

როგორც ცნობილია, მაღალხარისხოვანი ფოლადების დასამზადებლად საჭიროა მანგანუმის, სილიციუმის, ქრომის, მოლიბდენის, ვოლფრამისა და სხვა ლითონების ფეროშენადნობები. ეს ლითონები მკვეთრად ცვლიან ფოლადის თვისებებს: ზოგი მათგანი ფოლადს ხდის ცეცხლგამძლედ და უჟანგავად, მაგნიტურად, მყავგამძლედ, მეორენი ფოლადს აძლევენ სიმაგრეს, სიხისტეს, დრეკადობას და სხვა მექანიკურ თვისებებს. როგორც მხატვარი რამდენიმე საღებავისაგან ჰქმნის საუცხოო სურათს ან კომპოზიტორი რამდენიმე ჰანგისაგან მშვენიერ მელოდიებს, ასევე თანამედროვე მეტალურგებიც რამდენიმე ფეროშენადნობის საშუალებით ჰქმნიან უამრავ სპეციალურ ფოლადს მრავალფეროვანი ქიმიური და ფიზიკური თვისებებით.

ძველ რუსეთში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ფეროშენადნობის მრეწველობა ჩვენს ქვეყანაში არ არსებობდა, სპეციალური ფოლადები და ფეროშენადნობები სხვა ქვეყნებიდან შემოგვქონდა.

ფეროშენადნობისა და ხარისხოვანი მეტალურგიის შექმნის ინიციატორი საქართველოში იყო ნიჭიერი მეცნიერი, პირველი ინჟინერი-მეტალურგი გიორგი ნიკოლაძე, რომელმაც შესანიშნავად დააგვირგვინა ნახევრად საწარმოო ცდები ფერომანგანუმის მიღებისა ელექტრო-ღუმელში და მოამზადა სათანადო კადრები ზესტაფონის ქარხნისათვის.

1930 წ. ნახევრად საწარმოო ელექტრო-ღუმელში რომელიც თბილისში პროფესორ გ. ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით იქნა აგებული, პირველად საბჭოთა კავშირში საწარმოო მასშტაბით გამოადნეს ფეროშენადნობები. თბილისის საცდელი ქარხანა წარმოადგენს პიონერს ჩვენს ქვეყანაში ხარისხოვანი მეტალურგიის შექმნისა და განვითარების საქმეში.

საქართველოში ფეროშენადნობის მრეწველობა შეიქმნა იმ მდიდარი ბუნებრივი სიმდიდრეების საფუძველზე, როგორიცაა ჭიათურის მარგანეცის ბუდობი, ჰიდროენერგეტიკული რესურსების დიდი მარაგი, რომელსაც შეიცავენ ჩვენი მდინარეები, პირველი კლასის საზღვაო ნავთსადგურების სიახლოვე და რკინიგზების ფართო ქსელი, რაც ამ მრეწველობას ხელსაყრელ პირობებს უქმნის შემდგომი განვითარებისათვის.

1931 წ. თებერვალში დაიწყო ზესტაფონის ქარხნის მშენებლობა. პირველი ორი ღუმელის მონტაჟი დამთავრდა 1933 წლის მე-4 კვარტალში. პირველი ღუმელი ჩართეს 29 ოქტომბერს და პირველი ლითონი გამოშვებული იყო 1933 წ. 1 ნოემბერს.

მუშების, ინჟინრების, და ტექნიკოსების დაუღალავ მუშაობის შედეგად ზესტაფონის ქარხნის ნაწარმი იზრდებოდა ყოველწლიურად, ხარისხი უკეთესდებოდა და, რაც მთავარია, ფართოვდებოდა პროდუქციის ასორტიმენტი ახალ ფეროშენადნობთა სახით, როგორიც არის, მაგალითად, ფეროსილიციუმი და სილიკომანგანიუმი.

1936 წ. საბჭოთა კავშირში პირველად დაიწყო ზესტაფონის ქარხანაში ფერო-მოლიბდენის ღუმელგარეშე სილიკო-თერმიული ხერხით საწარმოო გამოდნობა. აგრეთვე დაიწყო ლითონური მანგანუმის გამოდნობა ალუმოთერმიული ხერხით.

1937 წ. განმავლობაში გრძელდებოდა ფერო-მანგანუმის გამოდნობის შემცირება და ფერო-სილიციუმის და სხვა შენადნობების გამოდნობის ზრდა.

ამ პერიოდიდან ფერო-მანგანუმის ქარხანა ხდება ფერო-შენადნობის ქარხანად.

სამამულო ომის წლები უნდა ჩაითვალოს ქარხნის მუშაობის საუკეთესო წლებად.

1946 წ. ქარხნის მუშაობის საყურადღებო ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ორიგინალური მეთოდი ელექტრო-ღუმელში ფერო-მანგანუმის გამოდნობა უმდნობოდ (ე. ი. კირქვის გამოყენების გარეშე). ამ ხერხით მიღებული მანგანუმის მდიდარ წიდას იყენებენ მანგანუმის სხვა შენადნობების მისაღებად. ფერო-შენადნობის უმდნობოდ მიღება არის სრულიად ახალი მეთოდი ფერო-შენადნობის წარმოების ტექნიკაში.

ამ მეთოდის ავტორები არიან ინჟინრები: ი. ს. ლორთქიფანიძე, ჩიკაშუა და შათირიშვილი.

ფერო-მანგანუმის წარმოებისათვის ძირითად ნედლეულს წარმოადგენს მარგანეცის მადანი. საქართველოს ტერიტორიაზე ამ მადნის საუკეთესო საბადო მდებარეობს ჭიათურის რაიონში. ჭიათურის მარგანეცის საბადო თავისი მარაგით, ხარისხით, ლითონის მაღალი შემცველობითა და სიიაფით განთქმულია მთელს მსოფლიოში და მას ამ მხრივ მეტოქე არა ჰყავს.

საქართველოს მარგანეცის წარმოება უძველესთაგანია მსოფლიოში; 1879 წლიდან ეს ბუდობი რეგულარულად ამარაგებს მაღალხარისხოვანი მეტალურგიული და ქიმიური მარგანეცის მადნით საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქარხნებს და დიდი ადგილი უჭირავს მსოფლიო ბაზარზე. დიდი მომავალი აქვს აგრეთვე ჩვენში ფერო-მანგანუმის შენადნობების განვითარებას. მოკლე დროის განმავლობაში საჭიროა, რომ მრეწველობის ამ დარგმა ისეთივე სახელი გაითქვას მთელ მსოფლიოში, როგორიც ჩვენმა მარგანეცმა.

მთელ საბჭოთა კავშირში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ახალი მეტალურგიული გიგანტების მშენებლობა, ამასთან დაკავშირებით სულ უფროდაუფრო იზრდება მოთხოვნილება ფერო-შენადნობებზე (განსაკუთრებით კი მარგანეცზე). ამ მხრივ დიდი პერსპექტივები იშლება მარგანეცის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირი არა მარტო წარმოადგენს მარგანეცის მთავარ მწარმოებელს, არამედ—მის ძირითად მომხმარებელსაც.

საჭიროა ჭიათურის და მეზობელი რაიონების საბადოების დეტალური ძიების ჩატარება და არსებული მადნების ყოველმხრივი შესწავლა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჭიათურის მადნის ამოღებისა და გამდიდრების დროს დანაკარგების შემცირების პრობლემას და ჯერ კიდევ გამოუყენებელი მარგანეცის მადნების წარმოებაში დანერგვის საკითხებს.

სტალინური ხუთწლედების წარმატებით შესრულებამ საქართველო გარდაქმნა ინდუსტრიულ რესპუბლიკად. საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ერთერთ საუკეთესო მაჩვენებელს წარმოადგენს ლითონების მოხმარების სწრაფი ზრდა.

სათბობისა და ნედლეულის მდიდარი წყაროების არსებობამ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მზარდმა მოთხოვნილებამ ლითონზე, სათანადო მატერიალური და ტექნიკური პირობების შექმნამ, საჭირო კადრების მომზადებამ, აუცილებელი პირობები მოამზადა საქარ-

თველოში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობისათვის.

საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1944 წ. გაზაფხულზე, ფართო მშვენიერ მოედანზე რკინიგზის სადგურ რუსთავთან, თბილისიდან 30 კილომეტრის მანძილზე. ამ ქარხანას უკვე დიდი ხანია მოუთმენლად მოელის საქართველოს მრეწველობა. აქ იქმნება მტკიცე ბაზა ჩვენში მრეწველობის სხვადასხვა ახალი დარგების და კერძოდ, ქიმიის განვითარებისათვის. ამავე დროს გადაწყდა ჩვენი ბუნებრივი მდიდარი ნედლეულის რაციონალურად გამოყენების საკითხი.

რა ნედლეულ ბაზაზე შენდება მეტალურგიული ქარხანა?

ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტებში უკვე დიდი ხანია იღებენ ქვანახშირს, ამიერიდან კი ბევრად უფრო მეტს ამოიღებენ, ათობით ახალ შახტებს და გვირაბებს გასჭრიან, ფართოდ გაიშლება მეტალურგიული-საძიებო სამუშაოები რაც უფრო გაზრდის ნახშირის მარაგს, აშენდება გამამდიდრებელი ფაბრიკები, ბევრი ნახშირია იმისათვის საჭირო, რომ რუსთავის გიგანტი დაკმაყოფილებულ იქნეს საკოქსე ქვანახშირით და თბოელექტრო სადგური ქვანახშირით. გამოკვლეული ქვანახშირის მარაგი მრავალი ათეული წლის განმავლობაში მთლიანად უზრუნველყოფს მეტალურგიულ ქარხანას.

ტყვარჩელის საბადო აღმოჩენილი იქნა გასული საუკუნის ბოლო წლებში და მდებარეობს მდინარე ღალიძგის აუზის ზედა ნაწილში, ქალ. ოჩამჩირიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 33 კილომეტრის მანძილზე, საბადოდან ნახშირის გამოზიდვა სწარმოებს საჰაეროსაბაგირო გზით სადგურ კვეზანამდე (9,8 კილომეტრია), კვეზანიდან კი რკინიგზით.

მთელ საბადოს ახასიათებს რთული რელიეფი, რაც ნაწილობრივ აძნელებს მის დამუშავებას. ტყვარჩელის ნახშირი მაღალ ხარისხოვანია და ეკუთვნის ადვილად კოქსად ქვანახშირების ჯგუფს.

ტყიბულის ქვანახშირის საბადო მდებარეობს მდინარე ტყიბულის აუზში ნაქერალას ქედის ძირში, ქუთაისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 44 კილომეტრის მანძილზე. ტყიბულის ქვანახშირი, ტყვარჩელის ქვანახშირიდან განსხვავებით, ეკუთვნის აიროვანი სახის ქვანახშირებს, დამოუკიდებლად მისგან კოქსი არ მიიღება, წარმოადგენს ენერგეტიკულ საწვავ მასალას; აგრეთვე საუცხოო მასალაა გაზიფიკაციისათვის, ქიმიური ქარხნებისათვის და საკოქსე მსუქან ნახშირთან ერთად იძლევა კარგი ხარისხის კოქსს.

ტყიბულში ამჟამად შენდება გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც მეტალურგიულ ქარხანას მოამარაგებს მაღალხარისხოვანი გამდიდრებული ქვანახშირით.

მრავალრიცხოვანმა ლაბორატორიულმა და ნახევრად საწარმოო ცდებმა, რომელიც ჩატარებული იქნა ტყვარჩელის და ტყიბულის ნახშირებიდან სტანდარტული კოქსის მიღებისათვის საუცხოო შედეგი მოგვცა. კარგი ხარისხის კოქსი მიიღება კაზმიდან, რომელიც შესდგება 60% ტყვარჩელის, და 40% ტყიბულის ქვანახშირისაგან. ტყიბულის ქვანახშირის რაოდენობის გადიდება კაზმში 50%ის ზევით შესამჩნევათ ამცირებს კოქსის ხარისხს.

დაშქესანის მთებში გეოლოგებმა საუცხოო რკინის მადნის უმდიდრეს საბადოს მიაგნეს... რუსთავის მეტალურგიული ქარხანა რომ არ ყოფილიყო, ამ მადნის გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან რამდენიმე ათასი კილომეტრის მანძილზე, ჩვენი ქვეყნის სხვა მეტალურგიულ ქარხნებ-

ში მისი გადაზიდვა ხელსაყრელი არ არის, მეტად ძვირი დაჯდებოდა. დაშქესანიდან რუსთავამდის კი მანძილი 240 კილომეტრს უდრის. გამოკვლეული მარაგი დიდი ხნით უზრუნველყოფს ქარხანას რკინის მადნით. დაშქესანის მაგნიტური რკინის მადანი მაღალხარისხოვანია, მავნე მინარევებს (ფოსფორს, გოგირდს, დარიშხანს) თითქმის არ შეიცავს და გასამდიდრებლად იოლია.

მეტალურგიული ქარხნისათვის ქვანახშირისა და რკინის მადნის გარდა საჭიროა სხვა ნედლეულიც. საქართველოში მოიძებნება მათი ბუდობებიც, რომლებიც ნედლეულით დააკმაყოფილებენ ქარხანას მრავალი ათეული წლის მანძილზე.

მეტალურგიული ქარხნის საამქროებისათვის საჭიროა მდნობი, რისთვისაც გამოყენებული იქნება სადახლოს კირქვები. იქ ამჟამად შენდება მექანიზირებული კარიერი. ეს კირქვის საბადო მდებარეობს მარნეულის რაიონში, სადგურ სადახლოდან 7 კილომეტრის მანძილზე სოფ. წოფის მახლობლად. კირქვა რკინიგზის სადგურამდე გადაზიდული იქნება საჰაერო საბაგირო გზით, სადგურიდან ქარხანამდე კი რკინიგზით. მუშებისათვის და ინჟინრებისათვის კარიერთან შენდება დაბა, რომელიც შესდგება ინდივიდიალური სახლებისაგან საკარმიდამო ნაკვეთებით. აქ იცხოვრებენ მეტალურგიული ქარხნის მთამადნელები.

მარტენის ღუმელების ფსკერის დასადუღებლად ჩვეულებრივად იხმარება მაგნეზიტი, რომელიც საბჭოთა კავშირში ურალზე მოიპოება. საქართველოში სად. აგარადან 19 კილომეტრის მანძილზე, სოფ. აბანოში, აღმოჩენილია დოლომიტის ბუდობი რომელიც საუკეთესო ნედლეულს წარმოადგენს და შეცვლის მაგნეზიტს. კარიერი მთლიანად მექანიზირებული იქნება. კარიერთან შენდება დაბა, ელექტრო-განათებით, წყალსადენით. ... მახლობლად მოიპოვება საუცხო სამკურნალო წყლები; უხსოვარ დროიდან სარგებლობდა ამ წყლით ადგილობრივი მოსახლეობა. ამ წყლის ბაზაზე აშენებული იქნება სპეციალური აბანოები.

ცეცხლგამძლე აგურების დასამზადებლად ნედლეული-ქალცედონი მიღებული იქნება აჯამეთიდან, სადაც შენდება მექანიზირებული კარიერი. აჯამეთის ქალცედონმა შესცვალა დონბასის კვარციტები, რომლის შემოზიდვა საჭირო იქნებოდა 2000 კილომეტრის მანძილიდან. ქალცედონიდან დამზადებული იქნება ცეცხლგამძლე ანური-დინასი. ცეცხლგამძლე თიხები მიღებული იქნება შროშიდან, რისგანაც დამზადდება ცეცხლგამძლე აგური-შამოტი. არსებული შროშის მაღაროები რეკონსტრუირებული იქნებოდა მთლიანად მექანიზირებული.

საყალიბე სილები მიღებული იქნება საჩხერიდან და შუქრუთიდან. ამჟამად მეტალურგიულ ქარხანაში სწარმოებს ნახევრად საწარმოო დანადგარებზე ამ სილების გამოცდა, გამდიდრებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რის შემდეგაც ისინი ფართოდ იქნებიან გამოყენებული.

ქარხანა მარგანეცს მიიღებს ჭიათურიდან, ფეროშენადნობებს ზესტაფონის ქარხნიდან, რაც ესოდენ საჭიროა ფოლადის დასამზადებლად.

ქისათიბის თეთრი მსუბუქი მაღალხარისხოვანი დიატომიტი საუკეთესო საიზოლაციო მასალაა, ის ფართოდ იქნება გამოყენებული ქარხნის სხვადასხვა დანადგარების მოსაპირკეთებლად.

ასკანის თიხოვანი მინერალები გამოყენებული იქნება სილებთან ერთად როგორც საყალიბე მასალა. ამგვარად რუსთავის მეტალურგიული ქარხანა

ყველა საჭირო ნედლეულით დაკმაყოფილებული იქნება ადგილობრივი წყაროებიდან.

რუსთავის ქარხანა თავისი მრავალრიცხოვანი საამქროებით და მაღაროებით წარმოადგენს კომბინატს სრული მეტალურგიული ციკლით. ქარხანაში მთლიანად მექანიზირებული იქნება ყველა პროცესი. სხვა ქარხნებისაგან ის გამოირჩევა თანამედროვე მძლავრი მილსაგლინავ აგრეგატების და საგლინავ საამქროს უნივერსალური შემადგენლობით.

მეტალურგიულ ქარხნის უამრავ საამქროებიდან, ხუთი მათგანი: საბრძმედე, საკოქსე, მარტენი, საგლინავი და მილსაგლინავი მთავარი საამქროებია. თითოეული მათგანი შესდგება რამდენიმე რთულ საგრძნობლად დიდი ნაგებობისაგან. აქვე მოგვყავს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საამქროების მოკლე აღწერა, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს საერთო წარმოდგენა იქონიოს ქარხანაზე.

საგლომერაციო ფაბრიკა.—ბრძმედების მაღალი მაჩვენებლების მიღწევა მხოლოდ ნედლეულის სწორი მომზადების საშუალებით არის შესაძლებელი. ნედლეულის მომზადებაში გულისხმობენ: მასალის დამტვრევას, გამდიდრებას, გაშუალედებას (არევას) და აგლომერაციას. ყველა ჩამოთვლილი მოსამზადებელი პროცესი, გარდა აგლომერაციისა და ნაწილობრივ გაშუალედებისა, სწარმოებს მასალების მოპოვების ადგილზე (მაღაროები). აგლომერაციის საამქროში (ფაბრიკაში) სწარმოებს წმინდად დამტვრეული რკინის მადნის და კოქსის წვრილმანის წვის საშუალებით შეცხობა. აგლომერაციის უპირატესობა ნედლ მადანთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ მას ახასიათებს სვრეტიანობა და აირგამტარობა და, მაშასადამე, უკეთესი აღდგენითი უნარი ბრძმედებში. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აგლომერატის რაც უფრო მეტი პროცენტია ბრძმედში, იმდენად იზრდება უკანასკნელის ნაყოფიერება. საამქროში დამონტაჟებულია საბჭოთა კავშირში დამზადებული მოწყობილობა და პროცესი მთლიანად მექანიზირებულია.

საკოქსე-ქიმიური საამქრო.—ბრძმედები ჩვეულებრივ ქვანახშირზე ვერ მუშაობენ, რადგან დიდ ტემპერატურაზე ქვანახშირი შეცხვება, და ბრძმედებში კი ქვენახშირის არევა (როგორც ეს სწარმოებს ორთქლის ქვაბების ან ორთქმავალის საცეცხლურებში) შეუძლებელია. სათბობს, რომელიც გამოსადეგია თუჯის გამოსადნობად, უნდა ახასიათებდეს მაღალი თბოუნარიანობა, იგი არ უნდა შეიცავდეს მავნე მინარევებს — გოგირდს და ფოსფორს, უნდა ჰქონდეს სვრეტიანი აღნაგობა და მექანიკური სიმკვრივე, როგორც ნორმალურ, ისე მაღალ ტემპერატურაზე. ვინაიდან ბუნებაში ასეთი სათბობი თითქმის არ გვხვდება, ამიტომ აწარმოებენ ხელოვნური სათბობის — კოქსის მიღებას. რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის კოქსი მზადდება ტყვარჩელისა და ტყიბულის ნახშირების ნარევიდან განსაკუთრებულ ღუმელებში, რომლებსაც საკოქსე ღუმელები ეწოდება. წინასწარგამდიდრებულ დამტვრეულ და დახარისხებულ ქვანახშირს ტვირთავენ საკოქსე ღუმელებში. მას ახურებენ მაღალ ტემპერატურამდის. დაახლოებით 1.200 გრადუსამდის, მხოლოდ იმ გვარად, რომ ჰაერი არ უნდა ხვდებოდეს ნახშირს. ასეთ ღუმელებში ნახშირი არ იწვის, მხოლოდ მაღალი ტემპერატურის გამო, გამოიყოფა ამქროლადი ნივთიერებები: გაზი, ფისები, ამიაკიანი წყალი, დარჩენილი ნივთიერება კი იწყებს შეცხობას ღრუბელისებრ, ფოროვან ბელტოებათ. დაკოქსვა ჩვეულებრივად გრძელდება

17—18 საათს. ამის შემდეგ ღუმელიდან სპეციალური მანქანა-გამოსაყრელით კოქსს გამოჰყრიან სპეციალურ ვაგონებში, სადაც აქრობენ წყლის საშუალებით. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საკოქსე საამქრო შესდგება ორი ბატარეისაგან, თითოეული 61 ღუმელის შემადგენლობით.

ბრძმედში კოქსის წვის შედეგად გამოიყოფა სითბო და ნახშირბადი, რომელიც უერთდება რკინის მადნის ჟანგბადს და რკინას აღადგენს. ამგვარათ კოქსის დანიშნულებას ბრძმედებში შეადგენს, განავითაროს მაღალი ტემპერატურა, რის შედეგაც გალღვება რკინის მადანი და ფუჭი ქანი, მეორეს მხრივ კი კოქსი წარმოადგენს აღმდგენელს, ნახშირბადი შეუერთდება რკინის ჟანგეულის ჟანგბადს და აღადგენს რკინას. ერთი ტონა თუჯის გამოსადნობად საჭიროა 1,0-1,2 ტონა კოქსი. კოქსი წვის შედეგად ანვითარებს მაღალ ტემპერატურას, ბრძმედის ქვედა ნაწილში ტემპერატურა აღწევს 1700—1800 გრადუსს. კოქსი უნდა იყვეს სვრეტებიანი იმისათვის, რომ ადვილად იწვოდეს და იმავე დროს აირებმა ადვილად გაიარონ კაზმში. კარგი ხარისხის კოქსის მთელი მოცულობის 50% უკავია სვრეტილებს, ხოლო დანარჩენი 50% კოქსის მასას.

კოქსი უნდა იყოს მაგარი, და ნატეხებს ისეთი სახე და ზომა უნდა ჰქონდეს, რომელიც ნაკლებად დაიმსხვრევა ან გაიხეხება ბრძმედში მოძრაობის დროს ზედა ნაწილიდან ქვედა ნაწილამდის, სადაც ის იწვის. თანამედროვე ბრძმედებში ჩვეულებრივად იხმარება დამტვრეული კოქსი 25—120 მილიმეტრამდის. წვრილმანი კოქსი ეტად არასასურველ შედეგებს იძლევა ბრძმედში, ამიტომ ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლები წვრილმანი მოხვდეს კაზმში. კოქსი უნდა იყოს სუფთა მავნე მინარევებისაგან, როგორიც არის გოგირდი, ფოსფორი [illegible] რადგან მათ მოსაცილებლად მოხმარდება ზედმეტი სათბობი და ბრძმედების ნაყოფიერება კლებულობს. დაკოქსვის შედეგად, კოქსის გარდა მიიღება თანანაწარმი კოქსის აირები, და ქიმიური პროდუქტები, რომლებიც მეტად საჭიროა და მთლიანად გამოიყენება.

კ ი რ ქ ვ ი ს-კ ა რ ი ე რ ი. — კირქვა ბრძმედებში იხმარება, როგორც მდნობი. მადნის და კოქსის გარდა მესამე ძირითად ნედლეულს ბრძმედებისათვის შეადგენს მდნობი, რომელიც ხელს უწყობს შედარებით მცირე ტემპერატურაზე გაალღოს ფუჭი ქანი და სათბობის ნაცარი. მდნობის საშუალებით შესაძლებელი ხდება ბრძმედის ქურაში მიღებული იქნეს სათანადო რაოდენობის და გარკვეული ფიზიკური და ქიმიური შემადგენლობის წიდა, რაც უზრუნველყოფს საჭირო ხარისხის თუჯის მიღებას. დნობის და მისი რაოდენობის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძმედების ნორმალური მუშაობისათვის და მისი ნაყოფიერებისათვის. რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის ძირითად მდნობად გამოიყენება კირქვები, რომელიც მიღებული იქნება სადახლოს კარიერიდან.

რკინის მადანი, რკინის ჟანგეულების გარდა, შეიცავს ფუჭ ქანს, რომელიც ჩვეულებრივად შესდგება კაჟმიწისაგან (SiO_2),თიხამიწისაგან (Al_2O_3) და კირისაგან (Cao). ფუჭი ქანის გარდა, კოქსის წვის შედეგად ბრძმედში შეგვაქვს ნაცარი, რომელიც შესდგება აგრეთვე კაჟმიწისაგან, თიხამიწისაგან და რკინის ჟანგებისაგან. კაჟმიწა და თიხამიწა ძალიან ძნელად ლღვებიან. მხოლოდ გალღობის შემდეგ არის შესაძლებელი მათი მოცილება თუჯისაგან. რომ გავაადვილოთ მათი გალღობა, ამისათვის საჭიროა ბრძმედში ჩავყაროთ მდნობი (კირქვა), რომელიც კაჟმიწას და თი-

ხამიწასთან, არეული ხელს უწყობს შედარებით ნაკლებ ტემპერატურაზე ადვილად გალღობას.

საბრძმედე-საამქრო — მოგვაგონებს დიდ, რთულ ქარხანას, რომლის უზარმაზარ ღუმელებში გამოადნობენ თუჯს. იგი შესდგება ორი ბრძმედისაგან. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბრძმედები მთლიანად მექანიზირებულია; როგორც ნედლეულის ჩატვირთვა, თუჯის ჩამოსხმა, ისე ყველა სხვა სამუშაო აქ სრულდება მხოლოდ მექანიზმების საშუალებით. მშვენიერი სანახავია ბრძმედები, ისინი მაღალ რკინის კოშკებად აღიმართებიან ცაში, მწვერვალზე გადახლართულია მთელი რიგი აირგაყვანილობა, მექანიზმები და კონსტრუქციები. უფრო მაღლა აღმართულან გაჭიმული საკვამლე მილები, კაუპერები, მტვრის დამჭერი მოწყობილობა, ხოლო მის წინ მოძრაობენ გიგანტური ხიდური ამწეები; განუწყვეტლივ მოძრაობენ მატარებლები თუჯითა და წიდით დატვირთულ სპეციალური ციცხვებით, მადნით, კოქსით და კირქვებით დატვირთული ვაგონებით. ღამღამობით დროგამოშვებით ბრძმედები გაისკროვდებიან, გაკაშკაშდებიან და მთელ მიდამოს მზესავით გააშუქებენ, — ამ დროს უშვებენ ბრძმედებიდან თუჯს ან წიდას. ბრძმედებში წიდა წარმოიშვება ყოველ წუთს, მისი გამოშვება კი სწარმოებს დღეღამეში რამდენიმეჯერ, ჩვეულებრივად ექვსჯერ, ე. ი. ცვლაში ორჯერ. საბრძმედე საამქრო შესდგება შემდეგი მოწყობილობისაგან: თითონ საბრძმედე ღუმელისაგან ჩამტვირთავი მექანიზმით, ხიდური ამწისაგან და სპეციალური ჯალამბარისაგან ნედლეულის მისაწოდებლად ბრძმედის წვეროზე.

მექანიზირებულია და ავტომატიზირებულია მოწყობილობა ნედლეულის მისაღებად, მისი გარკვეული მარაგის შესაქმნელად და მასალის ამწევ ვაგონებში ჩასაყრელად; მექანიზირებულია და ავტომატიზირებული აირგამტარი მოწყობილობა (რომლის საშუალებითაც სწარმოებს ბრძმედებიდან აირების მიღება და გადაცემა მომხმარებლებზე), მოწყობილობა საკერძე აირის გასაწმენდად, ჰაერსაბერავი მანქანები — ბერვის მისაწოდებლად, სპეციალური მოწყობილობა ჰაერის გასახურებლად (კაუპერები), ჰაერსადენი მილები, მოწყობილობა თუჯისა და წიდის მოსაცილებლად, ძალოვანი დანადგარი, ელექტროქვესადგური და წყლის მიმწოდებელი დანადგარები. ბრძმედების წყლით უზრუნველყოფას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, სულ მცირე დროის განმავლობაში წყლის შეწყვეტა გამოიწვევს ბრძმედის სერიოზულ დაზიანებას, ავარიას.

ბრძმედებში თუჯის გამოდნობა მიმდინარეობს განუწყვეტლივ, განუწყვეტლივად მიმდინარეობს აგრეთვე მისი კვება ნედლეულით. წინასწარ სხვადასხვა ნედლეულისაგან (რკინის მადანი, კოქსი და კირქვა), გარკვეული პროცენტული რაოდენობით, ამზადებენ ნარევს, რომელსაც კაზმი ეწოდება. კაზმი, ბრძმედში მოძრაობის მთელ მანძილზე,—ბრძმედის ზედა ნაწილიდან ქვედა ნაწილამდე — ქურომდე, განიცდის მთელ რიგ ფიზიკო-ქიმიურ გარდაქმნებს, რის შედეგადაც სწარმოებს მადნის სრული აღდგენა (ე. ი. რკინის მადანს მოსცილდება ჟანგბადი). გავარვარებული კოქსი, ბრძმედის ქვედა ნაწილში (ქურაში), გახურებული ჰაერის შებერვის მეოხებით ინტენსიურად იწვის. წვის შედეგად წარმოშობილი აირები ძალიან მდიდარია ნახშირქვეჟანგით (Co), არა სრული წვის პროდუქტით, რომელიც გამოყოფისთანავე დიდი სისწრაფით მიისწრაფვის ზემოთ, გზაში თავის სითბოს გადასცემს კაზმის ზედა ფენებს

და ამავე დროს რკინის ჟანგეულებს ართმევს ჟანგბადს, ე. ი. აწარმოებს აღდგენას. რკინის მადანი, ბრძმედის ზედა ნაწილშივე განიცდის კოქსის აირების ზემოქმედებას, რომლის ტემპერატურა აქ აღწევს 200—350 გრადუსს. გახურების შედეგად სწარმოებს კაზმიდან ჯერ სინოტივის გამოყოფა, შემდეგ კაზმი, მოიწევს რა ქვევით, ხვდება მაღალი ტემპერატურის ზონაში (400 °-დან ზემოთ), აირები მაღალტემპერატურაზე ნაწილობრივ ჟანგბადს გამოაცლიან მადანს, ე. ი. მადანი იწყებს თანდათანობით აღდგენას.

კირქვა 600-700 გრადუს ტემპერატურაზე იწყებს დაშლას კალციუმის ქვეჟანგად (Cao), და ნახშირჟანგად (Co_2); პროცესი მთავრდება მხოლოდ ბრძმედის ქვედა ჰორიზონტებში. მადანი გადაადგილდება თანდათანობით ზედა ჰორიზონტიდან ბრძმედის ქუროსაკენ, ამასთანავე რკინის ჟანგეულების აღდგენა მიმდინარეობს სულ უფრო და უფრო ინტენსიურად. როდესაც მადანი მიაღწევს ბრძმედის ქვედა ნაწილს, სადაც ტემპერატურა აღწევს 1100,—მისი აღდგენა თითქმის მთავრდება; ამის შემდეგ რკინის მადანი გარდაიქცევა ღრუბლოვან აღდგენილ რკინად, რომელიც სათბობის ზემოქმედებით—მიაღწევს რა 1300—ტემპერატურას, წარმოშობს თუჯის წვეთებს, რომლებიც სწრაფად მიედინებიან, ქვევით და გროვდებიან ბრძმედის ფსკერზე (ლორფინში), წიდის ფენის ქვეშ (რადგან წიდა უფრო მსუბუქია). მინარევი ფუჭი ქანი და კირქვა იძლევიან ადვილმდნობად ნარევს. ეს ნარევი ქვედა ჰორიზონტებში იღებს წებოვან მასის სახეს და მხოლოდ ბრძმედის ქვედა ნაწილში, ვანი წიდა თანდათან გარდიქცევა თხევად მასად. ბრძმედის ქუროში წიდამ 1400—ტემპერატურის ზევით, წებოუნდა მიიღოს სითხე-თხევადი სახე, წინააღმდეგ შემთხვევაში ამს არ ექნება უნარი გადმოიღვაროს ქუროდან.

საბოლოოდ საჭირო შემადგენლობის თუჯს მივიღებთ იმის შემდეგ, როდესაც დამთავრდება წიდისა და თუჯის ურთიერთმოქმედება; ამის შემდეგ იწყებენ თუჯის პერიოდულ გამოშვებას.

მარტენის საამქრო-შესდგება რვა ღუმელისაგან, სადაც სწარმოებს ფოლადის გამოდნობა.

გამლღვალი თხევადი თუჯი ბრძმედებიდან იგზავნება მარტენის საამქროში სპეციალური საშუალებით, რომლებიც დამაგრებულია ვაგონებზე (ურიკებზე). თუჯს წინასწარ ასხამენ მიქსერში (მიქსერს უწოდებენ დიდ ცილინდრისებურ ჭურჭელს, რომელსაც შიგნიდან ამოგებული აქვს ცეცხლგამძლე აგური). მიქსერში თხიადი თუჯი შეერევა ადრინდელ ჩასხმულ გამღვალ თუჯს, ამას გარდა მიქსერი იძლევა საუშალებას თხიადი ლითონის მაღალ ტემპერატურაზე დიდი ხნით შენახვისას. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო შესდგება შემდეგი განყოფილებებისაგან: ღუმელის მთავარი განყოფილება რომელსაც ემიჯნება შენობა მულდებისა (ჭურჭელი, რომლითაც სწარმოებს კაზმის ჩატვირთვა ღუმელებში), სასხმულო განყოფილება, რომელიც ღუმელების განყოფილებასთანაა გაერთიანებული ერთ შენობაში, კაზმის ეზო, რომელიც მთავარ შენობის პარალელურად არიან განლაგებული, მიქსერის განყოფილება მიქსერით, რომელშიც ინახება თხიადი თუჯი, სტრიპერების განყოფილება, სპეციალური ხიდური ამწით. ფოლადის სხმულების გასათავისუფლებლად ბოყვებისაგან, ბოყვების მოსამზადებელი განყოფილება, ლეწის მოსამზადებელი საამქრო. ფო-

ლადის ხარჯვა მარტენის საამქროში მთლიანად მექანიზირებულია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების სრული გამოყენებით .

მარტენის ღუმელის მთავარი შემადგენელი ნაწილებით: მუშა სივრცე, რომელშიაც სწარმოებს ლითონის ხარშვა; თაურები—ორი წყვილი არხებით, რომელთა საშუალებითაც სწარმოებს აირისა და ჰაერის ღუმელში მიყვანა; რეგენერატორები—აირის და ჰაერის გასახურებლად; გამანაწილებელი ხელსაწყოები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია აირისა და ჰაერის მიმართულების შეცვლა საჭიროების მიხედვით.

მარტენული დნობის ამოცანას შეადგენს ჩატვირთული თხევადი (გამლღვალი), ან მაგარი თუჯის ნატეხების, ლითონის ლეწის, რკინის მადნის (მცირე რაოდენობით), მდნობის და დამატებით მასალების ნარევის (რომელსაც კაზმი ეწოდება)—რკინად ან საჭირო შემადგენლობის ფოლადად გადაქცევა. რბილ ფოლადში, რომელსაც რკინა ეწოდება, გარეშე მინარევები ნაკლები რაოდენობითაა, ფოლადში კი მეტით. ჩვეულებრივ, რიგითი მაგარი ფოლადი შეიცავს 0,27-1,20% ნახშირბადს, 0,35-0,80% მანგანუმს, 0,15-0,37% სილიციუმს, ხანდახან კიდევ ნიკელს, ქრომს და სპეციალურ მინარევებს. ამ სასარგებლო მინარევების გარდა ფოლადში კაზმიდან გადადის გოგირდი და ფოსფორი, რომლებიც ამცირებენ მის ხარისხს. მარტენის ღუმელში თუჯიდან მავნე და ზედმეტი მინარევების მოშორება, სწარმოებს მათი ამოწვით, რის შედეგადაც ისინი გადადიან წიდაში. მარტენის ღუმელში გამდნარი ლითონი ჩაეშვება აბაზანის ქვედაში, წიდა კი რომელიც თითქმის სამჯერ უფრო მსუბუქია ლითონზე, მის ზემოთ ამოტივტივდება და იფარავს მას აირებისა და ცივი ჰაერის პირდაპირი ზემოქმედებისაგან. როგორც ფოლადის, ისე წიდების გამოშვება სწარმოებს ბერვითულად. სათბობის უბრალო დაწვით საცეცხლეში ძნელია 1300—1400-გრადუსზე მაღალი ტემპერატურის მიღება, ფოლადის მისაღებად კი, განსაკუთრებით სპეციალური ხარისხის ფოლადებისათვის, საჭიროა მაღალი ტემპერატურა 1800-გრადუსამდის. ასეთი ტემპერატურის მისაღებად საჭიროა აირებისა (სათბობის) და ჰაერის წინასწარ შეთბობა. მარტენის ღუმელში ჰაერის და აირის შეთბობა ღუმელის გვერდით სწარმოებს ამ მიზნისათვის საგანგებოთ დაწყობილ აგურის კამერაში, რომელსაც რეგენატორებს უწოდებენ.

საგლინავი საამქრო — შესდგება რთული მანქანებისაგან: ბლუმინგისაგან, მილდამამზადებელი დანადგარისაგან, ხარისხული-კომბინირებული დაზგისაგან, საშუალოფურცლოვანი დაზგისაგან; ამას გარდა განზრახულია დაიდგას თხელფურცლოვანი დაზგა და ადიდა-ჩარხი მავთულის დასამზადებლად. საგლინავ საამქროს თავისი სიდიდით და მნიშვნელობით მეტალურგიული ქარხანაში უკავია ერთერთი ძირითადი ადგილი, ისევე როგორც საბრძმედე და მარტენის საამქროებს. ეს საამქრო აღჭურვილია მრავალფეროვანი მოწყობილობით და უზრუნველყოფს ნაგლინავის ფართო ასორტიმენტის გამოშვებას. მარტენის ღუმელიდან მიღებულ ფოლადის სხმულებს, წონით 5 ტონამდის, აწვდიან სათბობ ჭებს, სადაც სწარმოებს მათი გახურება. სათბობ მასალად იხმარება ბრძმედისა და საკოქსე ღუმელებიდან მიღებული აირების ნარევი. წვისათვის საჭირო ჰაერი გაივლის წინასწარ-შეხურებულ სპეციალურ მოწყობილობაში-რეკუპერატორებში, სადაც სწარმოებს ჰაე-

რის გახურება. გახურებული სხმულები იგზავნება ბლუმინგზე სპეციალური საყირაო ურიკების საშუალებით. ბლუმინგის წონა დაახლოებით ოთხნახევარ ათას ტონას უდრის. ბლუმინგის შემდეგ დაყენებულია ლითონის საჭრელი მძლავრი მაკრატელი. ლითონის გახურებას გაგლინვის წინ დიდი მნიშვნელობა აქვს და წარმოადგენს მეტად საპასუხისმგებლო ოპერაციას, ამიტომ საგლინავ საამქროს სათბობები და ღუმელები მთლიანად მექანიზირებულია. გარკვეულ ტემპერატურამდის გახურებული ლითონის სხმულები იგზავნება საგლინავ ვალცებზე, სადაც სწარმოებს ლითონის ფორმის შეცვლა. საჭირო სახის მზა ლითონის მისაღებად, საჭიროა სხმული რამოდენიმეჯერ იქნეს გატარებული სხვადასხვა ზომის და ფორმის ვალცებში, მხოლოდ ამგვარადაა შესაძლებელი ხარისხოვანი ნაწარმის მიღება; ამავე დროს ამ წესის დაცვის შემთხვევაში, გაგლინვისათვის ნაკლები ძალოვნებაა საჭირო. ფურცლოვანი რკინის მისაღებად გაგლინვა სწარმოებს გლუ ვალცებზე, სხვა შემთხვევაში კი ვალცებს აქვთ სპეციალური ფორმის დაღარულობა, რომელსაც ეწოდება კალიბრი. ამ კალიბრების მოხაზულობა დამოკიდებულია თვით საგლინავ დაზგების დანიშნულებაზე და ლითონის ნაწარმის საჭირო პროფილზე.

ბლუმინგზე გადამუშავების შედეგად მიღებული ბლუმები, იგზავნება მოსამზადებელ დაზგაზე შემდეგი გადამუშავებისათვის. სლიაბები კი იგზავნება შემდგომ გადასამუშავებლად ხარისხულ და ფურცლოვან დაზგებზე. მავთულის ადიდვა სწარმოებს სამ ადიდა ჩარხზე, რის შემდეგაც მიიღება 2—4 მილიმეტრიანი დიამეტრის მავთული.

მ ი ლ ს ა გ ლ ი ნ ა ვ ი ს ა ა მ ქ რ ო. — ლითონის მილების წარმოება პირველად დაიწყო მე-17 საუკუნეში კალიდან და ტყვიიდან. [illegible] ფორმებში, რომელშიც [illegible] რკინის ღეროს. რკინის მილების წარმოებამ დიდი განვითარება მიიღო დენთის გამოგონების შემდეგ, როცა თოფებისათვის საჭირო გახდა ლულების მაგარი მასალისაგან დამზადება. პირველად ლულის დასამზადებლად იხმარებოდა ან რკინის ზოლოვანი ჩამონაჭერები, მათ მილისებურად ღუნავდენ და ბოლოებს ერთმანეთზე გადაუდებდენ და ადუღებდენ. ამავე მეთოდით ამზადებდენ ზარბაზნებს.

მე-19 საუკუნემდე რკინის მილების წარმოება მეტად ჩამორჩენილი იყო; მილების გაგლინვა უაღრესად რთული წარმოებაა მოითხოვს მეტად რთულ მოწყობილობას, და მაშინდელი წარმოების განვითარების დონე არ იძლეოდა მილების მექანიზირებული დამზადების საშუალებას. მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, შესანიშნავი მილსაგლინავი დაზგების გამოგონებამ, შესაძლებელი გახადა ამ წარმოების გაუმჯობესება, შემდგომი განვითარება. მილსაგლინავი დაზგები მეტად გაუმჯობესებულია და მაღალ ნაყოფიერებიანი, რაც საშუალებას იძლევა დავამზადოთ მაღალხარისხოვანი მილები.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხნის საგლინავ საამქროში სწორედ ასეთი დაზგები იდგმება, ჩვენ დროში ისინი წაროადგენენ ტექნიკის უკანასკნელ სიტყვას, ტექნოლოგიური პროცესი მთლიანად ავტომატირიზებულია. ზემოთაღნიშნული დაზგების გარდა კიდევ სხვა მრავალი დაზგებია დადგმული მილსაგლინავ საამქროში, რომლებიც საშუალებას იძლევიან გამოშვებული იქნეს მრავალნაირი სხვადა-

სხვა დანიშნულებისათვის საჭირო მილები. ეს საამქრო შესდგება ორი ცალკე უზარმაზარი შენობისაგან.

თბოელექტროცენტრალი, ორთქლის და კუმშჰაერის სადგური—შესდგება სამი ტურბოგენერატორისაგან, ხუთი ორთქლის ქვაბისაგან (რომლის ნაყოფიერება 540 ტონა ორთქლს შეადგენს) და სამი ტურბოჰაერმბერავისაგან (თითოეულის წარმატება უდრის 1875 კუბიურ მეტრ ჰაერს წუთში).

გაზოგენერატორის საამქრო—შესდგება ოცი გენერატორისაგან, რომლის ნაყოფიერება შეადგენს 644 მილიარდ კალორიას წელიწადში. მიღებული აირი მეტად თბოუნარიანია და იხმარება მარტენის ღუმელებში ფოლადის მოსახარშად.

საკონპრესორო და ჟანგბადის სადგურები—მომარაგებული არიან მძლავრი მოწყობილობით და დააკმაყოფილებენ კუმში ჰაერით და ჟანგბადით მეტალურგიულ ქარხანას მთლიანად.

ცეცხლგამძლე აგურების საამქრო—გათვლილია მეტალურგიული ქარხნის დასაკმაყოფილებლად შამოტის და დინასის აგურით. ამას გარდა ეს საამქრო მოამარაგებს ბაქოს მილსაგლინავ ქარხანას და სხვა მომხმარებლებს ცეცხლგამძლე აგურით. მარტენის ღუმელებისათვის საჭიროა დოლომიტი, ბრძმედებისათვის კი კირი, ამიტომ მათ გადასამუშავებლად აშენებული იქნება სათანადო საამქროები.

სარემონტო-დამხმარე საამქროები—როგორიც არიან სამსხმელო, მექანიკური, სამჭედლო, ლითონის საკონსტრუქციო ხის დასამუშავებელი, საორთქლმავლო დეპო, ელექტრო სარემონტო და სხვა. ესენი წარმოადგენენ კარგად მოზრდილ წარმოებას. მომარაგებულია საუკეთესო მოწყობილობით და ემსახურებიან ძირითადად საამქროებს.

წიდის გადამამუშავებელი საამქროები—ცემენტის ქარხანა, საამშენებლო მასალების საამქრო, წიდა-ბამბის საამქრო და სხვა. ეს საამქროები იმუშავებენ ბრძმედის ნარჩენებზე.

მეტალურგიულ ქარხანას ექნება საკუთარი რკინიგზის შემრჩევი სადგური. არსებული რკინიგზის სადგური რეკონსტრუირებული იქნება, ის გადაკეთებული იქნება სამგზავრო სადგურად.

ქარხნის განკარგულებაში იქნება შემრჩევი სადგურის გარდა, ექვსი სპეციალური რკინიგზის საგუშაგო, და სამი საექსპლოატაციო რაიონი. ქარხნის რკინიგზების საერთო სიგრძე შეადგენს დაახლოებით 120 კილომეტრს. რკინიგზის საამქროს ეყოლება ორთქლმავლები, რომლებიც ქარხნის ტერიტორიაზე იმუშავებენ, ამას გარდა სათანადო რაოდენობის ვაგონები და რკინიგზის ამწეები.

ფართოდ არის ქარხანაში დანერგილი მექანიზაცია მძიმე და შრომატევადი სამუშაოებისათვის. ნახშირის მარშრუტების დასაცლელად დადგმული იქნება ვაგონამყირავებელი, მეორე ასეთივე მექანიზმი გათვალისწინებულია რკინის მადნის და კირქვების მარშრუტების გასატვირთავად, ამას გარდა ტვირთების განტვირთვა-დატვირთვის მექანიზაციის მიზნით, გათვალისწინებულია სხვა მრავალი მექანიზმებიც.

მიღებულ და გასაგზავნ ტვირთების, აგრეთვე საამქროების ნედლეულის და პროდუქციის ასაწონად რკინიგზის ხაზზე იდგმება ორი ორას ტონიანი და შვიდი ასტონიანი სასწორი. ქარხნის რკინიგზის საამქრო იქნება ერთერთი დიდი საამქროთაგანი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა გამოუშვებს თუჯს და ფოლადს უფრო მეტს ვიდრე ესპანეთი ან მექსიკა და ბრაზილია ერთად.

ქარხნისათვის, ძალიან დიდი რაოდენობითაა საჭირო ტექნიკური წყალი, დაახლოებით მტკვრის მინიმალური დებეტის მეხუთედი ნაწილი. მდინარე მტკვრის ნაპირზე აშენდა მძლავრი სატუმბო-საქაჩავი სადგური და წყლის გასაწმენდი ნაგებობანი. ასეთი დიდი რაოდენობის წყალს, ტექნოლოგიურ საჭიროებისათვის საამქროებამდის გაატარებს ორი რკინაბეტონის წყალსადენი მილგაყვანილობა. ზემოდაღნიშნულ წყალსადენებში მაღალი ტანის კაცი მთელი თავისი სიმაღლით თავისუფლად იმოძრავებს.

ქარხნისა და ქალ. რუსთავის სასმელი და კომუნალური მეურნეობისათვის საჭირო წყლით მოსამარაგებლად შენდება ბულაჩაურის წყალსადენი. ბულაჩაურის წყაროები განლაგებული არიან მდ. არაგვის ხეობაში ჩრდილო-დასავლეთით 40 კილომეტრზე ქ. თბილისიდან და 75 კილომეტრზე ქალ. რუსთავიდან. ამ წყალსადენის მუშაობა დაიწყო 1945 წლის დასაწყისში. ქარხნის ჩრდილო-დასავლეთით მთა ჩათმაზე, 100 მეტრის სიმაღლეზე ქარხნის სამრეწველო მოედნიდან შენდება რკინაბეტონის აუზი, საიდანაც მომხმარებელი მიიღებს წყალს თვითდენით.

ბულაჩაურის წყალსადენი შენდება იმ ანგარიშით, რომ შეუძლია გაატაროს დაახლოებით ორჯერ მეტი წყალი. პროექტით გათვალისწინებულია აგრეთვე საგურამოს წყაროების — ეს-პლოატაცია, რომელსაც თავისუფლად გაატარებს არსებული წყალსადენები.

ბულაჩაურის წყალსადენის საერთო დებეტიდან ქ. რუსთავი მიიღებს 25—30%, ხოლო 65—70% მიიღებს ქ. თბილისი.

ქარხნის დასავლეთით მდინარის ორივე ნაპირზე შენდება ქალაქი რუსთავი, ეს იქნება მეტალურგების ქალაქი.

ჯერ კიდევ დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც რუსთავის მიდამოები წარმოადგენდა საყვარელ სანადირო ადგილს საქართველოს დედაქალაქის მონადირეებისათვის. მაშინ ეს ადგილები, მდ. მტკვრის ორივე მხარეზე დაბლობები, დაფარული იყო ასწლოვანი მუხებით, ვერხვებით და მოლით; მხოლოდ გარეული ღორები, მგლები, ტურები და ლამაზი ხოხბები იყვნენ ბატონ-პატრონები ამ ადგილებისა. აქ სუფევდა სრული სიწყნარე და მხოლოდ მდ. მტკვრის ტალღები და ფრინველთა ჟრიამული არღვევდა ამ მიდამოების უშფოთველ მყუდროებას. მართალია, აქ ოდესღაც ჰყვაოდა ისტორიული ციხე-ქალაქი რუსთავი. ბურჯივით იდგა ეს სიმაგრე თბილისის სადარაჯოზე. ამ ქალაქში დახელოვნებული შრომითა და ცოდნით განთქმული ოსტატები სცხოვრობდნენ. მაგრამ დროება იცვლებოდა, საქართველოს უამრავი მტერი აწუხებდა, მათ სურდათ საქართველოს დამორჩილება, მისი სიმდიდრის და კულტურის მითვისება. მათ ფერფლად აქციეს და მოსპეს ძველი ქალაქი რუსთავი.

მეტალურგიული ქარხნის მოედნის სამხრეთით, გარდაბანის სარწყავი მთავარი არხის გადაღმა, იქ სადაც განზრახულია ქარხნისათვის გაშენდეს კულტურისა და დასვენების პარკი, ძველი სიამაყით გამოიყურება ნანგრე-

ვები ოდესღაც მიუვალი ციხე-ქალაქისა, შიგა ეკლესიით. დანგრეულია მრავალი საუკუნის წინ ქვეყნის სადარაჯოზე ამაყად მდგარი მიუვალი ციხის ქვითკირის კედლები, სათოფურებით და ბასტიონებით.

ამ ისტორიულ ადგილზე 1944 წლის გაზაფხულზე ქართველმა ხალხმა, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის უშუალო მითითებით, დაიწყო რესპუბლიკის სიამაყის, უზარმაზარი ბუმბერაზის — მეტალურგიული ქარხნის და ახალი ქალაქი რუსთავის მშენებლობა. ეს ქალაქი იქნება იმათი ვინც უნდა გამოწვას კოქსი, გამოადნოს თუჯი და ფოლადი, გაგლინოს ფოლადის მილები და კოჭები, ფურცლოვანი რკინა და შველერი, კუთხოვანი რკინა და მავთული ჩვენი კოლმეურნეების ვენახებისათვის. რუსთავი—ეს მეტალურგების ქალაქია.

ქალაქი განლაგებული იქნება მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე. ქალაქის ძირითადი ნაწილი განლაგებული იქნება მტკვრის მარჯვენა მხარეზე იალღუჯის მთის კალთებზე. ეს ადგილები არაჩვეულებრივად ლამაზია და წარმტაცი. ლანდშაფტის სიმშვენიერესთან შეხამებულია ლამაზი ქართული ხუროთმოძღვრების საუცხოვო ნიმუშები. მოედნები, პარკები, გაზონები, ბაღები, ქუჩები გავსებულია მწვანე ნარგავებით და ყვავილებით. მეტალურგების ქალაქი — ეს ქალაქი-ბაღია.

ქალაქ რუსთავის კეთილმოწყობა შეხამებულია ქალაქის მაღალ მატერიალურ-კულტურულ ორგანიზებულობასთან. ქალაქში ჩვენ გვაქვს წყაროს წყლის სიუხვე, გამწვანება, ჰაერის სისუფთავე, და კეთილმოწყობილი ბინები. ქალაქში არის წყალსადენის და საკანალიზაციო ქსელი, ყოველ ბინას აქვს ცენტრალიზებული გათბობა და მარაგდება აირით საამხარეულოებისათვის. ქალაქის [illegible] ნი თანაბრად იქნება [illegible] ფილი კეთილმოწყობილობით. მეტალურგების ქალაქის არქიტექტურულ-სივრცულ დაგეგმარებას საფუძვლად დაედო ერთის მხრივ საქართველოს ძველი ქალაქების დაგეგმარებისა და მშენებლობის კარგი ტრადიციები, მდიდარი და მშვენიერი ხალხური ხელოვნების ნიმუშები, და მეორეს მხრივ თანამედროვე ხუროთმოძღვრების მიღწევები.

მშვენიერი, არქიტექტურულად გაფორმებული ლამაზი რკინა-ბეტონის ხიდი, შეაერთებს მტკვრის ორივე მხარეს.

მთავარი მაგისტრალი პროსპექტი, რომლის სიგანე 40 მეტრს აღემატება, ქალაქის მარჯვენა მხრიდან მიემართება შემაერთებელი ხიდით მტკვრის მარცხენა მხარეზე და მთავრდება ადმინისტრატიული ცენტრით. მთავარი ქუჩა სრულდება ფართო მოედნით და მონუმენტური, არქიტექტურულად მშვენივრად გაფორმებული ქარხნის სამმართველოს შენობით, მოედანი დამშვენებულია ადმინისტრატიული ცენტრის შენობების მთელი კომპლექსით. სხვა ქუჩები პერპენდიკულარულად ჰკვეთავენ მაგისტრალურ ქუჩას და აკავშირებენ სადგურ რუსთავს ქალაქის ცენტრთან, ხიდთან, პარკთან, საზოგადოებრივ შენობებთან, საცხოვრებელ რაიონებთან და წარმოებასთან.

მთავარი მაგისტრალური პროსპექტი თავის დასაწყისს იღებს ა/კავკასიის გზატკეცილებიდან, ლარივით გაჭიმულია მთელ თავის სიგრძეზე და ამ რიგად შექმნილია განუწყვეტელი პირდაპირი კავშირი საქართველოს დედაქალაქ თბილისსა და მეტალურგების ქალაქ რუსთავს შორის. მტკვრის მარ-

ცხენა მხარეს ქალაქის გეომეტრიულ ცენტრში ფართო მოედანზე განლაგებულია ქალაქის საბჭოს და ქალაქის პარტიულ კომიტეტის მონუმენტური, მშვენივრად გაფორმებული შენობა, სასტუმრო, უნივერსალური მაღაზია. ყველა ეს შენობები მრავალსართულიანია. შენობები, რომლებიც განლაგებული არიან მთავარ მოედანზე და მის ცენტრში აღმართული ამხანაგ სტალინის მონუმენტი, ჰქმნიან ქალაქის ცენტრალურ ანსამბლს.

მეტალურგების კლუბი და მის გარშემო მდებარე საზაფხულო თეატრალური დაწესებულების შენობები, გასართობები, ფიზკულტურული მოედნები, სტადიონი სხვადასხვა ატრაქციონებით განლაგებული არიან მყუდრო მასივზე, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია არსებულ დაბურულ ასწლოვან ტყესთან. სტადიონს მარჯვენა მხრიდან ჩამოუდის მთავარი-არხი თავისი უხვი წყლით; იქვე არხის გადაღმა და მტკვრის შუა პატარა გორაკზე აღმართულია ძველი ციხე-ქალაქის ნანგრევები.

სასწავლო-საალმზრდელო დაწესებულებები, საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელი, მეტალურგიული ტექნიკუმი, ბიბლიოთეკა, საშუალო სკოლების შენობები განაწილებული არიან ქალაქის ყველა რაიონში, მოსახლეობის უკეთესად მომსახურების მიზნით.

ქალაქში არის მთელი რიგი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, პოლიკლინიკები, სამალარიო სადგური, აფთიაქები; ქალაქის განაპირა რაიონში მწვანე მასივზე განლაგებულია ქალაქის საავადმყოფოს შენობები. თვალსაჩინო ადგილას, ქალაქის ცენტრის მახლობლად, განლაგებულია კავშირგაბმულობის სახლი, ფოსტა-ტელეგრაფით და რადიოთი, ქალაქის სასამართლოსა და პროკურატურის, ბანკისა და სხვა საზოგადოებრივ-დაწესებულებათა შენობებით.

ქალაქის საცხოვრებელ კვარტალებში წარმოდგენილია შერეული სახის შენობები, ერთდაიმავე კვარტალში შეხვდებით როგორც ერთსართულიან და ორსართულიან კოტეჯებს, ისე მრავალსართულიან სექციებიან სახლებს, რომლებიც ერთნაირად უზრუნველყოფილი არიან საჭირო მომსახურებით. ქალაქ რუსთავისათვის დამახასიათებელია მცირე სართულიანი შენობები, რომელთაც აკრავთ ინდივიდუალური განცალკევებული საკარმიდამო ნაკვეთები.

ამგვარად მიღწეულია ის სასურველი მდგომარეობა, რომ ქალაქს ახასიათებს ნაკლებად სიმჭიდროვე. კვარტალები გამწვანებულია დეკორატიული და ხეხილის ნარგავებით. ქალაქის ყველა რაიონში განლაგებულია სასადილოები, საბავშვო ბაღები და ბაგები, სამედიცინო პუნქტები, სამკერვალო სახელოსნოები და სხვა საჭირო დაწესებულებები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალაქისა და სამრეწველო მოედნის გამწვანებას. მთელ საცხოვრებელ ფართობს გარშემო შემოკრული აქვს ქარსაცავი ტყის ზონები. ქალაქისა და ქარხნის ტერიტორიის შორის კილომეტრიანი სიგანის ტყის ზოლი ჩაუდის. ქალაქის გამწვანების ძირითად ელემენტს შეადგენს ქუჩების გამწვანება. ქუჩის ნარგავები ორგანიულად არიან დაკავშირებული კვარტალის გაფორმებასთან. კვარტალშიგა გამწვანებული მასივების რაოდენობა შეადგენს 70% დასახლებულ ფართობთან შედარებით. შერჩეულია ნიადაგის პირობებისათვის შესაფერი და აირგამძლე ჯიშები. ამ ჯიშებს შორის ვხვდებით, შავ ფიჭვს, თუთის ხეს, ნეკერჩხალს, მუხას, აკაციას, ცაცხვს, ვერხვს, ხეხი-

ლის ნარგავებიდან კი კომშს, მსხალს, ვაშლს, ატამს, კაკლის ხეს, ბროწეულს, ლეღვს და სხვა. რუსთავი იქნება ნამდვილი მწვანე ქალაქი.

ძირითად მაგისტრალურ ქუჩებზე იმოძრავებენ ტროლეიბუსები და ავტობუსები, ისინი დააკავშირებენ ქალაქს ქარხნის საამქროებთან, რკინიგზის სადგურთან, დააკავშირებენ საცხოვრებელ რაიონებს, ქალაქის მარჯვენა და მარცხენა ნაწილებს.

ასეთი იქნება მეტალურგების ქალაქი რუსთავი.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა და მისი უახლოეს დროში მოქმედ წარმოებათა მწყობრში ჩადგომა საყოველთაო სურვილად იქცა ქართველი ხალხისათვის, მისი მხნე და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობისათვის. შრომითი ენტუზიაზმი მზიურ საქართველოს ჭაბუკებისა და ქალიშვილებისა, რომლებსაც მთელი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობასთან ერთად, ახალი საწარმოო მიღწევებით თავისი წვლილი შეაქვთ ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების საყოველთაო სახალხო საქმეში, პასუხია ლენინ-სტალინის პარტიისა და პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიური მშობლიური მზრუნველობისა და ყურადღებისა.

რუსთავში, ქართველი ხალხის ულმობელი მტრების მიერ უდაბნოდ ქცეულ ადგილას მეტალურგიული ქარხნის მშენებლობამ, ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე დააყენა მეტად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა: დაეუფლოს მშენებლობისა და წარმოების რთულ ტექნიკას, მოემზადოს და შეიარაღდეს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აგებული დანადგარების მუშაობის სისტემის ცოდნით, თვალის ჩინივით გაუფრთხილდეს მკაცრ და უზრუნველყოს მისი ნორმალური ექსპლოატაცია.

ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მეტალურგიული ქარხნისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებას. მდიდარი ტექნიკის და ავტომატიკის მართვისათვის, რომლითაც აღჭურვილია ჩვენი ქარხანა, საჭიროა მოწინავე ინჟინრები, ტექნიკოსები, მარჯვე ოსტატები და გამოცდილი კვალიფიციური მუშები. ქარხანას დასჭირდება ფოლადის მდნობები და თბოტექნიკები, ბრძმედზე მომუშავეები და მთამადნელები, მგლინავები და მექანიკოსები, კოქსოქიმიკოსები და გამამდიდრებლები, ქიმიკოსები და ტექნოლოგები, მეტრანსპორტეები და მშენებლები, ელექტრიკოსები და გიდროტექნიკოსები, ჩამომსხმელები და არქიტექტორები, ეკონომისტები და მრავალი სხვა სპეციალობის მცოდნე ინჟინრები. ახალგაზრდობის მიერ წარმოების რთული ტექნიკის დაუფლებისათვის, მისი ათვისებისა და საქმეში დაოსტატებისათვის, პარტიამ და ხელისუფლებამ არ დაზოგა სახსრები და საშუალებანი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საქართველოს მინისტრთა საბჭოს მითითებით, მეტალურგიული ქარხნისათვის კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად ჯერ კიდევ 1944 წლის ბოლოს საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან შერჩეულ იქნენ ქართველი ახალგაზრდები, ერთი მეორეზე უკეთესი საუცხოო ჭაბუკები; თითქმის არცერთ მათგანს 7 კლასზე ნაკლები ცოდნა არ ჰქონდა, ბევრი მათგანი კი ათი კლასის ცოდნით იყვნენ. ყველა ეს ახალგაზრდა გაიგზავნა საბჭოთა კავშირის მოწინავე მეტალურგიულ წარმოების ცენტრებში, მაგნიტოგორსკში, სტალინგრადში, ტაგან-

როგში, დნეპროპეტროვსკში, სულინში, მარიუპოლში, სტალინოში, მაკეევკაში, გორლოვკაში, ენაკიევოში, ჩასოვიარში და სხვა ქალაქებში, რათა გამოცდილ, სახელგანთქმულ ოსტატებისაგან ესწავლათ მეტალურგიული პროფესიები. მრავალმა ახალგაზრდამ ისახელა თავი დიდ მეტალურგიულ ქარხნებში. მე ველაპარაკე რამდენიმე საამქროს უფროსს, ძველ ოსტატებს, რომლებიც რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში მუშაობდნენ ამ ქარხნებში; ისინი დიდი სიხარულით მიამბობდნენ, რომ მათ საკვირველებად მიაჩნიათ ქართველი ახალგაზრდების მიღწევები, რომლებიც ჩამოვიდნენ სრულიად გამოუცდელები, რომელთაც არასდროს არ ენახათ მეტალურგიული წარმოება, და რომლებმაც ზღაპრულ ხანმოკლე დროში გადააჭარბეს, აჯობეს თავის ოსტატებს, მასწავლებლებს, მთლიანად დაეუფლენ რთულ-მექანიზმებს და ტექნოლოგიას და გახდნენ ქარხანაში საშაგალითო სასახელო მუშებად, ასახელეს ქართველი ხალხის მარჯვენა და უნარი.

ხელისუფლების ზრუნვამ და ამაგმა თავისი ნაყოფი გამოიღო. მრავალმა ახალგაზრდამ, ჩვენი ქვეყნის სანაქებო შვილებმა, თავისი პროფესიის ათვისების, დაუფლების შედეგად გაითქვა სახელი, ქვეყანას უჩვენა შრომითი მამაცობის და გმირობის მაგალითები, მიაღწია დასახული ამოცანის განხორციელებას. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ათასეული ახალგაზრდა უკავშირებს თავის ბრწყინვალე მომავალს, გაბედული მტკიცე ნაბიჯებით მიდის წინ და ამრავლებს შრომის ოსტატთა, შრომის ნოვატორთა რიგებს. ბევრი მათგანი დიდის წარმატებით მუშაობს უკვე რუსთავში მეტალურგიული ქარხნის პირველ საამქროებში და ახალგაზრდული ენერგიით სამაგალითო [illegible] ამყარებს. საწარმოო გეგმების [illegible] ლებისათვის ბრძოლაში მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ ისახელა თავი., აი ზოგიერთი მათგანის მაჩვენებლები: მექანიკური საამქროს მღარავი ჩიხლაძე ევგენი გიორგის ძე იმ ნიჭიერ ახალგაზრდა ოსტატთაგანია, რომლებიც გაბედულად და საფუძვლიანად დაეუფლნენ წარმოების რთულ ტექნიკას; მოფიქრებული, დინჯი, ზრდილობით სავსე მაღალკვალიფიციური ევგენი ჩიხლაძე შრომის გმირობის მაგალითებს იძლევა, მან წლიური გამომუშავების ნორმა 230%-ით შეასრულა.

აი, რას ამბობს მღარავი ჩიხლაძე თავისი მუშაობის შესახებ „ჩემს მიერ მიღწეული შრომითი გამარჯვება წვეთია ზღვაში,—ჩემი ვალია უფრო ავამაღლო შრომის ნაყოფიერება, რომ ხელი შევუწყო დედა-სამშობლოს შემდგომ გაძლიერებას“.

არა ნაკლები შრომის ენთუზიასტია ახმეტის რაიონის სოფ. ოქიოში დაბადებული 23 წლის ჭაბუკი, ნახუცრიშვილი ლუკა ილიას-ძე. ჯერ ახალ-ენაკიევოს კოქსო-ქიმიურ ქარხანაში, ელექტრო ზეინკლის პროფესიის შესწავლის დროს უკვე მიზნად დაისახა სრულყოფილად ათვისებინა თავისი საყვარელი ხელობა, შეჯიბრებოდა ენაკიევოს განთქმულ ელექტრო ზეინკლებს. დაბრუნდა რა საქართველოში, თავის საყვარელ ქარხანაში, ელექტრო საამქროში ფეხის შედგმისთანავე, ცოდნამ და გარჯამ სახელი მოუხვეჭა ლუკა ილიას-ძეს.

ხის დამამუშავებელი საამქროს წარჩინებულ ახალგაზრდობას წინ მიუძღვის ლაგოდეხელი ორგზის სიგელოსანი, მუდამ მომღიმარი, საქმისათვის თავდადებული, შუბითიძე ვანო პავლეს-ძე, რომელიც ერთი წლის გეგმას-

ექვს თვეში და უფრო ნაკლებ დროში ასრულებს, ამიტომ მის მიერ მოპოვებული შრომითი ბრწყინვალე მაჩვენებლები ყოველთვის მისაბაძი და სამაგალითოა.

ლითონის კონსტრუქციის საამქროს კოლექტივის ერთ-ერთი მოწინავე ამწყობი ზეინკალია გელიოშვილი ელიზბარ გიორგის-ძე, რომელსაც არჩეული პროფესიის შესწავლა-დაუფლება მოუხდა თანმიმდევრული მეცადინეობისა და შრომის შედეგად. ის წარმოებაში მოვიდა წარმოების ტექნიკის სრულიად უცოდინარი, მაგრამ ახლა, ლითონის კონსტრუქციის საამქროს სხვა შრომის ოსტატებსაც არ სცხვენიათ გელიოშვილისაგან რჩევის მიღება.

ჩამომსხმელი საამქროს მეყალიბეს ნავროზაშვილს ფირუზ ესტატეს-ძეს, კასპის რაიონის სოფ. ერთაწმინდაში დაბადებულს, 23 წელი შეუსრულდა და ხუთი წელია დამოუკიდებელ წარმოებით შრომას ეწევა.—მეყალიბის ხელობის შესწავლა დაიწყო თბილისის „ცენტროლიტის“ სისტემაში და მეხუთე თარგის მეყალიბის პროფესიით მოვიდა სასხმელ საამქროში, აქ იგი ეწევა თავდადებულ სასარგებლო შრომას, წლიური გეგმა მან 120% შეასრულა.

ჯავახიშვილი სიმონ გიორგის-ძე შემკეთებელ საამქროს ზეინკალთა ბრიგადირი, 1944 წელს მივლინებულ იქნა ენაკიევის კოქსო-ქიმიურ ქარხანაში ზეინკლის ხელობის შესასწავლად.

ენაკიევოში ყოფნისას მან აითვისა ზეინკლის ხელობა და, დაბრუნდა მეშვიდე თანრიგის ზეინკლის კვალიფიკაციით.

ჯავახიშვილი სიმონ, ჩამოვიდა რა საქართველოში, მოაშურა [illegible] ამიერკავკასიის მეტალურგიულ [illegible] ენერგიულად მოჰკიდა ხელი შრომას თვისი ცოდნის გაზიარებას და გადაცემას შრომის თანამოზიარეთათვის. წლიური გეგმის 215% და მეტით შესრულება მისთვის ჩვეულებრივი საქმეა.

თბოელექტროსადგურის რთული დანადგარების და მოწყობილობათა ათვისება გორელ გივი თადეოზის-ძე კუპრიაშვილისათვის საყვარელი საქმე შეიქმნა, მარიუპოლის მეტალურგიულ ქარხანაში ყოფნის დროს. ამჟამად იგი მუშაობს თბოელექტროსადგურის ტურბინაზე მემანქანედ. დიდია კუპრიაშვილის სიყვარული. თავდადება და გულისყური მოვალეობის შესრულებისათვის.

გურჯაანის რაიონის სოფ. კოტეხში 1926 წელს დაბადებული უტიაშვილი ნიკოლოზ გიორგის-ძე სტახანოველი მჭედელია ამიერკავკასიის სამჭედლო საამქროსი; ყოველდღიურად აძლიერებს თავის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რათა ზუსტად დაიცვას რთულ ნაკეთობათა, პროდუქციის ტექნოლოგიური პროცესი.

გორლოვკის კოქსო-ქიმიურ ქარხანაში დაოსტატდა და მერვე თანრიგის მემანქანედ გახდა ჩაჩუა გივი ივანეს-ძე. მას ბადალი არ ყავს მძიმე ტვირთამწევ მანქანის მართვაში. გორლოვკაში სტახანოველი აქაც სტახანოველია.

თურმან გიორგის-ძე მენთეშაშვილმა, დაუღალავი ახალგაზრდული ენერგიით აღჭურვილმა, დიდი ხელოვნებით გამოიყენა მაკეევკის ქარხანაში მიღებული ორთქლის ტურბინის მემანქანის პროფესია.

ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას მოქმედ საამქროებში მომუშავე

კადრების გარდა ჰყავს გრძელვადიან შვებულებაში მყოფი წარმოებას დაუფლებული ახალგაზრდობა, რომლებმაც გაიარეს საწარმოო სკოლა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში. ეს ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს საწარმოო და კულტურულ ფრონტზე ქალაქ რუსთავის წარმატებებს.

გრძელვადიან შვებულებაში მყოფი მგლინავები ფოლადის მხარშავები, მებრძმედეები მოუთმენლად ელოდებიან იმ წუთს, როცა დადგება მათი ჯერი ძირითად საამქროებში შემოქმედებითი წარმოებითი შრომისა, ქართული ფოლადის ნადნობის გამოშვებისათვის ბრძოლის საქმეში.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშებმა კარგად იციან, რომ მათ მუშაობას თვალყურს ადევნებს ჩვენი ქვეყნის ხალხი, ისინი მოწინავენი და ნოვატორები უნდა იყვნენ წარმოებაში, მათ კარგათ იციან, რომ ისინი უნდა გახდნენ ჩვენი წარმოების მომავალი კომანდირები, მათ უნდა გამოზარდონ აგრეთვე ჩვენი ახალი მუშები, რომლებიც დიდი ლტოლვით მოდიან ქარხანაში. ეს მათ კარგათ აქვთ შეგნებული, ამიტომ არის, რომ დიდი ენერგიით ეწაფებიან ცოდნის ამაღლებას. სწავლობენ საღამოს სკოლებში, თვითონ მუშაობენ წიგნებზე, სტახანოვურ სკოლებში, ოსტატების კურსებზე, პოლიტსკოლებში და სხვა. ისინი იქნებიან არა მარტო მოწინავე მუშები არამედ მოწინავე საბჭოთა მოქალაქეებიც.

თბილისის მეტალურგიული ტექნიკუმი უკვე რამდენიმე წელია ამზადებს ჩვენი ქარხნისათვის ტექნიკოსებს.

მეტალურგიულ ქარხანას დიდი დახმარება უნდა გაუწიოს აგრეთვე საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, ჩვენ მათგან მოველით ინჟინრებს, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან ჩვენს წარმოებას. ეკონომიკურ-ეკონომიკურ რამდენი სპეციალისტია საჭირო რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის. მეტალურგიული ქარხანა ჩვენი ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის ნამდვილი აკადემიაა. რა დიდი საბრძოლო სარბიელი იხსნება მათ წინაშე, რამდენი რამის გაკეთებაა შესაძლებელი. რუსთავის ქარხნის სპეციალისტებმა თავი უნდა ისახელონ არა მარტო საწარმოო გეგმის შესრულებით, არამედ მათ ახალგაზრდული ენერგიით ბევრი სიახლე და გაუმჯობესება უნდა შეიტანონ ჩვენი ქვეყნის მეტალურგიულ ხელოვნებაში. ქართველმა მეტალურგებმა თავი უნდა ისახელონ ამ საქმეში ისევე, როგორც მოწინავე მეტალურგებმა, ამიტომ უხარია ჩვენ ხალხს მეტალურგიული მრეწველობის შექმნა საქართველოში.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა თავისი შემადგენლობით მეტად რთულია და წარმოადგენს დიდი მნიშვნელობის მეტალურგიულ კომბინატს, მეტად განვითარებული მილსაგლინავი წარმოებით.

მეტალურგიული ქარხნის გაშვებასთან ერთად გადაწყვეტილი იქნება ძირითადი საკითხი, — დაკმაყოფილება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა ფოლადის მილებით, პირველ რიგში ჩვენი ნავთის მრეწველობისა სატუმბო-საკომპრესორო და წყალსადენის მილებით, ფურცლოვანი რკინით, აგრეთვე ხარისხული და ჩვეულებრივი გაგლინური რკინით,—ჩვენი მანქანათასაამშენებლო მრეწველობისათვის და საალმშენებლო საქმისათვის. მეტალურგიულ ქარხნის ბაზაზე ჩვენში განვითარდება უამრავი სახის წარმოებები და პირველ რიგში მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა.

ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება ხარისხობრივი და ჩვეუ-

ლებრივი ნაგლინავ ლითონზე, ფოლადის მილებზე, სპეციალურ საალმშენებლო მავთულებზე, მოთუთიებულ მავთულებზე ჩვენი ვენახებისათვის, ასევე მაღალ ხარისხოვან ნაგლინზე და სხვა. მოთხოვნილება ლითონზე უფრო მეტად გაიზრდება უმოკლეს დროში მეტალურგიული ქარხნის გაშვების შემდეგ, როცა შესაძლებელი იქნება მზარდი მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილება.

ქარხნის ძირითადი აგრეგატები გათვლილია დიდი მარაგით, რაც საშუალებას მოგვცემს შემდეგში დავუმატოთ სხვადასხვა საგლინავი დაზგები. კერძოთ ბლუმინგს, მილნამზად დაზგას საშუალო-ფურცლოვან საგლინავ და სხვა დაზგებს აქვთ დიდი მარაგი, რის ბაზაზედაც შემდეგ შეიძლება დაემატოს ქარხანას თხელ-ფურცლოვანი ცივად საგლინავი დაზგები, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვუშვათ თხელ ფურცლოვანი სახურავების რკინა და საკონსერვო წარმოებისათვის საჭირო თეთრი თუნუქი. ქარხანას აქვს საშუალება აგრეთვე ჩამოაყალიბოს ლეგირებული მავთული და სპეციალური ფოლადები ელექტრო-თერმიულ ხელსაწყოებისათვის და ელექტრო-მანქანათმშენებლობისათვის. მილნამზად დაზგას, მცირე მოწყობილობის დამატებით, შეუძლიან გამოუშვას მსხვილი ფოლადის კოჭები, შველერები, რელსები და სხვა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ლითონით მთლიანად დასაკმაყოფილებლად მეტალურგიულ ქარხანაში საჭირო გახდება სპეციალური მიმართულებით განვითარება ზოგიერთი საამქროებისა. ქარხანას ამ მიზნით დასჭირდება გამოუშვას ლეგირებული ცივად-გაგლინული და კალიბრიანი ლითონი. ამ მიზნით მეტალურგიულ ქარხანაში საჭირო გახდება ახლო მომავალში აშენებულ და გამოგებულ ქნეს ელექტრომდნობი ღუმელები ხარისხოვანი და მაღალხარისხოვანი ფოლადების მისაღებად, თერმიული საამქროები, ფოლადის თერმიულად დასამუშავებლად, ცივად საგლინავი და საკალიბრო საამქრო.

უდავოა, რომ უმოკლეს დროში უფრო დიდი განვითარება უნდა მიიღოს ჩვენში ასფალტირებული შარაგზებისა და რკინიგზის მშენებლობამ. ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდება სწრაფად განვითარდეს სპეციალური დარგის მანქანათმშენებლობა, რომელიც ჭარბად გამოუშვებს საგზაო საამშენებლო მანქანებს, როგორიც არის სატკეპნი მანქანები, ქვის სამტვრევლები, სათხრელი მოსასწორებლები და სხვა მანქანები; გამორიცხვა არ შეიძლება იმისა, რომ ასეთი ქარხანა აშენდება საქართველოში. ამ დარგის მანქანათმშენებლობა და რკინისგზის ტრანსპორტის მრეწველობა მეტალურგიული ქარხნიდან მოითხოვს სპეციალურ მაგარ ფოლადს, რომელიც კარგად მუშაობს გაცვეთაზე; ასეთი ფოლადები მზადდება მანგანუმის მიმატებით. ამიტომ ბუნებრივი იქნება შემდგომში, მანგანუმიანი ფოლადების დიდი რაოდენობით გამოშვება. ახალი ქალაქებისა და კომუნალური მშენებლობის სწრაფი ზრდა და არსებული ქალაქების და დაბების რეკონსტრუქცია, კომუნალური მეურნეობის კულტურული ზრდა მოითხოვს დიდი რაოდენობის წყალსადენებს და საკანალიზაციო თუჯის მილებს. მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არსებული მილსასხამი ქარხნებიდან პროდუქციის მიღება სიმორის გამო გაძნელებულია და არარენტაბელური. ამიტომ მეტალურგიული ქარხნის პერსპექტივაში უეჭველად წარმოიშვება

ქარხანასთან სპეციალური მოლასასხამი და მოყვანურ-ნაწილების საამქროს ჩამოყალიბების აუცილებლობა, სათანადო მოწყობილობებით კარუსელური ან ცენტრგამსრბოლი სხმულისათვის. ეს საამქრო მომსახურებას გაუწევს ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების კომუნალურ მეურნეობასაც.

საქართველოში სოფლად და რაიონის ცენტრებში დიდის წარმატებით დაიწყეს ჰიდროსადგურების მშენებლობა. რესპუბლიკას ამ მხრივ მეტად დიდი პერსპექტივები აქვს, მთელი რესპუბლიკა დაიფარება სოფლის და რაიონების ჰიდროსადგურების მრავალი ქსელით. ამასთან დაკავშირებით რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ უნდა დააკმაყოფილოს სპეციალური ლითონებით მანქანათამშენებელი ქარხნები, რომლებიც დაიწყებენ მცირე და მიკროტურბინების გამოშვებას. მეტალურგიულ ქარხანაში საჭირო გახდება ჩამოყალიბდეს ელექტროფოლადის საამქრო, რომელიც იმუშავებს იაფ ჰიდრო-ელექტროენერგიაზე. ამგვარი საამქრო საშუალებას მოგვცემს გამოვუშვათ არა მარტო მაღალხარისხოვანი ფოლადი, არამედ სპეციალური ლეგირებული და მაღალლეგირებული ფოლადები როგორიცაა: დაუჟანგავი, საინსტრუმენტო, გატფილდის, ელექტროტექნიკური და სხვა.

საქართველოს პირობებში სადაც მოგვეპოება უხვი იაფი ჰიდრო-ენერგიის რესურსები, მოკლე ხნის განმავლობაში შეიქმნება სათანადო ეკონომიური პირობები იმისათვის, რომ თუჯის გამოდნობა ჩამოყალიბდეს დაბალშახტიან ელექტრობრძმედებში. ამ სუფთა მაღალხარისხოვან თუჯის საფუძველზე შეიქმნება მაღალხარისხოვანი ნაწარმის წარმოება.

ცნობილია, რომ ღარიბი კარბონატიანი მანგანუმის მადნებმა, რომლის მარაგი დიდია, ჯერ კიდევ ვერ ჰპოვეს თავისი გამოყენება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტმა თავისი საკვლევო ნამუშევრით დაადასტურა ფერომანგანუმის შენადნობის მიღების შესაძლებლობა კარბონატიანი მანგანუმის მადნიდან. ეკონომიური ხელსაყრელობის შესწავლის შემდეგ შესაძლებელია მეტალურგიულ ქარხანაში დაიწყოს მისი წარმოება ელექტრო-ბრძმედებში. აგრეთვე შესწავლილი უნდა იქნეს ბრძმედებში და მარტენის ღუმელებში ამ მადნების უშუალოდ გამოყენების შესაძლებლობა; ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა კაზმში, როგორც მანგანუმი, ისევე კირქვა შეგვეტანა ამ მადნის სახით. დიდი ყურადღების ღირსია მეტალურგიული ქარხნის ნარჩენების რაციონალურად გამოყენების საკითხები. ბრძმედების ნარჩენების მიზნით დაპროექტებულია და აშენებული იქნება წიდების გადამამუშავებელი ქარხანა, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საამშენებლო მასალების საამქრო, ბეტონიტების ბლოკების საამქრო და თბოსაიზოლაციო მასალების საამქრო, მინერალური ბამბის საამქრო და სხვა.

გამოყენებული უნდა იქნეს აგრეთვე თბოელსადგურის ნაცარი — ცემენტის წარმოებისათვის. ქარხნის თბოსადგურის ნაცარი შეიცავს 40% ალუმინს და ამ ნარჩენებზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ალუმინის მსხვილი წარმოება.

დაკოქსვის შედეგად, კოქსის გარდა, მიიღება თანანაწარმი-კოქსის აირი და ქიმიური პროდუქტები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ფართომოხმარების საამქროების ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომლებიც დაამზადებენ წარმოების ნარჩენებიდან, განსაკუთრებით კი მილსაგლინავი საამქროს ნარჩენებიდან ფართო მოხმარების საგნებს, მაღალხარისხოვანი საწოლებიდან დაწყებული და გათავებული უჟანგო ჭურჭლის და სახლის მოწყობილობის საგნებამდე. მეტალურგიული ქარხნის პროდუქციის საფუძველზე და მის ნარჩენებზე მის გარშემო შეიქმნება მრავალი ახალი ქარხანა.

*

საკ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის შესახებ აღნიშნა: „საქართველოში ყველაზე დიდი საამშენებლო ობიექტი ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანაა... აქედან გასაგებია, თუ რა უდიდესი გაქანებაა საჭირო იმისათვის, რომ ამ გიგანტური საწარმოს მშენებლობა რამდენიმე წელიწადში დავამთავროთ.

1946 წლის სექტემბერში მიღებული გადაწყვეტილებით სსრ კავშირის მთავრობამ დაადგინა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საბოლოო პროფილი და სიმძლავრე. ქარხანამ წელიწადში უნდა გამოუშვას 640 ათასი ტონა მეტალურგიული კოქსი, 430 ათასი ტონა თუჯი, 685 ათასი ტონა ფოლადი, 290 ათასი ტონა მილები და 150.000 ტონაზე მეტი სხვა ნაგლინი. ქარხანას მომსახურებას გაუწევს საკუთარი მძლავრი თბოელექტროსადგური.

მეტალურგიული ქარხნის მუშამოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის შენდება ახალი ქალაქი-რუსთავი, სადაც რამდენიმე ათასეული კაცი იცხოვრებს.

ამჟამად შენდება ქარხნის თითქმის ყველა ძირითადი საამქრო. დამთავრებულია და საექსპლოატაციოდ გადაცემულია მხოლოდ დამხმარე საამქროები, რომელთაგან თითოეული თავისი ოდენობით საშუალო ქარხანას არ ჩამოუვარდება.

საექსპლოატაციოდ გადაცემული უნდა იქნეს ბლუმინგი და ორი მარტენის ღუმელი... დაგეგმილია სამუშაოთა ფართოდ გაშლა თბოელექტროცენტრალის, მილდამამზადებელი დანადგარისა და მილსაგლინავი საამქროს მშენებლობისა და მონტაჟის დასამთავრებლად. გათვალისწინებულია ქარხნის დირექციისათვის 15 ათასი კვადრატული მეტრი მუდმივი საცხოვრებელი ფართობის, აბანო-სამრეცხაო კომბინატისა და პურის ქარხნის გადაცემა.

საჭიროა ძალების დიდი დაძაბვა წლის დასაწყისიდანვე, რათა შესრულებულ იქნეს ეს დიდი პროგრამა.

მეტალურგიული ქარხნის შექმნა, რომელიც ამხანაგ სტალინის პირადი მითითებით შენდება, საქართველოს ბოლშევიკებისათვის უდიდესი საპატიო ამოცანაა. ამ ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოს ყველა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციამ.“

მშენებლობისა და სამონტაჟო სამუშაოთა ტემპები დღითი-დღე იზრდება. ის დიდი დახმარება და ყოველდღიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ხელმძღვანელობა, რომელსაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო უწევენ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას, იმის გარანტიას წარმოადგენს, რომ ქარხნის მშენებლობა დროულად იქნება დამთავრებული, მით უმეტეს, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლებს ეხმარება ჩვენი ხალხი.

რუსთავის მშენებლები, ქარხნის მთელი კოლექტივი და პარტიული ორგანიზაცია თავის ძალღონეს, ცოდნას და გამოცდილებას არ დაზოგავენ იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დიდი ნდობა და დავალება და ვადაზე ადრე მისცენ ჩვენს ქვეყანას ქართული ფოლადი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

★

როდიონ ქორქია „კოლხიდის ვარსკვლავები"

როდიონ ქორქიას სარეცენზიო მხატვრული ნარკვევი ასახავს იმ გმირულ ეპოპეას, რასაც შეიძლება ახალი მიწის აღმოჩენა ეწოდოს ძველი კოლხეთის იმ უბანში, რომელსაც ლეგენდარული ფაზისის შესართავი ერქვა.

სამართლიანად წერს ავტორი: შეეჩვია თვალი დიდთა საქმეთა კეთებასო. იქ, სადაც გაუვალი ჭაობები და ხავსიანი გუბეები ფარავდა მიწის ზედაპირს, ახლა ახალ-ახალი სოფლებია გამართული, ხოლო ამ სოფლებში „ელნათურები ციალებს, ბროწეული იცინის, სიმინდი შრიალებს". გაჭრა კოღოს და უყმურის სახსენებელი. ადამიანები გამოჯანსაღდნენ და დაუშრეტელი ხალისითა და შრომის უნარით აივსნენ. დაიწყო ბრძოლა და იერიში უხსოვარ დროიდან გაუტეხელ ყამირთან.

ავტორს მოთხრობილი აქვს, თუ როგორ გაიმარჯვეს ამ ბრძოლაში კოლხიდელებმა და გმირის სახელი მოიპოვეს. ამ მხრივ მეტად მოხდენილია ნარკვევის ფინალი — „თეთრი ვარსკვლავები კოლხიდის ცაზე ამოდის. ოქროს ვარსკვლავები კოლხიდის მიწიდან ამოდის".

ავტორს ნარკვევი რამდენიმე მიგნებულ და საკითხის ამომწურავ, მოფიქრებულ ქვესათაურებად აქვს დაყოფილი. პირველ თავს — „ჭალადიდიდან კრემლში"—მკითხველი შეყავს იმ საზეიმო განწყობილებაში, რასაც იწვევს ბელადთან გაგზავნილი წერილი, რომელიც საერთო კრებაზე იქნა განხილული და ხელმოწერილი. აქედან იწყება ბელადისადმი მიცემული სიტყვის შესრულებისათვის ბრძოლაც. ამ თავში ავტორს დამაჯერებლად აქვს გაელებული პარალელი ძველსა და ახალს შორის, კოლხიდის ძველი და ახალი პეიზაჟების დაპირისპირებაში მწერალი დაკვირვებულია და შესაფერი მხატვრული ფერებითა და ხერხებითაა აღჭურვილი.

მეტად მოხდენილია და დამაჯერებელი ჭალადიდელ გლეხ ყირიმია რატიასთან კოლხიდის ჭაობის დაშრობის დიდი მოამაგისა და ინიციატორის — ლ. პ. ბერიას შეხვედრა. ასევე თავის ადგილას არის ჩართული ნარკვევში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე თეოფანე გვაძაბიას მოგონება და ოცნება.

ყურადღებას იპყრობს ჩხარის რაიონის მწირნიადაგიან უბნებიდან წამოსული 32 ოჯახი, რომელთაც პირველად აუყვავებიათ კოლხიდის ეს ახალი მიწა. ამ აყვავებაში დიდი წარმატება სერგო მარუაშვილსა და მის მეუღლეს ოლიას რგებიათ. რა არა აქვთ მათ ამ ახალ ნიადაგზე: ვაშლი, მსხალი, ბროწეული, ლეღვი, ლიმონი, მანდარინი და წარმოიდგინეთ, ვენახიც კი... ასე, რომ სერგოს ჩამოსახლება კოლხიდის ახალ მიწაზე ძველ კოლხიდელებს სიხარულსა ჰგვრის...

„მადლობელი ვარ, — უთხრა ძველმა კოლხიდელმა ესტატე სესქურიამ, ახალ კოლხიდელს, სერგო მარუაშვილს, — გამოვიარე, რომ შემეხედა როგორი მეზობელი მყავს, კარგი მეზობელი შემეძინა თუ არა? კარგი მეზობელი ძმას სჯობია... შენ, შვილო, განსაკუთრებით უნდა გამოიღო ხელი, რადგან ისეთ მიწაზე დასახლდი, რომლის ბადალი არსად არაა. იცი, რა იყო აქ"... და მშვენიერი თხრობით მოყოლილია კოლხიდის დაბლობის ზღაპრული ჭაობი, მისი მკვიდრი ბინადარი ბაყაყებისა და კოღოების ძლიერების შესახებ. აქვე გამოყენებულია მეგრულ ფოლკლორში გავრცელებული ჰიპერბოლური ლექსი ყაჩაღად გაჭრილ ოთხი ბაყაყისა, რომელთაც ვერავითარი ძალა წინ ვერ ეღობებოდა. ავტორს ეხერხება ამგვარი მასალის თავის ადგილას გამოტანა. ცოტა ზევით მას, ასევე, თავის ადგილას აქვს გამოყენებული სამეგრელოში ფართოდ ცნობილი უძლეველი კოღოს ლექსი.

— მაგრამ „ჰა როგორ შეიცვალა ქვეყანა?.. ვაკვირვებული ვასაქერის ახალ მიწაზე გაშენებულ ახალ სოფლებს თეოფანე გვაძაბიაა

ფიქრში გართული: „ახლა რიონი ვერ გადმოდის... სუფთაა სოფელი. არც გუბეები, არც ტლაპოები. კოლოსაც მოეღო ბოლო და ბაყაყებსაც... თვითონ სტალინს უთქვამს: „ჯერ ფოთი-ჭალადიდის მიდამოები ამოაშრეთო, უპირატესად იქაა ჭაობისა და ციების ბუდეო“.

აი, ამ ნაჭაობარზე დგას მთელი სოფლები. თეოფანე გვაძაბია რომ აქაური არ იყოს, განა დაიჯერებდა ამგვარ ცვლილებას? — ასკვნის ავტორი, და სავსებით სწორია ეს დასკვნა. თუ არა სტალინური ხუთწლედების ახალ ცხოვრებასთან შეფარდებულობა და სიმტკიცე, თუ არა საბჭოთა ადამიანების პატრიოტული გატაცება და სოციალიზმის მშენებლობის ურყევი რწმენა, — ამ სასწაულს სხვა რა მოახდენდა?.

ნარკვევში შესანიშნავად არის გამოკვეთილი ამ დიად გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში ქალაქკომის მდივნის როლი, მშრომელთა დარაზმვისა და შრომის ორგანიზაციისათვის, რამაც გამოიწვია ის დიდი ენთუზიაზმი და შერკინება უხსოვარ დროით გაუტეხელ ახალ მიწასთან, რომელსაც ავტორმა „ბრძოლის ველი“ უწოდა.

ამ ბრძოლის ველზე ბრწყინვალედ გამარჯვებული მშრომელები, ზეიმობენ, რომ ბელადისადმი მიცემული სიტყვა ერთი ორად და ერთი სამად შეასრულეს. სამაგიეროდ მათი რიგებიც დამშვენდა: ორს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, 8-ს ლენინის ორდენი, 16-ს შრომის წითელი დროშის ორდენი, — 5-ს მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ და 2-ს — „შრომითი წარჩინებისათვის“...

ნარკვევში საკმაოდ მხატვრულად, ბელეტრისტული თხრობით არის აღწერილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ: ვ. გოგუას დაბა ხობში ჩასვლა. 1948 წლის 26 ივნისს — მოწინავე ადამიანებისათვის ღირსეული ჯილდოს გადასაცემად. პატარა ხობის ეს დიდი დღე, მართლაც, უჩვეულო სურათებითა და მაღალი განწყობილებით არის გადმოცემული. ავტორი აქ ცდილა ყოველგვარად შესაფერი საღებავების გამოყენებას, რომ მკითხველისათვის ეგრძნობინებინა ის დიადი დღე, რომელიც გმირული შრომის შედეგად განიცადეს ამ დღეს ხობში შეკრებილმა კოლხიდის მშრომელებმა. ლამაზი დინჯი და გადაუჭარბებელი თხრობის შედეგად ის ამ მიზანს აღწევს.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ნარკვევის ავტორი ფოლკლორს გარდა გზადაგზა ისტორიულ წარსულსაც მიმართავს, მაგრამ ისე კი, რომ ყველა შემთხვევაში სიჭარბესა და ადგილების ისტორიული ფაქტებით გადატვირთვას გაურბის. მას იგი სურდა — იმდენად, რამდენადაც დღევანდელობას გამოცდილება, შთაბეჭდილებას გააძლიერებს და გმირების ახალ სურვილს გამოიწვევს, ამ მხრივ ლამაზად აქვს ავტორს გამოყენებული არგონავტების მიერ ოქროს საწმისის გატაცება კოლხეთიდან, რის შემდეგ რამდენიმე ათასეულმა წელიწადმა განვლო. კოლხეთს ოქრო არ ჰქონდა და ჭაობი აღრჩობდა. დადგა ახალი დრო. დიდმა სტალინმა თქვა და ჭაობი ამოშრა. გაჩნდა ახალი მიწა თუ არა, ახალი ოქროს საწმისიც გაჩნდა კოლხიდაში—ციტრუსები და სიმინდი.

ასევე მოხერხებულად აქვს ავტორს გამოყენებული ფოთის მაღალი კოშკის ისტორია. ზედწარწერის მიხედვით იგი ნიკოლოზ პირველის რაზმეულებს წაურთმევიათ თურქთათვის, მაგრამ ისტორია გადმოგვცემს, რომ ამ კოშკზე 1828 წელს იერიში მიიტანეს დიმიტრი ორბელიანისა და ნიკო დადიანის მეგრელებისა და გურულებისაგან შემდგარმა ასეულებმა ნინო დედოფლის საერთო სარდლობით. ამის შემდეგ 120 წელი გავიდა. თურქთა წკიპურტიც არ მოხვედრია მას. ამ ისტორიულ კოშკში ახლა კოლხიდის მუზეუმია, რომელიც ასახავს როგორც ძველ, ისე ახალ კოლხიდას და მისი ახალი გმირების ცხოვრებასა და საქმეებს. მოხდენილია ექსკურსი აგრეთვე ხობში ჩატარებული ზეიმის აღწერისას: ძველი ხობი, მასში დღემდე დაცული ცოტნე დადიანის სასახლე და აკაკის პოემიდან („ნათელა“) აღებული სტროფები ძველი ხობის სურათის მოსაცემად.

ერთიანდება ფოთელებისა და ხობელების ზეიმი, სურვილი და ახალი სიტყვა ბელადისადმი, რომ ისინი არ დაკმაყოფილდებიან უკვე მიღწეულით, არამედ ყოველწლიურად გააუმჯობესებენ მუშაობასა და გაადიდებენ მოსავალს.

ავტორს ეხერხება თხრობა მოკლე წინადადებებით, მარტივი და დახვეწილი მხატვრული სახეებით, შედარებებით და სწორი, გამართული ენით. მთელი ნარკვევი ინტერესით იკითხება, სადაც ხალისით და დაუღლელად დაწვრილებით ეცნობა მკითხველი 1947 წელს ფოთის რაიონში ჩატარებულ მუშაობასა და ბრძოლას უხვი მოსავლიანობის მიღწევისათვის.

წიგნი გამოცემულია „სახელგამის“ მიერ ნ. მშველიძის რედაქციით, 5000 ტირაჟით, გაფორმებულია ლამაზად, შეიცავს 56 გვ. და ღირს 2 მან.

ს. ცაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

„ბიბლიოგრაფიის მოამბე“ № 4—5, 1948 წ. გამოცემა საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატისა

საქართველოს წიგნის პალატა, რომელიც თავის არსებობას 1924 წლიდან იწყებს, დიდ მეცნიერულ მუშაობას ეწევა საქართველოს პერიოდული და არაპერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული დამუშავებისათვის.

ქართულ ბიბლიოგრაფიას თუმცა დიდი ხნის ისტორია აქვს, და ივანე ჯავახიშვილის ცნობით იგი მე-10—12 საუკუნიდან იწყება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის მეორე ნახევარში მის უქონლობას მწვავედ გრძნობდა მაშინდელი ქართველი საზოგადოება და ქართული კულტურის განვითარებისათვის თავდადებული ილია ჭავჭავაძე იძულებული ხდებოდა პირდაპირ ვედრებით მიემართნა ბერმონაზნებისათვის, რათა მათ შეედგინათ მონასტრებში დაცული ქართული წიგნების კატალოგი. მართალია, უფრო ადრე სოლომონ დოდაშვილმა შეადგინა რეესტრი, რომელიც ექვსას ქართულ წიგნს მოიცავდა, ხოლო შემდეგ პეტერბურგის ქართველმა სტუდენტებმა შეადგინეს ქართული ჟურნალგაზეთების სტატიების ანალიტიკური აღწერა, მაგრამ ყოველივე ამას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, უმნიშვნელო მასშტაბით სწარმოებდა და კერძო პირთა ქველმოქმედებაზე იყო დამყარებული.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ეს მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა, დღეს ბიბლიოგრაფიის საქმე სახელმწიფოებრივ საქმედ არის გადაქცეული. 1924 წლიდან ეს სამეცნიერო მუშაობის განვითარებისათვის საჭირო საქმე უდიდესი მასშტაბით სწარმოებს. სარეცენზიო წიგნში ვ. გოგოლაძის საინტერესოდ შედგენილი საანგარიშო წერილი ბევრ ძვირფასს ცნობებს შეიცავს საქართველოს კულტურის განვითარების ისტორიიდან. ავტორი თავის წერილს იწყებს პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნიდან (პაოლინის—ქართულ-იტალიური ლექსიკონი), რომელიც 1629 წელს რომში დაიბეჭდა, შემდეგ ჩამოთვლის ქართული წიგნების ბეჭდვას ვენეციაში მონთობანში, პარიზში, კონსტანტინოპოლში, ლონდონში, ბერლინში, მოსკოვში, პეტერბურგში, ბაქოში, კავკავში, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. 1921 წლამდე დაბეჭდილი 6 ათასი სახელწოდების ქართული წიგნი სრულიად დაუმუშავებელი გადმოეცა საბჭოთა ხელისუფლებას მემკვიდრეობად. უდიდესი მუშაობა ჩატარდა ამ დაბეჭდილი წიგნების გამოვლინებისათვის და მის შესწავლა-ბიბლიოგრაფიულად დამუშავებისათვის. საქართველოს წიგნის პალატამ საბჭოთა კავშირის 18 უდიდესი ბიბლიოთეკაში დაცული ქართული წიგნების ფონდების საფუძველზე შეადგინა და გამოსცა მეცნიერული ნაშრომი: ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია, ტომი I.

ვ. გოგოლაძის სარეცენზიო წერილში ქართული კულტურის განვითარების შესახებ სხვა ბევრ საინტერესო ციფრობრივ მასალასაც ეხვდებით. ასე, მაგალითად, 1920 წელს საქართველოში ყველა გაზეთის წლიური ტირაჟი უდრიდა 7,5 მილიონ ცალს, ხოლო ჟურნალებისა 241 ათას ცალს. 1940 წელს გაზეთების ტირაჟს მიუღწევია 137,5 მილიონ ცალამდე, ხოლო ჟურნალებისა 1,8 მილიონ ცალამდე. საინტერესოა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა გამოცემების შესახებ ცნობები. 1921 წლიდან ღღემდე მარქსის ნაშრომები დაბეჭდილა 38-ჯერ 259.250 ცალის ტირაჟით, ენგელსის 34-ჯერ—197.650 ცალის ტირაჟით, ლენინის 183-ჯერ—1.2400.050 ცალის ტირაჟით; სტალინის 347-ჯერ—4.654.650 ცალის ტირაჟით, ხოლო ლ. ბ. ბერიას ნაშრომი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ 11-ჯერ — 242.200 ცალის ტირაჟით.

სარეცენზიო ნომერში დაბეჭდილ სხვა საყურადღებო წერილებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: თამარ მაჭავარიანის „ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა“. წერილის ავტორი ეხება ილიას ბიბლიოთეკის იმ ნაწილს, რომელიც ამჟამად დაცულია კარლ მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში. წიგნები შენახულია სუფთად, აკინძულია და წარწერილია ილიას ინიციალები და სახელი და გვარი. ბიბლიოთეკაში მოიპოვება წიგნები მარქსიზმის, ხელოვნების, ლიტერატურის, ხალხოსნობის, სახალხო მეურნეობის, სოციალური მეცნიერების და სხვათა შესახებ, ბიუხნერის, მეიერის, ფარესოვის, ბუგლეს, ბრანდესის, ემილ ვანდე დაველეს და სხვ. წიგნებს შორის არის გოეთეს თხზულებები, სისმონდის პოლიტიკური ეკონომია. მრავალი წიგნი პირადად მიძღვნილია ავტორების მიერ პოეტისადმი. ცნობილი არქეოლოგი და მოგზაური დებაი თავის წიგნს უძღვნის ასეთი ფრანგული წარწერით: „პოეტს, პატრიოტს, შვილს საუკეთესო ქვეყნისას, სადაც მუდამ მზეა“. ხალხოსნური მიმართულების მწერალი გრ. მაჩტეტი, რომელიც ავტორია ცნობილი რევოლუციური სიმ-

ღერის: „Замучен тяжелой волей“, ილიასადმი მიძღვნილ თავის წიგნს აწერს: „Поэту, князью Илье Чавчавадзе на добрую память прозаик Григорий Мачтет. И песнь твоя, как родина твоя прелестна и грустна“. ცნობილი ვ. ველიჩკოს მიერ მიძღვნილ წიგნების წარწერებში ასეთ სიტყვებს ვხვდებით: „Неизменно любимому хоть и неизменно безмолвному другу, высокочтимому... от неунывающего“. გ. ეზოვს თავის წიგნისათვის პეტრე დიდის შესახებ ილიასადმი მიძღვნილ ეგზემპლარზე წაუწერია: „Столпу народа грузинского... да будет укором это „научное“ (ფრჩხილებში ეზოვისაა) исследование лояльного Г. А. Эзова, истинного представителя грузино-армянской солидарности“. დიდი მწერლის ბიბლიოთეკაში დაცულ ეგზემპლარებში დღემდე ინახება ილიასეული წიგნი კარლ მარქსის „კაპიტალი“ I ტომი, ორივე გამოშვება, ჯონ სტიუარტ მილის—„პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების“ ორივე ტომი, ეისის „ცხოვრების ზნეობრივი საფუძვლები“ ტოკვილის „დემოკრატია ამერიკაში“, ჰეგელის—„ესტეტიკის კურსი, ანუ მეცნიერება მშვენიერებაზე“ I და II ნაწილი. პირადად ილიასადმი მიძღვნილ წიგნებს შორის არის გარდა ზემოთდასახელებულ ავტორებისა იაკობ გოგებაშვილის, პროფესორ ა. ცაგარლის, პროფესორ ა. ხახანაშვილის, არტურ ლეისტის, ათინიდან ჩამოსულ ბერ ბენედიქტის და სხვათა წიგნები. ეს წიგნები შეუნელებელი ინტერესით იკითხება და მასში ბევრი საინტერესო ცნობებია. ასე, მაგალითად, ქართულ მწერლობაში 1882 წელს ილიას თავის შინაურ მიმოხილვაში პირველად უხსენებია კარლ მარქსი, უწოდებია მისთვის გამოჩენილი მეცნიერი და მოუყვანია „კაპიტალიდან“ სათანადო ციტატი. ილიას ბიბლიოთეკის ეს ნაწილი გვიჩვენებს, რომ 80-იან წლებში ილია გატაცებული ყოფილა მარქსიზმის შესახებ ლიტერატურის კითხვით. ამას მოწმობს მისი ბიბლიოთეკის შემდეგი წიგნები: 1. ლასალის თხზულებათა I ტომი, მასარიკის „ფილოსოფია და მარქსიზმის სოციალური საფუძვლები“, ბემბავერკის „კარლ მარქსის თეორია და მისი კრიტიკა“, ნ. ზიბერის „დავით რიკარდო და კარლ მარქსი მათი საზოგადოებრივი ეკონომიური გამოკვლევების მიხედვით“, სლონიმსკის „კარლ მარქსის ეკონომიური მოძღვრება“ და სხვა. ეს და მრავალი სხვა წიგნები (ჩერნიშევსკის თხზულებათა 4 ტომი, პეტრის „ანრტოპოლოგია“, პეშელის „ნაროდოვედენიე“, ტეილორის „პირველყოფილი კულტურა“ და სხვა) აჭრელებულია ილიას შენიშვნებით და ჩანაწერებით.

მაქსიმე ბერძენიშვილის წერილი — ჟურნალ „სინათლის“ განცხადება — ახალ შუქს ფენს იმ ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც პირველად 1896 წელს ჟურნალმა „კვალმა“ შეცდომით გამოაქვეყნა და ხოლო მეორედ პროფესორმა პაატა გუგუშვილმა მოიყვანა შემოკლებით თავის ქართულ წიგნში. ავტორი ასწორებს დაშვებულ შეცდომებს, სრულად ბეჭდავს ტექსტს და ახლებურად განმარტავს ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის ისტორიულ ღირებულებას. ამასთანავე დღემდე უცნობი იყო ამ ისტორიული დოკუმენტის დაწერის თარიღი და ავტორი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ იგი 1844 წელს უნდა იყოს დაწერილი.

ა. აბრამიშვილის წერილი „ტფილისკიე ვედომოსტი“ („თბილისის უწყებანი“) ყურადღებას იპყრობს იმით, რომ „ტფილისკიე ვედომოსტის“ პირველი ნომერი, რომელიც მე-4 ნომრიდან იღებს უფრო სწორ ქართულ სახელწოდებას „ტფილისის უწყებანისას“, ავტორს აღმოუჩენია ერთერთ წიგნთან ერთად ყდაში ჩასმული. ეს წიგნი ყოფილა შემდეგი სახელწოდების: კლაპროტის „ქართულ-ფრანგულ და ფრანგულ-ქართული ლექსიკონი“. პარიზი, 1827 წ. ამ ახალი ნომრების მოპოება და აღმოჩენა ახალ შუქს ფენს ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას. წერილს დართული აქვს „ტფილისის უწყებანის“ ანოტირებული ბიბლიოგრაფიული აღწერა (1828—1829 წ. წ.).

საყურადღებოა აგრეთვე პლატონ ხუნდაძის წერილი ჰოლა ლომთათიძის ლიტერატურულ არქივიდან. წერილის ავტორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის წიგნსაცავის ძირითად ფონდში დაცულ ჰაინრიხ ჰაინეს ლექსების ჰოლა ლომთათიძის მიერ ნათარგმნ წიგნზე, რომელიც აღმოჩენილა პალატის მიერ შეძენილ ივანე გომართლისეულ წიგნებში. ეს წიგნი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მასში ჩასწორებულია გარკვეული ხელით და წითელი მელნით მთელი რიგი ადგილები. ეს ჩასწორებანი როგორც კორექტურული, ისე რედაქციულ-სტილისტური ხასიათისანი არიან. ავტორი ამტკიცებს, რომ ეს ჩასწორებანი ეკუთვნის თვით მთარგმნელს. წერილს დართული აქვს დაბეჭდილი და ჩასწორებული ადგილები, ავტორის ავტოგრაფები, რაც, ცხადია, ძვირფას მასალას წარმოადგენს ჰოლას მემკვიდრეობის შესწავლისათვის. ავტორს ჰაინეს ბიოგრაფიულ ნარკვევის ავტორადაც ჰოლა მიაჩნია და მოყავს ამის შესახებ დამაჯერებელი მოსაზრებები.

ბიბლიოგრაფიის მოამბის ამავე ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე გ. ილ. ბაქრაძის „ქართული სპეციალური ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა“; ნ. ლორთქიფანიძის „ბიბლიოთეკოლოგია, მისი საგანი და სწავლება“; თინათინ ნაკა-

შიძის, ე. დიასამიძის და თ. ჩუბინიძის მიერ შედგენილი ქართველ ავტორთა ნაშრომები, გამოცემული მოძმე რესპუბლიკებში. თ. ნაკაშიძის და ე. დიასამიძის მიერ შედგენილი „ქართული ბეჭდვითი წიგნები (1629—1920 წ. წ.)“, დამატებით გამოვლინებულ 370 წიგნის ბიბლიოგრაფია; ი. ციციშვილის „ბიბლიოთეკოლოგიის სადაო ტერმინები“; ტროფიმე ხუნდაძის „ცარიზმის პოლიტიკისათვის ბიბლიოთეკების მიმართ საქართველოში“; ს. ხუციშვილის და ნ. ტატიშვილის „საქართველოს ... 1863 წ.“; თ. ნაკაშიძე „ალექსანდრე ... ბიბლიოგრაფია“. მისივე „საქართველოს წიგნის პალატის საცნობარო ბიბლიოგრაფიული განყოფილება“; ა. კენჭაძის „საქართველოს ბეჭდვითი ნაწარმოების არქივი“; ვ. მ. გოგოლაძის „საქართველოს სსრ წიგნის პალატის სამეცნიერო შრომების შესახებ“.

ბ. მეგუკე.

ვლადიმერ თორდუა — „ჩიტი-ციციონ“
(ჯარისკაცის ჩანაწერები), საბლიტგამი, 1948 წ.

★

ახალგაზრდა პროზაიკოსის ვლადიმერ თორდუას ნოველების კრებული „ჩიტი-ციციონ“ საინტერესო მოვლენაა ომისშემდგომი პერიოდის ქართულ პროზაში, როგორც თავისი ჟანრობრივი ფორმით, აგრეთვე ჯარისკაცული ცხოვრების თავისებური ასახვით.

ვლ. თორდუას ზოგიერთი მოთხრობა მინიატურულ ხასიათს ატარებს („ძალა პურისა“, „ჩიტი-ციციონ“, „ლტოლვა“), მაგრამ ეს სრულიად არ ანელებს ინტერესს ნაწარმოებისადმი. მძაფრი შინაგანი ექსპრესია, ლაკონიურობა, სიტყვის სიმკვრივე, სულიერი განცდის მოკლე, ერავლისმეტყველ ფრაზაში გადმოცემა, ფსიქოლოგიური სიმართლე და ცხოვრების დეტალების მხატვრული ათვისების უნარიანობა — აი, რა ახასიათებს ახალგაზრდა ნოველისტის ამ პირველ წიგნს. თითოეული ნოველა, ან ჯარისკაცის ჩანაწერი, როგორც ამას ავტორი უწოდებს, მიუხედავად თავისი მცირე, ზოგჯერ ფრაგმენტული მოცულობისა დამაჯერებლად გვიხატავს სამამულო ომის ამა თუ იმ ეპიზოდს, იგი გვაფიქრებს, ღრმად გვახედებს ამ ეპიზოდური მოვლენების სიღრმეში.

ჯარისკაცის უბის წიგნაკში ჩანაწერი საბრძოლო ეპიზოდები, მის მიერ ფრონტის წინა ხაზზე უშუალოდ განცდილი შთაბეჭდილებები ომიდან დაბრუნების შემდეგ ახალგაზრდა შემოქმედში ცოცხლდებიან უაღრესად საინტერესო და ამაღელვებელ სურათებად, რომლებმაც თავისი გამოსახვა ფსიქოლოგიური ნოველის ჭარგაში ჰპოვეს. ჩვენ ამ ნოველებში ვხედავთ ომის ცოცხალ, ჭეშმარიტ სურათებს. ამიტომაა, რომ მკითხველი ავტორ-ჯარისკაცებთან ერთად განიცდის ამ ბრძოლებსაც და გამარჯვების სიხარულსაც, თოვლის სანგრებში ფიქრებსაც და დაუდგრომელ შეტევის აღტყინებასაც, წინსვლითი გაქანების ძლევამოსილებასა და ჭრილობის მძიმე ტკივილებსაც.

სარეცენზიო წიგნში ყველაზე მძაფრი ფსიქოლოგიური ნოველაა „სურათი“. ამ პატარა ნამდვილ ამბავში გამოხატულია უაღრესად მძიმე, ტრაგიკული, შემაძრწუნებელი სურათი ფრონტის ცხოვრებიდან, რომელიც მთელი თავისი საშინელებით მკაფიოდ ახასიათებს გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა მხეცობას.

„...ჩვენი მებრძოლების ერთი ჯგუფი სოფელ მიხაილოვოში შევიდა“. „გერმანელთა უკანდახევის შემდეგ ამ სოფლისაგან დარჩენილა სამიოდე ქოხი, გუმბათდანგრეული ეკლესია და ფრთამოტეხილი ქარის წისქვილი“. ჯარისკაცი, რომელიც ამბავს გვიყვება, შესვენებისას ღამის გასათევად შეივლის სოფლის „ამაღლებულ ბორცვზე მდგარ თოვლით დაყურსულ ქოხში“, სადაც მხოლოდ დედაბერი ცხოვრობს. იგი ოთახის ბნელ კუთხეში მიწვება. შეტევითს ლაშქრობაში მძიმედ დაქანცულს სწყურია ძილი, მაგრამ სიბნელეში რაღაც უცნაური ხმა მოსვენებას არ აძლევს.

„როგორც კი გათენდა და წამოვდექი, — განაგრძობს თხრობას ჯარისკაცი,—ღუმელისკენ მივიხედე, დავინახე თ მ ა გ ა წ ე წ ი ლ ი, თ ვ ა ლ ე ბ ჩ ა ღ ა მ ე ბ უ ლ ი ახალგაზრდა ქალი. იგი წამომდგარიყო, თავდახრილს გულისპირი გაეხსნა, ცალ ხელში ძუძუ დაეკავებინა, ხოლო მეორე თითქოს ვიღაცისათვის შემოუხვევია და იმ ვიღაცას ეჩურჩულებოდა იმავე ნელი, გაურკვეველი ხმით“.

ეს ქალი არის ამ სოფლის ყოფილი მასწავლებელი, რომელიც პარტიზანებთან ერთად გაიხიზნა ტყეში. გერმანელებმა უკანდახევისას ფერფლად აქციეს მისი სახლი. ქალს ღამე სოფელში დაბრუნებისას „ნელთბილ ნაცარში“ დამწვარი ბავშვი — საკუთარი ერთად-ერთი შვილი ეპოვა. იგი ელოლიავება ჩვარში გახვეული შვილის ძვლებს, თითქოს ცოცხალია და ძუძუს აწოვებსო.

ცოცხალი ადამიანის ნამდვილი პორტრეტული სახეა დახატული ნოველაში „ლანგე“. იგი აგვიწერს სახელგანთქმული ლატვური დივიზიის ასეულის პარტორგის ერნესტ მატის-ძე ლანგეს გმირულ ბრძოლას თავისი მიწაწყლის გათავისუფლებისათვის. თორდუა თვითონ ლანგესთან ერთად იბრძოდა ლატვიაში. ისინი ერთმანეთს დაეშორა მტრისგან მიღებულმა ჭრილობებმა. მაგრამ მათი იდეური მეგობრობა კიდევ უფრო განამტკიცა გამარჯვების სიხარულმა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ნოველამ ხელი შეუწყო ყოფილ თანამებრძოლებს შორის გაწყვეტილი ურთი-ერთობის აღდგენას ომის შემდეგ და იგი ქართველი და ლატვიელი ხალხის მეგობრობის ერთ-ერთ საუკეთესო გამოხატულებად გადაიქცა. ვლ. თორდუას ნოველის რუსული თარგმანი დაიბეჭდა ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ორგანოში. ერნესტ ლანგე, რომელიც ამჟამად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, მხურვალედ გამოეხმაურა ფრონტელი მეგობრის გამოძახილს. მიმდინარე წლის 9 მაისის ნომერში გაზეთმა „კომუნისტმა“ დაბეჭდა ლანგეს პასუხი თორდუასადმი. მისი მიპატიჟებით ვლ. თორდუა ამ რამდენიმე ხნის წინათ ეწვია ლატვიის დედაქალაქს რიგას. ომგადახდილი მეგობრები ერთმანეთს მხურვალედ შეხვდნენ ომგადახდილ სოფელში. ასეთია საბჭოთა ადამიანების მორალური თვისება, მათი მეგობრული სიყვარულის ძალა და სისპეტაკე.

თორდუას ნოველებში ჩვენ ზოგიერთ ნაკლს ვამჩნევთ. ეს ნაკლი, თუ აქედანვე მას ავტორის ყურადღება არ მიექცა, შეიძლება სერიოზულ საფრთხედ გადაიქცეს ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებითი ზრდისათვის. იგი მდგომარეობს ავტორის გადაჭარბებულ მგრძნობელობაში, რომლიდანაც ძალიან ადვილად შეიძლება წარმოიშვას სანტიმენტალურობის საშიშროება. წიგნში ბევრ საინტერესო, ამაღელვებელი სტრიქონებთან ერთად ზოგჯერ გვესმის „ყინვით გათოშილი“ ჯარისკაცის სუსტი, თითქოს დაძაბუნებული ხმა. ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგალითად, ნოველა „განთიადში“ სტრიქონები „...ერთი მაგრად ჩაგეხუტო უცნობო, ამხანაგო, აგრე მშვიდად რომ გძინავს. იქნებ ერთხელ მაინც, ერთხელ მაინც გავთბეთ“ — ან კიდევ:—„აი, ახლა თქრიალებს ... ...

13/450

ფასი 8 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ"

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ